

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი



ხელნაწერის უფლებით

ნათია კენჭიაშვილი

**ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური
ანალიზი: ტროპის სახეები**

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ბოლქვაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

შინაარსი

აბსტრაქტი	v
Abstract.....	viii
სქემები	ix
სურათები	x
დიაგრამები	xi
დანართები	xi
შემოკლებები.....	xiii
შესავალი.....	1
1. თემის აქტუალობა და სიახლე.....	1
2. საკითხის კვლევის ისტორია.....	2
3. კვლევის საგანი	3
4. კვლევის მეთოდოლოგია.....	3
5. საკვლევი ტექსტები.....	5
6. კვლევის მიზანი და ამოცანა	6
7. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება	8
8. ნაშრომის სტრუქტურა.....	9
9. ნაშრომის აპრობაცია	11
თავი I. ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის თეორიული წანამდგრები	12
1. ზოგადი მიმოხილვა	12
1.1. რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.....	13
1.2. ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია.....	21
1.3. რიტორიკის თანამედროვე თეორიები.....	26
1.4. შუალედური დასკვნა.....	36
თავი II. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები	39
2. ზოგადი მიმოხილვა.....	39
2.1. ტექსტების ტიპი	40
2.2. ტექსტების წყაროები	44
2.2.1. უცხოური წყაროები	45

2.2.2. ადგილობრივი წყაროები	49
2.3. ქართული მჭევრმეტყველების დარგები	57
2.3.1. სამქადაგებლო მჭევრმეტყველება	65
2.3.2. სადღესასწაულო მჭევრმეტყველება.....	66
2.3.3. სამგლოვიარო მჭევრმეტყველება	67
2.3.4. სამხედრო მჭევრმეტყველება.....	67
2.3.5. სამოსამართლო მჭევრმეტყველება.....	68
2.3.6. სადარბაზო მჭევრმეტყველება	69
2.3.7. პოლიტიკური მჭევრმეტყველება	70
2.4. ქართული მჭევრმეტყველების ჟანრები.....	72
2.5. ქართული მჭევრმეტყველების პერიოდები	76
2.5.1. ძველი პერიოდი	77
2.5.2. ახალი პერიოდი	78
2.5.3. უახლესი პერიოდი	78
2.6. შუალედური დასკვნა.....	79
თავი III. ტროპის სახეები ქართულ მჭევრმეტყველებაში.....	81
3. ზოგადი მიმოხილვა.....	81
3.1. მეტაპლაზმები	85
3.1.1. ალიტერაცია, ასონანსი	86
3.1.2. პარონომაზია.....	88
3.2. მეტატაქსისები.....	91
3.2.1. ელიფსისი	92
3.2.2. პოლიპტოტონი.....	94
3.2.3. პოლისინდეტონი	96
3.2.4. ინვერსია	97
3.3. მეტასემემები.....	110
3.3.1. შედარება.....	113
3.3.2. მეტაფორა.....	132
3.4. მეტალოგიზმები.....	136
3.4.1. გამეორება	137

3.4.2. პლენაზმი.....	143
3.4.3. ანტიტეზა	144
3.5. შუალედური დასკვნა.....	151
თავი IV. ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი ლინგვისტური კვლევებისთვის	153
4. ზოგადი მიმოხილვა.....	153
4.1. სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა.....	154
4.1.1. ძიება სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაში.....	155
4.1.1.1. სიტყვანი	156
4.1.1.2. კონკორდანსები.....	159
4.1.1.3. ენ-გრამები	161
4.2. კვლევის სამომავლო პერსპექტივები	163
4.3. შუალედური დასკვნა.....	168
ძირითადი დასკვნები და დებულებები.....	169
ბიბლიოგრაფია.....	i
ინტერნეტრესურსები.....	xxiii
დანართები	xxiii

აბსტრაქტი

ჩვენი ნაშრომის სათაურია „ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზი: ტროპის სახეები“.

ჩვენი კვლევის საგანია X-XXI საუკუნეების ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზი.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს ქართული რიტორიკული ტექსტების შესწავლის ლინგვისტური მახასიათებლები. აქედან გამომდინარეობს საკვლევი ამოცანებიც: გამოვავლინოთ მჭევრმეტყველებით ნიმუშებში მეტაბოლათა სახეები და ვაჩვენოთ მათი ენობრივი თავისებურებები.

ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში აქამდე არ განხორციელებულა ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების გაციფრება, რის გამოც შეუძლებელი იყო აღნიშნული ტიპის ტექსტური რესურსის თანამედროვე ტექნოლოგიური და პროგრამული საშუალებებით კვლევა.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებს, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, როგორც კვლევის ახალი, ელექტრონული რესურსი. მეთოდად გამოვიყენეთ დიაქრონიული ლინგვისტიკის კვლევის ინდუქციური მეთოდი, რომელიც გვაძლევს ძირითადი დასკვნების ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების საფუძველზე ვერიფიკაციის შესაძლებლობას.

საკითხის კვლევისას მივიღეთ შემდეგი ძირითადი შედეგები: მჭევრმეტყველებაში ენობრივი საშუალებები სპეციალურად არის შერჩეული. ამა თუ იმ დარგისა თუ ჟანრის მჭევრმეტყველების ნიმუშებს აუცილებლად ახასიათებს მკვეთრად გამოხატული მიზანდასახულობა, ხოლო ორატორების მიერ გაცნობიერებული გამოყენების შედეგია ენობრივი საშუალებების ხმარება.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილებია: შესავალი, ოთხი თავი და დასკვნები. თითოეული თავის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ზოგადი მიმოხილვა, ქვეთავები, ხოლო ბოლოს – შუალედური დასკვნები, ნაშრომის დასასრულს არის მოცემული ძირითადი დასკვნები და დებულებები, გამოყენებული

წყაროების, მათ შორის, ბიბლიოგრაფიისა და ინტერნეტრესურსების სია და ასევე, დანართები საკვლევ ტექსტების წყაროების შესახებ, გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სქემები, სურათები და დიაგრამები. ნაშრომის შესავალში მოცემულია საკვლევითი თემის ზოგადი დახასიათება, დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, განსაზღვრულია მიზანი და ამოცანები.

პირველ თავში *„ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის თეორიული წინამძღვრები“*, გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია და რიტორიკის თანამედროვე თეორიები.

მეორე თავში განხილული გვაქვს ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები: ტექსტების ტიპი, წყაროები, ქართული მჭევრმეტყველების დარგები (სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკური), ჟანრები (სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, წერილი, მიმართვა, მოხსენება, საბრალდებო სიტყვა, დაცვითი სიტყვა, წარდგინება, ქება, შესხმა) და პერიოდები (ძველი (I-XVIII სს.), ახალი (XIX ს.) და უახლესი (XX-XXI სს.) პერიოდი). სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით თავი მოვუყარეთ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებს.

მესამე თავში ლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზებული გვაქვს ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები, კერძოდ, შევისწავლეთ მეტაბოლათა სახეები: 1. მეტაპლაზმები (ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია); 2. მეტატაქსისები (ელიფსისი, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, ინვერსია); 3. მეტასემემები (შედარება, მეტაფორა); 4. მეტალოგიზმები (გამეორება, პლეონაზმი, ანტითეზა).

მეოთხე თავის სახელწოდებაა *„ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი ლინგვისტური კვლევებისთვის“*. ამ ნაწილში განვიხილავთ ე.წ. *„სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამას“*. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მასში ძიების შესაძლებლობები, კერძოდ, სიტყვანის, კონკორდანსების, ენ-გრამების დადგენა. გარდა ამისა, ბოლო ქვეთავი ეთმობა კვლევის სამომავლო პერსპექტივებს, რომელიც დაკავშირებულია ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნის სამუშაოებთან.

სადისერტაციო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, გაანალიზებულია ყველა ეს საკითხი. ზემოჩამოთვლილ საკითხთა შესწავლამ შესაძლებელი გახადა გარკვეული დასკვნების გამოტანა და ასევე მივედით პრაქტიკულ შედეგამდეც, კერძოდ, სიტყვათშეთანხმებითი მოდელების პროგრამაში დავარეგისტრირეთ ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის საცდელი ვერსია.

საკვანძო სიტყვები: ქართული მჭევრმეტყველება, ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები, ტროპები

Abstract

The title of our work is "*Linguistic Analysis of Georgian Rhetorical Texts: Types of Tropes*".

Research object is linguistic analysis of X-XXI centuries Georgian Rhetoric texts.

The aim of the work is to display the linguistic features of the study of Georgian rhetorical texts. Accordingly, we also have research tasks: to identify the types of metaphors and to demonstrate their linguistic characteristics.

Novelty of our research topic is due to the fact that in the Georgian scientific reality has not yet been digitized Georgian rhetorical text, so it was impossible to study this type of textual resource with modern technological and software tools.

The present study is based on the texts of Georgian rhetoric, which is entering the scientific circulation for the first time as a new, electronic resource of research. We used the inductive method of diachronic linguistics, which gives us the opportunity to verify the main conclusions based on the Georgian rhetorical texts.

Finally, we have main result: rhetoric texts revival that possibility, which is in languages like a potential, but is activating at the moment of speech and only for some kinds of aims. The orators are using tropes consciously.

The main parts of the dissertation are: introduction, 4 chapters and conclusions. In the introductory part of each chapter, there is a general overview, subheadings, and finally - intermediate conclusions. At the end of the thesis, the main conclusions and provisions are given. In addition, the thesis presents various types of schemes, pictures and diagrams. The introduction of the thesis gives a general characteristic of the work, scientific novelty, theoretical and practical meaning of the work, and goals and issues are defined.

In the first chapter, "*Theoretical Guidelines for the Study of Georgian Rhetoric*", the following issues are analyzed: the first Georgian textbooks of rhetoric, the history of scientific study of Georgian rhetoric and the modern theories of rhetoric.

In the second chapter, we discuss the criteria for selecting texts of Georgian Rhetoric: type of text, sources, fields (preaching, celebration, funeral, royal, military, judicial, political and academic) of Georgian Rhetoric, genres (speech, preaching, doctrine, teaching, addressing, reporting, meeting, praising, presenting) and periods (Old (I-XVIII centuries), New (XIX century) and the Latest (XX-XXI centuries)). According to these criteria we have compiled the texts of Georgian Rhetoric.

In the third chapter, we have analyzed the texts of Georgian Rhetoric from a linguistic point of view, in particular, we have studied the types of metaphors: 1. Metaphors (alliteration,

asonance, paronomasia); 2. Metataxis (ellipsis, polysyndetone, inversion); 3. Metasemems (comparison, handyadis); 4. Metalogisms (repetition, pleonasm, antithesis).

The fourth chapter is "*Georgian Rhetoric Corpus for Linguistic Studies*". In this section, we discuss the so-called Sketch Engine (corpus manager and text analysis software). We will discuss search capabilities in the program, for example, to determine Wordlist, Concordance and N-grams. In addition, the last section is devoted to future prospects for research, in particular, works on the establishment of the Georgian Rhetoric Corpus.

All of these issues are analyzed in the dissertation as much as possible. The study of the above issues made it possible to draw some conclusions and we also came to a practical conclusion, in particular, we registered the trial version of the Georgian Rhetoric Corpus in the program of Sketch Engine.

Keywords: Georgian Rhetoric, Georgian Rhetoric Corpus, Georgian Rhetorical Texts, tropes

სქემა 1. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების დარგები, ქვედარგები და განშტოებები (კანდელაკი, 1968: 97)	23
სქემა 2. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების დარგები და ჟანრები (კანდელაკი, 1968: 97)	23
სქემა 3. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდები (კანდელაკი, 1968: 88-94)	24
სქემა 4. სამეტყველო აქტის ექვსი ბაზისური ფაქტორი (იაკობსონი, 1960: 353).....	28
სქემა 5. ენის ექვსი ბაზისური ფუნქცია (იაკობსონი, 1960: 357)	29
სქემა 6. ენის დანაწევრების დონეები (ჯგუფი M, 1970/1986: 63).....	32
სქემა 7. მეტაბოლათა ზოგადი კლასიფიკაცია (ჯგუფი M, 1970/1986: 65)	32
სქემა 8. მეტაბოლათა ცხრილი (ჯგუფი M, 1970/1986: 90-91).....	33
სქემა 9. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები.....	39
სქემა 10. ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია	72
სქემა 11. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდები	77
სქემა 12. მეტაფორა და მეტონიმია (ჯგუფი M, 1970/1986: 216)	113

სურათები

სურათი 1. ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ზოგადი მონაცემები	155
სურათი 2. ძიება სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაში	156
სურათი 3. სიტყვანი. პირველი 20 სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების კორპუსში.	157
სურათი 4. სიტყვანი. პირველი 20 სრულმნიშვნელიანი სიტყვაფორმა ქართული მჭევრმეტყველების კორპუსში	158
სურათი 5. სიტყვანი. პირველი 20 მაგალითი <i>HAPAX LEGOMENA</i> ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში.....	159
სურათი 6. კონკორდანსი სიტყვისთვის 'სიტყვა' ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში	160
სურათი 7. კონკორდანსი სიტყვისთვის 'სიტყვა' წინადადებების ჩვენებით	161
სურათი 8. 3-სიტყვიანი ენ-გრამა დალაგებული სიხშირული სიის მიხედვით.....	162

დიაგრამები

დიაგრამა 1. დარგების მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშების გადანაწილება.....	172
დიაგრამა 2. ჟანრების მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშების გადანაწილება	172
დიაგრამა 4. ორატორთა კლასიფიკაცია საერო და სასულიერო ნიშნით.....	172
დიაგრამა 3. ორატორთა კლასიფიკაცია გენდერული ნიშნით.....	172
დიაგრამა 5. პროფესიების მიხედვით ორატორთა გადანაწილება.....	173
დიაგრამა 6. ორატორთა ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.....	174

დანართები

დანართი 1. ნიკოლოზ კანდელაკის „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958).....	XXIV
დანართი 2. ნიკოლოზ კანდელაკის „ქართულ საელჩო მჭევრმეტყველებას“ (კანდელაკი, 1966)	XXV
დანართი 3. ნიკოლოზ კანდელაკის „წერილები“ (კანდელაკი, 1988)	XXVII
დანართი 4. ვახტანგ ჟვანიას „ქართველი იურისტები“ (ჟვანია, 1961).....	XXVII
დანართი 5. „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები“ (დავითაია (შემდგ.), 1963).....	XXVIII
დანართი 6. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ., პაპასკირი ვ., „ქართული ორატორული ხელოვნება“ (ქრესტომატია-პრაქტიკუმი) (ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000)	XXVIII
დანართი 7. ჯაგოდნიშვილი თ., გაბისონია ი., ჯაგოდნიშვილი ივ., „რიტორიკა: ქრესტომატია“ (ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, ჯაგოდნიშვილი (შემდგ.), 2018) ...	XXX
დანართი 8. „ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი“ (ჭყონია (რედ.), 1898).....	XXX
დანართი 9. „ანტონ ჭყონდიდელი: დიდი მარხვის ქადაგებები“ (ბუკია, 2007)	XXXI
დანართი 10. სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963)	XXXII

დანართი 11. „მამა პავლეს (რაზიკაშვილი) ვაჟა-ფშაველას მშობელი მამის ქადაგებანი“ (კოლხიბერული (რედ.), 2008).....	XXXIII
დანართი 12. სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულნი საქართველოს საექსარხოსოში მაღალყოვლადსამღვდელოს საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ (სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887)	XXXIV
დანართი 13. კალისტრატე ცინცაძის „ქადაგებები და სიტყვები“(ცინცაძე, 2014).....	XXXV
დანართი 14. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში: წერილები (სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში, 2010).....	XXXVII
დანართი 15. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ნოე ჟორდანია: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 24 ივნისი - 1921 წლის 18 მარტი): ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები (ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ა); ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ბ); ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018გ)	XXXVII
დანართი 16. დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალს (მაცაბერიძე (რედ.), 2009).....	XXXVIII
დანართი 17. საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.) (მაცაბერიძე (რედ.), 2007).....	XXXIX
დანართი 18. პირველი ლექციები უნივერსიტეტში (გაიპარაშვილი (შემდგ. და რედ.), 2017).....	XXXIX

შემოკლებები¹

(პირობითი აღნიშვნები და სიმბოლოები)

[] – კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი აღნიშნავს სათაურს, რომელიც არ ერთვოდა ორიგინალ ტექსტს და შედგენილია ჩვენ მიერ ორატორული ნიმუშების სათაურების შედგენის სტილის გათვალისწინებით.

[...] – კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა ან ფრაზა ციტატაში აღნიშნავს ავტორის მიერ ნაგულისხმევ ტერმინს, რომელსაც ვუთითებთ აზრის ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით.

(1, 2, 3...) – ფრჩხილებში ჩასმული რიცხვი დაისმის ნაშრომში მოყვანილი მაგალითების ბოლოში და აღნიშნავს ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ნუმერაციას. ტექსტების სია კი დართულია ნაშრომის ბოლოს.

(Ø) – აღნიშნავს გამოტოვებულ სიტყვას ელიფსისის შემთხვევაში.

/ – დახრილი ხაზი აღნიშნავს პარალელურ ფორმებს (სრულმნიშვნელიან, თუ არასრულმნიშვნელიან სიტყვებს, მაგალითად, ნაწილაკებს: „აწ“ / „აწე“ / „აწეცა“ / „აწცა“).

// – დახრილი, პარალელური ხაზები აღნიშნავს სინონიმურ ცნებებს (სიტყვებს ან ფრაზებს).

< – შემოკლებათა სრული ვარიანტების წარმოსადგენად, მაგალითად, წ. < წელი.

+ – სიტყვაში ან ფრაზაში მორფემებისა და ლექსემების მიმდევრობების დასაკავშირებლად და გრამატიკული ფორმულების შესადგენად, მაგალითად, არსებითი სახელი+თა+ებრ; კომპოზიტური უცხო სიტყვათა ეტიმოლოგიისას მათი შემადგენელი ელემენტების დასაკავშირებლად და შესაერთებლად.

¹ შენიშვ.: წინამდებარე ნაშრომში ქართულენოვანი შემოკლებების მოყვანისას, ვეყრდნობით წიგნს „სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი ბიბლიოთეკების დასახმარებლად“ (ქავთარაძე (შემდგ.), 2012). ამდენად, თითოეულის მოყვანასა და განმარტებას აქ აღარ წარმოვადგენთ.

“Scholars of the humanities love words. We work in, on, and with the written word; [...] The expression of this love has often proceeded – under the name of philology, from the Greek philo + log-os (love of words).”

(შოური, 2018: ix)

შესავალი

რიტორიკის თეორიასა და პრაქტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მას გააჩნია თავისი შესწავლის საგანი და კვლევის ლინგვისტური ასპექტები, ცნებათა სისტემა, ტერმინოლოგია და მეთოდოლოგია. საქართველოში რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლებას ასევე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები მრავლად მოიპოვება მწერლობასა თუ პრესაში. მათი შეგროვება და ციფრულ ფორმატში შესწავლა კვლევის თანამედროვე მოთხოვნილებებით არის განპირობებული. ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის მიზნით, წინამდებარე ნაშრომიც ეფუძნება სწორედ საკვლევი ტექსტების ელექტრონულ რესურსს, რომელიც შეიცავს ქართული მჭევრმეტყველების სხვადასხვა დარგის, ჟანრისა და პერიოდის ნიმუშების გაციფრებულ მონაცემს.

1. თემის აქტუალობა და სიახლე

ჩვენი საკვლევი თემის **აქტუალობა** განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში აქამდე არ გაციფრებულა ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები, რის გამოც შეუძლებელი იყო აღნიშნული ტიპის ტექსტური რესურსის თანამედროვე ტექნოლოგიური და პროგრამული საშუალებებით კვლევა. ამდენად, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების გაციფრების საჭიროება და აუცილებლობა კვლევის თანამედროვე მოთხოვნილებებით იყო განპირობებული.

ნაშრომის მეცნიერული **სიახლე** განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში არ მომხდარა ქართული მჭევრმეტყველების საფუძვლიანი და სრულფასოვანი ლინგვისტური კვლევა. წინამდებარე ნაშრომში პირველად ვაანალიზებთ მთელი რიგი ავტორების მჭევრმეტყველების ნიმუშებს, რომლებიც აქამდე არ ყოფილა მეცნიერულად შესწავლილი. ნაშრომის სიახლე

განსაზღვრება იმით, რომ გამოკვლევა არის ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზის პირველი ცდა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რომელიც ტექსტების პროგრამულ დამუშავებასთან არის დაკავშირებული.

თვითონ მჭევრმეტყველების ტექსტებს შეისწავლის სხვადასხვა დისციპლინა. მის სხვადასხვა ასპექტს დამოუკიდებელად იკვლევს ისეთი დარგები, როგორცაა რიტორიკა, სტილისტიკა, პრაგმატიკა, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, სემიოტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვ. ამ სფეროებში რიტორიკული ტექსტების შესწავლისას იკვეთება კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი და საკვლევი საზღვრების დადგენის პრობლემა. წინამდებარე კვლევაც ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რაც განაპირობებს ჩვენი კვლევის სამეცნიერო სიახლესაც.

2. საკითხის კვლევის ისტორია

სანამ საკითხის კვლევის ისტორიას შევხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ საკვანძო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. წინამდებარე ნაშრომში უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინ „მჭევრმეტყველების“ გამოყენებას. ასევე სათაურშიც ფიგურირებს სიტყვა „მჭევრმეტყველება“, ხოლო მის შესაბამის ინგლისურ თარგმანში სიტყვა – *“Rhetoric”*. გარდა ამ საკვანძო ტერმინისა, მთელი რიგი ტერმინები, რომლებიც რიტორიკის ანტიკური თეორიებიდან მომდინარეობენ, წარმოდგენილია ძველბერძნული ეტიმოლოგიის მითითებით, ასევე მოცემულია მათი ტრადიციული განსაზღვრება და შესაბამისი თანამედროვე განმარტებებიც, რადგან, ეპოქების, ლიტერატურული მიმდინარეობების, ადამიანის მსოფლადქმის და სხვ. გარემოებათა გამო, ცნებებიც იცვლებიან, რის გამოც ხდება მათი ხელახალი გადააზრება.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, დისერტაციები, ინტერნეტწყაროები და ა.შ. მიმოხილულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. თუმცა საკუთრივ ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის ისტორიაზე მსჯელობისას მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ ქართულ წყაროებს. ამის მიზეზი ისაა, რომ ქართული მჭევრმეტყველება ყოველთვის იყო ადგილობრივი, ქართველი მეცნიერების შესწავლის საგანი. ამდენად, აღნიშნულ საკითხზე არსებული

ლიტერატურაც მხოლოდ ქართულენოვანია, ხოლო თეორიული საკითხების, მათ შორის, რიტორიკის თანამედროვე თეორიებზე მსჯელობისას, რა თქმა უნდა, მოყვანილია შესაბამისი უცხოენოვანი წყაროებიც. ამდენად, წარმოდგენილია ნაშრომის თითოეულ თავში დასმული ამა თუ იმ საკითხის კვლევის საერთო ვითარება. ყველა წყარო, შესაბამისად, ასახული გვაქვს ბიბლიოგრაფიასა და ინტერნეტრესურსებში.

3. კვლევის საგანი

რიტორიკის ცნება მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ტრადიციული მჭევრმეტყველების ტექსტების გარდა, რიტორიკა იკვლევს ნებისმიერ სხვა ტიპის ტექსტსაც, თუმცა, მიუხედავად ამისა, წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანი, უშუალოდ მჭევრმეტყველების ტექსტებია, კერძოდ კი, X-XXI სს.-ის ქართული მჭევრმეტყველება, რომლის ნიმუშებიც მიეკუთვნება შვიდ დარგსა (სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკური) და თორმეტ ჟანრს (სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, სწავლა, წერილი, მიმართვა, მოხსენება, წარდგინება, საბრალდებო სიტყვა, დაცვითი სიტყვა, ქება, შესხმა).

წინამდებარე ნაშრომში არ შემოვიფარგლებით ტროპის მხოლოდ ცალკეული სახის განხილვით, არამედ, მათ შევისწავლით კომპლექსურად და ერთმანეთთან კავშირში. კვლევის არეალმა მოიცვა ტროპის ის სახეები, რომლებიც ენობრივი ანალიზის სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნება, მაგალითად, მეტაპლაზმები – სიტყვის, მარცვლის, ფონემის, გრაფემის დონეს, მეტატაქსისები – წინადადების დონეს, მეტასემემები – სიტყვის დონეს, ხოლო მეტალოგიზმები – წინადადებების დონეს. ამდენად, ჩვენი შესწავლის საგანია მეტაბოლათა სახეები: 1) მეტაპლაზმებიდან: ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია; 2) მეტატაქსისებიდან: ელიფსისი, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, ინვერსია; 3) მეტასემემებიდან: შედარება, მეტაფორა; 4) მეტალოგიზმებიდან: გამეორება, პლეონაზმი, ანტითეზა.

4. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას უპირატესობა ენიჭება **დიაქრონიული ლინგვისტიკის** კვლევის ინდუქციური მეთოდის გამოყენებას, რაც გვამლევს ემპირიული მასალის განზოგადებიდან ძირითადი დასკვნების მიღების, ისე პირიქით, ძირითადი

დასკვნების ემპირიულ მასალაზე ხელახალი გადამოწმების შესაძლებლობას. ამდენად, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ციფრულ ფორმატში შესწავლა მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი დასკვნების ვერიფიკაციის ანდა ფალსიფიკაციის დასადგენად. ლინგვისტური ანალიზისას მიღებული შედეგები შესაძლებელია შედარდეს წინამორბედ კვლევებთან და მოხდეს ძველი დასკვნების ვერიფიკაცია.

ენათმეცნიერს შეუძლია თავისი კვლევა წარმართოს თანამედროვე ტექნოლოგიური და პროგრამული საშუალებების დახმარებით. „*თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებში*“ კომპიუტერის გამოყენება იგულისხმება, თავად კომპიუტერი კი საჭირო ენობრივი მონაცემის „*სწრაფ მოძებნასთან*“ ან „*სწრაფ წვდომასთან*“ ასოცირდება. მონაცემთა ახალი, ციფრული ფორმატის შექმნას ორი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ენათმეცნიერებისათვის: 1) მონაცემთა ციფრულ ფორმატში გადაყვანამ შესაძლებელი გახადა დროსა და სივრცეში დაშორებული მონაცემების ერთიან, ვირტუალურ სივრცეში განთავსება და 2) დიგიტალურმა ეპოქამ საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო რესურსების მანქანური საშუალებებით გადამუშავებას (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 22).

კვლევის მეთოდოლოგიაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის განვითარების დიალექტიკა: ემპირიული მასალის სისტემატიზაციაზე ორიენტირებულმა ტრადიციულმა ლინგვისტიკამ მე-20 საუკუნეში თვისებრივად ახალი, თეორიაზე ორიენტირებული გენერატიული ლინგვისტიკა წარმოშვა, რომელიც ძირითადად არა ინდუქციის (ემპირიული ფაქტების განზოგადების) მეთოდს იყენებდა კვლევის პროცესში, არამედ დედუქციის მეთოდს (აყალიბებდა ლინგვისტურ პოსტულატებს და შემდეგ ეძებდა შესაბამისი ენობრივი რეალიზაციის შემთხვევებს), უკვე შემდგომ, მონაცემთა ახალი ტიპის, ციფრული მონაცემების გაჩენამ ერთმანეთს კვლავ შეახვედრა თეორია და ემპირია (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 23).

კვლევის **რაოდენობრივი მეთოდი** დაგვეხმარა ჩვენ მიერ შერჩეული ორატორების, მჭევრმეტყველების დარგების, ჟანრებისა და სხვა მეტამონაცემების სხვადასხვა კრიტერიუმით შესწავლაში, ასევე საკვლევ ტექსტებში მოძიებული მაგალითების რაოდენობრივ შედარებასა და პროცენტული მაჩვენებლების დადგენაში. მასალად გაანალიზებულია ქართული მჭევრმეტყველების თითქმის

ყველა ძირითადი დარგისა და ძირითადი და დამხმარე ქანრების ძეგლები. იმის გამო, რომ საანალიზო მასალა საკმაოდ დიდია, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კვლევა არ გადაგვეტვირთა მაგალითებით, თუ ამას ანალიზი არ მოითხოვდა.

5. საკვლევო ტექსტები

ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევასა და გავითვალისწინეთ შემდეგი კრიტერიუმები: **ტექსტის ტიპი, წყარო, დარგი, ქანრი და პერიოდი.** სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს ჩვენ მიერ შერჩეული მასალის ეპოქას, დარგს, ქანრსა და კონკრეტულ ავტორებზე ყურადღების გამახვილებას. საკვლევო ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა არის ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი სამომავლოდ ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის (ქმკ) შესაქმნელად და კორპუსზე დაფუძნებული კვლევების განსახორციელებლად.²

საკვლევო ტექსტების მოძიებისას გამოვიყენეთ ხელნაწერები, აკადემიური გამოცემები, პერიოდიკა, დოკუმენტური მასალა, ინტერნეტრესურსები და სხვ. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების დახარისხება შეგვიძლია, როგორც პირველად, ისე მეორეულ წყაროდან მომდინარე რესურსებად, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა უცხო ენაზე (ძველბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე) დაწერილ ტექსტებადაა შემონახული. ქართული მჭევრმეტყველებითი კორპუსის შემადგენელი ტექსტების შერჩევასა და საორიენტაციო მასალად ავიღეთ როგორც უცხოურ, ისე ადგილობრივ წყაროებში დაცული პირველადი და ისიც, ორიგინალის სახით მოღწეული ქართულენოვანი მჭევრმეტყველების ნიმუშები.

ამასთან, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ის ტექსტები, რომლებზეც ავტორები უშუალოდ მუშაობდნენ და ხვეწდნენ მხატვრული თვალსაზრისით (მაგ., *იოანე საბანისძე „აბო თბილელის წამება“*) და ტექსტები, რომელთა ჩაუსწორებელ ვარიანტზე არ უმუშავიათ ავტორებს და არც წინასწარ ჩაწერილი სახით არ წარმოუდგენიათ (მაგ., *დემეტრე თავდადებულის* სიტყვა ჩაწერილი ჟამთააღმწერლის მიერ), არამედ წარმოადგენენ სხვათა მიერ აღბეჭდილ ცნობებს, რაც თვალსაჩინო ხდება ტექსტების უშუალო გაცნობის შემდეგ. როცა ვამბობთ პირველადი ტექსტი, სრული სიზუსტით ჭირს დადგენა, რამდენად

² ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი იქნება ელექტრონულ რესურსი და ინსტრუმენტი შემდგომი ლინგვისტური კვლევებისთვის. ამ ეტაპზე, კორპუსის სამუშაო ვერსიის შექმნის მიზნით გამოყენებულია მზა პლატფორმა, რომელიც იძლევა კორპუსის / ქვეკორპუსის შექმნის, მასში სხვადასხვა სახის ძიებისა და შესაბამისი ლინგვისტური კვლევის განხორციელების შესაძლებლობას.

ზედმიწევნით არის ჩაწერილი წარმოთქმული ტექსტი. თუმცა ძველი მჭევრმეტყველებითი ტექსტების შესწავლის მიზნით სხვა საშუალება არ არსებობს.

ამის გათვალისწინებით, განვიხილავთ X-XXI სს.-ის ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შვიდი წამყვანი დარგი: სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება და თორმეტი ჟანრი: სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, სწავლა, წერილი, მიმართვა, მოხსენება, წარდგინება, საბრალდებო სიტყვა, დაცვითი სიტყვა, ქება, შესხმა. ჩვენ მიერ განხილული თითოეული ნიმუში აუცილებლად განეკუთვნება ქართული რიტორიკის ზემოაღნიშნულ დარგს / ქვედარგს და ჟანრს.

ემპირიულ მასალად გამოყენებული გვაქვს ქართულ მჭევრმეტყველებაში ცნობილი 200-მდე ორატორის 1000 მჭევრმეტყველების ნიმუში, დაწყებული უძველესი პერიოდიდან დამთავრებული უახლესი პერიოდის ნიმუშებამდე, რომლებიც განეკუთვნებიან ზემოაღნიშნულ დარგებსა და ჟანრებს. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევას ვეცადეთ შეგვეკრიბა როგორც ცნობილი, ისე უცნობი ორატორები და მათი მჭევრმეტყველების ნიმუშები. ასევე გვსურდა წარმოგვედგინა გენდერული თვალსაზრისით ორატორთა გადანაწილება. კვლევამ აჩვენა, რომ 195 ორატორიდან სულ გვყავს მამრობითი სქესის 181, ხოლო მდედრობითი სქესის 14 ორატორი, ასევე 144 საერო, ხოლო 51 სასულიერო პირი. 900.000-სიტყვამდე მოცულობის საკვლევი ტექსტები აერთიანებს 1.000 მჭევრმეტყველებით ნიმუშს.

6. კვლევის მიზანი და ამოცანა

I. თეორიული საკითხების დასმა, განხილვა და გადაჭრა:

- ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის თეორიული წანამძღვრების განხილვა; რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ფონზე;
- ჩამოვაცალიბოთ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები: ტექსტის ტიპი, წყარო, დარგი, ჟანრი, პერიოდი;
- გავითვალისწინოთ მჭევრმეტყველების ამა თუ იმ დარგისა (სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო

და პოლიტიკური) და ჟანრის (სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, წერილი, მიმართვა, მოხსენება, სამადლობელი წერილი, სამძიმრის წერილი, საბრალდებო, წარდგინება, ქება, შესხმა) შესახებ ქართულ მეცნიერებაში არსებული თეორიული ცოდნა;

- რიტორიკული თეორიის საფუძველზე მოვახდინოთ ტროპის სახეთა კლასიფიკაცია.

II. პრაქტიკული ასპექტით კვლევის გაშლა:

- გამოვავლინოთ ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები, რომლებიც მიმოფანტულია სასულიერო მწერლობის ისეთ დარგებში, როგორცაა ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა, ასევე საისტორიო მწერლობასა და პუბლიცისტიკაში;
- თავი მოვუყაროთ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებს და თითოეული დარგი შევაგსოთ შესაბამისი ნიმუშებით, რომლებიც აქამდე არ ყოფილა ჯეროვნად მიკვლეული და მიკუთვნებული მჭევრმეტყველების შესაბამის დარგს, ქვედარგს, ჟანრს და ა.შ.;
- გადავიყვანოთ ციფრულ ფორმატში უკვე მიკვლეული და მოძიებული მჭევრმეტყველების ნიმუშები და ვირტუალურად თავი მოვუყაროთ მონაცემებს შემდგომი ტექნოლოგიური და პროგრამული საშუალებებით კვლევის მიზნით;
- სპეციალური შესწავლის საგნად ვაქციოთ ქართული მჭევრმეტყველება; გამოვიკვლიოთ რიტორიკის ამა თუ იმ დარგისა (სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკური) და ჟანრის – ძირითად და დამხმარე ჟანრების (სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, სწავლა, წერილი, მიმართვა, მოხსენება, წარდგინება, საბრალდებო სიტყვა, დაცვითი სიტყვა, ქება, შესხმა) – ტექსტები;
- გამოვყოთ მეტაბოლათა სახეები ენობრივი დონეების ამა თუ იმ საფეხურზე (მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ და ლოგიკურ დონეებზე) „ჯგუფი μ“-ს „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით;
- გავანალიზოთ ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე ტროპის სახეები, რომლებშიც გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: მეტაპლაზმები,

მეტატაქსისები, მეტასემემები, მეტალოგიზმები. ტროპის თითოეული სახის შექმნა დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ ოპერაციასთან, როგორცაა შემოკლება, დამატება, შემოკლება დამატებით და გადასმა.

III. დასკვნების გამოტანა საკვლევ ტექსტებში გამოვლენილი მაგალითების საფუძველზე (კვლევის ინდუქციური მეთოდი):

- დავადგინოთ რა და რა სახის მეტაბოლათა სახეები (მეტაპლაზმები, მეტატაქსისები, მეტასემემები, მეტალოგიზმები) გვხვდება ქართულ მჭევრმეტყველებაში;
- შევისწავლოთ მეტაბოლათა გამოყენების თავისებურებები ქართულ მჭევრმეტყველებაში;
- ვაჩვენოთ რიტორიკის როლი და ფუნქცია, როგორც ენობრივი კულტურის ფენომენი X-XXI სს.-ის ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე;
- ქართული მჭევრმეტყველების ლინგვისტური ანალიზის მეშვეობით წარმოვაჩინოთ სიტყვით ზემოქმედების შემთხვევები, რომელიც სწორედ ენობრივი საშუალებების გამოყენებით მიიღწევა;
- დავადგინოთ, არის თუ არა გაცნობიერებული გამოყენების შედეგი იმ ლინგვისტური საშუალებების (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, პრაგმატული) ხმარება, რომლებიც ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა;
- გავარკვიოთ, არის თუ არა ქართულ მჭევრმეტყველებაში გამოვლენილი მეტაბოლათა სახეები მიზანმიმართული შერჩევის შედეგი და თუ უდევს ამას საფუძვლად რიტორიკის ანტიკური თეორიების ცოდნა.

7. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნები და დებულებები, რომლებიც დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს. საკვლევითი თემის ანალიზისას მიღებული საბოლოო შედეგები პასუხს სცემს სხვადასხვა პრობლემურ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ მჭევრმეტყველებასთან და მისი შესწავლის ლინგვისტურ მხარესთან. რიტორიკული ტექსტების კვლევას უაღრესად

მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულება აქვს, რადგან გვაწვდის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციას.

8. ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან. თეორიული მხარე მოიცავს რიტორიკის მეცნიერული შესწავლის ისტორიას ქართული და უცხოური ლიტერატურის გათვალისწინებით. ნაშრომის პრაქტიკული მხარე კი შეიცავს ლინგვისტურ კვლევას, რომელიც წარიმართა ქართული მჭევრმეტყველების ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით.

დისერტაციის ძირითადი ნაწილებია: შესავალი, ოთხი თავი და ძირითადი დასკვნები და დებულებები. თითოეული თავის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ზოგადი მიმოხილვა, ქვეთავები, ხოლო ბოლოს – შუალედური დასკვნები, ნაშრომის დასასრულს არის მოცემული ძირითადი დასკვნები და დებულებები, გამოყენებული წყაროების, მათ შორის, ბიბლიოგრაფიისა და ინტერნეტრესურსების სია და ასევე, დანართები საკვლევი ტექსტების წყაროების შესახებ, გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სქემები, სურათები და დიაგრამები.

I თავში – *„ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის თეორიული წანამძღვრები“* – ჩვენ ვეხებით ქართული მჭევრმეტყველების თეორიულ წანამძღვრებს, საკითხის მეცნიერულად შესწავლის ისტორიას, მის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მხარეებს, მათ შორის არის: 1. ქართული მჭევრმეტყველების პირველი სახელმძღვანელოების მიმოხილვა, კერძოდ, **მხითარ სებასტაძის** „*რიტორიკა*“; რომელიც ითარგმნა სომხურიდან, დაახლოებით 1761 წელს, **ანტონ ბაგრატიონის**, **ფილიპე ყაითმაზიშვილისა** და **დოსითეოზ ჩერქეზიშვილის** მიერ. შემდგომი სახელმძღვანელოა **სოლომონ დოდაშვილის** „*რიტორიკა*“ 1827-28 წელს დაწერილი. ამას მოსდევს 1879 წელს, კონსტანტინეპოლში, **ანთუან გვიზალიანის** სტამბაში გამოცემული „*მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა*“; 2. ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია, მათ შორის, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლა: მისი ისტორია, ტერმინოლოგია, დარგობრივი (დარგები, ქვედარგები და განშტოებები) და ჟანრობრივი (ძირითადი და დამხმარე ჟანრების) კლასიფიკაცია და პერიოდიზაცია; 3. რიტორიკის თანამედროვე თეორიები:

ნეორიტორიკის ბელგიური სკოლის (ლიეჟეს უნივერსიტეტი) წარმომადგენელთა – ჯ. დიუბუა, ფ. ედელინი, ჯ.-მ. კლინკენბერგი, ფ. მენგე, ფ. პირი, ა. ტრინონი („*ჯგუფი μ*“) „ზოგადი რიტორიკის“ თეორია. სწორედ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს წინამდებარე კვლევის თეორიულ სახელმძღვანელოს.

II თავში – *„ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები“* – ჩვენ განვიხილავთ უშუალოდ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმებს: ტექსტის ტიპი, წყარო, დარგი, ჟანრი და პერიოდი. დარგებიდან განვიხილავთ: სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკურ დარგებს, ხოლო ჟანრებიდან – ძირითად და დამხმარე ჟანრებს: სიტყვას, ქადაგებას, მოძღვრებას, სწავლას, მიმართვას, მოხსენებას, წარდგინებას, წერილს, საბრალდებო სიტყვას, დაცვით სიტყვას, ქებას, შესხმას, პერიოდებიდან – ძველ, ახალ და უახლეს პერიოდებსა და ქვეპერიოდებს.

III თავში – *„ტროპის სახეები ქართულ მჭევრმეტყველებაში“* – ჩვენი შესწავლის საგანია ქართული მჭევრმეტყველების ტროპული მეტყველება. ვიხელმძღვანელებთ „*ჯგუფი μ*“-ს „ზოგად რიტორიკაში“ წარმოდგენილი მეტაბოლათა კლასიფიკაციით და ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე გამოვყავით მეტაპლაზმის (ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია), მეტატაქსისის (ელიფსისი, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, ინვერსია), მეტასემემის (შედარება, მეტაფორა) და მეტალოგიზმის (გამეორება, ანტითეზა, პლეონაზმი) სახეები და გავაანალიზებთ ისინი შესაბამისი მაგალითების მოხმობით. ნაშრომის მესამე თავში სულ წარმოდგენილია 125 მაგალითი ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშებიდან.

IV თავი – *„ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი ლინგვისტური კვლევებისთვის“* – ეხება ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების კვლევის სამომავლო პერსპექტივებს, კერძოდ, ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნის წინარესამუშაოებს, როგორც დაწყებულს, ისე მიმდინარესა და ასევე სამომავლოს. პროგრამა, რომლითაც ვისარგებლებთ საკვლევი კორპუსის სამუშაო ვერსიის შექმნის მიზნით, არის ე. წ. „სიტყვათმეხამებითი მოდელების პროგრამა“ (Language Corpus Management and Query System: *Sketch Engine*, 2020). განვიხილეთ კორპუსში ძიების სამი სახე: 1. სიტყვანის (Wordlist); 2. კონკორდანსების (Concordance);

3. ენ-გრამების (N-grams) დადგენა და წარმოვადგინეთ მაგალითები ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებიდან.

ამდენად, კვლევამ მოიცვა სამი მიმართულება: 1) ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც გულისხმობდა მთელი რიგი თეორიული ხასიათის საკითხების გათვალისწინებას, მათ შორის, დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას, პერიოდიზაციას და ა.შ. 2) უკვე თავმოყრილი საკვლევ ტექსტების ლინგვისტური ანალიზი, კერძოდ, ტროპის სახეების შესწავლა და 3) ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების კვლევის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა, რომლის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნა და შემდგომი, კორპუსზე დაფუძნებული კვლევების განხორციელება.

9. ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის ზოგიერთი მონაკვეთი, მოხსენების სახით წაკითხული იყო სხვადასხვა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე. კვლევის თემატიკა, მიმდინარეობა, თუ ძირითადი შედეგების ნაწილი ასევე ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო თეზისებსა და სტატიებში, რომლებიც დამოწმებული გვაქვს წინამდებარე ნაშრომში. გარდა ამისა, ნაშრომის გარკვეული ნაწილები წარმოდგენილია დოქტორანტის კოლოკვიუმებზე.

თავი I. ქართული მჭევრმეტყველების შესწავლის თეორიული წანამძღვრები

1. ზოგადი მიმოხილვა

პირველი თავი ეძღვნა იმ თეორიული წანამძღვრების ისტორიულ მიმოხილვას, რომელიც დაკავშირებულია რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლის როგორც ქართულ, ისე ევროპულ გამოცდილებასთან. ამის საფუძველზე გამოიყო კვლევის რამდენიმე მიმართულება: 1. რიტორიკის სწავლების თეორია და პრაქტიკა საქართველოში: რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური; 2. ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია, როგორც თეორიული და პრაქტიკული ასპექტით, მათ შორის, მისი ისტორია, ტერმინოლოგია, პერიოდიზაცია, დარგობრივი (დარგები, ქვედარგები და განშტოებები) და ჟანრობრივი (ძირითადი და დამხმარე ჟანრების) კლასიფიკაცია; 3. რიტორიკის თანამედროვე თეორიები, მათ შორის, ნეორიტორიკის ბელგიური სკოლის (ლიეჟეს უნივერსიტეტი) წარმომადგენელთა „ზოგადი რიტორიკის“ თეორია. თითოეული ეს მხარე ნათლად წარმოაჩენენ რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის როგორც ძველ, ისე თანამედროვე ვითარებას.

წინამდებარე კვლევა მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავიწყოთ რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიმოხილვით; შევხებით მათ ავტორებს, შემდგენლებს, მთარგმნელებსა და გამომცემლებს, თარგმნის მიზეზებს, შექმნის ეპოქას, ისტორიულ გარემოებებს, ტერმინოლოგიას და სხვ. აღნიშნული

სახელმძღვანელოების ერთად შესწავლა მნიშვნელოვანია ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის უკეთ გასააზრებლად. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი ღირებულება და ადგილი ქართული მჭევრმეტყველების სწავლისა და სწავლების ისტორიაში. ამდენად, ჩვენ განვიხილავთ იმ ნაშრომებს, რომლებიც პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებად ითვლება რიტორიკაში და წინ უძღვის ქართული მჭევრმეტყველების საკუთრივ მეცნიერულად შესწავლის პერიოდს. გარდა ამისა, წარმოვადგენთ წინამდებარე კვლევის თეორიულ საფუძვლებს, კერძოდ, მიმოვიხილავთ თანამედროვე რიტორიკაში წარმოშობილ თეორიებსა და ცალკეულ ავტორებს.

1.1. რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები

დავიწყოთ იმით, რომ პირველი ცნობები საქართველოში მჭევრმეტყველების თეორიისა და პრაქტიკის სწავლებასთან დაკავშირებით უცხოურ წყაროში მოიპოვება. ესაა ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა კოლხეთის რიტორიკული სკოლის არსებობის შესახებ. წყარო, რომელშიც დასტურდება აღნიშნული, ეკუთვნის, IV ს.-ის ბერძენ ფილოსოფოსსა და ორატორს **თემისტოისს**, კერძოდ, მისი XXVII სიტყვა, მიმართული ერთი პროვინციელი ახალგაზრდისადმი (ყაუხჩიშვილი, 1949: 351; კანდელაკი, 1968: 68-69). თავის სიტყვაში ავტორი კოლხეთის რიტორიკულ სკოლას ასახელებს ადგილად, სადაც ფილოსოფიური განათლება მიუღიათ როგორც **თემისტოისს**, ისე მამამისს **ევგენიოსს** და მას მოიხსენიებს განათლების მისაღებად ძალზე სასურველ ცენტრად. ხსენებულ სიტყვაში ვკითხულობთ:

მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფასიდის მახლობლად... იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი ამაზონთ (საომარი) საქმეები და თემისკვირი. და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად. იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას და ოროლთ სროლას, ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდამიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ

ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე“ (ყაუხჩიშვილი, 1949: 351; კანდელაკი, 1958: 19; კანდელაკი, 1968: 68-69).

ამ ცნობის თანახმად, III-IV სს.-ში კოლხეთში არსებობდა აკადემია და მდებარეობდა იქ, სადაც მდინარე რიონი // ფასიდი ერთვის შავ ზღვას // პონტოს ზღვას (ყაუხჩიშვილი, 1949: 351; ნუცუბიძე, 1956: 92-104). ანტიკური პერიოდის კლასიკური რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლებას ადგილი უნდა ჰქონოდა ფაზისის კოლხურ რიტორიკულ სკოლაშიც, რასაც ადასტურებს სწორედ ძველი ბერძენი სწავლულის, **თემისტოქოსის** მიერ მეგობრისადმი მიწერილი წერილი (ფორჩხიძე, 2018: 3). თუნდაც ეს ერთი ცნობაც კი ხაზს უსვამს საქართველოში რიტორიკის, როგორც საგნის, მისი თეორიისა და პრაქტიკის სწავლების ტრადიციის არსებობას.

საქართველოში მჭევრმეტყველების თეორიისა და პრაქტიკის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა მხოლოდ XVIII საუკუნიდან გვაქვს შემორჩენილი ადგილობრივი ცნობები და პირველი სახელმძღვანელოები. მაგალითად, რიტორიკის შესახებ ვრცელი მსჯელობაა მოცემული **იოანე ბატონიშვილის** (1768-1830) „*კალმასობაში*“, რომელიც დაიწერა 1813-1828 წწ-ში (ბატონიშვილი, 1936: II). ამ პერიოდში განიხილებოდა ისეთი თეორიული ხასიათის საკითხები, როგორიცაა მჭევრმეტყველების არსი, საგანი, ადგილი („*საზღვარი*“) და ა.შ.

იმდროინდელ საქართველოში რიტორიკა შეისწავლებოდა ორ საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სკოლაში – 1755 წელს თბილისში, ხოლო 1782 წელს თელავში გახსნილ რუსულ-სლავური ტიპის სასულიერო სემინარიებში. „*ამ სასწავლებელთა მიზანი იყო აღეზარდა სპეციალური განათლების მქონე სასულიერო-საეკლესიო სარბიელის მოღვაწე. მათი სასწავლო გეგმა, სასწავლო საგნები, სასკოლო სისტემა და სხვ. ძალიან წააგავდა სხვა ქვეყნებში არსებულ სქოლასტიკურ სკოლებს*“ (ბეგიაშვილი, 1937: 170). იმ დროის გამოჩენილი მოღვაწე, თელავის რექტორი გაიოზი თავის ორატორულ სიტყვაში ეხება სამეცნიერო მიმართულებებს და გვამღევეს მათ შეფასებას, სადაც ჩანს მისი დამოკიდებულება სხვადასხვა სწავლების მიმართ:

უუკანასკნელ ვიტყვ ვითარმედ ღრამმატიკა არს ჰაზრი ჭილოსოჭოსებრი. ყოვლისა კაცობრივისა სიტყვერებისათჳს და თჳნიერ ამის

ცნობისა რიტორი არს მოკლე-სიტყვა და ბნელ მესტიხე, ანუ მოშაირე, ელამ და მრუდ. ჭილოსოჭოსი უსაფუძტლო. მეისტორიე უსიამოვნო და აღრეულ და ღვთის მეტყუტლო საიჭო. ხ~ მსაჯული უსარგებლო თავისა თვისისა და სხტათაცა: და ვინადგან ღრამმატიკასა შინა აქტსთ ყოველთა ცნობათა ესოდენი საჭიროება. (თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, 1902: 16).

რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლება ამ პერიოდის სკოლებში სავალდებულო სასწავლო საგნად შემოიღეს. შეიქმნა სპეციალური სახელმძღვანელოებიც. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება დღემდე ჩვენთვის ცნობილი, ერთადერთი ნათარგმნი, ხელნაწერების სახით შემორჩენილი სახელმძღვანელო რიტორიკაში. ესაა **მხითარ სებასტაცი** „*რიტორიკა*“, რომელიც ითარგმნა სომხურიდან. **გრ. ბარამიძის** აზრით, წიგნი უნდა თარგმნილიყო დაახლოებით 1761 წელს (ბარამიძე, 1987). თუმცა არის მოსაზრება, რომ პირველი თარგმანი უნდა შესრულებულიყო არაუადრეს 1764 წელს ანტონის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (დედაბრიშვილი, 2013: 329; ანდრონიკაშვილი, 2007: 75).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ აღნიშნული წიგნის ქართულად თარგმნასა და სასწავლო მიზნებისთვის მის გამართვაზე მუშაობდნენ **ფილიპე ყაითმაზიშვილი**, **დოსითეოზ ჩერქეზიშვილი** და **ანტონ ბაგრატიონი** (ბარამიძე, 1987: 373). **გრ. ბარამიძემ** ხელნაწერების ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ ტექსტი უნდა ყოფილიყო თარგმნილი **ფილიპე ყაითმაზიშვილის** მიერ, ხოლო შემდეგ მის ნათარგმნ ტექსტზე დაყრდნობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამუშაო უნდა შეესრულებინათ როგორც **ანტონ ბაგრატიონს**, ისე **დოსითეოზ ჩერქეზიშვილს** (ბარამიძე, 1987: 373).

წიგნის თარგმნა აუცილებელი განხდარა იმდროინდელი სემინარიების საჭიროებიდან გამომდინარე. თუმცა **მხითარ სებასტაცი** წიგნი საქართველოში ვერ გავრცელდა. იგი მხოლოდ ანტონ პირველმა გამოიყენა ნაშრომში „*სპეკალი*“. (დედაბრიშვილი, 2013: 329-330). წიგნი დღემდე ხელნაწერის სახით არსებობს და მისი შექმნის დღიდან დღემდე, არც თავის დროზე და არც შემდგომ პერიოდში, არ გამოქვეყნებულა. ამდენად, ხელნაწერები შემდგომში სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. წინამდებარე კვლევაში ამ წიგნზე მეტად აღარ შევჩერდებით და განვიხილავთ რიტორიკის დანარჩენ ქართულენოვან სახელმძღვანელოებს.

უკვე შემდგომი წიგნები, რომელსაც განვიხილავთ, განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც თბილისისა და თელავის სემინარიები აღარ არსებობს. ამ დროს საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და იხსნება სხვა ტიპის სასწავლებლები, იქმნება ახალი სტამბები და გამოიცემა პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელოები.

სწორედ ამ პერიოდში მომზადდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ფილოსოფოსის **სოლომონ დოდაშვილის** „*რიტორიკა*“ (დოდაშვილი, 1989), რომელიც ჩვენამდე მოღწეულ პირველ ორიგინალურ, ქართულენოვან სახელმძღვანელოდ ითვლება. „*რიტორიკის*“ დაწერის თარიღად უთითებენ დაახლოებით 1827-1828 წლებს. ამის არგუმენტად მოყვანილია შემდეგი მოსაზრება: 1828 წლის 21 სექტემბრით დათარიღებულ თავის წერილში იონა ხელაშვილისადმი, სოლომონ დოდაშვილი „*რიტორიკას*“ როგორც დამთავრებულ ნაშრომს ისე მოიხსენიებს (ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: 148; დარჩია, 1992: 21). უფრო მეტიც, ს. დოდაშვილი აპირებდა წიგნის რუსულად თარგმნასაც (ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: 148). მხოლოდ 1955 წელს იქნა გამოვლენილი ს. დოდაშვილის „*რიტორიკა*“ **თ. კუკავას** მიერ³. ხოლო გამოქვეყნდა იმავე წელს **დ. ქუმსიშვილისა** და **თ. კუკავას** გამოკვლევასთან ერთად (ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: 148-157).

ჩვენი ვარაუდით, ამ წიგნის შექმნაც სასწავლო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. თუმცა, როგორც მისი საბოლოო სახით გამართვა, ისე გამოქვეყნება ავტორს არ დასცალდა. ამასთან დაკავშირებით, ორიოდ სიტყვით შევეხებით იმ ისტორიულ გარემოებებსაც, რომელთა გარემოცვაშიც უწევდა **ს. დოდაშვილს** თავისი აქტიური საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობა. ამ მხრივ, მცირე, თუმცა საყურადღებო ცნობებიც მოგვეპოვება **ზ. ჭიჭინაძის** წიგნებში. მიუხედავად მათი არამეცნიერული ხასიათისა, მათ დამოწმებასა და აქ მოყვანას გვერდს მაინც ვერ ავუვლით. **ზ. ჭიჭინაძე** თავის წიგნში „*ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა: 1626-1900*“ წერს, რომ 1829 წელს გახსნილა ს. დოდაშვილის სტამბა, რომელზედაც 5000 მან. ფული დაუხარჯავს მღვდელ-მონაზონ ივანე ხელაშვილს. დამაარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ, რადგან ამ სტამბაში უნდა

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში გამოავლინეს S – 5205 ხელნაწერი, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც „*რიტორიკა*“ და ჰქონდა 1829 წლის ჭვირ-ნიშანი, არ ერთვოდა ავტორის და/ან გადამწერის ხელმოწერა.

დაბეჭდილიყო ყველა საჭირო სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც 1817 წ. გახსნილ სემენარიასა და იმ დროის „კეთილშობილთა სასწავლებელში“ იქმნებოდა საჭირო. მაგრამ 1832 წლის მეოთხე თვეს დაიხურა ეს სტამბა და მისი პატრონი რუსეთში გადაასახლეს სამუდამოდ, საიდანაც საქართველოში აღარ დაბრუნებულა. (ჭიჭინაძე, 1900: 40-41). **ზ. ჭიჭინაძე** იმავე ცნობებს იმეორებს კიდევ ერთ თავის წიგნში და ამბობს, რომ სტამბის დახურვის მიზეზი ის გახლდათ, რომ 1832 წელს თბილისში, გამოაშკარავდა ფარული საზოგადოების არსებობის ცნობები. მალე წევრებს დატუსაღება დაუწყეს, რომელთა რიცხვშიც მოჰყა ს. დოდაშვილიც, რომელიც მეთაურად თითქმის დამარსებლად ქმნა ცნობილი. (ჭიჭინაძე, 1916: 167-168). ამ ცნობებიდან ერთი რამ უდავოა: სტამბის „დამაარსებელთ“ (ს. დოდაშვილს, იონა ხელაშვილს და სხვ.) დიდი გეგმები ჰქონიათ, უპირველეს ყოვლისა კი ახალგახსნილი სასწავლებლების ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

სოლომონ დოდაშვილი ქართული მჭევრმეტყველების პირველ თეორეტიკოსად შეგვიძლია მივიჩნიოთ. **ნ. კანდელაკის** შეფასებით:

ეს პირველი ორიგინალური ნაშრომია ქართული მეტყველების თეორიის დარგში და, მიუხედავად მისი სქემატური შინაარსისა, ყურადღებას იმსახურებს საკითხების დაყენებით, მათი კვლევა-ძიებითა და მეცნიერული განზოგადებით. აქ განსაზღვრულია რიტორიკის საგანი და ამოცანა, ნაჩვენებია მისი სამეცნიერო სფერო და მოსაზღვრე დისციპლინები, ლაპარაკია მჭევრმეტყველების თეორიულ წანამდგვრებსა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, დასახელებულია ზეპირი სიტყვის ოსტატები, მათი ხელოვნების გზები, საშუალებანი და სხვ. რიტორიკის საკითხების ეს დიდი წრე ს. დოდაშვილის ნაშრომში თეორიულად გაუვრცობელია, მაგრამ ფართო განზოგადების მასალის სახითაა წარმოდგენილი. (კანდელაკი, 1958: 38).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **ს. დოდაშვილი** იყო ერთ-ერთი პირველი, რომელსაც რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული. ის განსწავლული იყო თავისი დროის ცოდნის კვალობაზე, რაც თვალსაჩინო ხდება მისი ნაშრომების გაცნობის შემდეგ. **ს. დოდაშვილის** „რიტორიკა“ XVIII საუკუნის „რიტორიკებს“ ჩამოჰგავს. თუმცა არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ ავტორს ცალკეული საკითხების გააზრებაში გარკვეული სიახლეები შემოაქვს (ჯაგოდნიშვილი, 1999: 47). მართლაც, **ს. დოდაშვილის** „რიტორიკა“ რომ არ

იყო სხვა სასწავლო სახელმძღვანელოების მსგავსად მხოლოდ კომპილაციური ხასიათის, ჩანს იქიდან, რომ მას დასახელებული ჰყავს თავისი დროის არაერთი ცნობილი ავტორი. ეს დამახასიათებელი ნიშანი მეტ მეცნიერულ ღირსებას სძენს მის ნაშრომს. **ს. დოდაშვილს** დამოწმებული გყავს **ჟ. ფ. ლაგარპი** (1739-1803), ფრანგი ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, პროფესორი, ლიტერატურის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, **ი. ი. ეშენბურგი** (1743-1820) – გერმანელი, ბრაუნშვეიგელი პროფესორი, ლესინგის მეგობარი, პროფესორი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ლიტერატურაში. რიტორიკის რუსი სპეციალისტებიდან დასახელებულია **ნ. გრეჩი** (1787-1867), რომელიც ლიტერატურის თეორეტიკოსიც იყო, ასევე ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი – **ივ. რიჟსკი** (1755-1811), რომელსაც ეკუთვის 1809 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული რიტორიკა.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ესმოდა **ს. დოდაშვილს** რიტორიკა, მხოლოდ „*მჭევრმეტყველების თეორიად*“, თუ „*საერთოდ პროზის თეორიად*“: „*დოდაშვილის „რიტორიკა“ იყო საერთოდ პროზის თეორია, ანუ როგორც თვით დოდაშვილი იტყოდა, ის იყო მეცნიერება, რომელიც სწავლობდა „ყოველთა გვართა პროზაიკებრთა თხზულებათა გამოურიცხველად“ და არა მჭევრმეტყველების თეორია, მით უმეტეს, მხოლოდ მჭევრმეტყველების ხელოვნება*“ (კუკავა, 1968). **ს. დოდაშვილი** პასუხს სცემს კითხვებს: რა არის რიტორიკა? რიტორიკა ხელოვნებაა თუ მეცნიერება? „*წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაიდგან იგი იპყრობს თვის შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობითა. ხოლო ხელოვნებასა ქვეშე იგულისხმების მოყვანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთა აღსრულებასა ანუ მოქმედებასა შინა. ესრეთითა ხატიითა რიტორი განსხვავდება ორატორისაგან*“ (დოდაშვილი, 1989: 181). **ს. დოდაშვილი** თავისი დროის თეორიული ცოდნის შესაბამისად, რიტორიკის თეორიას მეცნიერებად მიიჩნევს, ხოლო რიტორიკის პრაქტიკას – ხელოვნებად. ავტორი აგრძელებს მსჯელობას რიტორიკის შესახებ და მის ისტორიას ორ ეპოქად ჰყოფს: „*პირველსა ეპოხასა შინა იგი იყო ხელოვნება, რომლისაგა საგანი იყო პოლიტიკებრი მჭერ-სიტყვაობა. მეორეს ეპოხასა შინა რიტორიკა შეიქმნა ჰსწავლად და საგანი მისი არს განვითარება პროზაიკებრისა მწერლისა*“ (დოდაშვილი, 1989: 182-183). ავტორი „*ტროპს*“, როგორც რიტორიკის

ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო ტერმინს, შემდეგნაირად განმარტავს: „ტროპი არს მეცვალემა ერთისა ლექსისა მეორესა შინა ესეოდესვე გასაგონსა, გარნა უმეტეს გამოსათქმელსა“ (დოდაშვილი, 1989: 188), უნდა ითქვას, რომ ს. დოდაშვილი მიჰყვება ცნების ტრადიციულ, ანტიკურ განსაზღვრებას.

როდესაც საუბრობენ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის შესახებ, როგორც წესი, რიტორიკის სხვა სახელმძღვანელოებს არ ასახელებენ ხოლმე, თუმცა წინამდებარე კვლევაში, აუცილებლად განვიხილავთ მათ. პირველ ასეთ სახელმძღვანელოდ შეგვიძლია დავასახელოთ 1879 წელს, კონსტანტინეპოლში, ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემული „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879). წიგნის ავტორი და შემდგენელი უცნობია. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ სახელმძღვანელოს შედგენის მიზეზსა და დანიშნულებას: „დღემდე არ ყოფილა რიგიანი ხელად სახმარი მჭევრმეტყველების წიგნი ჩვენს დედა ენაზედა, და არც არა ვის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ამასა ზედა, რათა საზოგადოებას მისცემოდა რამე საშვალის სწავლის გაადვილებისა; შეხალისებულ იყო დახელოვნებაზე სხვა და სხვა მეცნიერებაში, რომლითაც შეიძლება საზოგადოების დაწინაურება განათლებაში“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: ა). აქედან ირკვევა ისიც, რომ წიგნის შექმნის მიზანი ახალგაზრდებისთვის სწავლის გაადვილება იყო, რაც ასევე ხაზგასმულია სათაურშივე („სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა“). სახელმძღვანელო კონკრეტული დანიშნულებით გამოქვეყნდა. ის განკუთვნილი იყო ქართულენოვანი მკითხველისთვის და ისიც შეზღუდული ასაკობრივი ჯგუფისთვის.

მეცნიერული ინტერესი აღნიშნული წიგნის მიმართ მას შემდეგ გაჩნდა, რაც პროფ. გ. შერვაშიძემ მიაკვლია მას სტამბულის კათოლიკური ეკლესიის საცავში. სახელმძღვანელოს ლინგვისტური ღირებულება შეისწავლეს ნ. ცეცხლაძემ და მ. ხახუტაიშვილმა (იხ. ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2011: 114-119). მათ გამოთქვეს თვალსაზრისი წიგნის შესაძლო შემდგენელის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, „მოკლე რეტორიკის“ შემდგენელი შეიძლება იყოს ანტონის სკოლის წარმომადგენელი ან უბრალოდ თანამედროვე. იგი იყენებს ტერმინ

„სხმითგარდასვლითს“, რომელიც ანტონს მხითარ სებასტაციის გრამატიკიდან გადმოუღია (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2011: 118).

ნაშრომში მთელ რიგ საკითხებთან ერთად, განხილულია „მჭევრმეტყველებრივი ფორმები (Figures)“, რომელშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: „ფორმები ლექსებისა“ და „ფორმები აზრებისა“. ესაა ტროპის სახეობები, რომლებიც სტილისტიკური საშუალებები, იგივე სტილისტიკის ძირითადი კატეგორიებია, აქვე ვკითხულობთ: „ღრამატიკოსის ვალია შეუცილებლად გააწყოს სიტყვები და მხოლოდ ნივთიერს გამშვენებაზედ თვალი ჰქონდეს; ხოლო მჭევრმეტყველს ჰმართებს შესანიშნვი მშვენიერება რამე დასძინოს იმაზედა“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: 45).

ლექსების ფორმებად სახელმძღვანელოში დასახელებულია: დამატება, გადაფარება, მრავალ კანკლედობა, მსგავს ხმოვანება და ა.შ. აქ მოიაზრება გამეორების სხვადასხვა სახე. რაც შეეხება აზრების ფორმებს, სახელმძღვანელოში მოცემულია ამგვარი განმარტება: „ყოველი სიტყვა ჩვეულებითი ლაპარაკის გარეთ გამოთქმული, გინდ გარდასხვაფერებულად იყოს იგი თქმული, გინდ გარდაქართულებულად და თუ გინდ სხვა გვარის სახით“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: 45). ხოლო „გარდასხვაფერება“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ლექსის მნიშვნელობის სხვა მნიშვნელობაზედ შეცვლა, მსგავსებისა ანუ შეფერებულობის დაგვარ, როგორც წოდება მელნის ტბად თვალებისა, გიშრის სარებად წამწამებისა, ღვარძლის მთესველად, მზრახავმკილავის გინა პირმოთნესი და სხვაც“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: 45). ჩვენი აზრით, „გარდასხვაფერებაში“ უნდა იგულისხმებოდეს მეტაფორა, „ნაცვალსახელობა“ (როცა მიზეზი საქმისა მაგიერ დაიდება ანუ საქმე მიზეზის მაგიერ) იგივე მეტონიმია, „მიმხდურობა“ (ნაწილი მრთელის მაგიერ იხმაროს, მხოლობითი მრავლობითის მაგიერ) – სინეკდოქე, „გადაქართულება“ // „სხვა სიტყვაობა“ – ალეგორია, „გახმამაღლება“ – გრადაცია, პერიფრაზი განმარტებულია ნაცვალსახელობად ანუ გარმოვლით მეტყველებად (ძე წარწყმედისა – იუდა), ჰიპერბოლა – ზომის გარდამეტებლობად და ა.შ.

როგორც აქ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა, ტროპის სახეობების აღსანიშნავად ტექსტში გამოიყენება არა ლათინური და ბერძნული წარმოშობის ტერმინები, არამედ მათი პირდაპირი ან კალკირებული თარგმანი. ფაქტობრივად, ეს

არის სტილისტიკაში დამკვიდრებული ანტიკური რიტორიკიდან მომდინარე ძირითადი ტერმინების გადმოქართულების ცდა, თუმცა წარუმატებელი, რადგან ლათინური წარმომავლობის ტერმინების შესატყვისი ქართული ტერმინები შემდგომ უკვე აღარ დამკვიდრებულა, მათ შორის, არც ქართულ სამეცნიერო მეტაენაში. ქართული ტერმინების შექმნის მცდელობა რომ წარუმატებელი აღმოჩნდა იქიდანაც ჩანს, რომ ახლადშექმნილი ქართული ტერმინი ზოგჯერ აბუნდოვანებს აზრს და მხოლოდ მაგალითებიდან გამომდინარე ვარკვევთ, რომელ მხატვრულ ხერხზეა საუბარი.

1.2. ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია


ქართული მჭევრმეტყველების თეორიისა და პრაქტიკის სწავლების მიმოხილვის შემდეგ, რომელშიც შევხებით რიტორიკისა და სტილისტიკის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებს, გადავიდეთ ქართული მჭევრმეტყველების საკუთრივ მეცნიერული შესწავლის ისტორიაზე, რაც ასევე გულისხმობს საკითხის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლას, მათ შორის, მისი ისტორიის, ტერმინოლოგიის, პერიოდიზაციის, დარგობრივი (დარგების, ქვედარგების და განშტოებების) და ჟანრობრივი (ძირითადი და დამხმარე ჟანრების) კლასიფიკაციის საკითხებს, ხოლო პრაქტიკული ასპექტით – ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები არც თუ ისე ინტენსიურადაა განხილული და გაანალიზებული როგორც ენათმეცნიერებაში, ისე ლიტერატურათმცოდნეობაში.

ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია საბჭოთა პერიოდში იწყება. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მკვლევარი, რომელსაც ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ქართული მჭევრმეტყველების კვლევის კუთხით, გახლავთ ნიკოლოზ კანდელაკი. შოთა ძიძიგურის შეფასებით, „ნიკოლოზ კანდელაკის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში ქართული მჭევრმეტყველების შემსწავლელი დისციპლინის დაფუძნება“ (კანდელაკი, 1968: 8), ასევე „ნიკოლოზ კანდელაკის მონოგრაფიების წყალობით შეიქმნა ქართული მჭევრმეტყველების ისტორია. ამ დარგში მას წინამორბედი არ ჰყოლია“ (კანდელაკი, 1968: 5). მას ეკუთვნის შემდეგი ნაშრომები: „ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები“

(კანდელაკი (შემდგ.), 1958), „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ (კანდელაკი, 1961), „სოლომონ ლიონიძე“ (კანდელაკი, 1962), „ქართული საელჩო მჭევრმეტყველება“ (კანდელაკი, 1966), „ქართული მჭევრმეტყველება“ (კანდელაკი, 1968), „ქართული მჭევრმეტყველება“, ტ. 1, (კანდელაკი, 1975).


პროფ. ნ. კანდელაკმა შეისწავლა ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო წყაროები, კერები, ტერმინოლოგია, დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია, მისი პერიოდიზაცია და ა.შ. მისივე კლასიფიკაციით, ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებაში (I-XVIII სს.) გამოიყოფა 6 ძირითადი დარგი: **სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო** დარგები; ამათგან სამქადაგებლოს დარგი აერთიანებს მსოფლიო ქრისტიანული მქადაგებლობის ისტორიაში ცნობილ 5 ქვედარგსა (სამოდღვრო, სააღმზრდელო, სახოტბო, საზეიმო, საგოდებელი) და ერთ განშტოებას (საპაექრო), სადარბაზო მჭევრმეტყველების განშტოებაა საელჩო მჭევრმეტყველება, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების განშტოებაა ეპისტოლარული ორატორული მჭევრმეტყველება (კანდელაკი, 1968: 97) (იხ. სქემა 1). XIX საუკუნეში ქართულ მჭევრმეტყველებაში გაჩნდა ახალი დარგი – **აკადემიური მჭევრმეტყველება** და ახალი ჟანრობრივი სახეები – ლექცია, მოხსენება, რეფერატი, დისკუსია და დისპუტი (კანდელაკი, 1968: 93). ნ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ **საელჩო** განშტოება „*წარმოიშვა სადარბაზო ზეპირი სიტყვის წიაღში და ერთ ხანს მასთან ერთად ვითარდებოდა. გზადაგზა მან შეიძინა საკუთარი ნიშნები და მოგვიანებით, დამოუკიდებელი სახით ჩამოყალიბდა. ამ სახით ის წარმოადგენს მჭევრმეტყველების თავისებურ დარგს, რომლის კვლევა-ძიება შეიძლება ვაწარმოოთ მისი უახლოესი მოსაზღვრის – პოლიტიკური მჭევრმეტყველების გვერდით*“ (კანდელაკი, 1968: 387). დღესდღეობით, როდესაც **სადარბაზო მჭევრმეტყველება** ჩაანაცვლა **პოლიტიკურმა მჭევრმეტყველებამ**, **საელჩო მჭევრმეტყველება** ამ უკანასკნელის განშტოებად მოგვევლინა.

სქემა 1. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების დარგები, ქვედარგები და განშტოებები (კანდელაკი, 1968: 97)



პროფ. ნ. კანდელაკის კლასიფიკაციით, სამქადაგებლო დარგის მჭევრმეტყველების ძირითადი ჟანრია ქადაგება, ხოლო დამხმარე ჟანრებია: სწავლა, მოძღვრება, ქება, შესხმა და სხვ.; სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების ძირითადი ჟანრია სიტყვა; სადარბაზო, სამხედრო და სამოსამართლო მჭევრმეტყველების დამხმარე ჟანრია მოხსენება; სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების დამხმარე ჟანრებია: ქება, შესხმა, სამილოცვო⁴ წერილი, სამძიმრის წერილი და სხვ. (იხ. სქემა 2).


სქემა 2. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების დარგები და ჟანრები (კანდელაკი, 1968: 97)



⁴ შენიშვ.: „სამილოცვო წერილის“ ნაცვლად უმჯობესად მივიჩნით „მისალოცი წერილის“ გამოყენება.

რაც შეეხება პერიოდიზაციას, **ნ. კანდელაკის** კლასიფიკაციით, ქართულ მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა სამი ძირითადი პერიოდი: ძველი (I-XVIII სს.), ახალი (XIX ს.) და უახლესი (XX ს.) პერიოდი (კანდელაკი, 1968: 88) (იხ. სქემა 3.).

სქემა 3. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდები (კანდელაკი, 1968: 88-94)



უდიდესია **ნ. კანდელაკის** დამსახურება როგორც ქართული მჭევრმეტყველების ძეგლებისა და მასალების გამოვლენა-გამოცემის, ისე მათი მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით. თუმცა კვლევა და თვით მჭევრმეტყველების ჩვენამდე მოღწეული ნიმუშების დადგენა კვლავ სამომავლო საქმედ ითვლება. ერთგან **ნ. კანდელაკი** აღნიშნავს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მეტი მუშაობა: „*უფრო ღრმა დაკვირვებას მეტი სიღრმის ჩვენება შეუძლია. გაკვირვებით ჩვენებითაც კი ნათელი ხდება ჩვენი კლასიკური მჭევრმეტყველების იდეური სიმაღლე და ფორმალური სიდიადე*“ (კანდელაკი, 1988: 49).

სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია **ვ. კაჭახიძის** „სასამართლო მჭევრმეტყველება“ (კაჭახიძე, 1980), „პოლიტიკური მჭევრმეტყველება“ (კაჭახიძე, 1985), „მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამესადაგებლო, საზეიმო, სამგლოვიარო“ (კაჭახიძე, 1997), „ორატორები: კრებული“ (კაჭახიძე, 2000); **რ. ბარამიძის** „ქართული საისტორიო და ორატორული პროზა“ (ბარამიძე, 1979); **ავ. გელოვანის** „ორატორული ხელოვნება“ (გელოვანი, 1985),

უმუალოდ ქართულ მჭევრმეტყველებას არ ეხებიან, რის გამოც ნაწილობრივ ავსახეთ შემდეგი ნაშრომები: **გ. რუსეიშვილის** „რიტორიკის საფუძვლები“ (რუსეიშვილი, 2003) და „რიტორიკა“ (2019), **ნ. გაფრინდაშვილისა** და **დ. თვალთვამის**

„რიტორიკის შესავალი“ (გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2005), გ. სიამაშვილის „რიტორიკის შესავალი“ (სიამაშვილი, 2009), ე. ბერიძე-მელიქიშვილის „რიტორიკა: ლექციების კურსი“ (ბერიძე-მელიქიშვილი, 2013) და სხვ.

მნიშვნელოვანია ც. ბარბაქაძის „ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა“ (ბარბაქაძე, 2003ა), რომელიც, უდავოდ, ერთადერთ კვლევად ითვლება ამ მიმართულებით. მასვე ეკუთვნის ცალკეული სტატიები რიტორიკის თემაზე, მაგალითად: „ტრადიციული რიტორიკა და ნეორიტორიკის ლინგვისტური მიმართულება“ (ბარბაქაძე, 2003ბ), „ენობრივ ერთეულთა რიტმული გამეორება, როგორც მეტყველების მორგანიზებელი ფაქტორი“ (ბარბაქაძე, 2003გ) და სხვ.

ახალი გამოცემებიდან აღსანიშნავია, თ. ჯაგოდნიშვილის „ქართული ორატორული ხელოვნება“ (ჯაგოდნიშვილი, 1999), თ. ჯაგოდნიშვილის, ი. ჯაგოდნიშვილის, ვ. პაპასკირის „ქართული ორატორული ხელოვნება“ (ქრესტომათია-პრაქტიკუმი) (ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000); თ. ჯაგოდნიშვილის, ი. გაბისონიასა და ი. ჯაგოდნიშვილის „რიტორიკა: ქრესტომათია“ (ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, ჯაგოდნიშვილი, 2018). ასევე გამოცემულია ქართული ორატორული ხელოვნების ლექსიკონი (პაპასკირი (შემდგ.), (2000), სტატიებიდან – ი. ჯაგოდნიშვილის „რიტორიკა – ძირძველი ენობრივი კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა“ (ჯაგოდნიშვილი, 2009: 168-177), თ. ჯაგოდნიშვილის „მანიპულაციური ლინგვისტური ხერხები და მოდელები“ (ჯაგოდნიშვილი, 2018: 17-22).

თ. ჯაგოდნიშვილი თავის წიგნში „ქართული ორატორული ხელოვნება“ (ჯაგოდნიშვილი, 1999) მიჰყვება ნ. კანდელაკის კლასიფიკაციას (იხ. სქემა 1) ქართული მჭევრმეტყველების როგორც დარგობრივი, ისე ჟანრობრივი კლასიფიკაციის თვალსაზრისით, თუმცა პერიოდიზაციისას გვთავაზობს სხვაგვარ დაყოფას. ჩვენ მიერ საკვლევი ტექსტების კრიტერიუმების შერჩევას, ძირითადად ვითავლისწინებთ ნ. კლასიფიკაციას ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივი, ჟანრობრივი და პერიოდიზაციის თვალსაზრისით, თუმცა ასევე, ნაწილობრივ ვეყრდნობით თ. ჯაგოდნიშვილის მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციას (უფრო ვრცლად, იხ. 2.5. ქართული მჭევრმეტყველების პერიოდები).

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ქ. ბეზარაშვილის ნაშრომები რიტორიკაში, რომლებიც ეხება ქართულ ნათარგმნ ჰომილეტიკას, ანუ სამქადაგებლო

მჭევრმეტყველებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი კვლევები, იმდენად, რამდენადაც, წარმოაჩენს რიტორიკის როლსა და ადგილს ქართველ ელინოფილთა თარგმანების შესწავლის საფუძველზე. მისი დასკვნით, შუა საუკუნეების ბერძენი და ქართველი ავტორები შესანიშნავად იყვნენ გათვითცნობიერებულნი კლასიკური და ბიზანტიური რიტორიკის თეორიათა საკითხებში. ისინი კარგად იცნობდნენ მაგალითად, ბაძვის, სტილთა დონეების, მშვენიერებისა და სხვ. ცნებებს და შესაბამისად ახდენდნენ მათ გადააზრებას (ბეზარაშვილი, 2004: 147-159; ბეზარაშვილი, 2004: 530-588; ბეზარაშვილი, 2007: 123; ბეზარაშვილი, 2009: 152-164).

1.3. რიტორიკის თანამედროვე თეორიები

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკაში წარმოშობილ ნეორიტორიკის თეორიულ ჩარჩოს. ლინგვისტურ მიმდინარეობებს შორის, რომლებმაც განაპირობეს ნეორიტორიკის ჩამოყალიბება, შეიძლება გამოვყოთ **ზ. ჰარისის** ტრანსფორმაციული ლინგვისტიკა, **ლ. იელმსლევის** კონოტაციის თეორია, **რ. იაკობსონისა** და **ე. ბენვენისტის** შრომები და ბრიუსელის რიტორიკული სკოლა (**ხ. პერელმანი**). სწორედ **ხ. პერელმანსა** და **ლ. ოლბრეხტ-ტიტეკას** ეკუთვნით ტერმინის – „*ნეორიტორიკის*“, ანუ „*ახალი რიტორიკის*“ – შემოტანა (პერელმანი, ოლბრეხტ-ტიტეკა, 1958/1969).

1960 წელს, პარიზში დაფუძნებულ ფრანგული ენის შემსწავლელ საზოგადოებასთან, ჩამოყალიბდა პარიზის სემიოტიკური სკოლა, რომელშიც იმთავითვე გამოიკვეთა ორი მიმართულება: 1. **დიუბუას** ჯგუფი, რომელიც საკუთარ გამოკვლევებში წარმატებით იყენებდა დისტრიბუციულ მეთოდოლოგიას; 2. **გრეიმასის** სახით წარმოდგენილი ლინგვისტთა ალტერნატიული ჯგუფი, რომლის წევრებიც სიგნიფიკაციის ანალიზის პროცესში, მისწრაფოდნენ წმინდა დედუქციური მოდელების გამომუშავებისკენ. 1970 წელს, ბელგიაში ჩამოყალიბებული ლიეჟის ნეორიტორიკის სკოლა (**ჯ. დიუბუა**, **ფ. ედელინი**, **ჯ. მ. კლინკენბერგი**, **ფ. მენგე**, **ფ. პირი**, **ა. ტრინონი** („*ჯგუფი μ*“) გენეტიკურად და კონცეპტუალურად უშუალო კავშირში აღმოჩნდა პარიზის სემიოტიკურ სკოლასთან, რამდენადაც ფრანგული სკოლის ბაზაზე, მკვლევართა მიერ შექმნილი,

ნეორიტორიკის ტიპოლოგია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: 1. არგუმენტაციული რიტორიკა (ხ. პერელმანი); 2. მეტარიტორიკა: ა) რიტორიკის ტექსტები; ბ) რიტორიკული კრიტიკა (რ. ბარტი, ც. ტოდოროვი, ჟ. ჟენეტი და სხვ.); 3. ზოგადი რიტორიკა (ლიეჟის ნეორიტორიკული სკოლის წარმომადგენლები: ჯ. დიუბუა, ფ. ედელინი, ჯ. მ. კლინკენბერგი, ფ. მენგე, ფ. პირი, ა. ტრინონი („ჯგუფი μ“); 4. პარარიტორიკა.


დიუბუას ჯგუფი ფრანგული სტრუქტურალისტური სკოლის მემკვიდრედ გვევლინება. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ, თავის მხრივ, მრავალი სამეცნიერო მიმართულების, მათ შორის, სტრუქტურალიზმისა და განსაკუთრებით, „ნეორიტორიკის“, ანუ „ახალი რიტორიკის“ წარმოშობა, სწორედ კლასიკური რიტორიკით ხელახალი გადააზრებით არის განპირობებული (მიხალსკაია, 1996: 29). მართლაც, არაერთი მეცნიერული თეორია თუ მიმართულება, თავისი წარმოშობისა და არსებობის გამო, დავალებულია კლასიკური რიტორიკისგან. რაც შეეხება „ჯგუფი μ“-ს „ზოგად რიტორიკას“, ის არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ სტრუქტურალიზმიდან წარმოშობილად, რადგან თავისი თეორიული წანამდღვრების გათვალისწინებით, ეფუძნება მთელ რიგ ისეთ დისციპლინებს, როგორცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, ეთიკა, სემიოტიკა და ლინგვისტიკა. ამდენად, მათი ნაშრომი კლასიკური რიტორიკის ახლებური, ინტერდისციპლინური გააზრების ნაყოფია.

წინამდებარე კვლევის სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს სწორედ ნეორიტორიკის ბელგიური სკოლის (ლიეჟის უნივერსიტეტი) წარმომადგენელთა – ჯ. დიუბუას, ფ. ედელინის, ჯ. მ. კლინკენბერგის, ფ. მენგეს, ფ. პირის, ა. ტრინონის – „ზოგადი რიტორიკა“, რომელიც 1970 წელს გამოიცა. წიგნს ჰყავს ავტორთა კოლექტივი, რომლის წევრებიც ერთიანდებიან საერთო სახელწოდების – „ჯგუფი μ“-ს – ქვეშ. ზოგადი რიტორიკის თეორეტიკოსები ცდილობდნენ ენათმეცნიერების, სემიოტიკის, მასობრივი კომუნიკაციის თეორიის, პოეტიკისა და რიტორიკის მონაპოვარზე დაყრდნობით შეექმნათ ისეთი ენობრივი მოდელი, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი იქნება კომუნიკაციის ისეთი განსხვავებული სახეებისთვის, როგორცაა პოეტური ენა, კომერციული რეკლამა, პოლიტიკური პროპაგანდა, კინემატოგრაფია, დრამატული სპექტაკლი თუ კომიქსისი. „ჯგუფი μ“-ს მიხედვით,

რიტორიკას აინტერესებს ენის პოეტური ფუნქცია არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რითაც მკვეთრად ფართოვდება მისი შესწავლის არეალი.

რიტორიკის ბელგიელი თეორეტიკოსები სწორედ **რ. იაკობსონის** მიერ შემუშავებული კომუნიკაციის ფუნქციათა სქემას იღებენ საფუძვლად. **რ. იაკობსონი** ენის ფუნქციებზე მსჯელობისას, წარმოგვიდგენს სამეტყველო აქტის ექვს ფაქტორს: ადრესანტი, ადრესატი, კონტექსტი, შეტყობინება, კონტაქტი და კოდი. ამ ფუნქციების სქემა საჭიროებს განმარტებას სწორედ აღნიშნული ფაქტორების დახმარებით: ადრესანტი ადრესატს უგზავნის შეტყობინებას. იმისათვის, რომ შეტყობინება იყოს დროული, საჭიროა ადრესანტის მიერ გამოყენებული კონტექსტი და სიტყვიერი შესრულება; კოდი სრულად, ან ნაწილობრივ მაინც საერთოა ადრესანტისა და ადრესატისათვის; დაბოლოს, კონტაქტი, ფიზიკური არხი და ფსიქოლოგიური კავშირი ადრესანტსა და ადრესატს შორის, რაც ორივეს საშუალებას აძლევს შევიდნენ კომუნიკაციაში (იაკობსონი, 1960: 353).

სქემა 4. სამეტყველო აქტის ექვსი ბაზისური ფაქტორი (იაკობსონი, 1960: 353)



რ. იაკობსონი მას შემდეგ, რაც წარმოგვიდგენს სამეტყველო აქტის მოდელს, მის თითოეულ წევრს შეუფარდებს მასთან დაკავშირებულ ფუნქციას; სამეტყველო აქტის ექვსი ფაქტორი ენის ექვს ფუნქციას შემდეგნაირად მიემართება: ადრესანტი – ექსპრესიულს (Expressive), ადრესატი – კონატიურს (Conative), კონტექსტი – რეფერენციულს (Referential), შეტყობინება – პოეტურს (Poetic), კონტაქტი – ფატიკურს (Phatic), დაბოლოს, კოდი – მეტალინგვისტურს (Metalingual). ქვემოთ მოცემულ სქემაში წარმოდგენილია ეს ექვსი ფუნქცია (სქემა 5.).

სქემა 5. ენის ექვსი ბაზისური ფუნქცია (იაკობსონი, 1960: 357)



მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განვასხვავებთ ენის ექვს ძირითად ასპექტს, ჩვენ ვერ ვიპოვით ვერბალურ შეტყობინებას, რომელიც მხოლოდ ერთ ფუნქციას შეასრულებს. მრავალფეროვნება მდგომარეობს არა ამ რამდენიმე ფუნქციიდან ზოგიერთის მონოპოლიაში, არამედ ფუნქციების განსხვავებულ იერარქიულ წესრიგში. გზავნილის სიტყვიერი სტრუქტურა უპირატესად დამოკიდებულია დომინანტ ფუნქციაზე (იაკობსონი, 1960: 353).

პოეტური ფუნქცია არ არის სიტყვიერი ხელოვნების ერთადერთი ფუნქცია, არამედ მხოლოდ მისი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი ფუნქციაა, ხოლო ყველა სხვა სახის სიტყვიერ აქტივობაში იგი მოქმედებს როგორც დამხმარე ფუნქცია. პოეტური ფუნქცია აღრმავებს ნიშნებსა და საგნებს შორის არსებულ ფუნდამენტურ დიქოტომიას. ავტორის აზრით, პოეტურ ფუნქციასთან მიმართებით, ენათმეცნიერება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ პოეზიის სფეროთი (იაკობსონი, 1960: 356). ამგვარი კლასიფიკაციით, ქართულ მჭევრმეტყველებაში მეტ-ნაკლებად რეალიზებულია ენის თითქმის ყველა ფუნქცია: ექსპრესიული, კონატიური, რეფერენციული, პოეტური, ფატიკური და მეტალინგვისტური.

რიტორიკის ბელგიელმა თეორეტიკოსებმა სახელი შეუცვალეს ენის **პოეტურ ფუნქციას** და მას **რიტორიკული ფუნქცია** უწოდეს. ისინი გვთავაზობენ ფუნქციათა ისეთ იერარქიას, რომელშიც წამყვანი როლი ექნება შეტყობინებას და მის შესაბამის **რიტორიკულ ფუნქციას** (ჯგუფი მ, 1970/1986: 55). ამგვარი მოდიფიკაციით, საკმაოდ მნიშვნელოვან თეორიულ შედეგებს ვიღებთ; ენის **რიტორიკული ფუნქცია** სხვა ფუნქციებთან მიმართებით იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული ფუნქცია შევისწავლოთ ნებისმიერი ტიპის ვერბალურ კომუნიკაციაში, ხოლო სემიოტიკური მიდგომით, არავერბალურ კომუნიკაციურ სისტემებშიც (ბოლქვაძე, 2012: 169). რიტორიკული ფუნქცია საკუთრივ ვერბალურ

კომუნიკაციაში შეგვიძლია შევისწავლოთ როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ ტექსტებში. ამით რიტორიკული ფუნქციის გავრცელების არეალი მკვეთრად ფართოვდება. ჩვენი აზრით, ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე მეტ-ნაკლებად რეალიზდება ენის ზემოთჩამოთვლილი ფუნქციები. თუმცა განსაკუთრებით წინ წამოწეულია ენის რიტორიკული ფუნქცია, რომელსაც აზრით ზემოქმედების უნარი გააჩნია და ეხება ისეთ თემებს, როგორცაა რელიგია, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, ეთიკა, სამართალი, იდეოლოგია და სხვ.


რიტორიკის ბელგიელი თეორეტიკოსები „ზოგად რიტორიკაში“ ასევე ეყრდნობიან **ე. ბენვენისტის** მიერ შემუშავებულ პრინციპს, რომელიც უკავშირდება ენის იერარქიული დონეების გამოყოფას. განვიხილოთ ამ უკანასკნელის თეორია ენობრივი ანალიზის დონეების შესახებ (ბენვენისტი, 1966/1974: 129-140; ბენვენისტი, 1966/1971: 101-111). მის მიხედვით, ენა შეიძლება აღიწეროს, როგორც ფორმალური სტრუქტურა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა, **ე. ბენვენისტის** თანახმად, არის ერთადერთი სემიოტიკური სისტემა, რომლითაც შესაძლებელია სხვა სემიოტიკური სისტემების ინტერპრეტაცია (ბარტი, 1977: 179). აღმნიშვნელის (გამოხატულების) პლანში, ან აღსანიშნის (შინაარსის) პლანში, მეტყველების პროცესში შემავალი ელემენტების ჯაჭვი შესაძლოა გამოიყურებოდეს, როგორც იერარქია, რომელშიც გადანაწილებულია წევრები; უფრო მაღალი წესრიგის ერთეულში, **ე. ბენვენისტის** სიტყვებით, ერთვება უფრო დაბალი დონის რამდენიმე ერთეული, რომელიც კიდევ უფრო მცირე დონის ერთეულებს შეიცავს. ენობრივ ერთეულებს შორის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით წარიმართება ენობრივი ანალიზის პროცედურა, რომელიც მოიცავს ორი ტიპის ოპერაციას: 1) **სეგმენტაციას**, ანუ დანაწევრებას და 2) **სუბსტიტუციას**, ანუ ჩანაცვლებას (ბენვენისტი, 1966/1974: 129; ბენვენისტი, 1966/1971: 101).

აღსანიშნავია, რომ **რ. იაკობსონი** ასევე ეხება ენობრივი ანალიზის პროცედურებს და მიუთითებს, რომ ყოველ ენობრივ ნიშანში განირჩევა ორი სახის ოპერაცია: **კომბინაცია** და **სელექცია**. განვმარტოთ თითოეული მათგანი: 1) **კომბინაცია**; ნებისმიერი ნიშანი შედგება შემადგენელი ნიშნებისაგან და/ან გვხვდება მხოლოდ სხვა ნიშნებთან ერთად. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ენის ერთეული ერთდროულად მოქმედებს, როგორც მარტივი ერთეულების კონტექსტი და/ან

პოულობს საკუთარ კონტექსტს უფრო რთულ ენობრივ ერთეულში. ამრიგად, ენობრივი ერთეულების ნებისმიერი დაჯგუფება მათ აკავშირებს უფრო მაღალი დონის ერთეულებად: კომბინაცია და კონტექსტუალური კომპოზიცია (კონტექსტი) ერთი და იგივე ოპერაციის ორი მხარეა; 2) **სელექცია**; ალტერნატივათა შორის არჩევანი შესაძლებელს ხდის ალტერნატივა შეიცვალოს, ერთის მხრივ, ეკვივალენტური და, მეორე მხრივ, მისგან განსხვავებული ალტერნატივით, ამიტომ სელექცია (შერჩევა) და სუბსტიტუცია (ჩანაცვლება) ერთი და იმავე ოპერაციის ორი მხარეა, ისინი მართავენ ერთეულებს, რომლებიც კოდშია გაერთიანებული, მაგრამ არაა მოცემული შეტყობინებაში. რადგან ნებისმიერი ენობრივი ნიშანი გამოდის კონტექსტის როლში უფრო მარტივი ერთეულებისათვის და იმავდროულად თავადაც პოულობს საკუთარ კონტექსტს უფრო რთული ენობრივი ნიშნის შემადგენლობაში, ამიტომ კომბინაციის შემთხვევაში ერთეულები ერთიანდებიან კოდსა და შეტყობინებაში (იაკობსონი, 1971ა: 54; იაკობსონი, 1971ბ: 243).

„ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით, რიტორიკა ენაზე მრავალრიცხოვანი ოპერაციების განხორციელების საშუალებად არის წარმოდგენილი. ყველა რიტორიკული ოპერაცია დაფუძნებულია ხაზოვანი დისკურსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თვისებაზე, კერძოდ, იმაზე, რომ ის შეიძლება დაიყოს უფრო და უფრო მცირე ზომის ერთეულებად. დაყოფა გრძელდება როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანში, იქამდე, სანამ არ მიიღწევა ე.წ. ატომური, დაუშლელი ერთეულის დონე; გამოხატულების პლანში ჩვენ მივალწევთ განმასხვავებელი ნიშნების დონეს, ხოლო შინაარსის პლანში – სემის დონეს. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში დაყოფის ბოლო დონე არის „ინფრაენობრივი“: არც განმასხვავებელი ნიშნები და არც სემა არ შეიძლება არსებობდეს ენაში ექსპლიციტურად, დამოუკიდებელი ფორმით. მეტყველებაში რეალურად წარმოდგენილი სემანტიკური ერთეულები გვხვდება სემის დონეზე. ყველა მნიშვნელობის მქონე ერთეული, რომელიც მონაწილეობს ტექსტის ფორმირებაში, განიხილება, როგორც ელემენტების ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული შედის ერთ წინასწარ განსაზღვრულ ერთობლიობაში (ჯგუფი μ , 1970/1986: 62-63). წინამდებარე სქემაში ისრები მიუთითებს დაყოფის დონეებს შორის ურთიერთკავშირზე, ხოლო თითოეულ ენობრივ დონეს შეესაბამება გარკვეული ტიპის მეტაბოლა.

სქემა 6. ენის დანაწევრების დონეები (ჯგუფი №, 1970/1986: 63)



ენის სხვადასხვა დონეზე რიტორიკული ფუნქცია სხვადასხვა ფორმებით რეალიზდება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ენობრივი გარდაქმნები გავლენას ახდენს და ასახვას ჰპოვებს როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანზე. არსებობს რიტორიკული ფუნქციის რეალიზაციის ოთხი ფორმა – ესაა მეტაბოლათა ოთხი სახე: მეტაპლაზმები, მეტატაქსისები, მეტასემემები და მეტალოგიზმები. მათი საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს რიტორიკული ანალიზის სფერო, რომელიც ვრცელდება ფონემებისა და გრაფემების (მეტაპლაზმები), სემის (მეტასემემების), დისკურსის (მეტატაქსისის) და ტრადიციული „აზრის ფიგურების“ (მეტალოგიზმების) ექსტრალინგვისტურ არეალზე (ჯგუფი №, 1970/1986: 19-20).

სქემა 7. მეტაბოლათა ზოგადი კლასიფიკაცია (ჯგუფი №, 1970/1986: 65)

	გამოხატულება (ფორმა)	შინაარსი (აზრი)
სიტყვა (და უფრო მცირე ზომის ერთეულები)	მეტაპლაზმები	მეტასემემები
წინადადება (და უფრო დიდი ზომის ერთეულები)	მეტატაქსისები	მეტალოგიზმები

„ზოგად რიტორიკაში“ გამოყოფილია მეტაბოლათა შემდეგი ჯგუფები: მეტაპლაზმები, მეტატაქსისები, მეტასემემები და მეტალოგიზმები. აღვწეროთ თითოეული მათგანის მოქმედების არეალი:

1) **მეტაპლაზმები** – ეს არის ის ფიგურები, რომელშიც იცვლება სიტყვის ან უფრო დაბალი დონის ერთეულების (მარცვლის, გრაფემის, ფონემის) აკუსტიკური ანდა გრაფიკული გამოხატულება (ჯგუფი μ , 1970/1986: 66):

- სიტყვა = მარცვალთა ერთობლიობა, რომელიც გარკვეული წესით მოწესრიგებულია და დასაშვებია განმეორებადობა;
- მარცვალი = ფონემათა (ან გრაფემათა) ერთობლიობა, რომელიც გარკვეული წესით მოწესრიგებულია და დასაშვებია განმეორებადობა;
- ფონემა = განმასხვავებელ ნიშანთა მოწესრიგებული ერთობლიობა, სადაც დაუშვებელია განმეორებადობა და ხაზობრივად არაა მოწესრიგებული;
- გრაფემა = განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც საბოლოოდ ჯერ არაა ფორმალიზებული.

2) **მეტატაქსისები** – ეს არის ის ფიგურები, რომელშიც ხდება წინადადების სტრუქტურის შეცვლა (ჯგუფი μ , 1970/1986: 66-67):

- წინადადება = სინტაგმებისა და მორფემების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელშიც დასაშვებია განმეორებადობა.

3) **მეტასემემები** – ეს არის ის ფიგურები, რომელშიც ერთი სემემა იცვლება მეორე სემემით (ჯგუფი μ , 1970/1986: 67):

- სიტყვა = დაუნაწევრებელ („ატომურ“) სემათა მოუწესრიგებელი ერთობლიობა, რომელშიც დაუშვებელია განმეორებადობა.

4) **მეტალოგიზმები** – ეს არის ის ფიგურები, რომლებსაც ანტიკური მოაზროვნეები უწოდებდნენ „აზრის ფიგურებს“. ისინი ცვლიან ფრაზის ლოგიკურ მნიშვნელობას და, შესაბამისად, არ ემორჩილებიან ენობრივ შეზღუდვებს. თუ შეუძლებელია სიტყვის შიგნით სემის გამეორება, შესაძლებელია სიტყვის განმეორება წინადადებაში, როგორც უმაღლეს ენობრივ ერთეულში. ამგვარი ფიგურების „ნულოვანი დონე“ დაკავშირებულია არა იმდენად ენობრივი სისწორის კრიტერიუმებთან, რამდენადაც ლოგიკურ წყობასთან, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსჯელობის მიმდინარეობის ლოგიკურ ბუნებასთან (ჯგუფი μ , 1970/1986: 67).

- წინადადება = სემათა მოწესრიგებული ერთიანობა, რომელშიც დასაშვებია განმეორებადობა.

სქემა 8. მეტაბოლათა ცხრილი (ჯგუფი μ , 1970/1986: 90-91)

გამოხატულება	შინაარსი
--------------	----------

		A. მეტაპლაზმა	B. მეტატაქსისი	C. მეტასემემა	D. მეტალოგიზმი
	ოპერაცია	მორფოლოგიური	სინტაქსური	სემანტიკური	ლოგიკური
სუბსტანციანალური	I. შემოკლება				
	I. 1. ნაწილობრივი	აფერეზისი, აპოკოპე, სინკოპე, სინერეზისი	კუმშვა	გავრცობილი სინეკდოქე, ანტონომაზია, შედარება, მეტაფორა in praesentia	ლიტოტესი 1
	I. 2. სრული	გაუქმება, წაშლა	ელიფსისი, ზევგმა, ასინდეტონი, პარატაქსისი	ასემია	შესვენება, პაუზა (გაჩუმება)
	II. დამატება				
	II. 1. უბრალო	აფიქსაცია, ეპენტეზისი	შესავალი სიტყვა (წინადადება), კონკატენაცია, ექსპლევია	შეკვეცილი სინეკდოქე და ანტონომაზია, არქილექსია	ჰიპერბოლა, ჰიპერბოლური პაუზა
	II. 2. იტერატიული	გაორმაგება, ხაზგასმა, რითმა, ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია	რეპრიზი, პოლისინდეტონი, ლექსის საზომი, სიმეტრია	—	გამეორება, პლეონაზმი, ანტიტეზა
	III. შემოკლება დამატებით				
	III. 1. ნაწილობრივი	ბავშვის მეტყველების იმიტაცია, აფიქსების ჩანაცვლება, კალამბური	სილეპსისი, ანაკოლუპი	მეტაფორა in absentia	ევემეიზმი
	III. 2. სრული	სინონიმია საერთო მორფოლოგიური საფუძვლის გარეშე, არქაიზმი, ნეოლოგიზმი, ახალი სიტყვების შექმნა, სესხება	სხვა კლასში გადასვლა, ქაიაზმა	მეტონიმია	ალეგორია, იგავი
	III. 3. უარყოფითი	—	—	ოქსიმორონი	ირონია, პარადოქსი, ანტიფრაზისი, ლიტოტესი 2
რელაციური	IV. გადასმა				
	IV. 1. ჩვეულებრივი	აკროფონური გადასმა, ანაგრამა, მეტათეზა	ჰიპერბატონი	—	ლოგიკური ინვერსია, ქრონოლოგიური ინვერსია
	IV.2. მიმართულების შეცვლა	პალინდრომი, ვერლანი	ინვერსია	—	—

თანამედროვე რიტორიკაში, „ჯგუფი μ “-ს გარდა, ასევე ცნობილია ც. ტოდოროვისა და ჯ. ნ. ლიჩის მიერ შემუშავებული მოდელები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს რიტორიკული ფიგურებისა და ტროპების კლასიფიკაციის ყველაზე უფრო ბოლოდროინდელ წარმატებულ მცდელობად. სხვა ნაშრომებმა ამ მიმართულებით ვერ მიაღწიეს სისტემურ ხასიათს და ვერც საფუძვლიანი მიდგომები შეიმუშავეს (პლეტი, 2010: 70). „ჯგუფი μ “-ს მიერ შემუშავებული მოდელის თეორიულ წანამდგრად არჩევის მიუხედავად, გვერდს მაინც ვერ ავუვლით ც. ტოდოროვისა და ჯ. ნ. ლიჩის მიერ წარმოდგენილ კლასიფიკაციებს.

რიტორიკული ფიგურების ინდივიდუალური ასპექტების შესახებ ნაშრომების გარდა, ც. ტოდოროვმა ასევე შეიმუშავა „ტროპებისა და ფიგურების“ კლასიფიკაცია, რომელიც მან წიგნის დანართში წარმოადგინა (ტოდოროვი, 1967: 91-118). აქ იგი

ამკარად განასხვავებს ორ ქმედებას: ნორმის დარღვევასა და ნორმის განმტკიცებას. პირველი ტიპის ქმედების შედეგს იგი უწოდებს ანომალიებს, ხოლო მეორე ტიპისას (ვიწრო გაგებით) – ფიგურებს. ორივე ტიპის გადახრა იყოფა ენობრივი დონეებისა და მათ შორის ურთიერთმიმართებების შესაბამისად. ამის მიხედვით გამოიყოფა ტროპებისა და ფიგურების სხვადასხვა ჯგუფი მნიშვნელობის (*son-sens*), სინტაქსის (*syntaxe*), სემანტიკისა (*sémantique*) და რეფერენტიული ნიშნის (*signe-référent*) მიხედვით.

რაც შეეხება **ჯ. ნ. ლიჩის** მოდელს, სანამ **ც. ტოდოროვი** გამოაქვეყნებდა თავის ნაშრომს, ერთი წლით ადრე, მან ასევე შეიმუშავა რიტორიკული ფიგურების შესაძლო კლასიფიკაციის ენობრივი საფუძველი. თავის ნაშრომში „*ენათმეცნიერება და რიტორიკული ფიგურები*“ (ლიჩი, 1966: 135-156) იგი ასევე მიჯნავს ნორმის დარღვევისა და ნორმის განმტკიცების ფორმალურ სტრუქტურებს, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ პირველს უწოდებს „*პროგნოზირებადი ფორმის დარღვევას*“ (“*a violation of the predictable pattern*”), ხოლო უკანასკნელს – „*ჩვეულებრივი ენობრივი ერთეულის ფონზე მიღებულ ფორმას*“ (“*a pattern superimposed on the background of ordinary linguistic patterning*”) (ლიჩი, 1966: 146). შედეგად გამოიყოფა ფიგურათა ორი ჯგუფი, რომელსაც ის უწოდებს პარადიგმატულს (შეესაბამება ტოდოროვის ანომალიებს) და სინტაგმატურს (შეესაბამება ტოდოროვის ფიგურებს). კლასიფიკაციის ეს მცდელობა, ძირითადად, (სემიო-)სინტაქსურია და შემოიფარგლება მხოლოდ ნორმიდან გადახრის თეორიითა და ენობრივი დონეების განხილვით.

ჰ. ფ. პლეტი კრიტიკულად აფასებს **ც. ტოდოროვისა** და **ჯ. ნ. ლიჩის**, ნაწილობრივ კი, „*ჯგუფი μ*“-ს მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციებს. ის წერს, რომ მართალია, **ც. ტოდოროვმა** მიაღწია გარკვეულ წინსვლას მეტყველების ფიგურების მაკროსტრუქტურის ორგანიზაციაში, მაგრამ რაიმე თანმიმდევრული ქვეკატეგორიის არარსებობა მის კონცეფციას აძლევს წინარეთეორიულ ხასიათს (პლეტი, 2010: 71). ავტორი ასევე გამოყოფს რამდენიმე არგუმენტს (პლეტი, 2010: 75):

ა) მოდელის შეუსაბამობა: ეს ჩანს, მაგალითად, სემიოტიკური თვალსაზრისით დაყოფილ ფიგურათა კლასების აღრევაში (როგორც ეს გვაქვს ფიგურათა სინტაქსური და პრაგმატული კლასების შემთხვევაში); გრამატიკის

ერთიანი ძირითადი მოდელის არარსებობა; ნორმის დარღვევისა და ნორმის განმტკიცების ქმედებების გაუგებრობით.

ბ) მოდელების არასრულყოფილება: ეს გამოჩნდა, მაგალითად, ფიგურათა სემიოტიკური თვალსაზრისით გამიჯნული კლასების (მაგ., პრაგმატული ფიგურების), ენობრივი დონის (მაგ. გამოხატულების პლანის) და ნორმიდან გადახრის ქმედებათა არარსებობაში;

გ) მოდელების განუსაზღვრელობა: ეს ნაჩვენებია, მაგალითად, ენობრივ დონეებსა და ქმედებებს შორის ზღვარის ბუნდოვანებაში, აგრეთვე ტერმინოლოგიურ სიჭარბეში (დუბლეტები).

1.4. შუალედური დასკვნა

წინამდებარე თავის მიზანი იყო წარმოგვედგინა კვლევის თეორიული წანამძღვრები, როგორც საკუთრივ ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო ტრადიციის გათვალისწინებით. როგორც კვლევამ აჩვენა, ქართული მჭევრმეტყველების თეორიისა და პრაქტიკის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის განხილვისას, როგორც წესი, ახსენებენ ხოლმე **სოლომონ დოდაშვილის** „*რიტორიკას*“, ხოლო რიტორიკის სხვა სახელმძღვანელოები ნაკლებად განიხილება. წინამდებარე თავში ჩვენ მიმოვიხილავთ რიტორიკის ყველა ჩვენთვის ცნობილ სახელმძღვანელოს, მათ შორის, აღსანიშნავია **მხითარ სებასტაძის** „*რიტორიკა*“, რომელიც ითარგმნა სომხურიდან, დაახლოებით 1761-1764 წლებში, **ანტონ ბაგრატიონის**, **ფილიპე ყაითმაზიშვილისა** და **დოსითეოზ ჩერქეზიშვილის** მიერ. შემდგომი

სახელმძღვანელოა 1827-1828 წლებში დაწერილი **სოლომონ დოდაშვილის** „*რიტორიკა*“. ამას მოსდევს 1879 წელს, კონსტანტინეპოლში, **ანთუან გვიზალიანის** სტამბაში გამოცემული „*მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა*“.

როგორც საკითხის შესწავლამ აჩვენა, რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები XVIII-XIX სს.-ს ეკუთვნის, მანამდე არსებული მსგავსი თემატიკის ლიტერატურა, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. თვით ეს ლიტერატურაც სათანადოდ არაა შესწავლილი. სამაგიეროდ, გამოკვლეულია რიტორიკის როლი და ადგილი ქართველ ელინოფილთა თარგმანების მაგალითზე. სამქადაგებლო მჭევრმეტყველების მიმართულებით მთარგმნელობითი ტრადიციის შესწავლამ აჩვენა ის, რომ შუა საუკუნეების ქართველი მთარგმნელები გაცნობიერებულნი იყვნენ რიტორიკის ანტიკურ თეორიებში.

მეორე საკითხი, რომელსაც ვებხებით, არის ქართული მჭევრმეტყველების საკუთრივ მეცნიერული შესწავლის ისტორია, რომელიც გულისხმობდა თეორიული და პრაქტიკული ასპექტით კვლევების შეფასებას ქართულ მეცნიერებაში. ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია საბჭოთა პერიოდში იწყება. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მკვლევარი, რომლის ფუნდამენტურმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერულ შესწავლას, გახლავთ **ნიკოლოზ კანდელაკი**. მან გამოიკვლია ქართული მჭევრმეტყველების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მათ შორის, მისი ისტორია, ტერმინოლოგია, პერიოდიზაცია, დარგობრივი (დარგების, ქვედარგების და განშტოებების) და **ჟანრობრივი** (ძირითადი და დამხმარე ჟანრების) კლასიფიკაციის საკითხები და სხვ. ამდენად, ძირითადი ლიტერატურა, რომელსაც საფუძველად ვიღებთ წინამდებარე ნაშრომში საკვლევი ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავებისას, სწორედ **ნ. კანდელაკს** ეკუთვნის.

რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე აუცილებლად მიგვაჩნია შევაჯამოთ და დავაზუსტოთ საკვანძო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. ტერმინებს – „*რიტორიკა*“, „*მჭერ მეთქვეობა*“, „*მჭერ-სიტყვაობა*“, „*მჭერსიტყვაობა*“, „*რიტორი*“, „*ორატორი*“ – იყენებს რიტორიკის პირველი ორიგინალური ქართულენოვანი

სახელმძღვანელოს ავტორი **სოლომონ დოდაშვილი** (დოდაშვილი, 1989: 179-189). უცნობი ავტორის „*მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა*“ გვთავაზობს ტერმინს „*რეტორიკა*“, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს წიგნის უცხოურ წარმომავლობაზე და კერძოდ იმაზე, რომ ის თარგმნილია (რეტორიკა = *Réthorique*) (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, (1879). თუმცა, გარდა იმ ტერმინებისა, რომლებიც პირდაპირ კალკირებულია, შეინიშნება ქართული შესატყვისი ტერმინების შექმნის მცდელობაც.

რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, გამოიყენება და დამკვიდრებულია როგორც ლათინური ძირის ტერმინი – „*რიტორიკა*“, ისე მისი ქართულენოვანი შესატყვისი – „*მჭევრმეტყველება*“, ასევე გვაქვს სხვა ვარიაციებიც: „*ორატორული პროზა*“, „*მჭევრმეტყველური პროზა*“ (ბარამიძე, 1979) და სხვ. რაც შეეხება რიტორიკულ სტილს, მას მოეპოვება შემდეგი სინონიმები: „*ფილოსოფიურ-რიტორიკული სტილი*“ // „*ატიკური*“ // „*არისტოტელური*“, „*მეტაფორულ-ორნამენტული სტილი*“, „*საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილი*“ და ა.შ. (ბეზარაშვილი, 2004; ბეზარაშვილი, 2009: 152-164).

დაკვირვების შედეგად, აღმოჩნდა, რომ „*მჭევრმეტყველება*“ უფრო დიდი ტრადიციის ტერმინია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში; ტერმინ „*მჭევრმეტყველებას*“ იყენებს ქართველ მეცნიერთა ის ნაწილი, რომლებიც ძველ ტერმინოლოგიურ ტრადიციას ანიჭებენ უპირატესობას (ნ. კანდელაკი, ვ. სიღამონიძე, ვ. კაჭახიძე, ც. ბარბაქაძე და სხვ.), თუმცა თანამედროვე ავტორებთან შეინიშნება ტერმინ „*რიტორიკის*“ ხმარება (ქ. ბეზარაშვილი, გ. რუსეიშვილი, მ. კუხალაშვილი, გ. სიამაშვილი, ე. ბერიძე-მელიქიშვილი, ნ. გაფრინდაშვილი და დ. თვალთვაძე და სხვ.). „*მჭევრმეტყველება*“ არის სინონიმური ტერმინი „*რიტორიკისა*“, რომელიც აქტიურად ენაცვლება მას თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ამდენად, *მჭევრმეტყველება* // *რიტორიკა* დუბლეტურ ტერმინებს წარმოადგენენ.

წინამდებარე თავის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, წარმოგვედგინა ნაშრომის თეორიული წანამძღვრები, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკაში წარმოშობილ ნეორიტორიკის მიმართულულებას. მიმოვიხილეთ ყველა

⁵ შენიშვ.: მაგალითად, არისტოტელეს „*რიტორიკა*“ პირველად ითარგმნა 1981 წელს თამარ კუკავას მიერ.

⁶ შენიშვ.: ნ. კანდელაკი თავის ნაშრომებში უპირატესობას ანიჭებს ტერმინ „*მჭევრმეტყველების*“ გამოყენებას.

ის ლინგვისტური მიმდინარეობა (ტრანსფორმაციული ლინგვისტიკა, კონოტაციის თეორია, ბრიუსელის რიტორიკული სკოლა, სემიოტიკური მიმართულება და ა.შ.), თუ ავტორი (ზ. ჰარისი, ლ. იელმსლევნი, რ. იაკობსონი, ე. ბენვენისტი, ხ. პერელმანი), რომლებმაც განაპირობეს ნეორიტორიკის და, კონკრეტულად კი, „ჯგუფი μ “-ს „ზოგადი რიტორიკის“ თეორიის ჩამოყალიბება. „ჯგუფი μ “-ს (*“Liege Groupe Mu”*) გარდა, ასევე განვიხილეთ ც. ტოდოროვისა და ჯ. ნ. ლიჩის მიერ შემუშავებული მოდელები, რომლებიც, მიუხედავად მათი ნაკლოვანი მხარეებისა, მაინც ითვლება თანამედროვე რიტორიკაში ფიგურებისა და ტროპების ბოლოდროინდელ უფრო სრულყოფილ კლასიფიკაციებად. თუმცა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ბელგიაში ჩამოყალიბებული ლიეჟის ნეორიტორიკის სკოლის წარმომადგენელთა – ჯ. დიუბუა, ფ. ედელინი, ჯ.-მ. კლინკენბერგი, ფ. მენგე, ფ. პირი, ა. ტრინონი („ჯგუფი μ “) – 1970 წელს შექმნილი „ზოგადი რიტორიკა“. სწორედ აღნიშნული ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ემყარება წინამდებარე კვლევა.

თავი II. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები

2. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე თავი ეხება იმ სამუშაოებს, რომელიც საკვლევ ტექსტების მოძიებას, მოპოვებასა და ციფრულ ფორმატში გადაყვანას უძღოდა წინ. ესენია, უპირველეს ყოვლისა, ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა. გავითვალისწინეთ, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის ტიპი, წყაროები, დარგები, ჟანრები და პერიოდები (იხ. სქემა 9).

სქემა 9. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევის კრიტერიუმები

№	კრიტერიუმები	მახასიათებლები
1.	ტიპი	მჭევრმეტყველების ტექსტები
2.	წყარო	ადგილობრივი
3.	დარგი	მჭევრმეტყველების დარგები
4.	ჟანრი	მჭევრმეტყველების ჟანრები
5.	პერიოდი	ძველი (I-XVIII), ახალი (XIX) და უახლესი (XX-XXI)

საკვლევი ტექსტების შერჩევასა, გავითვალისწინეთ ტექსტების ტიპი, სახელდობრ ის, რომ ყველა მჭევრმეტყველებითი ხასიათისაა და აერთიანებს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი მეტყველების ტრადიციას; წყაროების მიმოხილვისას შევხებით ადგილობრივ და უცხოურ წყაროებს, მათ შორის, ხელნაწერებს, ისტორიულ დოკუმენტებს, აკადემიურ გამოცემებს, პერიოდიკას, ინტერნეტრესურსებსა და სხვ.; აქვე შევისწავლით ქართული მჭევრმეტყველების როგორც ორიგინალ, ისე თარგმნილ ტექსტებს. საკვლევ ტექსტების შერჩევასა ძირითადად ვითვალისწინებთ ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციასა და პერიოდიზაციას, რომელიც ეკუთვნის **ნ. კანდელაკს**. სწორედ ეს კრიტერიუმები განსაზღვრავს ჩვენ მიერ შერჩეული მასალის ეპოქასა და კონკრეტულ ავტორებზე ყურადღების გამახვილებას.

2.1. ტექსტების ტიპი

გრ. კიკნაძე მიუთითებს, რომ სხვადასხვაგვარი ღირებულება აქვს **ზეპირ** და **წერით მეტყველებას** და გამოყოფს მათ განმასხვავებელ ნიშნებს (იხ. ვრცლად, კიკნაძე, 1957: 32-35), თუმცა, როგორც **ალ. გვენცაძე** აღნიშნავს, ზეპირ და წერით მეტყველებას შორის განსხვავებები არ იძლევა იმის უფლებას, რომ წარმოვიდგინოთ ისინი დაპირისპირებული სტილების სახით (გვენცაძე, 1974: 31). ის, თუ რამდენად თანაბარმნიშვნელოვანია ზეპირი და წერითი მეტყველება, მიუთითებს **ლევ კვაჭაძე**: „წერითი მეტყველება დღეს ფართოდ არის გამოყენებული ზეპირ მეტყველებასთან ერთად ადამიანთა ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებად“ (კვაჭაძე, 1981: 89). **ნ. კანდელაკი** ასევე ამახვილებს ყურადღებას ზეპირ და წერით მეტყველებას შორის განსხვავებაზე (იხ. ვრცლად, კანდელაკი (შემდგ.), 1958: 9). ის სხვაგან აღნიშნავს იმასაც, რომ მჭევრმეტყველება მხოლოდ ზეპირი მეტყველების ფორმა არაა:

მჭევრმეტყველება ზეპირი ფორმის ხელოვნებაა თავისი სპეციფიკური ბუნებით, მაგრამ საერთოდ ის სიტყვიერი შემოქმედებაა, რომლის სტილისტიკური სრულყოფისათვის აუცილებელია მისი წერილობითი ფიქსაცია. ყოველი საჯარო ზეპირი სიტყვა არსებითად წერილობით მზადდება. მისი შემდგომი ჩაწერაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ გზით

მჭევრმეტყველება ღებულობს ფიქსირებულ სახეს, ემსგავსება ლიტერატურულ პროდუქციას და შედის სიტყვაკაზმული მწერლობის საგანძურში. ეს გარემოება განსაზღვრავს ორატორული ხელოვნების ადგილს სიტყვიერი შემოქმედების არეში (კანდელაკი, (შემდგ.), 1958: 10).

ზეპირი მეტყველების გარდა, **ნ. კანდელაკი** მიუთითებს მჭევრმეტყველებისთვის დამახასიათებელ წერილობით ტრადიციაზეც: „სხვაა აგრეთვე ნაწერის კითხვა, როცა ადამიანს ერთი სათქმელის კითხვისას არ სჭირდება ფიქრი მომდევნო სათქმელზე, რადგან ტექსტი წერილობით ფიქსირებული აზრების ხმოვანი აღდგენა აქ ხდება კითხვის განმტკიცებული ჩვევის მეშვეობით“ (კანდელაკი, 1989: 25). ზეპირ და წერით მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებაზე მიუთითებს **ნ. კანდელაკი** უშუალოდ მჭევრმეტყველების შემთხვევაში და წერს:

საჯარო ზეპირი მეტყველება, რომელიც თავისი სპეციფიკური ბუნებით დროში იმდენად განსაზღვრულია, რომ მისი თვით უმცირესი უადგილო დაყოვნება დიდ უხერხულობას იწვევს. სულ სხვაა წერითი მეტყველების პროცესი, როცა ადამიანს შეუძლია შეაჩეროს კალამი, დაფიქრდეს აზრის გამომხატველ ფორმაზე და შემდეგ მისცეს მას წერილობითი სახე. ამის შემდეგაც შეუძლია მას წაშალოს დაწერილი და კვლავ ახალი ფორმის აღბეჭდვა მოახდინოს. წერითი მეტყველება დროში ზუსტად განსაზღვრული არ არის“ (კანდელაკი, 1989: 25).

ნ. კანდელაკი ასევე მსჯელობს მჭევრმეტყველებასა და ლიტერატურას შორის მსგავსება-განსხვავებაზე და წერს, რომ ორატორის შემოქმედება და მწერლის შემოქმედება – ორივე სიტყვიერი ხელოვნების დარგებია: მათი მსგავსების უმთავრესი ნიშანი სიტყვაკაზმული ფორმაა, განსხვავების ძირითადი მაჩვენებელი ამ ფორმის სხვადასხვაგვარი გამოხატვაა. მისი გამოხატვა ზეპირია მჭევრმეტყველებაში, ხოლო წერითია ლიტერატურაში. ორატორისათვის დამახასიათებელია ზეპირი, ხოლო მწერლისათვის – წერითი შემოქმედების პროცესი. მჭევრმეტყველება ზეპირი მეტყველების, ხოლო ლიტერატურა წერითი მეტყველების უმაღლესი საფეხურია. პირველის შემოქმედებითი მასალის ფორმა ზეპირია, მეორისა – წერითი. მათი სახით საქმე გვაქვს მეტყველების ზეპირ და წერით ფორმებთან და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან (კანდელაკი (შემდგ.), 1958: 8).

ტრადიციულად, მჭევრმეტყველება მიემართება მსმენელს, ხოლო ლიტერატურა – მკითხველს: „[...] მჭევრმეტყველების გარეშე ამთვისებული

მსმენელია, ხოლო ლიტერატურისა – მკითხველი. ორატორი და მსმენელი ერთმანეთს ხვდებიან შემოქმედებითი პროცესის დროს, მწერალი და მკითხველი – შემოქმედებითი პროცესის შემდეგ“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958: 9). თუმცა, ეს რომ მკაცრად დაკანონებული წესი არაა, ამაზე თვითონ **ნ. კანდელაკი** მიუთითებს და წერს, რომ მჭევრმეტყველების ესა თუ ის ნიმუში შესაძლოა მკითხველს მიემართებოდეს, ხოლო ლიტერატურული ნაწარმოები – მსმენელს: „ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება ზეპირად წარმოითქვას დაწერის შემდეგ და მსმენელმა მოისმინოს, ხოლო ორატორული ქმნილება შეიძლება წერილობით აღიბეჭდოს წარმოთქმისას, მანამდე ან შემდეგ და მკითხველმა წაიკითხოს“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958: 9-10).

მართლაც, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ტერმინი „რიტორიკა“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ნაწერის, ისე მეტყველების გამოსახატავად. მეტყველება ხშირად ეფუძნება წერილობით ტექსტებს და შესაძლოა წაკითხულ იქნეს ბეჭდური სახითაც. რიტორიკა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც გამონაკლისი ტექსტისა და ენის თვალსაზრისით, ტექნიკური საშუალებებისგან დამოუკიდებლად, რომელთა მეშვეობითაც იგი გადაეცემა მსმენელებსა და მკითხველებს (ტოი, 2013: 4). სხვაგვარი ფორმულირება გვხვდება **ჯ. ჯასინსკის** მიერ წამოყენებულ მოსაზრებაში, რომელშიც უფრო მკვეთრად შეინიშნება მჭევრმეტყველების წერითი და ზეპირი მხარეების დაპირისპირება: „რიტორიკა, როგორც ფორმა vs რიტორიკა, როგორც ფუნქცია, პროდუქტი vs პროცესი“ (ჯასინსკი, 2001: xxiii).

რიტორიკის ზეპირი და წერითი მეტყველების ტრადიციის არსებობა დასტურდება ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზეც, მაგალითად, **სამქადაგებლო მჭევრმეტყველების** დარგის ნიმუშები (იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ IV თავი: „ქებად წმიდისა მოწამისა ჰაბოლის“; იოანე ბოლნელის „ქადაგებანი“) მრავალჯერადი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა და ამასთანავე ტექსტები ფიქსირებული იყო წერილობითი ფორმით, ხოლო ზეპირი გაჟღერების შემთხვევაში, უცვლელი სახით წარმოთქმის ტრადიციას ექვემდებარებოდა. იგივე შეიძლება ითქვას აკადემიური მჭევრმეტყველების შესახებ, კერძოდ, „მეცნიერული ლექცია, მოხსენება თუ საინფორმაციო ცნობა წინასწარ მზადდება, იწერება და უმეტესად დაწერილი ტექსტის მიხედვით იკითხება. ამგვარად, ეს ფორმებიც

წიგნურია და მკვეთრად უპირისპირდება არაწიგნურ მეტყველებას“ (კვარაცხელია, 1987: 3).

გარდა იმისა, რომ საჯარო გამოსვლა არის წერილობითად წინასწარ მომზადებული, ასევე წერილობითად შეიძლება იყოს ის დაფიქსირებული უშუალოდ პრეზენტაციის მომენტშიც. ძველად, თუ საჯარო გამოსვლის ჩაწერის ერთადერთი საშუალება საჯარო გამოსვლის წერილობით ფიქსირება იყო, თანამედროვე ეპოქაში ჩაწერის საშუალებების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა: „ზეპირი გამოსვლა ხშირად ქვეყნდება გაზეთში, ჟურნალში ან ცალკე გამოცემად“ (კობერიძე, 2016: 19-20). ასევე გამოიყენება აუდიო-ვიდეო ჩანაწერებიც.

ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების სათაურებს თუ გადავხედავთ, ყველგან ცალსახად არის მითითება ორატორის თხრობის ფორმაზე – საჯარო გამოსვლა ზეპირია თუ წერილი მეტყველების ნაყოფი. ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშის სათაურში, თითქმის უგამონაკლისოდ, ფიგურირებს შემდეგი სიტყვები: „თქმული“ / „წარმოთქმული“. ეს არ გამორიცხავს არც იმას, რომ საჯარო გამოსვლა წინასწარ, წერილობითაც იყოს მომზადებული. ქართულ მჭევრმეტყველებაში ძნელია იმგვარი ნიმუშების მოძიება, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც არ არის წინასწარ მომზადებული წერილობითი ფორმით. ასეთ შემთხვევაშიც კი სათაურში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ საჯარო გამოსვლა ზეპირი მეტყველების კუთვნილებაა. მაგალითად:

- (1) „აკაკი შანიძის შესავალი სიტყვა წარმოთქმული დისერტაციის დაცვისას თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 9 მაისს“.

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ კატო მიქელაძის სიტყვის სათაური, რომელიც გამოირჩევა თავისი ორიგინალურობით:

- (2) „ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე 20 ნოემბერს ქ. თბილისში“.

ამგვარად, საჯარო მჭევრმეტყველების ტექსტები ტოვებენ ზეპირი მეტყველების შთაბეჭდილებას. პრეზენტაცია მოითხოვს ზეპირი გზით წარდგინებას, რის დროსაც ორატორი ავლენს იმპროვიზაციულ შესაძლებლობებს – ეს არის ის პირობაც, რომელიც ზემოქმედებას ახდენს და მსმენელთა ყურადღების

კონცენტრაციის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. მაგრამ ამგვარი მჭევრმეტყველებითი ტექსტები ასევე გულისხმობენ მათი ავტორების მხრიდან წინასწარ ჩარევას და სათქმელის წერილობით მომზადებას გარკვეულ დონეზე. ამდენად, რასთან გვაქვს ჩვენ საქმე საჯარო მჭევრმეტყველებითი ტექსტების სახით? – არის, ამ შემთხვევაში, მკვეთრი დიქოტომია ზეპირ და წერით მეტყველებას შორის? როგორია ზეპირ და წერით მეტყველებასთან საჯარო მჭევრმეტყველების მიმართება? შეგვიძლია ითქვას, რომ მჭევრმეტყველება უახლოვდება როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებას, მაგრამ, ამავე დროს, მათგან დამოუკიდებელი საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლებიც აქვს, რაც ვლინდება მის იმპროვიზაციულ შესაძლებლობებში.

საქმე ისაა, რომ საჯარო მჭევრმეტყველებითი ტექსტები გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებიან, რადგან თავისი არსით ისინი მეტყველებას გულისხმობენ, თუმცა, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება მათი როგორც წინასწარი მომზადება წერილობითად, ისე სამეტყველო აქტის პროცესის ჩაწერა, როგორც სტენოგრაფიულად, ისე აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სახით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საჯარო მჭევრმეტყველების ტექსტები წარმოგვიდგება როგორც გარკვეულ გარდამავალ და საშუალო რგოლად, რომელიც აერთიანებს წერითი და ზეპირი მეტყველების ტრადიციებს. ამდენად, მჭევრმეტყველება გულისხმობს როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებას. სწორედ მათი თანაკვეთა გვამღევს ისეთ საჯარო გამოსვლებს, რომელიც თავის მიზანს აღწევს და სიტყვიერი ხელოვნების მაღალ დონეს გვიჩვენებს.

2.2. ტექსტების წყაროები

საჯარო მჭევრმეტყველება არის უმთავრესად ზეპირი, თუმცა – წერილობით ფიქსირებული. წერილობითი სახით ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები მრავლად მოგვეპოვება და შემონახულია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში უძველესი პერიოდიდან ვიდრე დღევანდლობამდე. *„ეს მდიდარი მასალა გაფანტულია უამრავ მეცნიერულ, მხატვრულ, ეპისტოლარულ, მემუარულსა და სხვა სახის ნაწარმოებებში, განფენილია თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე, წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის სანდო პირველ-*

წყაროს“ (კანდელაკი, 1968: 26). ნიკოლოზ კანდელაკის ნაშრომებში ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო მასალები წარმოდგენილია შემდეგ პერიოდებად: I-IV სს. და VI-X სს. პირველი მონაკვეთი უცხო წყაროებითაა დადასტურებული, ხოლო მეორე – ადგილობრივი წყაროებით.

2.2.1. უცხოური წყაროები

ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები მომდინარეობენ როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროდან, რომლებიც სხვადასხვა უცხო (ძველბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ და სხვ.) ენებზე არის შემონახული. ნათარგმნ ნიმუშებში იგულისხმება როგორც უცხო ენებიდან ქართულად, ისე ქართულიდან უცხო ენებზე თარგმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშები. ასეთ შემთხვევაში, პირველი რიცხობრივად გაცილებით აჭარბებს მეორეს. ქართული მჭევრმეტყველების თარგმნილი ძეგლები მიმოფანტულია სხვადასხვა ტიპის უცხოურ წყაროში და უფრო მეტიც, დაცულია სხვადასხვა ენაზე. საკუთრივ ქართულ მწერლობაში მოიპოვება ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე შექმნილი მჭევრმეტყველების ნიმუშების ქართული თარგმანები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან.

ზეპირი მეტყველების ისტორიის სათავეები და ადრინდელი მჭევრმეტყველების ნიმუშები უმთავრესად დაცულია ბერძნულ-ლათინურ წყაროებში, რომელთა ავტორები არიან სტრაბონი, კორნელი ტაციტუსი, დიონ კასიოსი, ლიბანიოსი, თემისტოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი. აქაა დაცული ცნობები ქართული მჭევრმეტყველების პირველსაწყისებისა და ადრინდელი ქართველი ორატორების – ფარსმან პირველის, ბაკურის, გუბაზ მეფის, აიეტის, ფარტაზისა და სხვათა შესახებ (კანდელაკი, 1968: 7-8). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ბერძნულ და ლათინურ ენებზეა შემორჩენილი ქართველი ორატორების მიერ წარმოთქმული მჭევრმეტყველების პირველი ნიმუშები.

უცხოური წყაროებიდან უნდა დავასახელოთ, I ს.-ის რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის „მატიანე“. აქ შეექვსე წიგნის ოცდამეთოთხმეტე თავში მოთხრობილია ქართველებსა და პართელებს შორის მიმდინარე ომზე და ნახსენელია

იბერთა მეფე **ფარსმან პირველი** (ახ. წ. I ს., 30-60-იანი წწ.), რომელსაც ბრძოლის წინ სიტყვა წარმოუთქვამს მხედრობის მიმართ. აღნიშნული სიტყვა დაცულია ძველბერძნულ ენაზე, გადმოცემულია მესამე პირით, არის პერიფრაზული ხასიათის და წარმოადგენს სამხედრო მჭევრმეტყველების ადრეულ ნიმუშს (კანდელაკი, 1968: 27).

ქართული მჭევრმეტყველების შემდგომი უცხოენოვანი წყაროებიდან უნდა დავასახელოთ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, **პროკოპი კესარიელთან** დაცულია კოლხეთის მეფის **გუბაზის** [სიტყვა, თქმული ლაზი მხედრების მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 550 წელს] (ჭყონია, 1890: 352-353; გეორგიკა, 1965: 148-149), რომელიც სამხედრო მჭევრმეტყველების ნიმუშს წარმოადგენს. აქვე მოთავსებულია ქართული საელჩო მჭევრმეტყველების ერთი მეტად საინტერესო ძეგლი – [ლაზთა დესპანის სიტყვა სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე] (ჭყონია, 1890: 349-351; გეორგიკა, 1965: 75-81).

ბიზანტიელი პოეტისა და ისტორიკოსის, **აგათია სქოლასტიკოსის** (536-582) საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილია ქართველი ორატორების **აიეტის** [სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო] (ჭყონია, 1890: 354-358; არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, (შემდგ.), 1898: 266-271; გეორგიკა, 1936: 64-70) და **ფარტაზის** [სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო] (ჭყონია, 1890: 359-365; არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, (შემდგ.), 1898: 271-278; გეორგიკა, 1936: 72-81) ფარულ თათბირზე და **კოლხთა წარმომადგენლის** [საბრალდებო სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე, 554 წელს] (გეორგიკა, 1936: 129-140), ავტორის ვინაობა უცნობია.

ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, რომელიც აგრძელებს ბერძნულიდან ქართულად მჭევრმეტყველების ნიმუშების თარგმნის ტრადიციას. შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში დაცულია რამდენიმე ასეული ჰომილეტიკური, ანუ სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუში. აღნიშნული საკითხი ამომწურავად აქვს შესწავლილი ე. **გაბიძაშვილს** და ამიტომ თითოეული კრებულის დახასიათებას აქ აღარ შევუდგებით.

თარგმნილი ნიმუში მოგვეპოვება ფრანგულ საისტორიო წყაროშიც, კერძოდ, **დავით აღმაშენებლის** „სიტყვა თქმული მხედრობის მიმართ დიდგორის ომის წინ“

(კანდელაკი, 1958: 154; ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000: 127). ამ შემთხვევაში, სიტყვა ჯერ ქართულად წარმოითქვა და შემდეგ ითარგმნა ის ფრანგულად. სწორედ აღნიშნული თარგმანის დამსახურებით მოაღწია ნიმუშმა ჩვენამდე. ის დაცულია ფრანგულ საისტორიო წყაროში, კერძოდ, ფრანგი ისტორიკოსის, გოტიეს 1122 წელს დაწერილ „ანტიოქიის ომებში“. **ზ. ავალიშვილის** ნაშრომში დავით აღმაშენებლის სიტყვა მოთავსებულია დამატების სახით. ის ერთვის ავტორის წერილს „გარშემო ერთის ომისა“. ამ წერილში ლაპარაკია დიდგორის ომის ფრანგულ საისტორიო წყაროზე, რომელიც ეკუთვნის გოტიე-კანცლერს. წერილის ავტორის ჩვენებით „ანტიოქიის ომებში“ XVI მუხლის ქვეშ გოტიე გვაცნობს ჯერ სიტყვის წარმოთქმის პირობებს და შემდეგ თვითონ სიტყვასაც (ავალიშვილი, 1929: 66).

საელჩო მჭევრმეტყველების ნიმუშია ასევე ფრანგულ ენაზე **სულხან-საბა ორბელიანის** [მოხსენება, თქმული ლუი მეთოთხმეტისადმი პირველ ვიზიტზე], წარმოითქვა 1714 წელს, პარიზში, საფრანგეთის მეფესთან პირველი შეხვედრის დროს. ამ შემთხვევაში საბას მოხსენების პირი ქართულად არ არის, მხოლოდ ფრანგულადაა, **პატრი რიშარდის** დაწერილი (თამარაშვილი, 1902: 320). მოხსენების ქართული თარგმანი და ფრანგული ორიგინალი გამოაქვეყნა **მიხეილ (მიქელ) თამარაშვილმა** თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (თამარაშვილი, 1902: 320-322).

სულხან-საბა ორბელიანის [შესხმა, თქმული ლუი მეთოთხმეტისადმი მეორე ვიზიტზე], წარმოითქვა 1714 წლის მაისში, პარიზში, საფრანგეთის მეფესთან მეორედ შეხვედრის დროს. ამ შემთხვევაში საბას მეფისათვის შესხმა უთქვამს, რომელიც ფრანგულადაა შემონახული, ხოლო დედანი არ მოგვეპოვება. მიხეილ თამარაშვილი წერს: „სჩანს რომ მეფის წინაშე პატრი რიშარდს საბას გამოთქმული სიტყვა ფრანგულად გადაუცია“ (თამარაშვილი, 1902: 324). მოხსენების ქართული თარგმანი (თამარაშვილი, 1902: 324-325) და ფრანგული ორიგინალი (თამარაშვილი, 1902: 731-732) გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა.

XIX ს.-ის შემდგომ **სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში** ვხვდებით რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად თარგმნილ ნიმუშებს. ცალკე წიგნადაა გამოცემული მჭევრმეტყველების ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი

ეკუთვნის საქართველოს ეგზარხოს პავლეს. მის გარდა, კრებულში წარმოდგენილია ექსარხოსი ვარლამის, არხიმანდრიტ გრიგოლის, ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელის (ქიქოძე), მღვდლის დავით ღამბაშიძის სიტყვის, შესხმის, მოძღვრებისა და სწავლის ჟანრის ნიმუშები (სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887 (იხ. დანართი 12)).

რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ, რუსულიდან ქართულად ითარგმნა არა მხოლოდ სამქადაგებლო, არამედ – პოლიტიკური მჭევრმეტყველების ნიმუშიც, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს **სოლომონ დოდაშვილის „სიტყვა-მოწოდება [ქართველი ერისადმი]“**, რომელიც ქართულად დაიწერა 1831 წ.-ს, პოლონეთის აჯანყების ხანებში, არაუგვიანეს 24 სექტემბრისა, როცა ქ, ვარშავის აღება თბილისშიც იზეიმეს, ხოლო მისი რუსული თარგმანი შესრულდა **პოლკოვნიკ სუმბათაშვილის** მიერ საგამომძიებლო კომისიის დავალებით (დოდაშვილი, 1989: 408).

რუსულიდან თარგმნილი **სამგლოვიარო მჭევრმეტყველების** ნიმუშია **ხერსონისა და ტავრიდის არხიეპისკოპოსი ინოკენტის „სიტყვა დასაფლავებასა ზედა ღენერალ ქელდმარშალისა, უგანათლებულესისა თავადისა მიხაილ სვიმონის ძის ვორონცოვისა, თქმული ოდესისა საკათედროსა ტაძარსა შინა სინოდის წევრისა მიერ, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესისა ინოკენტი არხიეპისკოპოსისა ხერსონისა და ტავრიდისა, 10 ნოემბერსა 1856 წელსა“**, რუსულიდან თარგმნილი **ნ. ბერძენოვის** მიერ (ინოკენტი, 1858: 1-30).

ასევე **სამგლოვიარო მჭევრმეტყველების** რუსულენოვანი ნიმუშია **საქართველოს ექსარხოს ვლადიმერის (ბოგოიავლენსკი) „სიტყვა თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის დასაფლავების დღეს მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის უწმიდესის სინოდის წევრის, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის ვლადიმერის მიერ“**. სიტყვა წარმოითქვა რუსულ ენაზე, 1896, 22 დეკემბერს, თუმცა მაშინვე ითარგმნა რუსულიდან ქართულად **თბილისის სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის** მიერ (სიტყვა თქმული..., 1896: 1-7).

ცნობილია, რომ ქართული მჭევრმეტყველება იცნობს როგორც ორიგინალურ ნიმუშებს, ისე თარგმანებს. ყველაზე მეტი თარგმნილი ნიმუშები მოგვეპოვება **სამქადაგებლო მჭევრმეტყველების** დარგში, იგივე **ჰომილეტიკაში**. თუმცა,

მიუხედავად ამისა, არის ქართული მჭევრმეტყველების ორგანული შემადგენელი ნაწილი. ნათარგმნი ნიმუშების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად ამგვარი ძეგლები გვხვდება **სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში**, შემდეგ მოდის **საელჩო, სამოსამართლო, სამგლოვიარო, სამხედრო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება**. ნათარგმნი მჭევრმეტყველების ნიმუშები მრავლად მოიპოვება ქართული ორიგინალური მჭევრმეტყველების ნიმუშების გვერდით. უფრო მეტიც, სწორედ უცხოური წყაროების დამსახურებით მოაღწია ზოგიერთმა ნიმუშმა ჩვენამდე. მათ ხშირად პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვთ როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკურ-კულტურული და ენობრივ-პოეტიკური თვალსაზრისით (კენჭიაშვილი, 2020გ).

წინამდებარე კვლევაში ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევასა საორიენტაციო მასალად ავიღეთ მხოლოდ ადგილობრივ წყაროებში დაცული ქართულენოვანი მჭევრმეტყველების ნიმუშები.

2.2.2. ადგილობრივი წყაროები

ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები გაცილებით უხვადაა მიმოფანტული სხვადასხვა პერიოდის ადგილობრივ წყაროებში, მათ შორის, სასულიერო თუ საერო მწერლობის ამა თუ იმ დარგში: ჰაგიოგრაფიაში, ჰომილეტიკაში, ისტორიოგრაფიაში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში და სხვ. ამდენად, ქართულ სასულიერო მწერლობაში ქადაგებათა პირველ ნიმუშებს ძირითადად ვხვდებით არა დამოუკიდებელი სახით, არამედ, ფრაგმენტულად, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შემადგენელ ნაწილად. პირველი თხზულება, რომელიც ქადაგების ნიმუშს შეიცავს, არის VI ს.-ის მეორე ნახევრის უცნობი ავტორის ძეგლი *„მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა“*. შემდეგი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებია VIII ს.-ის ძეგლი, **იოანე საბანისძის „წამება ჰაბომისი“**. თხზულების თავებად დანაწილება ავტორისეულია. **რ. სირაძე „აბოს წამებას“** პოლიჟანრულ თხზულებად მიიჩნევს, კერძოდ, პირველ თავს – *„ღმრთის-მსახურებისათვის შეკრებულთა მათ უწყება და მარტვილთ-მოყვარეთა მათ სწავლა და ახლისა ამის მოწამისა მოხსენება წმიდისა ჰაბომისი“* – ქადაგებად, ხოლო მეოთხე თავს – *„ქებად წმიდისა მოწამისა ჰაბომისი“* – ჰიმნოგრაფიად (სირაძე,

1987: 65). შემდეგი ძეგლია „მოქცევაჲ“, ანუ „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსი“, რომელიც IX ს.-ის ძეგლადაა მიჩნეული. აქ ვხვდებით ორ ჰომილიას, რომელიც წმინდა ნინოს სახელითაა დაწერილი. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ უხვად მოიპოვება ჰომილექტიკური ლიტერატურის ნიმუშები, ქადაგების, სწავლისა თუ შესხმის ჟანრის ჩანართები. ჰომილექტიკის ნიმუშებს ვხვდებით „კონსტანტი კახის მარტვილობაში“ – „ეპისტოლე თეოდორა დედოფლისა კონსტანტის სახლეულეებისადმი“, „გობრონის წამებაში“ – სტეფანე მტბვერის „შესხმა გობრონისა“, „შიო მღვიმელის ცხოვრებიდან“ – „სწავლანი მოწაფეთა მიმართ მღვიმეში დაყუდების წინ“, „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“ – „სწავლა იოვანესი მონასტრის ძმათა მიმართ: „თქვენ სასურველნო და საყუარელნო შვილნო ჩემნო“, აღსანიშნავია „გოდება“ გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების გამო; ასევე სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი და მოძღურებანი“ ჰომილექტიკას განეკუთვნება.

ორიგინალური ჰომილექტიკის შექმნამდე და მის შემდეგაც ქართული ეკლესია იყენებდა უცხო ენებიდან, მეტწილად კი ბერძნულიდან გადმოთარგმნილ ჰომილიებს. მართლაც, უძველესი დროიდან XVIII ს.-მდე (იოანე ბოლნელი (X ს.) გამონაკლისის სახით), თითქმის არ მოიპოვება ორიგინალური ჰომილექტიკა ქართულ ენაზე. თვით იოანე ბოლნელიც, როგორც პირველი ქართულენოვან ქადაგებათა ავტორის საკითხიც, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს; მაგალითად, ე. ჭელიძე თვლის, რომ ეს უკანასკნელი „ორიგინალური ქადაგებების ავტორი კი არ არის, არამედ იოანე ოქროპირის ჰომილიათა პერიფრაზული ვარიანტების ავტორია“ (გაბიძაშვილი, 2010: 278), თუმცა, რ. ბარამიძის აზრით, „ი. ბოლნელის თხზულებების უმეტესი ნაწილი ორიგინალურია“, რასაც ადასტურებს მისი ქადაგებების შედარება იოანე ოქროპირის ჰომილიებთან (ბარამიძე, 1962: 57).

ორიგინალური ჰომილექტიკური თხზულებების გვერდით შეგვიძლია დავასახელოთ კანონიკურ თხზულებაში, კერძოდ, რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში“ წარმოდგენილი არსენ იყალთოელის შესხმა დავით აღმაშენებლის მიმართ სათაურით: „შესხმა კეთილად მსახურისა და ღვთივდაცულისა მეუფისა ჩუენისა დავითისი“. შესხმას მოსდევს ცოცხალთა (მეფე-დედოფალთა და კათოლიკოს-მღვდელმთავრების) მრავალჟამიერი და მიცვალებულთა მოსახსენიებელი. კ.

აკველიძემ „ძეგლისწერის“ ამ ნაწილს, სადაც დავითის შესხმაც შედის, „სინოდიკონი“ უწოდა (1951: 542).

გარდა ამისა, საისტორიო მწერლობაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია მრავალი ნიმუში, ძირითადად, სადარბაზო და სამხედრო მჭევრმეტყველების ნიმუშები (ქართლის ცხოვრება, 1955; ქართლის ცხოვრება, 1959: 118; ქართლის ცხოვრება, 1906: 767-768).

ასევე ჩვენ შემორჩენილი გვაქვს „კალმასობაში“ ჩართული ორი ორატორული ძეგლი: „ქადაგება ომარ-ხანის შემოჭრის თაობაზე“ (ბატონიშვილი, 1936: 156-163), „სიტყვა ერეკლე მეორისადმი“ (ბატონიშვილი, 1936: 177-179).

ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს კრებულს „საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ლუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ“ (საბინინი, 1882), რომელიც თავს უყრის სხვადასხვა ავტორის სამქადაგებლო დარგისა და შესხმის ჟანრის ნიმუშებს.

სხვა კრებულებიდან აღსანიშნავია **ზაქარია ჭიჭინაძის** მიერ შედგენილი: „სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე“ (ჭიჭინაძე (შემდგ.), 1903).

ასევე არსებობს ძველი ნაბეჭდი კრებულები სხვადასხვა (მაღალი და დაბალი) სასულიერო წოდების პირთა ავტორობით, სადაც წარმოდგენილია სიტყვის, ქადაგების, სწავლისა და მოძღვრების ჟანრის სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშები. ამგვარ კრებულთა შორის აღსანიშნავია, „იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი (მე-X საუკუნის ხელნაწერებიდან)“ (იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911), „ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი“ (ჭყონია (რედ.), 1898 (იხ. დანართი 8)), „ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა თქმულნი 1860-1870 წლებში“ (ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 1913ა) და „ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა თქმულნი 1870-1884 წლებში“ (ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 1913ბ) და სხვ.

⁷ შენიშვა: ანტონ ჭყონდიდელის აქამდე უცნობი რამდენიმე ქადაგების ტექსტი მოიძია, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მანანა ბუკიამ (ბუკია, 2007). ეს ქადაგებები არ შედის 1898 წლის კრებულში.

პირველი კრებული, რომელიც საკუთრივ ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის მიზნით გამოიცა და თავს უყრის სხვადასხვა პერიოდის ქართულენოვან ორატორულ ნიმუშებს, ეკუთვნის **ნ. კანდელაკს**. მისი „*ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები*“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958 (იხ. დანართი 1)) მოიცავს როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში დაცულ 31 ქართველი ორატორის 45 მჭევრმეტყველებით ტექსტს უძველესი პერიოდიდან XIX ს.-მდე. ასევე **ნ. კანდელაკის** სხვა გამოცემებიდან „*ქართულ საელჩო მჭევრმეტყველება*“ (კანდელაკი, 1966) მოიცავს ქართული საელჩო მჭევრმეტყველების 22 წარმომადგენლის 33 ნიმუშს ძვ. წ. I ს.-დან XVIII ს.-მდე (იხ. დანართი 2). **ნ. კანდელაკს** ეკუთვნის კიდევ ერთი კრებული (კანდელაკი, 1988), სადაც თავმოყრილია მისივე **სადღესასწაულო მჭევრმეტყველების** 9 ნიმუში (იხ. დანართი 3).

რაც შეეხება მჭევრმეტყველების სხვა დარგებს, გამოცემულია **სამოსამართლო მჭევრმეტყველების** ნიმუშების რამდენიმე კრებული, მათ შორის, პირველი ასეთი კრებულია **ვ. ჟვანიას** „*ქართველი იურისტები*“ (ჟვანია, 1961), სადაც წარმოდგენილია 5 ავტორის 8 **სამოსამართლო მჭევრმეტყველების** ნიმუში – 4 სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალდებო სიტყვა და 4 სიტყვა, წარმოთქმული ლიტერატურული გასამართლებების დროს (იხ. დანართი 4). **ვ. ჟვანიას** ეკუთვნის ლიტერატურული გასამართლებების ცალკე გამოცემული კრებული (ჟვანია, 1965). შემდგომი კრებულია „*ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები*“ (დავითაია (შემდგ.), 1963) და აერთიანებს 1920-1961 წწ.-ის (ძირითადად საბჭოთა პერიოდის) ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველების 21 ნიმუშს (იხ. დანართი 5). ასევე აღსანიშნავია „*ქართული სასამართლო მჭევრმეტყველების*“ კრებული (სიდამონიძე (შემდგ.), 1974), რომელიც აერთიანებს უფრო ადრეულ, 1875-1879 წწ.-ის პერიოდის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების 9 ნიმუშს.

თანამედროვე გამოცემებიდან აღსანიშნავია **თ. ჯაგოდნიშვილისა** და სხვათა ავტორობით გამოცემული „*ქართული ორატორული ხელოვნება*“ (ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000 (იხ. დანართი 6) აერთიანებს ასევე 25 ქართველი ორატორის 29 მჭევრმეტყველებით ნიმუშს, რომელთაგან უმეტესობა სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგს განეკუთვნება. **თ. ჯაგოდნიშვილის** და სხვათა

ავტორობით არის გამოცემული ასევე „*რიტორიკა: ქრესტომათია*“ (ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, ჯაგოდნიშვილი (შემდგ.), 2018), რომელიც აერთიანებს ასევე სამოსამართლო მჭევრმეტყველების 12 ნიმუშს (იხ. დანართი 7).

რაც შეეხება **სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას**, იგი საბჭოთა პერიოდში ნაკლებად იყო შესწავლილი და თვითონ ამ დარგის ნიმუშებიც ნაკლებადაა გამოვლენილი (კენჭიაშვილი, 2019: 38). ამას მოწმობს **ნ. კანდელაკის** მიერ თავის წიგნში წარმოდგენილი სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშების სიმცირეც. მას მოყვანილი აქვს ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ძალზე ვრცელი პერიოდიდან მხოლოდ 6 ნიმუში.

საბჭოთა პერიოდში გამოიცა ასევე **სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“**, რომელიც ქართულ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას მიეკუთვნება. წიგნი პირველად დაიბეჭდა 1963 წელს და თავს უყრის სულ 46 ქადაგებას (სულხან-საბა ორბელიანი, 1963 (იხ. დანართი 10)).

მართალია, ქართული **სამქადაგებლო მჭევრმეტყველების** ისტორიის მეცნიერული კვლევა ჯერ კიდევ XIX ს.-ის შუა წლებში დაიწყო და მომდევნო საუკუნეშიც გაგრძელდა, თუმცა 70-წლიანი საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის დროს, რელიგიის აკრძალვისა და საეკლესიო და ისტორიული წყაროებისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, მჭევრმეტყველების ამ დარგის სრულფასოვან შესწავლას არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება ქართულ მეცნიერებაში. მას შემდეგ, რაც დამთავრდა საბჭოთა ბატონობის პერიოდი, მომრავლდა ისეთი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც თავისუფალია ყოველგვარი პოლიტიკური იდეოლოგიისაგან და ამ ფონზე, უკვე ახლებურად ხდება ყველა იმ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებითი ნიმუშების გამოვლენა-შეფასება, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ გამოცემებს, რომლებშიც თავმოყრილია ქართველ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა მჭევრმეტყველების ნიმუშები, მათ შორის აღსანიშნავია: „*წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი*“ (გამახარია (შემდგ.). 2006), „*ანტონ ჭყონდიდელი: დიდი მარხვის ქადაგებები*“ (ბუკია, 2007 (იხ. დანართი 9), „*მამა პავლეს (რაზიკაშვილი) ვაჟა-ფშაველას მშობელი მამის ქადაგებანი*“ (კოლხიბერული (რედ.),

2008 (იხ. დანართი 11), ასევე კრებული: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში: 2010), რომელშიც წერილებთან ერთად შესულია კირიონ II-ის (სამაგლიშვილი), ლეონიდე ოქროპირიძისა და ამბროსი ხელაიას მჭევრმეტყველების ნიმუშები (იხ. დანართი 14), კალისტრატე ცინცაძის „ქადაგებები და სიტყვები“ (ცინცაძე, 2014), რომელიც აერთიანებს სასულიერო პირის სამქადაგებლო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ნიმუშებს (იხ. დანართი, 13), ილია II-ის სამტომეული „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“ (ილია II, 1997ა; ილია II, 1997ბ; ილია II, 2008). გარდა ამისა, დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა დროს მოღვაწე საქართველოს ეკლესიის მამამთავართა (კათოლიკოს-პატრიარქთა, მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და სხვ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის, საკუთრივ კი ჩვენთვის საგულისხმო ზეპირმეტყველებითი თუ წერილობითი მემკვიდრეობის, ამსახველი სამეცნიერო ნაშრომები და სხვ.

იმისათვის, რათა გამოგვევლინა და შეგვექმნოდა საერთო წარმოდგენა, სამქადაგებლო მჭევრმეტყველების რა რაოდენობისა და მოცულობის ნიმუშებმა მოაღწია ჩვენამდე, დაგვეხმარა საცნობარო ლიტერატურა, მათ შორის ბიობიბლიოგრაფიები. მათი შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების წერილობით მემკვიდრეობაში არც თუ მცირე ადგილი უჭირავს სამქადაგებლო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველებით ნიმუშებს (კენჭიაშვილი, 2019: 38). მათ შორის, უნდა დავასახელოთ, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ის ბიო-ბიბლიოგრაფია პერიოდულ გამოცემებში (1977-2007)“ (კაჩუხაშვილი, ფურცელაძე (შემდგ.), 2013), დაბოლოს, საქართველოს ოთხი კათოლიკოს-პატრიარქის ბიბლიოგრაფიები: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძის ბიბლიოგრაფია“ (ალიბეგაშვილი (შემდგ.), 2012), „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის წმიდა ამბროსი აღმსარებლის ბიბლიოგრაფია“ (ალიბეგაშვილი (შემდგ.), 2012), „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა კირიონ მეორის ბიბლიოგრაფია“ (ალიბეგაშვილი (შემდგ.), 2014a), „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ლეონიდის (ოქროპირიძე) ბიბლიოგრაფია“

(ალიბეგაშვილი (შემდგ.), 2014b), ასევე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ბიბლიოგრაფია“ (ალიბეგაშვილი (შემდგ.) 2016), რომელიც მოიცავს საქართველოს ეკლესიის ყველა სხვა მამამთავართა ბიობიბლიოგრაფიებსაც.

ამდენად, რომ შევაფასოთ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე პროდუქტიული დარგი ქართულ მჭევრმეტყველებაში სწორედ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაა, რომელმაც, თავისი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში⁸, დაგვიტოვა ძალზე მრავალრიცხოვანი ძეგლები. ამავე დროს თითოეული მათგანი შესანიშნავი ნიმუშია სასულიერო მწერლობისა, კერძოდ კი ჰომილეტიკისა, რომელიც დღესაც აქტიურად ვითარდება.

დაბოლოს, შევხებით ქართულ პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, რომელიც შედარებით ახალი დარგია, რადგან მისი წარმოქმნა ემთხვევა ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების პერიოდის დასასრულს; პირველ ნიმუშად პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში შეგვიძლია დავასახელოთ **სოლომონ დოდაშვილის სიტყვა-მოწოდება [ქართველი ერისადმი]**, რომელიც თარიღდება 1831 წლით.

დღესდღეობით არსებობს ძალზე საინტერესო ტომეული სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით გამოიცა და მოიცავს 15 ტომს. ამათგან 1-5 ტომები ეთმობა **ზვიად გამსახურდიას** (ხოსიტაშვილი (შემდგ.), 2013ა); ხოსიტაშვილი (შემდგ.), 2013ბ); ხოსიტაშვილი (შემდგ.), 2013გ); ხოსიტაშვილი, ჯგერენაია (რედ.-შემდგ.), 2015ა); ხოსიტაშვილი, ჯგერენაია (რედ.-შემდგ.), 2015ბ), მე-6 ტომი – **აკაკი ასათიანს** (ხოსიტაშვილი, ჯგერენაია, (რედ.-შემდგ.), 2015ც), მე-7-12 ტომები – **ედუარდ შევარდნაძეს** (გაბელაია, (რედ.-შემდგ.), 2017ა); გაბელაია, (რედ.-შემდგ.), 2017ბ); გაბელაია, (რედ.-შემდგ.), 2017გ); გაბელაია, (რედ.-შემდგ.), 2017დ); გაბელაია, (რედ.-შემდგ.), 2017ე); გაბელაია, (რედ.-შემდგ.), 2017ვ), მე-13-15 ტომები – **ნოე ჟორდანიას** (ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ა; ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ბ; ჯონსი, ჯგერენაია (რედ.). (2018გ) პოლიტიკური მემკვიდრეობის ამსახველ მასალას, კერძოდ, გამოსვლის სიტყვებს, მიმართვებს და სხვ. (იხ. დანართი 15). ეს არის

⁸ შენიშვ.: თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამქადაგებლო მჭევრმეტყველება V-XVIII სს-ში ძირითადად თარგმანების სახითაა წარმოდგენილი, მხოლოდ XVIII ს.-დან გვაქვს ქართული ორიგინალური სამქადაგებლო მჭევრმეტყველება.

დღესდღეობით ყველაზე ახალი და სრული გამოცემა, რომელიც მეტ-ნაკლებად თავს უყრის ქართველი პოლიტიკოსების პოლიტიკური მჭევრმეტყველების ნიმუშებს.

ცალკე წიგნადაა გამოსული 1921 წლის 28 თებერვალს, ქუთაისში დამფუძნებელი კრების სხდომის ამსახველი მასალა (მაცაბერიძე (რედ.), 2009 (იხ. დანართი 16)), ასევე საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წწ.) (მაცაბერიძე (რედ.), 2007 (იხ. დანართი 17)).

ქართული სადღესასწაულო მჭევრმეტყველების, კერძოდ კი სანადიმო მჭევრმეტყველების ნიმუშებს უყრის თავს კრებული „წერილების ოთხკარედი“ (ჯავახიშვილი, 2001), სადაც შესულია 1878 წლის 20 ნოემბერს, თბილისში, მუხრან-ბატონის სასახლეში მოწყობილ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა-სადღეგრძელოები აჭარის საქართველოსთან შემოერთების აღსანიშნავად, მათ შორის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ზუბალაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, აკაკი წერეთლის სიტყვები. კრებულში ასევე შესულია აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძისა და სხვათა მიერ ამა თუ იმ მოვლენის აღსანიშნავად გამართულ ნადიმებზე წარმოთქმული სიტყვებიც.

ქართული აკადემიური და სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ნიმუშებს უყრის თავს კრებული „პირველი ლექცია“ (გაიპარაშვილი (შემდგ. და რედ.), 2017), მათ შორის, აკაკი ჩხენკელის, პეტრე მელიქიშვილის, იოსებ ყიფშიძის, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა და სხვათა სიტყვებს, წარმოთქმულს უნივერსიტეტის გახსნისას (იხ. დანართი 18).

რაც შეეხება პუბლიცისტიკას, ჩვენ მიერ მოპოვებული მჭევრმეტყველების ნიმუშები გამოვლინდა არაერთ გაზეთსა თუ ჟურნალში, მაგალითად, უნდა დავასახელოთ: „ივერია“, „კვალი“, „ერთობა“, „დროება“, „თეატრი“, „თემი“, „შინაური საქმეები“, „ჩვენი გზა“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“, „კოლმეურნის ხმა“, „ხმა ქართველი ქალისა“, „სახალხო განათლება“, „საპატრიარქოს უწყებანი“, „ადდგომა“, „დილის გაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“, „ქართული აზრი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „რესპუბლიკა“, „ახალი საქართველო“, „24 საათი“, „მომხე“, „ცისკარი“, „მწყემსი“, „მნათობი“, „ნაკადული“, „ქართლოსი“, „ბედი ქართლისა“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „თეატრი და ცხოვრება“;

„განათლება“, „ჯვარი ვაზისა“, „არჩევანი“, „Заря Востока“, „Литературная Грузия“, „Civicus“ და ა.შ.

ასევე ვისარგებლეთ უკვე არსებული ელექტრონული რესურსებით:

1) „**მართლმადიდებლური ვებგვერდი**“: შეიცავს ქართველი სასულიერო პირების სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, აკადემიური და სხვ. დარგისა და სიტყვის, მოძღვრებისა და სხვ. ჟანრის ნიმუშებს (მართლმადიდებლური ვებგვერდი, 2020);

2) „**საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი**“: შეიცავს საქართველოს პრეზიდენტების (ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის) პოლიტიკური, სადღესასწაულო და სხვ. მჭევრმეტყველების დარგის სიტყვისა და მოხსენების ჟანრის ნიმუშებს (საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2020).

ელექტრონულ რესურსებში მოპოვებული ნიმუშები გაცილებით მცირე რაოდენობისაა, ვიდრე უშუალოდ ბეჭდური გამოცემებიდან გაციფრებული ნიმუშები.

2.3. ქართული მჭევრმეტყველების დარგები

ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივი მახასიათებლების შერჩევისას დავეყრდენით **ნ. კანდელაკის** მიერ წარმოდგენილ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც, ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა 6 ძირითადი დარგი: **სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო** დარგები (კანდელაკი, 1968: 97) (იხ. სქემა 1). თუმცა გარდა ამ ძირითადი დარგებისა, ასევე გამოიყოფა ქვედარგები და განშტოებები. აუცილებელია გავითვალისწინოთ ასევე ახალი დროის ვითარება და უნდა აღინიშნოს ორი დარგი: **პოლიტიკური და აკადემიური მჭევრმეტყველება**.

უნდა ითქვას, რომ მჭევრმეტყველების დარგები განიცდიან ცვლილებებს, რაზეც მიუთითებს **ნ. კანდელაკი**, როდესაც წერს:

უახლესი მჭევრმეტყველების წიაღში წარმოიშვა და განვითარდა ჩვენში ორატორული ხელოვნების ახალი შინაარსობრივი დარგები და ჟანრობრივი სახეები; ზოგიერთი ძველი ჟანრი შეიცვალა და ახალი შინაარსის ფორმად გადაიქცა. ასე, მაგალითად, ჩისახა და დიდი სისწრაფით განვითარდა საპროპაგანდო და სააგიტაციო შინაარსის მჭევრმეტყველება; წარმოიქმნა საუბრის, კონსულტაციის, კითხვა-პასუხის, ზეპირი ჟურნალის, თემატური სადამოსა და სხვა ჟანრობრივი სახეები; ხოლო განახლდა ლექციის, მოხსენების, რეფერატის, დისკუსიისა და დისკუტის ჟანრები. (კანდელაკი, 1968: 94).

მჭევრმეტყველების დარგის ისტორიული ცვლილების საუკეთესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს **სადარბაზო და პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგები**; **ც. ბარბაქაძის** აზრით, თუ ძველი ქართული მჭევრმეტყველების პერიოდში პოლიტიკური ხასიათის მჭევრმეტყველებას ეწოდებოდა **სადარბაზო მჭევრმეტყველება**, დღეს „**პოლიტიკური მჭევრმეტყველების აღორძინება-აყვავება ყველგან დემოკრატიულ წყობილებას უკავშირდება.**“ (ბარბაქაძე, 2003ა: 168). უფრო ვრცლად ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თითოეული დარგის განსაზღვრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის მკვეთრი საზღვრები არ შეინიშნება. ამიტომ ხშირად ერთი და იგივე ორატორული ქმნილება რამდენიმე შინაარსობრივ დარგს მიეკუთვნება. ამას განაპირობებს ტექსტუალურ-იდეური მოტივების სხვაობა და მრავალფეროვნება. შედეგად კი ვერ ხერხდება ერთი ორატორული ქმნილების ცალსახა დარგობრივი კლასიფიკაცია და მას რამდენიმე ორატორულ დარგს მიაკუთვნებენ ხოლმე. მაგალითად, **გიორგი მთაწმინდელი** თავისი სიტყვით ერთდროულად არის **საპაექრო** (სამქადაგებლოს გარშტოება) და **საელჩო** (სადარბაზოს განშტოება) ქვედარგების წარმომადგენელი; **არსენ ბერს** ეკუთვნის **სახოტბო** (სამქადაგებლოს ქვედარგი) მჭევრმეტყველების ნიმუში – „*მეფესა დავითს – მონაზონი არსენი*“, რომელიც ამავე დროს, **სადღესასწაულო მჭევრმეტყველების** დარგსაც მიესადაგება (კანდელაკი 1975: 156.); სამქადაგებლო დარგის ნიმუშია **ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლის** „*ქადაგება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა მოსახსენებელ პანაშვიდზე*“, რომელიც **სამგლოვიარო** დარგთან სიახლოვესაც ავლენს; ასევე **მიხეილ წერეთლის** [მოხსენება, წაკითხული ბერლინში ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე, 1940] (შარაძე, 1991: 318-339), აკადემიურის გარდა, **სამგლოვიარო მჭევრმეტყველებასაც** განეკუთვნება.

ჩვენი დაკვირვებით, რომელიმე კონკრეტული დარგის მჭევრმეტყველების ნიმუშები ერთმანეთისგან გაცილებით უფრო მეტ განსხვავებას ავლენენ, ვიდრე მსგავსებას. ამის მიზეზი ისიცაა, რომ გასათვალისწინებელია ძველის დაწერის ეპოქა, აუდიტორია, მოტივი, კონტექსტი (ეროვნული, რელიგიური, პოლიტიკური, სამოსამართლო) და სხვ. ყოველივე ამის საფუძველზე გამოიყოფა საჯარო მჭევრმეტყველების სხვადასხვა დარგი, ქვედარგი, თუ განშტოება. გარდა ამისა, ჩვენ ვეთანხმებით აზრს, რომ *„განსხვავება მომდინარეობს აღნიშნულ ტექსტთა არაერთგვაროვანი მიზნიდან და ფუნქციიდან“* (ბარბაქაძე, 2003ა: 6).

რიტორიკის ფუნქცია და დანიშნულება ეპოქების მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო. თავდაპირველად, ორატორული ხელოვნების მიზანს წარმოადგენდა მსმენელზე ძლიერი, იდეური, მორალური, ფსიქიკური ზემოქმედების მოხდენა ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, ფაქტის დადებითად ან უარყოფითად შესაფასებლად, მსჯელობის ობიექტისადმი სიმპათიის ან ანტიპათიის შესაქმნელად, აღფრთოვანების ან სინანულის გამოსაწვევად, აფექტების აღსაძვრელად (არისტოტელე) და სხვ. **არისტოტელე** განმარტავს, რომ *„მჭევრმეტყველების მეთოდი დარწმუნების მეთოდი“* (არისტოტელე, 1981: 1355a). მართლაც, რიტორიკული ტექსტები გამოირჩევა თავისი მკვეთრად გამოხატული მიზანდასახულობით. ამ მხრივ, გამოყოფენ რიტორიკის ოთხ მიზანს: **დარწმუნებას, ინფორმირებას, გამოხატვას, გართობას** (To Persuade, To Inform, To Express, To Entertain) (მაკგიგანი, 2011: 9-10). გადავავლოთ თვალი და ვნახოთ, თუ რა და რა მიზანს ისახავს ქართული მჭევრმეტყველების ესა თუ ის ნიმუშები. ამ მხრივ, გამოიყოფა მიზანი წინადადების დონეზე და მიზანი მთელი ტექსტის დონეზე. განვიხილოთ, თუ რა და რა მიზნებია წარმოდგენილი ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების ბოლო წინადადებებში. ამ მხრივ, შეინიშნება დარგების მიხედვით საჯარო გამოსვლების მიზანთა თემატიკის გადანაწილება შემდეგი სახით: **სამქადაგებლო დარგის** ნიმუშები ხშირად მთავრდება **დამოძღვრით / დარიგებით, სადღესასწაულო – იმედით, დალოცვით, სამგლოვიარო – გარდაცვლილისადმი გამომშვიდობებით, მისი პიროვნების დადებითად (გამონაკლის შემთხვევაში უარყოფითად) წარმოჩენით, სადარბაზო – გადაწყვეტილების მიღებით / გამოცხადებით, სამხედრო – მოწოდებით,**

სამოსამართლო – მუქართ / დამნაშავის დასჯის სურვილით, პოლიტიკური – მადლობის გადახდით, აკადემიური – კეთილი სურვილების გამოთქმით და ა.შ.

დამოდღვრა / დარიგება:

(3) „აჰა, რა სახიერი და კეთილის-მოქმედი არის ჩვენთვის ეკლესია, გარნა, თუ გსურს, ესე ყოველი მიიღო მისგან, იყავ ერთგულ და მორჩილ მისი. – ამინ.“ (წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), მოძღვრება თქმული სოფელს ბანოჯას ეკლესიის კურთხევაზედ ჩეობ-სა წელსა).

მოწოდება:

(4) „დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათჳს და ძმათა ჩუენტათჳს, უეჭველად ღმერთი მოგუანიჭებს ცხოვრებასა“ (ბექა ჯაყელი, სიტყვა, თქმული ერისმთავართა და მხედრობის მიმართ).

კეთილი სურვილები:

(5) „ყოვლად ძლიერო ღმერთო და ყოველისა სიბრძნით განმგებელო დაიცევ სიმრთელით წელთა სიგრძესა შინა შენ მიერ მინიჭებული და შენ მიერ დიდებული მეფე ჩვენი ირაკლი“ (გაიოზ რექტორი, თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, 1783, 28 მაისი).

იმედი:

(6) „უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართულ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლათ შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას“ (აკაკი ჩხენკელი, სიტყვა, თქმული ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, 1918).

გადაწყვეტილების მიღება / გამოცხადება:

(7) „აწ მნებავს, რათა წარვიდე ყანს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა“ (დემეტრე თავდადებული, სიტყვა, თქმული დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე, 1289).

მადლობის გადახდა:

(8) „ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა.“ (ექვთიმე თაყაიშვილი, მიმართვა ქართველი ემიგრაციისადმი, 1936, 25 ნოემბერი).

მუქარა / დამნაშავის დასჯის სურვილი:

(9) „მადლიერი ქართველი ერი სასტიკ პასუხს აგებინებს მას, ვინც ფიზიკურად მოუსპო ჩვენს ქვეყანას თავისი საამაყო შვილი!..“ (ალექსანდრე ჩიქვანაია, საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე, 1942, 5 იანვარი).

გარდაცვლილთან გამომშვიდობება:

(10) „მშვიდობით, ჩვენო ენის კანონმდებელო, დიდო მამულისშვილო!“ (იონა მეუნარგია, სიტყვა წარმოთქმული ილიას დასაფლავებაზე, 1907, 7 სექტემბერი).

გარდაცვლილის დადებითად წარმოჩენა, იშვიათ შემთხვევაში უარყოფითად:

(11) „იყო დიდი შეძლების პატრონი, დიდი ქონების, დიდი სახელიც ჰქონდა, მისი უბედურება ერთი ის იყო, რომ მას თავის ქვეყნის და ერის წინაშე კი მცირედ ეჭირა თვალი. ქართველთ გაჭირვებას არ აქცევდა ყურადღებას. მაშ ვინატრებ, რომ ღმერთმა ამას ცხოვნება დაუმკვიდროს, სასუფეველი მღვთისა და სხვა მის მსგავსთ კაცთა ამოროს ასეთ გულგრილობა საქართველოს და ქართველის ერის წინაშე“ (ეპისკოპოსი ალექსანდრე, სიტყვა ლევან მელიქიშვილის დასაფლავებაზე, 1892, 25 თებერვალი).

ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითები რომ განვაზოგადოთ, დავინახავთ, რომ დარგების მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშებს აუცილებლად გააჩნიათ შემდეგი განსხვავებული მიზნები:

- 1) **სამქადაგებლო მჭევრმეტყველება:** მსმენელისადმი კეთილი სურვილების გამოთქმა: დარიგება, დამოდვრა, სწავლება და ა.შ. განამტკიცონ მსმენელი (მრევლი) რწმენაში.
- 2) **სადღესასწაულო მჭევრმეტყველება:** მსმენელისადმი კეთილი სურვილების გამოთქმა: მილოცვა, დალოცვა, დაიმედება, ხოტბის შესხმა ცნობილი სასულიერო თუ საერო მოღვაწეებისთვის და ა.შ.
- 3) **სამგლოვიარო მჭევრმეტყველებ:** გარდაცვლილისადმი გამომშვიდობება, მისი პიროვნების დადებითად (გამონაკლის შემთხვევაში უარყოფითად) წარმოჩენა და ა.შ.

- 4) სადარბაზო / პოლიტიკური მჭევრმეტყველება⁹: გადაწყვეტილების მიღება / გამოცხადება და ა.შ.
- 5) სამხედრო მჭევრმეტყველება: გამხმევა, შეგულიანება, მოწოდება, ბრძოლის ჟინის გაღვიძება, პატრიოტული გრძნობის ამაღლება და ა.შ.
- 6) სამოსამართლო მჭევრმეტყველება: დაარწმუნონ მოკამათე მხარე კონკრეტულ მოსაზრებაში სანდო ფაქტობრივი მასალის მოხმობით, გამოთქვან მუქარა / გამოხატონ დამნაშავეს დასჯის სურვილი / ამხილონ დამნაშავე და ა.შ.

გარდა ზემოჩამოთვლილი საერთო თუ კონკრეტული მიზნებისა, მჭევრმეტყველების ნიმუშები ასევე უნდა გავიხილოთ როგორც ენობრივი საშუალებების (ე.წ. სტილისტური ხერხების / კატეგორიების) მეტად მიზანმიმართული შერჩევის შედეგი. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სტილისტური ხერხი, „ეს არის განზოგადებული სტატუსის მქონე მოდელი, რომელიც წარმოიქმნება ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის (ნეიტრალურის ან ექსტრემის) ტიპობრივ-სტრუქტურული და / ან სემანტიკური თვისების გაცნობიერებული და მიზანმიმართული გაძლიერების შედეგად“ (გალპერინი, 1981: 30). ენის ნებისმიერი გამოყენება, მიუხედავად დროის, ადგილისა და სიტუაციისა, მოითხოვს ლინგვისტური არჩევანის გაკეთების უწყვეტ პროცესს, როგორც გაცნობიერებულს, ისე გაუცნობიერებელს, ენის შინაგანი (ანუ სტრუქტურული) ან/და ენის გარეგანი მიზეზებით განპირობებულს. არჩევანი კეთდება ნებისმიერ ენობრივ დონეზე, იქნება ეს ფონეტიკური / ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური და სემანტიკური. თითოეულ დონეზე ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს მრავალფეროვანი შიდა ვარიანტულობით, ან შეიცავდეს რეგიონალურ, სოციალურ ან ფუნქციურად განაწილებულ ვარიანტებს. ამიტომ, ენის გამოყენების თეორიული გააზრებისას უნდა შეგვეძლოს ამ „არჩევანის გაკეთების“ მექანიზმის ახსნა (ვერშურენი, 1999: 55-56). ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების აბსოლუტურ უმეტესობას ვთვლით გამიზნულ და შესაბამისად, დაგეგმილ ტექსტად, ორატორის საჯარო გამოსვლის უდიდესი ნაწილი გაცნობიერებული პროცესია.

ზოგადად, ადამიანი მაშინ იწყებს მეტყველებას, როდესაც სათქმელი უჩნდება

⁹ შენიშვ.: სადარბაზო და პოლიტიკური მჭევრმეტყველების შესახებ იხ. ქვეთავები: 2.5.2. სადარბაზო მჭევრმეტყველება და 2.5.3. პოლიტიკური მჭევრმეტყველება.

და ამ სათქმელის შესაბამისად მეტყველებს, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მეტყველება ყოველთვის მოტივირებული და მიზანმიმართულია. ეს მით უფრო ითქმის მჭევრმეტყველების შესახებ. „ჭკვიანურად წარმოთქმული, საქმიანი სიტყვა, ხალხზე ზემოქმედების უმთავრესი საშუალებაა, ყველა შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება მოწოდებას ომისკენ, მშვიდობისკენ, სოციალური ურთიერთობების სრულყოფისაკენ, შრომისაკენ, სწავლისა და ოჯახური ცხოვრებისაკენ“ (ფორჩხიძე, 2018: 3-4). აუცილებელია აღინიშნოს, რომ „სამეტყველო აქტში შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე განსაკუთრებული, საერთო მიზნები, ასევე მოიპოვება მეორეხარისხოვანი მიზნებიც, რომლებიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მთავარ მიზანს. ორატორული საქმიანობის დანიშნულებაში შედის, აღნიშნული დაქვემდებარების იერარქიის აგება“ (ფორჩხიძე, 2018: 18). მჭევრმეტყველების სწორედ ასეთ ზოგად მიზნებად მოიაზრება მსმენელთა მსოფლმხედველობაზე და მათ ქმედებებზე ზემოქმედება. რიტორიკული ტექსტების ფუნქცია ყველგან მიემართება ერთ მიზანს: გავლენა მოახდინოს მსმენელზე / მკითხველზე და იმოქმედოს როგორც მის მსოფლმხედველობაზე, ასევე ასახვა ჰპოვოს შემდგომ ქმედებებზეც. ამდენად, რიტორიკა მიუხედავად იმისა, თუ რას ან ვის ემსახურება, ან რომელ ეპოქას მიეკუთვნება, ანდა მჭევრმეტყველების რომელ დარგთან და ჟანრთან გვაქვს საქმე, თავის თავდაპირველ დანიშნულებას მაინც ამართლებს და კვლავ ძალაში რჩება კლასიკური განმარტება, რომლის მიხედვითაც, მჭევრმეტყველება დარწმუნების ხელოვნებაა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დიდია ორატორის სიტყვის ზეგავლენა მსმენელზე, გთავაზობთ საჯარო გამოსვლის შემდგომი შთაბეჭდილებების ამსახველ რამდენიმე წყაროს.

ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნის „ხალხური პოეზიის“ შესავალში ელენე ვირსალაძე წერს:

(12) „ვინც დასწრებია 1927 წლის ოქტომბერში ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალ ლექციას, რომლითაც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფოლკლორის კურსი დაიწყო, მას მუდამ ემახსოვრება მგზნებარე ტემპერამენტით, ფართე ერუდიციით და მაღალი პოეტური გემოვნებით აღბეჭდილი მისი სიტყვა, რომელმაც სწრაფად

დაიპყრო და დაიმორჩილა მრავალრიცხოვანი და მაღალკვალიფიციური აუდიტორია. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი (მაშინ №1) აუდიტორია გაჭედული იყო ხალხით. ლექციას ესწრებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც უნივერსიტეტისათვის ახალი, ნიჭიერი ძალის შემატებას ხარობდა.“ (კოტეტიშვილი, 1961: 13).

მიხეილ წერეთლის [მოხსენება, წაკითხული ბერლინში ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე, 1940 წელს] (შარაძე, 1991: 318-339), სხდომის თავმჯდომარემ, სანდრო ახმეტელმა ასეთი სიტყვებით შეაფასა, როდესაც მისი გამოსვლა მოისმინა:

(13) „ამდენი ხანია გადმოხვეწილობაში ვიმყოფები და რაც დღეს განვიცადე, ასეთი რამ არ განმიცდიაო“ (შარაძე, 1991: 318).

ორატორის სიტყვის ზეგავლენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ივანე ჯავახიშვილი და მოჰყავს ასეთი მაგალითი:

(14) „ამ დიდმნიშვნელოვანი ციხის [ლორის ციხე] წინააღმდეგ გალაშქრებაში სიტყვით და ჩაგონებით მხურვალე მონაწილეობა კათალიკოზ თეოდორეს მიუღია. მას თურმე „ლაშქართა მიმცნებითა“ და დარიგებით მეზრძოლთა სულიერი განწყობილება განუმტკიცებია. [...] კათალიკოზ თეოდორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თვითონ დაუჭერია.“ (ჯავახიშვილი, 1982: 257-258).

თ. ჟორდანიას სამქადაგებლო მჭევრმეტყველების მიზანს შემდეგნაირად აყალიბებს:

(15) „საქადაგებლად აღებულს საღვთისმეტყველო აზრს მქადაგებელი უხსნის მსმენელს ყოველ მხრით; ორატორს მუდამ სახეში ჰყავს წინ მდგომი მსმენელი, წამ და უწყუმ მიმართავს მას კითხვებით; ამ კითხვებზე პასუხს აძლევინებს მას და იქვე თვალწინ ურღვევს ყოველ გვარს ცრუსა და საეჭვო აზრებს, ამასთან ორატორი მსმენელსაც კითხვებს აძლევინებს

მქადაგებლისადმი ყოველს შემთხვევაში, სადაც კი შეიძლება რაიმე საეჭვო და საჭოჭმანო და გამოურკვეველი დარჩეს; მსმენელი ეკამათება მქადაგებელს, ებრძვის მას უკანასკნელს შეძლებამდე და დასასრულს სრულიად ერღვევა ყველა ეჭვები და მთლად ემონება მქადაგებლის აზრთა სიღრმეს და სიცხადეს.“ (ჭყონია (რედ.), 1898: I).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი დროის ქართული პოლიტიკური მჭევრმეტყველების სტენოგრაფიულად ჩაწერილი არაერთი ნიმუში ასახავს მსმენელთა რეაქციებს (თუმცა არა ყოველთვის დადებითს, არამედ უარყოფითსაც): შემახილს და, რაც მთავარია, „მქუხარე ტაშს“. გთავაზოვთ აუდიტორიის რეაქციების ამსახველ მასალას, რომელიც წარმოგენილია წინადადებების ბოლოში:

(16) „მაგრამ, ეს დელეგაცია სულ სხვა ელფერისა იყო, ეს დელეგაცია თავისი რიხით, თავისი მკვახე სიტყვებით მოგაგონებდათ იმ დელეგაციებს, რომელთაც ჩვენ ეშელონები გვიგზავნიდნენ აღმასრულებელ კომიტეტში. მაგრამ, მე მგონია, მათ ერთობ ნახტომი შეეშალათ (მხურვალე ტაშში, ვაშა!). მათ კარგად იციან, რომ ჩვენ უფრო მრავალრიცხოვანი დელეგაციები და ეშელონები ადვილად ჩავატარეთ და უფრო ადვილია „ჰორიზონის“ დელეგაციის და მათი ეშელონების გასტუმრება (სპ. კედია: ჭეშმარიტებაა!).“ (ნოე ჟორდანიას, სიტყვა, წარმოთქმული პარლამენტის სხდომაზე ნოემბრის 9-ში).

ჩვენ მიერ საკვლევი ტექსტების შერჩევისას, აქცენტი გაკეთდა მჭევრმეტყველების მხოლოდ ძირითად დარგებზე. ესენია შემდეგი შვიდი დარგი: სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება. საკვლევი ტექსტები აუცილებლად განეკუთვნება ქართული მჭევრმეტყველების აღნიშნულ ძირითად დარგებს.

2.3.1. სამქადაგებლო მჭევრმეტყველება

სამქადაგებლო მჭევრმეტყველება, იგივე ჰომილეტიკა, სასულიერო მწერლობის სხვა დარგებთან შედარებით გაცილებით უფრო ძველია და მჭევრმეტყველების ანტიკურ, ქრისტიანობამდელ ტრადიციას ეფუძვნება.

ჰომილეტიკა (ბერძნულად – საუბრის ხელოვნება) წარმოადგენს როგორც სასულიერო მწერლობის, ისე მჭევრმეტყველების დარგს. სიტყვა „ჰომილეტიკა“ წარმოდგება ძველბერძნული სიტყვებიდან: „ჰომილეთეს“ – მოსაუბრე, მსმენელი მოწაფე და „ჰომილეო“ – ვსაუბრობ, ვასწავლი. ამდენად, ჰომილია საჯაროდ წარმოთქმული ზეპირი მეტყველებაა, რომელიც თავისთავად სასულიერო შინაარსის ქადაგებას, მოძღვრებას ან სწავლას წარმოადგენს, ხოლო ჰომილეტიკა – სამქადაგებლო მჭევრმეტყველების თეორია და პრაქტიკა.

ქრისტიანობამ ახალი შინაარსი შესძინა სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, ხოლო ფორმის თვალსაზრისით, დაემყარა ანტიკური რიტორიკის თეორიას. ქრისტიანულმა სამქადაგებლო მჭევრმეტყველებამ მიზნად დაისახა ღვთის სიტყვის ქადაგება, მოძღვრება, სწავლა, განმარტება და შექმნა არაერთი ჟანრობრივი სახესხვაობა. მქადაგებლები ქრისტიანულ რწმენას სიტყვით ემსახურებოდნენ, ადამიანის სიტყვის გადაქცევა ღვთის სიტყვად მხოლოდ ეკლესიის შუამავლობით ხდებოდა.

სამქადაგებლო მჭევრმეტყველება უპირატესად გამოიყენება სალოცავებში, ეკლესია-მონასტრებში, საკულტო ნაგებობებთან თუ მოედნებზე.

2.3.2. სადღესასწაულო მჭევრმეტყველება

სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას ცალკე გამოყოფს ნ. კანდელაკი, ხოლო ვ. კაჭახიძე – არა, თუმცა ასახელებს საზეიმო მჭევრმეტყველებას, რომელიც, როგორც განმარტებიდან ირკვევა, აერთიანებს, სადღესასწაულო და სასუფრო მჭევრმეტყველებას (კაჭახიძე, 1997: 193). ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუ დავეყრდნობით ნ. კანდელაკის კლასიფიკაციას და აღნიშნულ დარგს მოვიხსენიებთ სადღესასწაულო მჭევრმეტყველების სახელწოდებით.

სადღესასწაულო მჭევრმეტყველება გამოიყენება აღლუმის, ლხინის და მრავალი სხვა სასიხარულო მოვლენის დროს. სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ემოციურობა არ არის დამოკიდებული მსმენელთა რიცხვზე. მსმენელი შეიძლება რამდენიმე იყოს ან ზღვა ხალხი. ყველა შემთხვევაში ემოცია დიდია (კაჭახიძე, 1997: 193).

სადღესასწაულო მჭევრმეტყველება მოიცავს როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ორატორულ ძეგლებს. მათ შორის ადრინდელ, პირველი პერიოდის მჭევრმეტყველებას მიეკუთვნება ჰიმნებისა და ქების ჟანრები, ხოლო მეორე შედარებით გვიანდელ პერიოდს, რომელიც დღემდე ვითარდება – ქებისა და სიტყვის ჟანრები. თავდაპირველი სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ნიმუშები უმთავრესად მარტვილებსა და მორწმუნეებს მიემართებოდა, შემდეგ – მეფეებსა და მხედართმთავრებს, ხოლო დასასრულს – საზოგადო მოღვაწეებსა და ეროვნულ გმირებს.

2.3.3. სამგლოვიარო მჭევრმეტყველება

სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას ახასიათებს უარყოფითი განცდა. ორატორი მწუხარე ფორმით, მინორული ტონით აღწერს გარდაცვლილის განვლილ ცხოვრებას და ქებას ასხამს იმას, რაც სხვებითვის მისაბამი მაგალითი ხდება. ახასიათებს მონოტონური მეტყველება, სევდიანი კილო, მწუხარების გამოხატვა და ა.შ. (კაჭახიძე, 1997: 196).

სამგლოვიარო მჭევრმეტყველება ეხება ისეთ თემებს, როგორცაა საშინაო და საგარეო ომები, ბრძოლის ეპიზოდები, თავდადებული გმირები, აღმშენებლობა და სხვ. არსებობს ქართული **სამგლოვიარო მჭევრმეტყველების** მრავალი ნიმუში შუა საუკუნეებიდან დღემდე. სამგლოვიარო დარგს გააჩნია ეპისტოლარული განშტოება, რომლის ჟანრია სამძიმრის წერილი, რომელიც უხვად გვხვდება აღორძინების ხანისა და გარდამავალი პერიოდის ხელნაწერებში, ზოგიერთი მათგანი დაცულია ბეჭდურ გამოცემებში.

2.3.4. სამხედრო მჭევრმეტყველება

სამხედრო მჭევრმეტყველებას აქვს დიდი ძალა და დიდად განაპირობებს და უწყობს ხელს, ბრძოლის / ომის გამარჯვებით დასრულებას.

სამხედრო მჭევრმეტყველების ადრესატი ყველაზე მრავალრიცხოვანია სხვა დარგებში მიმართვის ობიექტებთან შედარებით, რასაც განაპირობებს მსმენელთა

(ძირითადად ლაშქრის) სიმრავლე.¹⁰ „სამხედრო ორატორის სიტყვა მიმართულია ქვეყნის, ერის, თავისუფლების, სამშობლოს, მსოფლმხედველობის, მშვიდობის დასაცავად. დაპყრობით, აგრესიულ, სეპარატისტულ ომს არ გააჩნია კაცთმოყვარული, ჰუმანური იდეა, ამიტომ მჭევრმეტყველების გარეშე დგას“ (კაჭახიძე, 1997: 167).

სამხედრო მჭევრმეტყველების წარმომადგენლები არიან მეფეები, მხედართმთავრები, მეთაურები, მეზრძოლები, ეპისკოპოსები და ნებისმიერი სხვა პირი, არიან არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალებიც, მაგალითად, **თამარ მეფის** სიტყვა მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ და **ნინო ორბელიანის** სიტყვა, თქმული ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის მიმართ.

სამხედრო მჭევრმეტყველების სიტყვა მჭევრმეტყველების დარგების სხვა სიტყვებთან შედარებით ბევრ შემთხვევაში – განსაკუთრებით ბრძოლის წინ – მოკლედ, შეკუმშულად გამოითქმის, ზოგჯერ – ერთი ფრაზითაც, რისი მიზეზიც ომის წარმოების გარდაუვალობა ხდება (კაჭახიძე, 1997: 167). სამხედრო მჭევრმეტყველების სიტყვა მშვიდობიან პირობებში არაა დროის თვალსაზრისით შეზღუდული. ორატორი სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ გეგმას გამოხატავს მისთვის სასურველი სტილითა და ხანგრძლივობით. ომის პირობებში კი სამხედრო ორატორის სიტყვა დროის სიმცირით არის შეზღუდული. ამიტომ სიტყვა სქემატურ სახეს იღებს, უკიდურესად შემჭიდროებულსა და შეკუმშულს, როგორც სტრატეგიული გეგმის, ასევე ტაქტიკური ნახაზის წარმოდგენის დროს (კაჭახიძე, 1997: 167).

2.3.5. სამოსამართლო მჭევრმეტყველება

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული დარგი მოიხსენიება როგორც „სამოსამართლო მჭევრმეტყველება“ (კანდელაკი, 1961; კანდელაკი, 1968; კანდელაკი, 1975) და „სასამართლო მჭევრმეტყველება“ (სიდამონიძე (შემდ.), 1974; კაჭახიძე, 1997).

¹⁰ შდრ.: მსმენელთა სიმრავლე სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშებსაც არ აკლია.

ნ. კანდელაკის განმარტებით, ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველება იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი ბერძნულ-რომაული გავლენის კვალს ატარებს, და უფრო ადრინდელია, ხოლო მეორე ორიგინალური შემოქმედებით ხასიათდება, და შედარებით გვიანდელია. ეს უკანასკნელი თავისი წარმოქმნის დროით ემთხვევა ხსენებული გავლენის დასასრულსა და შემდეგ საკუთარი გზით განაგრძობს განვითარებას (1968: 177).

ქართული ორიგინალური სამოსამართლო მჭევრმეტყველების სათავეები დამოწმებულია ადრინდელ აგიოგრაფიულ და ისტორიულ ძეგლებში. აქ წარმოდგენილი მეტად მწირი მასალის საფუძველზე, გამოთქმულია ვარაუდი, საქართველოში სამართლის წარმოების ზოგიერთი მხარის, კერძოდ, ზეპირი სიტყვის ადგილის შესახებ მართლმსაჯულების საქმეში. თუმცა სამოსამართლო მჭევრმეტყველების შესწავლას ართულებს ამ დარგის ნიმუშების ნაკლებობა (კანდელაკი, 1968: 180).

2.3.6. სადარბაზო მჭევრმეტყველება

სადარბაზო მჭევრმეტყველების შესახებ ნ. კანდელაკი წერს: „XIX საუკუნის ზეპირი მეტყველების ისტორია დამოუკიდებელი სახით არ იცნობს სადარბაზო მჭევრმეტყველებას. ახალი კულტურის სარბიელზე ის უთავსდება სადღესასწაულო და სამგლოვიარო ორატორულ ხელოვნებას, რომელთა მეშვეობით გამოხატავდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი თავიანთ პოლიტიკურ იდეალებს“ (კანდელაკი, 1968: 151). განსხვავებული აზრისაა ვ. კაჭახიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, სადარბაზო მჭევრმეტყველებად წოდებულ საორატორო ხელოვნებას პოლიტიკური მჭევრმეტყველება ეწოდება (კაჭახიძე, 1980: 154) და ერთადაც მოიხსენიებს მას, როგორც სადარბაზო-პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას. თ. ჯაგოდნიშვილი „პოლიტიკური მჭევრმეტყველების“ გვერდით მოიხსენიებს ე.წ. „საპარლამენტო მჭევრმეტყველებასაც“ (ჯაგოდნიშვილი, 1999: 10). ასევე გვხვდება „სადარბაზო (დიპლომატიური) მჭევრმეტყველება“ (ჯაგოდნიშვილი და სხვ., 2018: 23). ც. ბარბაქაძე ასახელებს ე.წ. „ხალხური საპოლიტიკო მჭევრმეტყველებას“ და

განმარტავს, რომ ადორმინების ხანის უკანასკნელ პერიოდში, როცა გახშირდა დიპლომატიური ურთიერთობა როგორც საქართველოს სამეფო-სამთავროებში, ისე გარეშე სამეფოებთან, განვითარდა საელჩო მჭევრმეტყველება. XIX საუკუნის მჭევრმეტყველების ისტორია დამოუკიდებელი სახით არ იცნობს სადარბაზო მჭევრმეტყველებას, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საუკუნეში წარმოიშვა და განვითარდა ხალხური საპოლიტიკო მჭევრმეტყველება, რომლის წარმომადგენლადაც ასახელებს 1857 წლის აჯანყების მეთაურს უტუ მიქავას (ბარბაქაძე, 2003ა: 171).

ჩვენი აზრით, მართებული იქნება თუ სადარბაზო და პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას სინონიმებად მივიჩნევთ, თუმცა ქრონოლოგიურად პირველი მეორეს უსწრებს წინ. ამის საფუძვლად მიგვაჩნია ის, რომ როგორც სადარბაზო მჭევრმეტყველება ძველად, ისე პოლიტიკური მჭევრმეტყველება დღევანდელ დღეს, საერთო მიზნებს ემსახურებიან: საგარეო და საშინაო ურთიერთობების მოწესრიგებას. ასევე საერთო აქვთ გამოყენების სფეროც: სათათბიროები, სამხედრო და სამოქალაქო საბჭოები და სხვა ადგილები. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ძველად სადარბაზო მჭევრმეტყველება მთლიანად უკავშირდებოდა ე.წ. დარბაზის არსებობას. აღნიშნულია, რომ ქართველ მეფეთა კარის სათათბირო დანიშნულების სახელმწიფო ორგანო – დარბაზი ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ საერო და სასულიერო მოღვაწენი. მათ დარბაზის ერი ერქვათ და მეფის მეთაურობით სახელმწიფოს მნიშვნელოვან პრობლემებს წყვეტდა. საისტორიო წყაროეში არაერთი ცნობაა დაცული დარბაზში წარმოთქმულ სიტყვათა შესახებ, წარმოდგენილია სხდომათა ჩანაწერები (ჯაგოდნიშვილი, 1999: 36-37).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინი „სადარბაზო მჭევრმეტყველება“ მივუსადაგოთ ძველი ქართული მჭევრმეტყველების პერიოდს, ხოლო „პოლიტიკური მჭევრმეტყველება“ – ახალი ქართული მჭევრმეტყველების პერიოდს.

2.3.7. პოლიტიკური მჭევრმეტყველება

პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას მიეკუთვნება მოხსენება სოციალურ-პოლიტიკურ თემაზე, საანგარიშო მოხსენება, სხდომებზე წარმოთქმული სიტყვები, პოლიტიკური მიმოხილვა, საპროგრამო სიტყვა, სააგიტაციო სიტყვა, პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები, მემურანდუმზე წარმოთქმული / გაგზავნილი სიტყვა, წინასაარჩევნო მიმართვა და ა.შ.

პოლიტიკური მჭევრმეტყველების დამახასიათებელი ნიშანია პროგრამულობა, ე.ი. სახელმწიფოს ხელმძღვანელის, პოლიტიკური პარტიის ლიდერის სიტყვა მათივე მოღვაწეობის შესახებ. თანამედროვე პოლიტიკურ მჭევრმეტყველებად მიიჩნევა სახელმწიფოს, პარტიისა და პოლიტიკური ჯგუფების ლიდერთა სიტყვები (კაჭახიძე, 1980: 134). პოლიტიკური მჭევრმეტყველების ნიმუშის ავტორი შეიძლება იყოს როგორც კონკრეტული ორატორი, ისე კოლექტივი – ფრაქცია, პარტია, მთავრობა და ა.შ. მაგალითად, ქართულ პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში ცნობილია საქართველოს დამფუძნებელი კრების ორი მიმართვის ტექსტი: ქართველ ხალხს დამფუძნებელ კრებისაგან და საქართველოს დამფუძნებელი კრების მიმართვა პარლამენტებისადმი. აღნიშნულ ნიმუშებს სწორედ რომ კოლექტიური ავტორი ჰყავს. **ვ. კაჭახიძის** აზრით, ორატორის საჯარო სიტყვა გულისხმობს მიზანშეწონილ მეტყველებას: სათქმელის შერჩევას, სტილისტური ხერხების ზომიერად ხმარება და ა.შ. მჭევრმეტყველების ყოველი დარგის წინაშე დგას, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არც ერთ დარგს არ მოეთხოვება ისეთი სიფრთხილე და წინდახედულობა მოვლენების შეფასებისა და განჭვრეტის დროს, როგორც პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში. სწორედ ამიტომ ხშირად პოლიტიკური ორატორები მინიშნებით, გადაკრულად, ქარაგმულად გამოთქვამენ აზრებს ან საერთოდ თავს იკავებენ თქმისაგან, რის გამოც მათი სიტყვა თავისებური, სხვათაგან განსხვავებული, შეზღუდულიც კი ჩანს (კაჭახიძე, 1997: 132).

პოლიტიკურ ორატორს პირობითად ორი ძირითადი სარბიელი აქვს: საგარეო და საშინაო. შესაბამისად, მჭევრმეტყველება გამოიყენება ორივე სფეროში. პოლიტიკური მჭევრმეტყველება მოქმედების სივრცის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია, ხოლო ფაქტებსა და საგნებზე მსჯელობისას „*მიზანშეწონილობის კატეგორიით*“ – ყველაზე შეზღუდული. ამიტომ პოლიტიკური


ორატორის საჯარო გამოსვლაში კვლავ რჩება ინფორმაციის გასაიდუმლოების, ცნობების გაუვრცელებლობის საჭიროება (კაჭახიძე, 1997: 132-133).

2.4. ქართული მჭევრმეტყველების ჟანრები

ჟანრობრივად წარმოდგენილია ქართული მჭევრმეტყველების ძირითადი / დამხმარე ჟანრები: სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, სწავლა, მოხსენება, მისალოცი წერილი, სამძიმრის წერილი, ქება, შესხმა, მოხსენება, წარდგინება. აღნიშნული ნიმუშები განეკუთვნება თითოეულ ამ ჟანრს.

ჟანრების გამოყოფისას დავეყრდენით ნ. კანდელაკის კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც, ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა ძირითადი (სიტყვა, ქადაგება) და დამხმარე (სწავლა, მოძღვრება, მოხსენება, ქება, შესხმა და სხვ.) ჟანრები (კანდელაკი, 1968: 97) (იხ. სქემა 2). თუმცა თანამედროვე ეპოქის დარგების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებების შეტანაც მოგვიწია (იხ. სქემა 10). ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივი და ჟანრობრივი მიმართებები იერარქიულად ამგვარად გამოიყურება:

სქემა 10. ქართული მჭევრმეტყველების დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია



ქართული მჭევრმეტყველების დარგებს აქვთ თავიანთი ჟანრობრივი სახეები. ყოველ მათგანს გააჩნია ძირითადი და დამხმარე ჟანრები. ძირითადი ჟანრებია **სიტყვა და ქადაგება**, ხოლო დამხმარე ჟანრებია: **დაუჯდომელი, მოძღვრება, მოხსენება, მისალოცი წერილი, სამძიმრის წერილი, სწავლა, ქება, შესხმა, მიმოხილვა, სამიტინგო, სააგიტაციო, საინაუგურაციო, ლექცია** და სხვ. აღსანიშნავია ასევე ე. წ. **სამადლობელი წერილი**, რომელიც **ნ. კანდელაკის** მიერ მოყვანილ კლასიფიკაციაში არ გვხვდება. ის უნდა მივაკუთვნოთ ეპისტოლარულ განშტოებას და მოვათავსოთ სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგში.

აღნიშნული ჟანრები შემდეგნაირად განისაზღვრება (კანდელაკი (შემდგ.), 1958: 81-82; კანდელაკი 1968: 97-98): 1. **დაუჯდომელი** საზეიმო განწყობილების გამომხატველი სავედრებელი შესხმაა, რომელიც მსმენელთა აღფრთოვანებას ემსახურება; 2. **მოძღვრება** გარკვეული მსოფლმხედველობის გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია, რომელიც მსმენელთა მიმხრობას ემსახურება. მოძღვრება იგივეა რაც ქადაგება; 3. **სიტყვა** რომელიმე კონკრეტული თემის იდეური არსის გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია, რომელიც შინაარსის ღრმად გაცნობასა და გაზიარებას ემსახურება; 4. **სწავლა** განსაზღვრული ცოდნისა და გამოცდილების გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია, რომელიც ემსახურება შინაარსის წვდომას. სწავლა იგივეა რაც ქადაგება; 5. **ქადაგება** მტკიცე რწმენისა და შეხედულების გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია, რომელიც ემსახურება შინაარსის გახსნას, გარკვეული იდეების გავრცელებასა და მსმენელთა მიმხრობას; 6. **ქება** (ხოტბა, შესხმა) ვინმე სახელოვანი პიროვნების, ან რაიმე სამაგალითო მოვლენის შემამკობელი ორატორული ნაწარმოებია, რომელიც მსმენელთა შთაგონებას ემსახურება. ქება იგივეა რაც შესხმა; 7. **შესხმა** იგივეა რაც ქება.

სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების განშტოებაა **ეპისტოლარული მჭევრმეტყველება**, რომელიც წარმოდგენილია ორი ჟანრის სახით; ესენია: 1. **მისალოცი წერილი** – რაიმე სახის სასიხარულო ამბის გამომხატველი წერილობითი მიმართვა, რომელიც ემსახურება ადრესატის ინფორმირებას, ცნობის მიწოდებასა და სიხარულის გაზიარებას და 2. **სამძიმრის წერილი** – რაიმე სამწუხარო ამბის გამომხატველი წერილობითი მიმართვა, რომელიც ადრესატის გამხნევებას ემსახურება.

სამოსამართლო მჭევრმეტყველების როლისა და მიზნის ნათელსაყოფად საჭიროა განვიხილოთ სასამართლო საქმეთა წარმოების ის სტადია, რომელიც შეიცავს მჭევრმეტყველებით ნაწილს, კერძოდ, საქმეში მონაწილე მხარეთა „სასამართლო კამათი“. მხარეებად სასამართლო კამათში გამოდიან ბრალმდებელი, დაზარალებული, მოსარჩლე, მოპასუხე, სამართალში მიცემულის დამცველი და სამართალში მიცემული. ამდენად, გამოიყოფა: 1. პროკურორის მიერ წარმოთქმულ საბრალდებო სიტყვაში უნდა იყოს წარმოდგენილი დასახელებული პიროვნება, დამნაშავის დანაშაულებრივი ქმედება, სამართალში მიცემის საფუძველი, დანაშაულის მოტივი; 2. ადვოკატის მიერ წარმოთქმულ დაცვით სიტყვაში, საბრალდებო სიტყვის მსგავსად, ობიექტს წარმოადგენს კონკრეტული მოქმედება და მტკიცებულებათა შეფასება და 3. სამართალში მიცემულის მიერ წარმოთქმული დაცვითი სიტყვა სასამართლო მჭევრმეტყველების მესამე სახეა. იგი თავისი შინაარსით უპირისპირდება პროკურორის პოზიციას. მაშასადამე, სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა სიტყვის ორი სახე: საბრალდებო და დაცვითი სიტყვები. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ე.წ. ლიტერატურული გასამართლებანი, რომლის არაერთი საბრალდებო თუ დაცვითი სიტყვების ნიმუში გვაქვს შემონახული ქართულ პრესასა თუ მწერლობაში.

პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა შემდეგი ჟანრები: 1. მოხსენება შეიძლება იყოს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა თემებზე; 2. საანგარიშო მოხსენება (კონფერენციებზე, სხდომებზე) ოფიციალური პირის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც აფასებს, აჯამებს გაწეულ სამუშაოებს, წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. საანგარიშო მოხსენებაში ეხებიან აგრეთვე მომავლის ამოცანებსაც; 3. მიმოხილვა არის საჯარო სიტყვა, რომელშიც მიმოხილულია ნებისმიერი მოვლენა, მოქმედება მცირე დროში; 4. სამიტინგო სიტყვა მკვეთრად პოლიტიკური ხასიათისაა. ეძღვნება საზოგადოდ საჭირობოროტო საკითხებს (გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2005: 21). სამიტინგო სიტყვა შეიძლება იყოს ვრცელიც და მოკლეც; 5. სააგიტაციო სიტყვა მიზნად ისახავს განმარტოს და განავრცოს მსმენელებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწოდება ან ლოზუნგი; 6. საინაუგურაციო სიტყვა მიზნად ისახავს ახლადარჩეული პრეზიდენტის სამომავლო გეგმის, მისი პრინციპები და მნიშვნელოვანი საკითხების

ფართო აუდიტორიისთვის გაზიარება. საინაუგურაციო სიტყვებში პოლიტიკის მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია ღირებულებებსა და სურვილებთან მიმართებით (Windt, 1986: 104).

აკადემიური მჭევრმეტყველება უმაღლეს სასწავლებლებში გულისხმობს ლექციასა და სამეცნიერო მოხსენებას, ამათგან: 1. **ლექცია** უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება იყოს როგორც საკურსო, ისე ციკლისებური ხასიათის და თემატურად გათვალისწინებულია რამდენიმე გამოსვლისთვის ერთსა და იმავე აუდიტორიის წინაშე. *„ლექცია (lectio) – განსაზღვრული ცოდნის შემცველი საჯაროდ წარმოსათქმელი ნაწარმოები, ან მისი წარმოთქმის აკადემიური პროცესი. ლექტორი (lector – მკითხველი) – ლექციის წამკითხველი // წარმომთქმელი“* (კანდელაკი, 1968: 62). უფრო დაწვრილებითი განმარტება აქვთ **ნ. გაფრინდაშვილსა და დ. თვალთვაძეს**: *„ლექცია – ეს არის არგუმენტების მოშველიებით ცოდნის სისტემური გადმოცემა. იგი, ჩვეულებრივ, 45-60 წუთს გრძელდება. ლექცია შეიძლება იყოს ერთჯერადი და გაიმართოს რომელიმე ორგანიზაციაში ან ლექტორიუმში“* (გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2005: 20) და 2. **სამეცნიერო მოხსენება** იკითხება სამეცნიერო კრებებზე, როგორცაა სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, საერთაშორისო კონგრესი და ა.შ. ლექციისგან განსხვავებით, სამეცნიერო მოხსენება ეხება კვლევით ექსპერიმენტებს, ცალკეულ სამეცნიერო საკითხს (იშვიათად მეცნიერულ აღმოჩენას), ანდა რომელიმე მოვლენასთან პრინციპულად ახალ მიდგომებს. განსხვავებასთან ერთად, ლექციასა და სამეცნიერო მოხსენებას მსგავსებაც გააჩნიათ, კერძოდ, ის, რომ ორივე ატარებს შემეცნებით ხასიათს. აღსანიშნავია, რომ *„ცოდნის გავრცელების დროს მსმენელთა ორ კატეგორიასთან გვაქვს საქმე: მსმენელები, რომლებიც პირველნი ისმენენ ინფორმაციას, ახალ ცოდნას, და მსმენელები, რომლებიც ისმენენ უკვე საქვეყნოდ ცნობილ ჭეშმარიტებას. პირველ შემთხვევაში სიახლე მოვლენას ხსნის, არკვევს, იკვლევს საგანს; მეორე შემთხვევაში ასწავლის საყოველთაოდ ცნობილ და აღიარებულ სინამდვილეს“* (კაჭახიძე, 1997: 175). სწორედ ეს განსხვავებულობა უდევს საფუძვლად **აკადემიური მჭევრმეტყველების** ორი ჟანრის – ლექციისა და მოხსენების – გამიჯვნას. პირველი გულისხმობს უკვე არსებული ცოდნის არგუმენტირებულად და სისტემურად გადმოცემას აუდიტორიის წინაშე, ხოლო მეორე – ახალი სამეცნიერო კვლევების საზოგადოებისთვის გაცნობასა და გაზიარებას.

2.5. ქართული მჭევრმეტყველების პერიოდები

ქართული მჭევრმეტყველების პერიოდიზაციაზე მსჯელობისას არსებობს ორი მიდგომა: ქართულ მჭევრმეტყველებაზე საუბარი ჩვენ შეგვიძლია იმ პერიოდიდან დავიწყოთ, რა დროიდანაც გვაქვს შემორჩენილი ისტორიული ცნობები და წერილობითი ძეგლები. **ნ. კანდელაკი** ითვალისწინებს რა სწორედ ამ პრინციპს, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის დასაწყისად ასახელებს ახ. წ-ით I ს-ს. მისი კლასიფიკაციით, ქართულ მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა სამი ძირითადი პერიოდი: **ძველი (I-XVIII სს.), ახალი (XIX ს.) და უახლესი (XX ს.¹¹) პერიოდი** (კანდელაკი, 1968: 88) (იხ. სქემა 3.).


თუმცა არსებობს განსხვავებული აზრიც იმასთან დაკავშირებით, თუ როდიდან შეგვიძლია ვისაუბროთ ჩვენ მჭევრმეტყველების დასაწყისზე. **თ. ჯაგოდნიშვილის** აზრით: „*ქართული მჭევრმეტყველების დამწერლობამდელი პერიოდი კონკრეტული დროით არ არის შემოფარგლული. იგი ისტორიამდელი ხანაა, რადგან არავინ უწყის მისი დასაწყისი, არც ის, თუ რამდენ საუკუნეს მოიცავს*“ (ჯაგოდნიშვილი, 1999: 23). ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მჭევრმეტყველების უძველესი პერიოდი მჭიდრო კავშირშია ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან, შესაბამისად, **თ. ჯაგოდნიშვილის** კლასიფიკაციით, ქართულ მჭევრმეტყველებაში გამოიყოფა ოთხი ძირითადი პერიოდი: **I. დამწერლობამდელი / ფოლკლორული; II. ძველი; III. ახალი და IV. უახლესი** (ჯაგოდნიშვილი, 1999: 22). **ნ. კანდელაკი**ც საუბრობს ორატორული ხელოვნების წინახანის შესახებ და წერს: „*ამ ხანას, რომელსაც კი არ შეიცავს, არამედ ეყრდნობა მჭევრმეტყველების ისტორია, ვუწოდებთ ანტიკურს, მას მოსდევს თვით ისტორიის ქრონოლოგიური პერიოდები: ძველი, ახალი და უახლესი*“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958: 56).

წინამდებარე კვლევისას, ვითვალისწინებთ სწორედ **ნ. კანდელაკის** მიერ წარმოდგენილ პერიოდიზაციას მჭევრმეტყველების ისტორიის სამ ძირითად პერიოდად დაყოფასთან დაკავშირებით, ხოლო ქვეპერიოდების ჩაშლისას, კვლავ მას

¹¹ შენიშვ.: XXI ს. ასევე მოვიაზრებთ ქართული მჭევრმეტყველების უახლეს პერიოდში.

ვეყრდნობით, თუშცა მცირე მოდიფიკაციით, რომელიც უკავშირდება უახლესი პერიოდის ქვეპერიოდებად ჩაშლას (იხ. ქვეთავი 2.6.3. უახლესი პერიოდი).

სქემა 11. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდები



2.5.1. ძველი პერიოდი

ნ. კანდელაკი ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდიზაციას იწყებს ახ. წ.-ით I ს.-დან, რადგან ამ პერიოდიდან გვაქვს შემონახული გარკვეული ისტორიული ცნობები ქართული მჭევრმეტყველების ამა თუ იმ წარმომადგენლის შესახებ და უშუალოდ მჭევრმეტყველების პირველი ნიმუშების ფრაგმენტები თუ სრული ტექსტები. ქართული მჭევრმეტყველების პირველი პერიოდი წარმოდგენილია მშობლიურ და უცხოურ, მათ შორის, ძველბერძნულ, ლათინურ და ფრანგულ საისტორიო წყაროებში, ხოლო საკუთრივ მშობლიურ მწერლობაში დაცულ საისტორიო მასალებს რაც შეეხება, აქ VI ს.-დან ჩნდება ქართული მჭევრმეტყველების კვალი.

ძველი ქართული მჭევრმეტყველების ძველი პერიოდი მოიცავს I-XVIII სს. თავის მხრივ, ის იყოფა სამ ქვეპერიოდად: I პერიოდი, საისტორიო მასალების მიხედვით, მოიცავს I-X სს.-ს და თავის მხრივ, ორ ქვეპერიოდად იყოფა: 1) I-VI სს. და 2) VI-X სს., II პერიოდი – XI-XIII სს., III პერიოდი – XIV-XVIII სს.-ს. ძველი (I-XVIII სს.) პერიოდი ცნობილია „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების“ სახელწოდებით. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარდა ექვსი ძირითადი

დარგი: სადარბაზო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამოსამართლო, სამქადაგებლო და სამხედრო.

2.5.2. ახალი პერიოდი

ქართული მჭევრმეტყველების ახალი პერიოდი XIX ს.-ს მოიცავს. ამ დროის განსაზღვრისას **თ. ჯაგოდნიშვილი** შენიშნავს: ქართული მჭევრმეტყველების შინაარსის განსაზღვრაზე გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონია ქართული სალიტერატურო ენის ილიასეულმა რეფორმამ. სალიტერატურო ენა ხალხურ მეტყველებას დაემყარა. ამის შესაბამისად, შეიცვალა ქართული მჭევრმეტყველებასაც (ჯაგოდნიშვილი, 1999: 48).). ახალი ქართული მჭევრმეტყველება სიახლითაც გამოირჩევა: გაჩნდა ისეთი დარგი, როგორცაა აკადემიური მჭევრმეტყველება. განვითარდა ამ დარგის შესაბამისი ახალი ჟანრებიც, მათ შორის: ლექცია, მოხსენება, რეფერატი, დისკუსია, დისპუტი (კანდელაკი, 1968: 93).

2.5.3. უახლესი პერიოდი

XX ს.-ის ქართული მჭევრმეტყველების უახლეს პერიოდს განეკუთვნება. ქართული მჭევრმეტყველების პერიოდიზაციისას, **ნ. კანდელაკი** ამ პერიოდს ტრადიციულად ორ ქვეპერიოდად ყოფს: I ქვეპერიოდს მიაკუთვნებს XIX ს.-ის 90-იან წწ.-დან 1921 წ.-მდე დროით მონაკვეთს, ხოლო II ქვეპერიოდს 1921 წლიდან იწყებს და თავის თანამედროვეობამდე, ანუ XX ს.-ის 70-იან წ.-მდე მიჰყავს (კანდელაკი, 1968: 93). **ნ. კანდელაკის** გარდაცვალების შემდგომ ნახევარი საუკუნე გავიდა, ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით მოვიყვანოთ **თ. ჯაგოდნიშვილის** მიერ წარმოდგენილი პერიოდიზაცია, რომელიც მთლიანობაში მიჰყვება **ნ. კანდელაკის** პერიოდიზაციას, თუმცა, თავის მხრივ, გვთავაზობს ქართული მჭევრმეტყველების უახლესი პერიოდის შემდეგ ქვეპერიოდებად ჩაშლას: I ქვეპერიოდი განისაზღვრება XIX ს.-ის 90-იან წწ.-დან 1921 წ.-მდე, მეორე ქვეპერიოდი – 1921-დან 1990 წ.-მდე, ხოლო მესამე ქვეპერიოდი – 1990-დან დღემდე. ავტორი წერს: „XX ს.-ის ქართულ მჭევრმეტყველებაში, [...] კიდევ ერთი დროითი მონაკვეთი უნდა გამოიყოს. **ნ.**

კანდელაკისელი მეორე ნაწილი 1921-1990 წლებით უნდა შემოიფარგლოს, საბჭოური ყოფის ნიშნით. ხოლო 1990 წლიდან ჩვენი საუკუნის ბოლომდე მონაკვეთს ალბათ, აღორძინების პერსპექტივის გაჩენის პერიოდი უნდა ეწოდოს“ (ჯაგოდნიშვილი, 1999: 57).

2.6. შუალედური დასკვნა

წინამდებარე თავის მიზანი იყო, წარმოგვეჩინა ის მასშტაბური და შრომატევადი სამუშაოები, რომელიც დაკავშირებული იყო ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების გამოვლენასა და თავმოყრასთან. ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები ჩვენამდე წერილობითი სახითაა მოღწეული და გაბნეული სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურასა თუ პრესაში. უპირველესი ამოცანაც, სწორედ ის გახლდათ, რომ გამოგვევლინა და თავი მოგვეყარა ამგვარი ტექსტებისთვის და თითოეული დარგი შეგვევსო ქართული მჭევრმეტყველების შესაბამისი ნიმუშებით, რომლებიც აქამდე არ ყოფილა ჯეროვნად მიკვლეული და მიკუთვნებული მჭევრმეტყველების შესაბამის დარგს, ქვედარგს, ჟანრს და ა.შ. (კენჭიაშვილი, 2019: 38). ამდენად, როგორც საკითხის შესწავლამ აჩვენა, აღნიშნული სამუშაოები ძალზე კომპლექსურია და მოითხოვს დიდძალი ლიტერატურის დამუშავებას, კვლევა-ძიებასა და ტექსტოლოგიური სამუშაოების განხორციელებას. თუმცა ამის გარეშე წინამდებარე კვლევა წარმოუდგენელია, რადგან ის ეფუძნება სწორედ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებს, რომელიც ციფრულ ფორმატში გადავიყვანეთ.

ჩვენი მიზანია ამგვარი კვლევებით გავაგრძელოთ ის ტრადიცია, რასაც საფუძველი ნ. კანდელაკის ფუნდამენტურმა კვლევებმა ჩაუყარა ქართული მჭევრმეტყველების საკითხების ირგვლივ და განახლდეს ახალი, თანამედროვე

სტანდარტების შესაბამისი კვლევები, რომელიც კორპუსულ კვლევაზე იქნება დაფუძნებული. ამ საქმის ლოგიკურ გაგრძელებას უსათუოდ წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის (ქმკ) შექმნა, რისი აუცილებლობაც კვლევის თანამედროვე მეთოდების შემოტანამ თავისთავად განაპირობა. უნდა ითქვას, რომ დიდი გამოწვევაა ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შეკრება-შეგროვება, რადგან ესაა წინარე სამუშაოები იმ მასშტაბური საქმის დასაწყებად, რასაც ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნა ჰქვია (კენჭიაშვილი, 2019: 38-39).

ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევას გავითვალისწინეთ **ტექსტის ტიპი, ენა, წყარო, დარგი, ჟანრი და პერიოდი** (იხ. სქემა 9):

1. **ტიპი:** მჭევრმეტყველების ტექსტები, რომელიც არის წერილობითი და ამავე დროს, ზეპირი მეტყველების ნიმუშები;
2. **ენა:** ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შერჩევას საორიენტაციო მასალად ავიღეთ ადგილობრივ წყაროებში დაცული პირველადი და ისიც, ორიგინალის სახით მოღწეული ქართულენოვანი მჭევრმეტყველების ნიმუშები;
3. **წყაროები:** საკვლევ ტექსტების მოძიებისას სასარგებლო აღმოჩნდა სხვადასხვა ტიპის ადგილობრივი წყაროები: ხელნაწერები, აკადემიური გამოცემები, პერიოდიკა, ინტერნეტრესურსები და სხვ.;
4. **ქართული მჭევრმეტყველების დარგები:** საკვლევ ტექსტებად შერჩეული ნიმუშები განეკუთვნებიან ამა თუ იმ დარგს, მათ შორის, **სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, სადარბაზო და პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგს;**
5. **ქართული მჭევრმეტყველების ჟანრები:** საკვლევ ტექსტებად შერჩეული ნიმუშები განეკუთვნებიან ამა თუ იმ ჟანრს, მათ შორის, **სიტყვის, ქადაგების, მოძღვრების, სწავლის, მიმართვის, მოხსენების, შესხმის, ქების, წარდგინების** ძირითად / დამხმარე ჟანრებს;
6. **ქართული მჭევრმეტყველების პერიოდები:** საკვლევ ტექსტებად შერჩეული ნიმუშები მოიცავს ქართული მჭევრმეტყველების ძველ (I-XVIII), ახალ (XIX) და უახლეს (XX-XXI) პერიოდს.

საბოლოო ჯამში, საკვლევო ტექსტების სახით გვაქვს X-XXI სს.-ის პერიოდის 200-მდე ავტორის 1000 ნიმუში, რომლებიც მოვიძიეთ, ელექტრონულ ფორმატში გადავიყვანეთ და თითოეულ მათგანს დავურთეთ მეტამონაცემები. ეს ვრცელი პერიოდი, ფაქტობრივად, მოიცავს ქართული მჭევრმეტყველების განვითარების მთელს ეპოქას (ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ლიტერატურის მონაცემები იხ. ნაშრომის ბოლოს დანართის სახით).

თავი III. ტროპის სახეები ქართულ მჭევრმეტყველებაში

3. ზოგადი მიმოხილვა

რიტორიკის თეორიებს თუ გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ იყო არაერთი მცდელობა მოეხდინათ მრავალრიცხოვანი ფიგურებისა და ტროპების კლასიფიკაცია და სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფა. ტროპის თეორიის საწყის ეტაპზე, ტროპი განიხილებოდა, როგორც ფორმალური ელემენტი, სამშვენისი, რიტორიკული ორნამენტი, გარედან შემოტანილი „მოკაზმვის“ მიზნით. იყო მცდელობა, რომ დაყოფა მომხდარიყო „ბგერით“ და „აზრობრივ ფიგურებად“; ასევე „მეტყველების ფიგურებად“ ან „ვერბალურ ფიგურებად“ და „აზრის ფიგურებად“.

მარკუს ფაბიუს კვინტილიანე იყო პირველი, რომელმაც თავის „ორატორის მოძღვრებაში“ გაამახვილა ყურადღება სიტყვათა მნიშვნელობის ცვლილებაზე ტროპების შემთხვევაში (კვინტილიანე, 1966: IX, 1, 4). თანამედროვე სამეცნიერო ტერმინებით რომ დავაზუსტოთ, „ესაა მნიშვნელობის „გადანაცვლება“, თანაარსებობა ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობისა – „პირდაპირის“ და „გადატანითის“ (ნათაძე, ნათაძე, 1988: 206). უფრო აზუსტებენ ამ განსაზღვრებას და აღნიშნავენ, რომ რიტორიკული ტროპი გულისხმობს სიტყვებისა თუ გამოთქმების გადატანითი მნიშვნელობით ხმარების არა ყველა შემთხვევას, არამედ მხოლოდ იმას, რომელთაც არ დაუკარგავთ თავიანთი ორგვარი მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, აქვთ გამომსახველობის უნარი (რუსეიშვილი, 2003: 55). მართლაც, მიჩნეულია, რომ ერთსა და იმავე ტროპულ სტრუქტურას (ფორმას) ზოგ შემთხვევაში აქვს ემოციური/ესთეტიკური ზემოქმედების უნარი, ზოგჯერ კი არა აქვს. ამ განსხვავებას

ხსნიან ჩვეულებრივ „ემოციური“, „ესთეტიური“ ან სხვა რიგის კონოტაციების და მიქმელის სათქმელისადმი „ემოციური დამოკიდებულების“ არსებობის ან არარსებობის ფაქტით (ნათაძე, ნათაძე, 1988: 206).

აღნიშნავენ იმასაც, რომ „ტროპის სახეები განსხვავდება ეპოქებისა და მიმდინარეობების მიხედვით და ცალკეულ დროში განსხვავებული ტროპები იქმნება.“¹² (პოპიაშვილი, 2019: 192). ამ მხრივ, საყურადღებო კვლევებია წარმოდგენილი მათა და გიორგი ნათაძეების სტატიებში: „რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა“ (ნათაძე, ნათაძე, 1988: 194-258) და „ზოგიერთი ესთეტიური ფენომენის არსისა და ევოლუციის შესახებ“ (ნათაძე, ნათაძე, 1991: 151-158), სადაც გაანალიზებულია სხვადასხვა ეპოქის (ანტიკური რომი, ანტიკური საბერძნეთი, რენესანსი, განმანათლებლობა...), სხვადასხვა ტიპის საზოგადოების (დასავლურ-ქრისტიანული, აღმოსავლურ-ისლამური და ბუდისტური), სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის, თუ სხვადასხვა ავტორის მხატვრული შემოქმედების ნიმუშები იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იცვლებოდა ტროპის აღქმადობა და თვითონ ტერმინის მნიშვნელობაც დროსთან ერთად. ისინი აღნიშნავენ შემდეგს: „ტროპებს როგორც ასეთებს შორის არსებობს უფრო ფუნდამენტური განსხვავებაც – ტიპოლოგიური, რომელსაც წარმოშობს არა თავისუფალი ნიშნების შინაარსი, არა შინაარსობრივი მიმართება ხატსა და საგანს შორის, არამედ ამ მნიშვნელობათა შორის კავშირის ხასიათი, რომელიც აგრეთვე იცვლება ლიტერატურული ეპოქების მიხედვით“ (ნათაძე, ნათაძე, 1988: 233). არა მხოლოდ ტროპები, როგორც ენობრივი ფენომენი, არამედ მკითხველის აღქმადობაც ცვალებადია დროსთან ერთად: „ეპოქების კვალდაკვალ იცვლება მკითხველის აღქმაც

¹² შენიშნავენ, რომ ყოველ პერიოდს ახასიათებს მისთვის ნიშანდობლივი ტროპის სახეები, მაგალითად, ნეოკლასიკური პოეზიისთვის დამახასიათებელია სიმბოლო, პერიფრაზი, ორნამენტული ეპითეტი, ეპიგრამა და ანტიტეზა; ბაროკოს პერიოდის დამახასიათებელს ტროპებს წარმოადგენს: პარადოქსი, ოქსიმორონი და კატაქრეზა (უელეკი, უორენი, 2010: 287). მაგალითად, **რ. იაკობსონის** შეხედულებით, რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ლიტერატურულ სკოლებში უპირატესი გამოხატულება პოვა მეტაფორამ, ხოლო რეალისტურ მიმართულებაში – მეტონიმიამ: „არაერთხელ აღნიშნულა, რომ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის სკოლებში გაბატონებული იყო მეტაფორა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გავაცნობიერეთ ის ფაქტი, რომ სწორედ მეტონიმის ბატონობა უდევს საფუძვლად ეგრეთ წოდებულ „რეალისტურ“ მიმართულებას, ეს უკანასკნელი კი შუალედური სტადიაა რომანტიზმის დაცემასა და სიმბოლიზმის ჩასახვას შორის და უპირისპირდება ორივე მათგანს“ (Jakobson, 1971b: 255). აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ „ზემოაღნიშნული თვალსაზრისი ემყარება სტატიკურ წარმოდგენებს ტროპების – მეტაფორისა და მეტონიმის – შესახებ და ითვალისწინებს მხოლოდ ამ თუ იმ სახის ტროპების რაოდენობრივ სიმრავლეს კონკრეტულ ნაწარმოებში ან კონკრეტულ მხატვრულ სისტემაში.“ (ლომიძე, 2014: 11).

და მასთან ერთად ტროპების ესთეტიური და შემეცნებითი ღირებულებაც; ის, რაც ახალია, უჩვეულო და ესთეტიურად თუ შემეცნებითად მარკირებული ერთი ეპოქის ბინადართა თვალში, განიცდის უზუალიზაციას და კარგავს მარკირებულობას მეორე ეპოქაში...“ (ნათაძე, ნათაძე, 1988: 257). შენიშნავენ, რომ სტილის საიდუმლო არის საიდუმლო მთლიანად შემოქმედებითი ხელოვნებისა: დეტალების შერჩევის უნარი, მათი დალაგებისა და გაწყობის უნარი და მათი არტისტულად გადმოცემისა“ (მალერი, 1962: 313).

გარდა ამისა, მოხდა ტროპის, როგორც ცნების ახალი გადააზრება, კერძოდ, შენიშნავენ, რომ ტროპებს საფუძვლად უდევს ენის ორპლანიანობა (გამყრელიძე და სხვ., 2008: 362) – თითოეული ტროპი შედგება შინაარსისა და გამოხატულების პლანისაგან. ტროპიზაციის დროს სიტყვის ერთ ფორმას შეუძლია გადმოსცეს ერთზე მეტი მნიშვნელობა: ერთი – ჩვეულებრივი (პირველადი) და სხვა – დამატებითი (მეორეული) მნიშვნელობა / მნიშვნელობები. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „სიტყვა შეიძლება იქნეს ნახმარი პირდაპირი და არაპირდაპირი, გადატანითი, მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობა სიტყვის ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობაა; არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობა ამა თუ იმ კონტექსტთან არის დაკავშირებული“ (ჩიქობავა, 2008: 156). ამავე აზრს აღრმავებს ლ. კვაჭაძე, როცა წერს: „სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი თუ გადატანითი, ეს საზოგადოდ, კონტექსტის მიხედვით ირკვევა. ცალკე სიტყვა, უკონტექსტოდ აღებული, ჩვეულებრივ, პირდაპირი მნიშვნელობის გადმოცემას ვარაუდობს; სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა მეორეულია, შენაძენია პირდაპირ მნიშვნელობასთან სიახლოვისა და მსგავსების საფუძველზე“ (კვაჭაძე, 1981: 24). ალ. გვენცაძე მიუთითებს, რომ ადამიანი უცვლის სიტყვას პირდაპირ მნიშვნელობას და ანიჭებს იმავე ფორმას სრულიად ახალ ფუნქციას. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა კარგავს ჩვეულებრივ (პირველად) მნიშვნელობას და ითვისებს ახალ (მეორეულ) ფუნქციას. მნიშვნელობათა (ფუნქციათა) ასეთ შენაცვლებას ეწოდება ტროპიზაცია, მის ცალკეულ ნიმუშს კი ტროპი (გვენცაძე, 1991: 22). როგორც ანდრო ჭილაია განმარტავს, სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების ყველა შესაძლებლობა ტროპულ მეტყველებაში ვლინდება. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გვაქვს გადატანითი მნიშვნელობაც. ენობრივი მასალა იძლევა

იმის შესაძლებლობას, რომ ერთმა და იმავე სიტყვამ კონტექსტში სხვადასხვა აზრი გამოხატოს. სიტყვის მრავალმნიშვნელობა და სიტყვის შინაარსისეული ნიუანსები ხელს უწყობს მეტყველების პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვათა სხვადასხვა აზრით გამოყენებას. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება უფრო მეტად აფართოებს სიტყვის შინაარსისეულ და პოეტურ სფეროს და აძლიერებს მხატვრული წარმოსახვის მომენტს (ჭილაია, 1971: 343). თუმცა სიტყვის, ან ფრაზის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება არაა ტროპის განსაზღვრებისას მისი უნივერსალური მახასიათებელი; მაგალითად, როგორც ალ. გვენცაძე შენიშნავს, შედარებების სახით გვაქვს გამონაკლისი შემთხვევები, რადგან შედარებისას ყოველი სიტყვა თავისი პირდაპირი (ჩვეულებრივი) მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და არა გადატანითით (გვენცაძე, 1971: 39).

ენათმეცნიერულ განსაზღვრებას თუ დავეყრდნობით, ტროპი განიმარტება, როგორც ენობრივი მოვლენა, რომელიც ვლინდება ენობრივი ანალიზის ყველა დონეზე, ამდენად, ტროპის თეორია თანამედროვე ენათმეცნიერების შესწავლის საგნადაც განიხილება. ტროპოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ამჟამინდელი მდგომარეობა კვლავ ემყარება ანტიკური რიტორიკის მდიდარ ტრადიციებსა და განპირობებულია თანამედროვეობის მოთხოვნილებებით მოხდეს ტროპების სისტემური კლასიფიკაცია. რაც შეეხება ტროპის თეორიის თანამედროვე გააზრებას, ის სემიოტიკის აღმავლობას უკავშირდება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნეორიტორიკის მიმართულებაშიც, ასევე აქტუალური ხდება ტროპის თეორიასთან დაკავშირებული პრობლემატიკა (იხ. ვრცლად 1.3. რიტორიკის თანამედროვე თეორიები).

წინამდებარე თავში ტროპების კლასიფიკაციისას ვეყრდნობით სწორედ ნეორიტორიკის ბელგიური სკოლის (ლექსეს უნივერსიტეტი) წარმომადგენელთა („ჯგუფი μ -ს) „ზოგადი რიტორიკის“ თეორიას, რომლის მიხედვითაც, გამოყოფილია **მეტაბოლათა** შემდეგი ჯგუფები: **მეტაპლაზმები**, **მეტატაქსისები**, **მეტასემემები** და **მეტალოგიზმები** (იხ. სქემა 8.). მათი ტერმინოლოგიის ტრადიციული რიტორიკის ტერმინოლოგიასთან შედარების შედეგად ირკვევა, რომ **მეტასემემა** ნამდვილად არის ტროპი, ხოლო **მეტალოგიზმი** არ არის ტოლფარდი იმისა, რასაც „*ფიგურა*“ ეწოდება. თუმცა, თუ ამ უკანასკნელის განმსაზღვრელ ნიშნად ავიღებთ ერთი გამონათქვამის

სხვა გამონათქვამით შეცვლას, ამ შემთხვევაში, ნებისმიერი მეტაბოლა იქნება „ფიგურა“. ფორმის მიუხედავად, მეტალოგიზმის აუცილებელი ნიშანი არის მისი კორელაცია ექსტრალინგვისტურ რეალობასთან (ჯგუფი μ , 1970/1986: 229).

წინამდებარე თავის მიზანია მეტაბოლათა სახეების ლინგვისტური ანალიზი ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების მაგალითზე. საკითხის შესწავლისას ავიღეთ ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები, ხოლო პერიოდად განვსაზღვრეთ X-XXI სს., რაც საკმაოდ ვრცელ პერიოდს მოიცავს და დარგობრივი და ჟანრობრივი თვალსაზრისით, ასევე მეტაბოლათა გამოყენების მხრივ, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ამასთან, ჩვენ მიერ შერჩეულ ავტორთა მჭევრმეტყველების ნიმუშების ანალიზი მიზნად არ ისახავს თითოეული მათგანის სტილის სპეციფიკის დადგენას: ისინი განიხილებიან, როგორც ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის სტილისტურ-ექსპრესიული პოტენციალის გამოვლინებანი.

საკვლევი ტექსტები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ყველა ჩვენთვის საყურადღებო მეტაბოლის სახე, „ჯგუფი μ “-ს კლასიფიკაციის მიხედვით (იხ. სქემა 8.). წინამდებარე კვლევაში, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ქართულ მჭევრმეტყველებაში მეტაბოლათა ყველაზე ნიშანდობრივ და არსებით სახეებზე და წარმოვადგენთ მათ ლინგვისტურ ანალიზს. ამის გათვალისწინებით, განვიხილავთ 1) მეტაპლაზმებიდან: ალიტერაციას, ასონანსს, პარონომაზიას; 2) მეტატაქსისებიდან: ელიფსისს, პოლიპტოტონს, პოლისინდეტონს, ინვერსიას; 3) მეტასემემებიდან: შედარებას, მეტაფორას; 4) მეტალოგიზმებიდან: გამეორებას, პლეონაზმს, ანტითეზას. მეტაბოლათა ეს სახეები ყველაზე ხშირად გვხვდება და გავრცელებულია ქართულ მჭევრმეტყველებაში. მოძიებულ მასალაზე დაკვირვებამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა.

3.1. მეტაპლაზმები

„ჯგუფი μ “ „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით მეტაპლაზმებში ერთიანდება: აფერეზისი, აპოკოპე, სინკოპე, სინერეზისი, აფიქსაცია, რითმა, ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია, არქაიზმი, ნეოლოგიზმი, ანაგრამა, მეტათეზა, პალინდრომი, ვერლანი და სხვ. თითოეული ეს სახე დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ

ოპერაციასთან, როგორცაა შემოკლება (აფერეზისი, აპოკოპე, სინკოპე, სინერეზისი)¹³, დამატება (აფიქსაცია, რითმა, ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია), შემოკლება დამატებით (არქაიზმი, ნეოლოგიზმი) და გადასმა (ანაგრამა, მეტათეზა, პალინდრომი, ვერლანი) (იხ. სქემა 8.).

„ჯგუფი μ“ ერთმანეთისგან მიჯნავს ჰომოფონებს, რომლებიც მიიღება ე.წ. იტერაციული დამატებებიდან და რომლებიც მიიღება ე.წ. დამატებებიდან შემოკლებებით. პირველის შემთხვევაში (რიტმები, პარონომაზია და სხვ.), ჰომოფონური ელემენტები აუცილებლად არიან დაკავშირებულნი სინტაგმატური კავშირებით (მაგალითად, tout ce qui grouille, grenouille, scribouille / ყველაფერი, რაც ერთად უწესრიგოდ თავმოყრილია, ყაყანებს და ნაჯღაბნია). მეორე შემთხვევაში კი არაა აუცილებელი სიტყვის ან გამოხატულების მატერიალური თანამონაწილეობა: ფიგურა შეიძლება მივიღოთ ამის გარეშეც. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ზოგიერთი კალამბური, როგორც პარონომაზია in absentia, იქიდან გამომდინარე, რომ ამ შემთხვევაში, მეტაბოლის საფუძველში დევს ის, რომ აღმნიშვნელები არ თანხვდებიან ერთმანეთს, თუმცა აკუსტიკურად აღიქმებიან, როგორც ერთმანეთის მსგავსნი, მაგალითად, Les quatre sans cous / ოთხივე კისრის გარეშე და les quatre cents coups / თავაშვებული ცხოვრება დაიწყო (ჯგუფი μ, 1970/1986: 113-114).

ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე მეტაპლაზმებიდან შევეხებით ალიტერაციას, ასონანსსა და პარონომაზიას.

3.1.1. ალიტერაცია, ასონანსი

ბგერითი გამეორება, მათ შორის, **ასონანსი** და **ალიტერაცია**, ზოგადად, დამახასიათებელია პოეტური ტექსტებისთვის, ხოლო პროზაული ტექსტებისთვის – ნაკლებად. თუმცა ისეთი პროზაული ტექსტები, როგორცაა მჭევრმეტყველების ნიმუშები, მხატვრულობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, რის გამოც ვხვდებით ორივე სახის ბგერითი გამეორების შემთხვევებს. ამ თვალსაზრისით, ეს საკითხი შესწავლილი აქვს **რ. ბარამიძეს** ქართული სამქადაგებლო მჭევრმეტყველების

¹³ შენიშვ.: მეტაპლაზმები, კერძოდ, აფერეზისი, აპოკოპე, სინკოპე, სინერეზისი სინეზისი, ეპენტეზისი, პარაგოგა, სილექსისი შესწავლილი აქვს **თ. ბოლქვაძეს** ქართველი მეხოტბეების – **შავთელის** „აბდულმესიანისა“ და **ჩახრუხაძის** „თამარიანის“ საფუძველზე (უფრო ვრცლად იხ. ბოლქვაძე, 2005: 61-73).

წარმომადგენლის, იოანე ბოლნელის ქადაგებებში; ალიტერაციის მაგალითებად მოჰყავს: „განზრახვად განიზრახა მეზუერემან“ – მიღებული „ზ“ ბგერის სამგზისი გამეორებით, „მო-ცა-აკუდინა იგი სიკუდილითა მით საუკუნოდთა“ – „კ“ ბგერის სამგზისი გამეორებით და სხვ. (ბარამიძე, 1962: 54-55). მკვლევარი აღნიშნავს: „იშვიათია პროზაული ნაწარმოებები, რომელშიაც ამდენი ალიტერაციული და ასონანსური სტრიქონები იყოს, როგორც ამას ვხედავთ ი. ბოლნელის ქადაგებებში“ (ბარამიძე, 1962: 54). აღნიშნავენ იმასაც, რომ „მსგავს ბგერათა გამეორების შედეგად ფრაზები რიტმულია და კეთილხმოვანი, ზოგჯერ – გარიტმულიც“ (კოშორიძე, 2005: 116).

ალიტერაცია (alliteration) არის მეტყველების ფიგურა, რომელიც გულისხმობს ერთნაირი (ან მსგავსი) ბგერების ანდა ბგერათშეხამებების გამეორებას მარცვალთა დასაწყისში, ჩვეულებრივ ხმაბაძვით სიტყვებში (შელია, 2007: 6). მაგალითად, ალიტერაცია დამახასიათებელია მარცვალთა, სიტყვათა, თუ გამოთქმათა გამეორების შემთხვევაში:

(17) *„ვითარცა მწყემსი მწყსიდეს სამწყსოსა თვსსა და ჯელითა თვსითა შეიკრიბნეს კრავნი იგი და მჭრითა თვსითა იტვრთნეს იგინი, და ნუგეშინისმცემელ ექმნეს დამძიმებულთა. ვითარცა მწყემსი მწყსიდეს სამწყსოსა, ესე არს სიმდაბლითა მით თვსითა ასწავებდეს ერსა მას...“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ასონანსი (assonance) არის მეტყველების ფიგურა, რომელიც უგულებელყოფს რა თანხმოვნებს, ეფუძნება ხმოვანთა (ან დიფთონგების) თანხვედრას, მათ მელოდიურობას (შელია, 2007: 6).

მაგალითად, ასონანსს ქმნის ერთმანეთის მომდევნო სიტყვებში უ ხმოვნის გამეორება:

(18) *„მართლაც, ღმერთი სიყვარულია, განუსაზღვრელია, დაუსაბამო, დაუსრულებელი და უკიდევანო.“* (ილია II, საკვირაო ქადაგება, 2001, 23 დეკემბერი).

ასონანსისა და ალიტერაციის შემთხვევას ქმნის უ ხმოვნისა და კ თანხმოვნის გამეორება:

(19) „...მოწყლა იგი წყლულებითა დიდითა და მო-ცა-აკუდინა იგი სიკუდილითა მით საუკუნოდთა...“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

3.1.2. პარონომაზია

პარონომაზია არის ერთნაირი ძირის (იდენტური ფორმის ან დიდი ანალოგიის) მქონე მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების შეპირისპირება და კავშირი, როცა ერთი ძირის სიტყვა სხვადასხვა გრამატიკულ ფორმაშია (სახელი და ზმნა: ერთი სიტყვის სხვადასხვა ფლექსია, ბრუნვა თუ უღლება, სხვადასხვა წინდებულთა გაფორმება და ა.შ.).

კ. წერეთელმა შეისწავლა პარონომაზია ქართულში. მის კვლევაში აღნიშნულია შემდეგი:

პარონომაზია სემიტურ ენათათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის, დამახასიათებელ მოვლენადაა მიჩნეული. იგი მდგომარეობს ერთი ვერბალი ცნების ორი ფორმით (ორი სიტყვით) გადმოცემაში. ამასთანავე, ეს სიტყვები ერთი და იმავე ზმნიდან არიან ნაწარმოები; ან, მოკლედ რომ ვთქვათ, პარონომაზია ერთი ზმნის ორი სახით (ფორმით) წარმოდგენაა, რომლებიც მკითხველში (resp. მსმენელში) ერთ ცნებას იწვევს. (წერეთელი, 1954: 461).

როგორც განმარტებიდან ირკვევა, ებრაული პარონომაზიის ერთი წევრი ზმნის ინფინიტური ფორმაა, ხოლო მეორე – ფინიტური. ამათგან, პირველი (ინფინიტივი) status absolutus-ის სახითაა წარმოდგენილი. Infinitivus absolutus-ის ხმარება ზმნის ფინიტურ ფორმასთან ერთად ხაზს უსვამს ზმნით გამოხატულ მოქმედებას (მდგომარეობას) და მასზე ლოგიკური მახვილიც დაისმის. ამგვარად, წინ წამოწეულია მოქმედება, მიუხედავად კილოსი, დროისა თუ პირისა. პარონომაზიით გამოხატული მოქმედება ჩვეულებრივ არ გულისხმობს გარკვეულ პირს, არ არის მიმართული გარკვეული პირისადმი, ის ზოგადია და შეიძლება მიემართებოდეს ყველას გარკვეულ შემთხვევებში (წერეთელი, 1954: 462).

პარონომაზიის ამგვარი ბუნება განსაზღვრავს მისი ხმარების არეალსაც: პარონომაზია განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება პირობით წინადადებებში, სადაც ან პირობას გამოხატავს ან რაიმე პირობის შესრულების შედეგს. ასევე გვხვდება მიზეზობრივ წინადადებებში და სახელდობრ, მისი შედეგის გამომხატველ ნაწილში.

ქართულში პარონომაზია ორი წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთი მასდარია (საწყისი), მაგალითად: „*განმრავლებით განვამრავლნე*“, „*ჭამით სჭამოთ*“, „*სიკუდილითა მოჰკუდეთ*“, „*სიკუდილით მოკუდებო*“, „*სმენით ისმინე*“, „*დაცემით დაეცა*“, „*აღდგენით აღსდგა*“ და ა.შ. მასდარი, როგორც პარონომაზიის წევრი, ყოველთვის მოქმედებით ბრუნვაშია.

კ. წერეთელი საგანგებოდ ეხება პარონომაზიის საკითხს ქართულ ბიბლიურ ტექსტებში და მას ძირეული (მორფოლოგიური) პარონომაზიის შემთხვევად მიიჩნევს, ე.ი. ერთი ვერბალი ცნება გადმოცემულია ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ორი ზმნური სიტყვით (წერეთელი, 1954: 465).

მაგალითად, სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში ვხვდებით ძირეულ (მორფოლოგიურ) პარონომაზიას „*განმრავლებით განვამრავლნე*“:

(20) „*სანამდის ისინი ემორჩილებოდნენ ღვთის მცნებას, არ იცოდნენ ავადმყოფობა, ხოლო შესცოდეს თუ არა – მყისვე მიიღეს სამართლიანი მისაგებელი: განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქმანი შენნი, უბრძანა უფალმან დედაკაცს, შემცოდეს ღვთის წინაშე, მწუხარებით შენე შვილნი შენნი-ო (შექმ. 3, 16)*“ (კალისტრატე ცინცაძე, მოძღვრება დიდმარხვის მეორე კვირიაკესა, 1913);

მაგალითად, სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში ვხვდებით ძირეულ (მორფოლოგიურ) პარონომაზიას „*ჭამით სჭამოთ*“ და „*სიკუდილითა მოჰკუდეთ*“:

(21) „*ყოველისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ, ხოლო ხისა მის ცნობადისა კეთილისა, და ბოროტისა არა სჭამოთ და არცა შეეხნეთ, რამეთუ, რომელსა დღესა სჭამოთ, სიკუდილითა მოჰკუდეთ*“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1 სწავლა ეკლესიისათვის თუ რა არს შეკრება მუნ, 1698-1710).

მაგალითად, სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში ვხვდებით ძირეულ (მორფოლოგიურ) პარონომაზიას „*სიკუდილით მოკუდებო*“:

(22) „*ოდესცა შექმნა ღმერთმან ადამ და შთაბერა სული ცხოველობისა და დაადგინა სამოთხესა შინა, მაშინ მცნებით უბრძანა, რათა არა ჰსჭამოს ხისა მისგან კეთილისა და ბოროტისა ნაყოფთაგან, თორემ სიკუდილით მოკუდებო*“ (ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, 1 კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება სინანულისათვის).

მაგალითად, სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში ვხვდებით ძირეულ (მორფოლოგიურ) პარონომაზიას „*სმენით თუ ისმინე*“:

(23) *„სმენით თუ ისმინე უფლისა ღვთისა შენისა, ეტყოდა მათ უფალი ღმერთი, და – მარხვად და ყოფად ყოველთა ამათ მცნებათა, რომელთა მე გამცნებ, დღე-დღე გყოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ზემთა ყოველთა ნათესავთა ქვეყანისათა (მეორე სჯული 28, 1)“* (წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), *სიტყვა კვირა-ცხოვლობასა ზედა, ანუ თომა მოციქულისა, 1870-1884*).

კ. წერეთელი ქართული ბიბლიური ტექსტების შესწავლის საფუძველზე, ძირეული (მორფოლოგიური) პარონომაზიის გვერდით გამოყოფს ე.წ. სემასიოლოგიურ (სემანტიკურ) პარონომაზიას, როდესაც ერთი ვერბალი ცნება გადმოცემულია ორი სინონიმური ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით, მაგალითად, *„სიკუდილითა აღესრულოს“, სიკუდილითა მოსწყდენ“* და სხვ. კ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ამ სახის პარონომაზია ებრაულში, და საერთოდ სემიტურ ენებში, არ გვხვდება. ქართულში ხმარებული სემასიოლოგიური პარონომაზია შეესატყვისება ძირეულ (მორფოლოგიურ) პარონომაზიას ებრაულში (წერეთელი, 1954: 467-468).

ჩვენ მიერ ქართულ მჭევრმეტყველებაში მოძიებული მაგალითებიდან ირკვევა, რომ პარონომაზია დამახასიათებელია ქართული სამქადაგებლო მჭევრმეტყველებისთვის და ამ დარგში გამოვლენილ ყველა მაგალითში გვხვდება მხოლოდ ბიბლიურ ციტატებში, რომლებიც დამოწმებული აქვთ ქართველ ორატორებს. ეს ფაქტი მეტყველებს პარონომაზიის ებრაულ წარმომავლობაზე და იმაზე, რომ ბიბლიის ქართულ თარგმანებში ის გადმოსულია სწორედ ებრაულიდან. ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითებიდან ასევე ირკვევა, რომ პარონომაზია ფაქტობრივად არ გვხვდება ქართული მჭევრმეტყველების სხვა დარგების ნიმუშებში. გვაქვს ერთი მაგალითი ქართულ პოლიტიკურ მჭევრმეტყველებაში, რომელიც, ერთი შეხედვით ჰგავს პარონომაზიას. განვიხილოთ ეს მაგალითი:

(24) *„საქართველოს დაცემით დაეცა ტახტი, დაეცა ფეოდალთა უფლება. საქართველოს აღდგენით აღსდგა ხალხი, განმტკიცდა დემოკრატიის უფლება.“* (ნოე ჟორდანიას, სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამო, 1920, 14 იანვარი).

როგორც კ. წერეთელი აღნიშნავს, სინტაქსურად პარონომაზია ერთი მთლიანობაა: იგი წინადადებაში შემასმენელს წარმოადგენს. პარონომაზიიდან არც ერთი სიტყვის ცალკე სინტაქსურ ერთეულად გამოყოფა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარონომაზია კარგავს თავის სპეციფიკას და მოცემული მრავალსიტყვაობა გაუგებარი ხდება. პარონომაზია სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არ შედგენილი შემასმენელი – ერთი ვერბალი ცნების გამომხატველი. ამაშია პარონომაზიის თავისებურება. ამდენადვე, ქართული პარონომაზიის ცალკეულ წევრთა სინტაქსურ რაობაზე საუბარი შეუძლებელია (წერეთელი, 1954: 476). ჩვენ მიერ გამოვლენილ მაგალითებში სინტაგმები – „*დაცემით დაეცა*“ და „*აღდგენით აღსდგა*“ – ერთ მთლიანობას არ წარმოადგენენ, არამედ ცალ-ცალკე მიემართებიან სხვადასხვა არსებით სახელს: „*საქართველოს დაცემით / დაეცა ტახტი*“ და „*საქართველოს აღდგენით / აღსდგა ხალხი*“. ამდენად, აღნიშნული მაგალითი პარონომაზიის შემთხვევად ვერ ჩაითვლება.

3.2. მეტატაქსისები

„ჯგუფი μ “ „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით მეტატაქსისებში ერთიანდება ელიფსისი, ზევგმა, ასინდეტონი, პარატაქსისი, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, სილეპსისი, ჰიპერბატონი, ინვერსია და სხვ. თითოეული ეს სახე დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ ოპერაციასთან, როგორცაა შემოკლება (ელიფსისი, ზევგმა, ასინდეტონი, პარატაქსისი), დამატება (პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი), შემოკლება დამატებით (სილეპსისი) და გადასმა (ჰიპერბატონი, ინვერსია) (იხ. სქემა 8.).

მეტატაქსისი მოქმედებს წინადადების ფორმაზე და ცვლის მის სინტაქსურ სტრუქტურას. ამრიგად, მეტატაქსისის ნულოვანი დონის დადგენისას უნდა დავეყრდნოთ გრამატიკულ ნორმას. გასათვალისწინებელია წინადადებათა წევრების ყველა სახის კომბინაცია და განისაზღვროს ეს წევრები მათი წარმოშობის საფუძველზე, გარკვეულ კომბინაციებში. სინტაქსი ამ ინტერპრეტაციაში მოიცავს მორფემებს შორის წმინდა სტრუქტურული ურთიერთობების სფეროს (ჯგუფი μ , 1970/1986: 121).

ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე მეტატაქსისებიდან შევხებით ელიფსისს, პოლიპტოტონს, პოლისინდეტონსა და ინვერსიას.

3.2.1. ელიფსისი

ელიფსისი გულისხმობს ფრაზასა და წინადადებაში სიტყვათა გამოტოვებას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევებს – როცა ამოვარდნილია არსებითი სახელი ან ზმნა¹⁴. ელიფსისის მოვლენა – ტექსტში ნაგულისხმევი ენობრივი ერთეულის გამოტოვების შედეგად ლექსემის სემანტიკური გარდაქმნა – თვით ენობრივ სისტემაში მოქმედი წესებით არის განპირობებული (გამყრელიძე და სხვ., 2008: 358). ელიფსისის შემთხვევაში სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამოტოვება გარკვეული ემოციისა თუ განწყობის გამოწვევას ემსახურება (კუხალაშვილი და სხვ., 2008: 192). „ჯგუფი μ“-ს განმარტებით, ელიფსისი უფრო შინაარსის ფიგურაა, ვიდრე გამოხატულების (იმისდა მიუხედავად, რომ იგი ცვლის წინადადებათა სინტაქსურ სტრუქტურას). ამასთან, ელიფსისში, ფორმის არასრულყოფილების მიუხედავად, შენარჩუნებულია ყველა ინფორმაცია (1986: 132).

ელიფსისი გვხვდება თითქმის ყველა დარგის მჭევრმეტყველების ნიმუშებში. ქვემოთ მოცემულია წინადადებები, სადაც გამოტოვებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილი, უმეტესწილად, არსებითი სახელი ან ზმნა.

მაგალითად, გამოტოვებულია არსებითი სახელი „პატრონი“:

(25) „იყო დიდი შეძლების პატრონი, დიდი ქონების (Ø), დიდი სახელიც ჰქონდა, მისი უბედურება ერთი ის იყო, რომ მას თავის ქვეყნის და ერის წინაშე კი მცირედ ეჭირა თვალი.“ (ეპისკოპოსი ალექსანდრე, სიტყვა ლევან მელიქიშვილის დასაფლავებაზე, 1892, 25 თებერვალი);

მაგალითად, გამოტოვებულია ზმნა „მოაქვნიდენ“:

(26) „სხვასა სულთქუმანი მოაქვნიდენ, სხვასა – (Ø) განდობად ცრემლითა, სხვასა – (Ø) ღამე ყოველობითნი მღვიძარებანი, სხვასა – (Ø) ხმელსარეცელობად, სხვასა – (Ø) რადთურთით არარას ქონებად, კეისრისასა – ყოველსავე, ღმრთისასა – მხოლოდ ხორცთა ოდენ და მათცა მარხვითა

¹⁴ შენიშვ.: საუბრობენ ასევე აბსოლუტური ელიფსისის შესახებაც, რომლის მაგალითია კეისრის უკანასკნელი სიტყვები: „შენც, ბრუტუს.“ / “Et tu, Brute.” (ქვინი, 2010: 31).

განლულთაჲ, სხვასა – (Ø) სიტყვაჲ დაღათუ მდაბალი და უნდოდ, გარნა არავე უერმოდ, არცა უმუსიკელოდ მიმზიდველ ყოფად სმენისა.“ (არსენ ბერი, [შესხმა თქმული დავით აღმაშენებლის მიმართ]).

მაგალითად, გამოტოვებულია ზმნა „მისტაცა“:

(27) „ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა – (Ø) ძალი, ბრძენთა – (Ø) გონიერება, ერთა – (Ø) გვირგვინი, მხედართმთავართ – (Ø) სარდლობა და თვითმპყრობელთა – (Ø) სახელმწიფო ზრდილობა.“ (სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, 1798, 22 თებერვალი).

წინამდებარე მაგალითში გამოტოვებულია ზმნა „ამბობდა“ და არსებითი სახელი „ჯარი“:

(28) „საიღამ მოიპარა ეს ჯარი, არავინ იცოდა, ზოგი ამბობდა მიწიღამ ამოძვრაო, ზოგი – (Ø) ციღამ მოგვევლინაო, ზოგიც – (Ø) მოჩვენებაო.“ (მღვ. მელიტონ კელენჯერიძე, სიტყვა წმ. ნინოს დღეს, ფოთის საკათედრო ტაძარში, 1912, 14 იანვარი).

ელიფსისის შემთხვევა გვაქვს წინამდებარე მაგალითში, სადაც გამოტოვებულია მთელი ფრაზა „ქართული ლიტერატურა არის“. თუმცა, გარდა ელიფსისისა, გვაქვს გრადაციაც, რომელიც მიიღწევა ერთი და იმავე მეტყველების ნაწილების – ამ შემთხვევაში, რიცხვითი სახელების – დასახელებით, იმისათვის, რათა ქართული ლიტერატურის სიძველეს გაესვას ხაზი. რაც უფრო მატულობს ციფრი, მით უფრო დიდია ემოცია:

(29) „დღეს აქ არის ქართული ლიტერატურა, რომელიც, როგორც იცით, ძალიან ძველია, მრავალი საუკუნის. ჩვენ ვამბობთ – (Ø) 1500 წლის, ვიღაც მეცნიერები ამბობენ, (Ø) 2000-ის, (Ø) 2500-ის...“ (აკა მორჩილაძე, [სიტყვა წარმოთქმული ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2018 წლის 9 ოქტომბერს]).

აღსანიშნავია, რომ იმ წინადადებებისთვის, რომლებშიც გვხვდება ელიფსისი, დამახასიათებელია რიტორიკული გამეორება. ელიფსისი ხშირად საჭიროებს სიტყვათა გამეორებას, რაც ქმნის ქვეწყობილ / რთულ წინადადებაში ეპიფორის

გაჩენის საფუძველს (თუმცა გამორიცხავს ანაფორას), როგორც ეს ზემოთმოყვანილ მაგალითებში გვაქვს.

3.2.2. პოლიპტოტონი

პოლიპტოტონი მრავალბრუნვიანობა, ანუ ერთი და იმავე სიტყვების გამეორება სხვადასხვა ბრუნვაში მცირე ინტერვალით ერთი წინადადების ფარგლებში, ან ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში. მსგავსი წყობის წინადადებები *იოანე ბოლნელის „ქადაგებებში“* ძალიან ხშირად ფიქსირდება, რაც უნდა აიხსნებოდეს სამქადაგებლო სიტყვის განმარტებითი ხასიათით, რისთვისაც პოლიპტოტონი შესაფერისი ენობრივი საშუალებაა. მაგალითად:

ერთი არსებითი სახელი სამგვარი ბრუნვის ფორმაში; *მშვდობასა – მშვდობასა – მშვდობისა – მშვდობა*:

(30) „*მშვდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუნ და უკუეთუ ჰყოფდეთ მშვდობასა, ღმერთი მშვდობისა იყოს თქუნ თანა. იტყვს თვთ თავადი უფალი: ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარობდეთ ურთიერთას და მშვდობა გაქუნდეს ჩემ თანა.*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ორი არსებითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში; *მართლისა – სიმართლჳ – სიმართლესა; ურჩულოება – ურჩულოდსავე – ურჩულომან – ურჩულოვებათა – ურჩულოდსა*:

(31) „*სიმართლჳ მართლისა მის ზედავე იყოს და ურჩულოება ურჩულოდსავე მის ზედა იყოს. და ურჩულომან მან თუ მოაქციოს ყოველთაგან ურჩულოვებათა მისთა, რომელ ქმნა, და დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი ჩემნი და ყოს წყალობა და სიმართლჳ, ცხორებით ცხონდეს იგი და არა მოკუდეს იგი. და ყოველნი შეცოდებანი მისნი არღარა მოვიკსენნე სიმართლესა მას შინა, რომელ ქმნა, არამედ ცხორებით ცხონდეს. რამეთუ არა ნებით ვინებო სიკუდილი ურჩულოდსა მის, იტყვს უფალი, არამედ მოქცევად მისი გზისაგან მისისა უკეთურისა.*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);

ერთი არსებითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში; **ზეთი – ზეთი – ზეთსა – ზეთისადათა:**

(32) „და დაასხა მას ზედა **ზეთი** და ღვინო. **ზეთი** იგი, რომელ დაასხა, ესე არს დიდი მოწყალება მისი, რომელი მოჰვინა ჩუენ ზედა, რომელსაცა-ესე დღეს წყლითა ნათლის-ღებასა ვიცხებთ **ზეთსა** მას და ცხებითა მით **ზეთისადათა** მივემთხუევით მოსულასა სულისა წმიდისასა ჩუენ ზედა.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);

ერთმანეთის მეზობლად წყვილ-წყვილად წარმოდგენილია ოთხი არსებითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით; **კარაულსა – კარაული; სიმდაბლედ – სიმდაბლესა; ჯუარად – ჯუარსა; პანდიოქიონსა – პანდუქიონი:**

(33) „და აღუსუა იგი **კარაულსა** თვისსა ზედა. ესე არს, რამეთუ **კარაული** იგი **სიმდაბლედ** და **ჯუარად** გამოისახვის, რამეთუ დიდსა მას **სიმდაბლესა** თვისსა და პატოისანსა **ჯუარსა** დამოკიდებულ არს სასოებად ჩუენი. და შეიყვანნა იგინი **პანდიოქიონსა**. ხოლო **პანდუქიონი** გამოისახვის შემწყნარებელი ყოველთაჲ. რადმე არს შემწყნარებელი ყოველთაჲ?“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);

ერთმანეთის მეზობლად წყვილ-წყვილად წარმოდგენილია ორი არსებითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით; **მოყუასი – მოყუასსა; სიყუარულსა – სიყუარული – სიყუარულმან:**

(34) „და სამართალთა თუ მისთა ხვდოდი და **მოყუასი** შენი, ვითარცა თავი თვისი, გიყუარდეს. **სიყუარულსა** არაჲ ჰმურნ, არა მალლოინ, არა განლაღნის, არა სარცხუნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, **სიყუარული** არასადა დავარდის, **სიყუარულმან** **მოყუასსა** ბოროტი არა უყვის. აღმასრულებელი რჩულისაჲ არს **სიყუარული**, ესე არს სამართალი წინაშე ღმრთისა.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ერთმანეთის მეზობლად წყვილ-წყვილად წარმოდგენილია ორი არსებითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით; **მახვლი – მახვლითაცა; ქვაჲ – ქვასა:**

(35) „რამეთუ ყოველმან, რომელმან აღიღოს **მახვლი**, **მახვლითაცა** მოწყდეს. და ტაძრისა მისთვის, რომელი თქუა, ვითარმედ: არა დარჩეს **ქვაჲ** **ქვასა** ზედა, ვიდრე არა ყოველი დაირღუეს.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ერთმანეთის მეზობლად წყვილ-წყვილად წარმოდგენილია ორი არსებითი სახელი სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით; *ქველის საქმესა – ქველის საქმს; მარცხენს – მარცხენსა, მარჯუნს – მარჯუნსა; დაფარულად – დაფარულთა:*

(36) „ხოლო შენ, რაჟამს იქმოდი ქველის საქმესა შენსა, ნუ აგრძნობს მარცხენს შენი, რასა იქმოდის მარჯუნს შენი, რადთა იყოს ქველის საქმს შენი დაფარულად და მამად იგი შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მან მოგაგოს შენ ცხადად. არა თუ მარჯუნსა და მარცხენსა იტყვს, საყუარელნო, არამედ რადთა ერთითა გულითა იქმოდით კეთილსა და არა ორგულებით, რამეთუ ეპიებს ღმერთი მათ, რომელნი არიან გულითა წმიდანი.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

3.2.3. პოლისინდეტონი

პოლისინდეტონი (polysyndeton) (მრავალკავშირიანობა, მრავალკავშირიანი სიტყვათშეხამება, სინდეზისი, პოლისინდეტური კავშირი) არის თანწყობილი წევრების შეერთება დამხმარე სიტყვების (კავშირების) საშუალებით. პოლისინდეტონის შემთხვევაში არასრულმნიშვნელიანი სიტყვების გამეორება ხაზს უსვამს სინტაქსურ კავშირებს, როგორც ეს გვაქვს დამატების ქმედებისას მეტატაქსისში (ჯგუფი μ , 1970/1986: 142).

მაგალითად, მეორდება „*ანუ ვითარ*“:

(37) „*ანუ ვითარ მივჰხედო მე თუალითა ანუ ვითარ მივჰხედო მე თუალითა ჩემითა მსაჯულსა მას ცხოველთა და მკუდართასა? ანუ ვითარ შევეხო მაცხოვარსა სოფლისასა მე, სავსს ესე სიმწარითა და არაწმიდებითა? ანუ ვითარ თაყუანის-ვსცე მე ქრისტესა, ძესა ღმრთისასა, მე, არაღირსმან ამა?*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

მაგალითად, მეორდება „*ვითარცა*“:

(38) „*ვითარცა მწყემსი მწყსიდეს სამწყსოსა თვსსა და ჯელითა თვსითა შეიკრიბნეს კრავნი იგი და მვრითა თვსითა იტვრთნეს იგინი, და ნუგეშინისმცემელ ექმნეს დამძიმებულთა. ვითარცა მწყემსი მწყსიდეს*

სამწყოსა, ესე არს სიმდაბლითა მით თვისითა ასწავებდეს ერსა მას...“ (ოიანე ბოლნელი, ქადაგებანი).

მაგალითად, სამგზის მეორდება „ვითარ“:

(39) „ანუ ვითარ აღვალო პირი, უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ჯმაჲ ვნებითა და გოდებითა ძალისა თვისისაგან დაქსნილი, ვითარ აღვიხილნე თუალნი სულისანი, განსაცდელისა ამის აღმურითა დაბნელებულნი, ვინმცა განმიბნია უკუნი ესე და წყუდიადი მწუხარებისა ბნელი და მიჩუნამცა სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მშჳდობისაჲ?“ (გიორგი მცირე, სიტყვა, თქმული გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო, 1065);

მაგალითად, მეორდება „როგორ“ და „ყოველ“ ფორმები:

(40) „აი, როგორ უდგა ილია, ვით დედაბოძი, ჩვენი კულტურის დიდ კარიბჭეებს, ვით ძლევის დროშა ფრთებგამლილი, როგორ უძლოდა წინ ქართველობას, როგორ იცავდა ჩვენი ენის ზნეთა სიწმინდეს, როგორ უვლიდა და ინახავდა ჩვენი წარსულის ყოველ ჩუქურთმას, ყოველ ფრესკას, ყოველ ანდაზას...“ (ნიკოლოზ კანდელაკი, სიტყვა, ი. ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო, 1937, 13 ივნისი).

3.2.4. ინვერსია

ინვერსია არის სიტყვათა რიგის შეცვლა წინადადებაში, რომელსაც არა აქვს წინადადების წევრთა განმასხვავებელი, ანუ გრამატიკული ფუნქცია და მხოლოდ სტილისტური ფუნქციით შემოიფარგლება. „ჯგუფი μ“ „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით, ინვერსია განმარტებულია შემდეგნაირად:

ინვერსია, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება წინადადების სამი ძირითადი შემადგენელი წევრის რიგის ცვლილებაში. თუმცა არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ეს ტერმინი გამოვიყენოთ ანალოგიური ქმედებების აღსანიშნავად, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ წყვილებთან, როგორიცაა „ზმნა – ზმნისზედა“ ან „არსებითი სახელი – ზედსართავი სახელი განსაზღვრების როლში“. მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც ენობრივი უზუსტის ფარგლებში, ზოგიერთ ზედსართავ სახელს ენიჭება ამა თუ იმ

სიტყვის მიმართ განსაზღვრული პოზიცია, პრე- ან პოსტპოზიციაზე გადასვლა შეიძლება ჩაითვალოს ინვერსიად (ჯგუფი მ, 1970/1986: 157-158).

შ. აფრიდონიძის აზრით, ინვერსია გულისხმობს მონაცვლე ვარიანტთა არსებობას, მაშასადამე, ინვერსიის შეფასებისას გამოყოფს ორ შემთხვევას: 1. ვარიანტულ ინვერსიას, რომლის დროსაც სხვაობა საპირისპირო წყობებს შორის ნიუანსობრივია; 2. ინვარიანტულ ინვერსიას, როდესაც საპირისპირო წყობა პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომ, ჭეშმარიტი და გარეგნული ინვერსიის გასამიჯნავად მიზანშეწონილია ტერმინ „ინვერსიის“ საპირისპიროდ იხმარებოდეს „ფსევდოინვერსია“, როგორც გამომხატველი წმინდა ფორმალური უკუწყობისა, რომელსაც საპირისპირო ვარიანტი სინამდვილეში არ მოეპოვება (აფრიდონიძე, 1986: 88). „ცნობილია, რომ ინვერსია გულისხმობს ჩვეულებრივი ანუ ბუნებრივი წყობის დარღვევას. კერძოდ, ახალი ქართულისთვის ინვერსიად მიიჩნევა წყობა „შემასმენელი+ქვემდებარე“, „საზღვრული+მსაზღვრელი“ და ა.შ.“ (აფრიდონიძე, 1986: 86). ქართულ ენაში განსაკუთრებით გამოკვეთილია ინვერსიის შემდეგი სახეები:

1. მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა;
2. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სხვა სიტყვის ჩართვა;
3. ჩვენი მხრივ, გამოვყოფთ კიდევ ერთ შემთხვევას, რომელიც სტილისტურადაა მოტივირებული და გვხვდება ქართულ მჭევრმეტყველებაში, კერძოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის (ქვემდებარე-შემასმენლის) ინვერსია ერთმანეთის მომდევნო წინადადებაებში.

მსაზღვრელი, როგორც დაქვემდებარებული წევრი, გაბატონებულ წევრთან ახლოს ყოფნის ტენდენციას ავლენს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ადგილი უჭირავს მსაზღვრელს. ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისთვის. ამიტომ ასეთ მსაზღვრელს უშუალოდ უწოდებენ. მაგრამ შეიძლება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩადგეს სხვა რომელიმე წევრი, წევრები, შესიტყვება, წინადადებაც კი. ასეთი მსაზღვრელი გათიშული მსაზღვრელის სახელწოდებითაა ცნობილი. როგორც წესი, განმეორების თავიდან ასაცილებლად ენაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ოდენმსაზღვრელიანი შესიტყვება, რაც უმეტესად სტილური საჭიროებითაა გამოწვეული. ასეთი მსაზღვრელი განმარტოებული იქნება.

ჩვენი კვლევის საგანია საკუთრივ **ინვერსია** (გამოვრცხეთ ფსევდოინვერსიის შემთხვევები), რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, მსაზღვრელ-საზღვრულს, ხოლო მეორე მხრივ, ქვემდებარე-შემასმენლის წყობას ქართულ მჭევრმეტყველებაში. ამასთან, პრეპოზიციური წყობა (მსაზღვრელ-საზღვრული) ძველ ქართულ მჭევრმეტყველებაში, ხოლო პოსტპოზიციური წყობა (საზღვრულ-მსაზღვრელი) ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში – ორივე ინვერსიის სფეროს განეკუთვნება.

1.1. მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა

განსაზღვრებას განსასაზღვრავ სიტყვასთან ერთად **მსაზღვრელ-საზღვრულს** უწოდებენ, ხოლო წყვილის ცალკეულ ნაწილებს – **მსაზღვრელსა** და **საზღვრულს**. თუ სახელი სხვა სახელის განსაზღვრებად არის გამოყენებული და ფრაზაში მასთან დაკავშირებითაა ნახმარი, იგი მსაზღვრელია; თუ თავისთავად სიტყვას მსაზღვრელი ახლავს, ის ამ მსაზღვრელის მიმართ საზღვრული იქნება (შანიძე, 1973: 48).

განსაზღვრება წინადადების მეორეხარისხოვანი, ანუ არამთავარი წევრია. ყველა სახის განსაზღვრება მსაზღვრელია, ე.ი. ხსნის, ანუ საზღვრავს არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს რაიმე ნიშნის მიხედვით; შესიტყვებაში მსაზღვრელი ყოველთვის დამოკიდებული წევრია და საზღვრულის მიერ შეთანხმებული, მართული ან მართულ-შეთანხმებული.

განსაზღვრება ორგვარია: **ატრიბუტული** და **სუბსტანტიური**. ატრიბუტი საგნის ნიშან-თვისებაზე მიუთითებს და გვევლინება არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელითა და ნაცვალსახელით, მიმღეობითა და მასდარული ფორმებით; სუბსტანტივი კი წარმოდგენილია ნათესაობითში ან ნანათესაობითარ ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით, ან არსებით სახელად ქცეული მეტყველების სხვა ნაწილით. სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით მათ შორის ის სხვაობაა, რომ *„ატრიბუტული განსაზღვრება უკავშირდება საზღვრულს ბრუნვაში შეთანხმებით, მეორე – მართვითა და მართვა-შეთანხმებით. იმართვის მაშინ, როცა დგას საზღვრულის წინ, მართულ-შეთანხმებულია, როცა მოსდევს საზღვრულს“* (კიზირია, 1982: 190).

მსაზღვრელი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს საზღვრულ სიტყვას. მსაზღვრელი, რომელიც წინ უძღვის საზღვრულს, წინამავალი ანუ **პრეპოზიციური** იქნება, ხოლო საზღვრულის მომდევნო პოზიციაში დასმული მსაზღვრელი კი მომდევნო ანუ **პოსტპოზიციური**.

თანამიმდევრობა საზღვრულ-მსაზღვრელი, ანუ პოსტპოზიციური წყობა მეტად გავრცელებული იყო ძველ და საშუალო ქართულში. ნებისმიერი გადახვევა ამ წესიდან ინვერსიის სფეროს განეკუთვნება. „ძველ ქართულში მართული მსაზღვრელი, ისევე როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი, უმეტესად მოსდევს საზღვრულს, თუმცა არა იშვიათად მსაზღვრელ-საზღვრულის რიგიც გვხვდება.“ (ლორთქიფანიძე, 1959: 389). ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ამგვარი ინვერსიის შემთხვევები და მისი გავრცელების არეალი ძველ ქართულ მჭევრმეტყველებაში.

ქ. ლორთქიფანიძის შეხედულების მსგავს აზრს იმეორებს **მ. ნაჭყებია** ახალ ქართულთან მიმართებით:

ახალ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უძღვის მის მიერ განსასაზღვრავ წევრს, ე.ი. გაბატონებულია პრეპოზიციური (მსაზღვრელ-საზღვრული) რიგი. პოსტპოზიციური (საზღვრულ-მსაზღვრელი) წყობა იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება თანამედროვე ქართულში, უმეტესად პოეზიაში, რაც ამ შემთხვევაში ლექსის მეტრის საჭიროებით უნდა აიხსნას, ხოლო პროზაში სტილური, ან ექსპრესიული დანიშნულებისაა. (ნაჭყებია, 2005: 23).

ინვერსიის შემთხვევები ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში, სწორედ, სტილური და ექსპრესიული მიზნებითაა მოტივირებული.

ინვერსიული სუბსტანციური მსაზღვრელი სამეცნიერო ლიტერატურაში ნანათესაობითარი, ნაგენეტივარი მსაზღვრელის სახელითაა ცნობილი. მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი ბრუნება სპეციალისტების მიერ ორმაგ ბრუნებადაა მიჩნეული, რადგან ბრუნვის ორმაგ ნიშანს დაირთავენ (შანიძე, 1934: 292; შანიძე, 1973: 92). **თ. ჟორდანიას** ნაშრომში ანალოგიური პროცესი ორკეცი ბრუნების სახელითაა ცნობილი (ჟორდანიას, 1889: 160).

როგორც **აკ. შანიძე** აღნიშნავს, „თუ დღევანდელ ენაში გაბატონებულ ვითარებას ნორმად მივიჩნევთ, მაშინ საზღვრულ-მსაზღვრელი იქნება ინვერსიული რიგი (შებრუნებული რიგი), მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით ნორმა

საზღვრულ-მსაზღვრელი” (შანიძე, 1973: 91). თანამედროვე ქართული ენის შესწავლისას ამოსავალია არა ისტორიული თვალსაზრისი, არამედ დღევანდელი ვითარება. ამიტომ დღეს მსაზღვრელ-საზღვრული (პრეპოზიცია) პირდაპირი წყობაა, საზღვრულ-მსაზღვრელი (პოსტპოზიცია) – შებრუნებული (კვაჭაძე, 1981: 184).

თანამედროვე ქართულში ნორმადაა მიღებული პრეპოზიციური წყობა, ხოლო პოსტპოზიციური წყობა ინვერსიის სფეროს მიეკუთვნება. თუმცა რთული ვითარება გვაქვს ძველი და საშუალო ქართულის კვლევის თვალსაზრისით, რადგან ცალსახად რთული სათქმელია, ძველ და საშუალო ქართულში საზღვრულ-მსაზღვრელის თანამიმდევრობა ატარებს თუ არა ნორმის სახეს.

არნ. ჩიქობავას აზრით, მსაზღვრელ-საზღვრულის საკითხში ძველი ქართული უპირატესად პოსტპოზიციულ წყობას გვიჩვენებს, ახალ ქართულში კი გაბატონებულია პრეპოზიციული წყობა (ჩიქობავა, 1966: 19). თუმცა ამასთან, **მ. ნაჭყებიას** აზრით: „*ძველ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული რამდენიმე გარემოება, კერძოდ: პირველი, ნათარგმნია ძველი თუ ორიგინალური და, მეორე, ატრიბუტული მსაზღვრელის ადგილზეა ლაპარაკი თუ მართულისა; გასათვალისწინებელია ისიც, თუ მეტყველების რა ნაწილითაა გადმოცემული მსაზღვრელი და სხვ.*“ (ნაჭყებია, 2005: 24).

მსაზღვრელის ადგილი V-XI საუკუნეების ქართულში სპეციალურად შეისწავლა **ც. კალაძემ**. ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს ატრიბუტულ და მართულ მსაზღვრელთა თითქმის ყველა სემანტიკურ ჯგუფს და ასკვნის, რომ მსაზღვრელის ადგილი ძველ ქართულში შემდეგნაირად ნაწილდება:

მომდევნოა:

1. მართული მსაზღვრელი (სულერთია, არსებითი სახელით იქნება იგი გამოხატული თუ საწყისით);
2. ატრიბუტული მსაზღვრელებიდან: ა) მუდმივ მსაზღვრელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, ბ) მიმდევრობითა და გ) კუთვნილებითი ნაცვალსახელით გამოხატული მსაზღვრელი.

3. აქვე შემოვა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით გამოხატული მსაზღვრელიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პოზიციის ნორმა ასეთ მსაზღვრელებთან გამოკვეთილად არ ჩანს.

წინამავალია მხოლოდ ატრიბუტული მსაზღვრელები:

ა) ზედსართავის უფროობითი ხარისხის ფორმით გამოხატული, ბ) რიცხვითი სახელით გამოხატული, გ) ნაცვალსახელთაგან: ჩვენებითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, განსაზღვრებითი, მიმართებითი და უარყოფითი ნაცვალსახელებით გამოხატული და დ) მუდმივ მსაზღვრელთაგან ორი: დედა და მამა (კალაძე, 1961: 96).

მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა ოთხთავის მიხედვით შეისწავლა ვ. კახაძემ და დაადგინა, რომ გაბატონებული წყობაა საზღვრულ-მსაზღვრელის თანამიმდევრობა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მეტყველების სხვადასხვა ნაწილით გამოხატული მსაზღვრელის ადგილი სხვადასხვაა (კახაძე, 1956: 329-338). თითქმის ისეთივე დასკვნაა მიღებული, როგორსაც ც. კალაძე გამოთქვამს.

მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის საკითხს ძველსა და საშუალო ქართულში ვრცლად მიმოიხილავს ზ. სარჯველაძე. მას გაანალიზებული აქვს ამ პერიოდის სხვადასხვა ჟანრის, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ძეგლები და ცალცალკეა შესწავლილი შეთანხმებული და მართული მსაზღვრელები. ძველი ქართული (V-XI საუკუნეები) ორიგინალური ძეგლების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ მართული მსაზღვრელი, ასევე ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, მოსდევენ საზღვრულს (სარჯველაძე, 1984: 510). შეთანხმებული მსაზღვრელების შემთხვევაში, როცა მსაზღვრელად გვაქვს ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რაოდენობითი რიცხვითი სახელები, განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელი („მრავალი“), კითხვითი, განსაზღვრებითი, მიმართებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები, ანთროპონიმები, მაშინ პრეპოზიციური წყობა ბატონობს (სარჯველაძე, 1984: 519).

საშუალო ქართულის (XII-XVIII საუკუნეები) ორიგინალური ძეგლები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ იმის მიხედვით, რომელ ჟანრს განეკუთვნება საკვლევი ძეგლი:

- 1) ამ პერიოდის ჰაგიოგრაფიული ძეგლები ემთხვევა V-XI საუკუნეების ვითარებას;
- 2) საისტორიო ჟანრის ძეგლებში ჭარბობს მსაზღვრელის ინვერსიულობა, როგორც მართულ, ისე შეთანხმებულ მსაზღვრელებთანაც;
- 3) „ამირანდარეჯანიანში“, „ვისრამიანსა“ და საისტორიო დოკუმენტთა ერთ ნაწილში მსაზღვრელი უპირატესად საზღვრულის წინ დგას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მართული მსაზღვრელიც, აგრეთვე ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც პრეპოზიციულ ვითარებას გვიჩვენებენ (სარჯველაძე, 1984: 510-531).

ამრიგად, მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობის შესახებ მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებში დადგენილია, რომ V-XI საუკუნეების ორიგინალურ ძეგლებში გაბატონებულია ატრიბუტულ მსაზღვრელთა პრეპოზიცია. აღნიშნული ტენდენცია, ატრიბუტულ მსაზღვრელთა წინამავლობა, თანდათანობით გახშირდა მომდევნო საუკუნეებში და დღეს უკვე ნორმადაა ქცეული. გამონაკლისს გვიჩვენებს მხოლოდ საერო მწერლობის ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მსაზღვრელ-საზღვრულის წყობით ძველი ქართულის ვითარებას უპირისპირდება.

ზ. სარჯველაძის გამოთვლით, „ვეფხისტყაოსანში“ გაბატონებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციული წყობა (სარჯველაძე, 1984: 263). ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციური სიჭარბე „ვეფხისტყაოსანში“ განასხვავებს მას ადრინდელი თუ იმავე პერიოდის სხვა ორიგინალური წერილობითი ძეგლებისაგან. მაგრამ ეს ვითარება იმდროინდელ ცოცხალ მეტყველებას სულაც არ ასახავს და ეს უფრო უნდა აიხსნას რითმის საჭიროებით (სარჯველაძე, 1984: 263; 524).

რაც შეეხება ნათარგმნ ძეგლთა მონაცემებს მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობის თვალსაზრისით. ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ორიგინალურ ძეგლებში ატრიბუტულ სინტაგმაში ზედსართავი უფრო პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, ნათარგმნ ძეგლებში კი ნორმა პოსტპოზიცია (კალაძე, 1961; კახაძე, 1956; სარჯველაძე, 1984).

საკითხის შესწავლის საერთო ვითარებამ გვიჩვენა, რომ გამოკვლეულია, როგორც ძველი, ისე საშუალო და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თითქმის

ყველა ჟანრის ძეგლი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ განვიხილავთ ინვერსიის საკითხს ძველ ქართულ ორიგინალურ მჭევრმეტყველებით (X-XVIII საუკუნეები) და ახალ ქართულ ორიგინალურ მჭევრმეტყველებით (XIX საუკუნე) ტექსტებზე დაყრდნობით.

1.1.1. ნაცვალსახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად

ქართულ ენაში ატრიბუტულ მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველგვარი სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიმღობა (მოქმ. და ვნებ.), საწყისი (შანიძე, 1976: 43; შანიძე, 1980: 81).

ძველ ქართულში მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელებია **ესე, ეგე, იგი** და მათგან ნაწარმოები: **ესევეთარი, ეგევეთარი, ესოდენი, ესთენი, ესემლევეანი (ამგვარი)**. ძირეული ჩვენებითი ნაცვალსახელები – **ესე, ეგე, იგი** – ამავე დროს მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციასაც ასრულებს. გარჩევის ერთადერთი ნიშანია ის, თუ რა ადგილი უკავიათ მათ საზღვრული წევრის მიმართ: თუ **ესე, ეგე, იგი** წინ უსწრებს საზღვრულ წევრს, ანუ პრეპოზიციურია, მაშინ ასეთი მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელია, ხოლო საზღვრულის მომდევნო პოზიციის, ანუ პოსტპოზიციურობის შემთხვევაში, მსაზღვრელი ნაწევარია (თოფურია, 1954: 563; იმნაიშვილი, 1957: 86; ნაჭყებია, 2005: 107). ეს წესი ვრცელდება როგორც ძველი, ისე საშუალო და ახალი ქართულის მიმართ.

შეინიშნება მსაზღვრელი ნაწევრის პოზიციის ზემოაღნიშნული წესიდან გადახვევაც, მაგრამ ეს ხდება განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, როცა ნაწევართან ერთად სახელს ერთვის წინ დასმული სხვა მსაზღვრელი: **შენმან მან ვერცხლმან** (იმნაიშვილი, 1957: 563). ასეთ შემთხვევაში, **ესე, ეგე, იგი** ფორმების იდენტიფიკაცია ძნელდება, რადგან რთული განსასაზღვრია, ისინი წინამავალ მეტყველების ნაწილს მიემართება თუ მომდევნოს, ამდენად, იმის განსაზღვრა, ნაწევრის ფუნქციითა გამოყენებული, თუ ნაცვალსახელის, ვერ ხერხდება. მაგალითად, იოანე ბოლნელის ქადაგებებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის მომდევნო ფრაზაში შეცვლილია მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა,

რითაც ასევე ძნელი გასამიჯნია ერთმანეთისაგან, მსაზღვრელად ნაცვალსახელია გამოყენებული, თუ ნაწევარი. მაგალითად: **კაცი იგი → იგი კაცი**.

ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში მსაზღვრელი უმეტესწილად ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციითა გამოყენებული, მაგალითად:

(41) *„იგი სასწაულთ–მოქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის.“*
(ილია ჭავჭავაძე, სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე).

მაგალითად, მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციითა გამოყენებული შემდეგ შემთხვევებში:

(42) *„იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო.“* (ილია ჭავჭავაძე, სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე).

ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში გვაქვს როგორც პრეპოზიცია, ისე პოსტპოზიცია, როცა მსაზღვრელად ჩვენებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული. ისინი შედგენილობით ორგვარია: **ძირეული** (ეს, ეგ, ის, იგი) და **ნაწარმოები** (ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, იმნაირი, ამისთანა, იმისთანა, ამდენი, იმდენი...) (ნაჭყებია, 2005: 107-108). ჩვენ მიერ განხილულ ახალი ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებში, მსაზღვრელ-საზღვრულის უფრო გავრცელებული წყობა პოსტპოზიციურია, როგორც ეს იყო ძველ ქართულში, მაგალითად, **საზღვრული (არსებითი) + მსაზღვრელი (ნაცვალსახელი): მახარობელი მათი, ხსენება შენი**:

(43) *„დაიხ, ჩვენა ვართ მხოლოდ წინამორბედი, ძალიან სუსტი წინამორბედი და მახარობელი მათი!..“* (აკაკი წერეთელი, სიტყვა, თქმული თელავში სადილზე).

(44) *„საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..“* (აკაკი წერეთელი, სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე).

უახლეს ქართულ მჭევრმეტყველებაში პრეპოზიციასა გავრცელებული, მაგალითად, **მსაზღვრელი (ნაცვალსახელი) + საზღვრული (არსებითი): ეს სიყვარული**:

(45) *„სიყვარულით დაგვაჯილდოვა უფალმა და ეს სიყვარული გადაარჩენს საქართველოს.“* (ილია II, ქადაგება ქეთევანობის დღესასწაულზე, 2004, 26 სექტემბერი).

1.1.2. ზედსართავი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად

მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელები და მიმღებობები ისევე მოსდევს საზღვრულს ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში, როგორც ეს იყო ძველ და საშუალო ქართულში გავრცელებული. მაგალითად:

არსებითი (საზღვრული) + ზედსართავი (მსაზღვრელი): სასწაული დიდი, სასწაული გამოუთქმელი:

(46) „აჰა, ძმანო, სასწაული დიდი და გამოუთქმელი!“ (წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), *სიტყვა პეტრე-პავლობის დღეს*).

არსებითი (საზღვრული) + ზედსართავი (მსაზღვრელი): მხიარულება უნაკლო, სიხარული უღრუბლო:

(47) „*დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვა გვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო!*“ (აკაკი წერეთელი, *სიტყვა, თქმული ნადიმზე ქართველ მუსულმანთა შემოერთების გამო*).

აქვე უნდა განვიხილოთ ემფაზა, როგორც ინვერსიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ინვერსიული წყობის ხმარება ძველ ქართულში თუ ხშირი მოვლენა იყო, ახალ ქართულში იგი შემცირდა. ამდენად, ემფაზა ენაში ინვერსიის ხელახალ აქტუალიზაციასთან არის დაკავშირებული. აქტუალიზაციას შემდეგნაირად განმარტავენ: წინადადების სინტაქსური სტრუქტურის შეგუება მოცემული გამონათქვამის კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზანთან“ (კოვტუნოვა, 1969: 34). ამის გათვალისწინებით, ემფაზის შემთხვევების გამოვლენა და მათი შესწავლა მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე, რომელიც მოიცავს XIX საუკუნის ავტორებსა და მათ ნიმუშებს.

ინვერსია, ხშირად, როგორც ჩანს, ძველი ქართულიდან მომდინარე ტრადიციის ძალით მოქმედებს. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა, ერთი მხრივ, მსაზღვრელ-საზღვრულის და მეორე მხრივ, საზღვრულისა და შემასმენლის ურთიერთობის დროს. მაგალითად, ახალი ქართული მჭევრმეტყველების ზოგიერთი წარმომადგენელი (იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ.) მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიას მიმართავს ძირითადად მაშინ, როდესაც მსაზღვრელი თავის

საზღვრულთან ერთად შემასმენლის მომდევნო პოზიციაში დგანან. ამ შემთხვევაში, მსაზღვრელი ინაცვლებს წინადადების მარჯვნივ, უკიდურეს ბოლოში და გვაძლევს ამგვარ განლაგებას:

ზმნა + საზღვრული + მსაზღვრელები: „*ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა*“:

(48) „წართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვედარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარს ადვილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა.“ (ილია ჭავჭავაძე, სიტყვა, თქმული ნადიმზე ევგენი მარკოვის მიმართ).

ამის გვერდით ქვემდებარე-შემასმენლის წყობის ნაცვლად გვაქვს შემასმენლის პრეპოზიცია ქვემდებარესთან მიმართებით და ვიღებთ ამგვარ განლაგებას:

ზმნა + მსაზღვრელი + საზღვრული: „*დაივიწყა დიდებული ანდერძი*“:

(49) „*მან სრულიად და სავსებით დაივიწყა დიდებული ანდერძი თავის ღვაწლით შემოსილი წინაპრებისა, ქართველთა დედებისა...*“ (იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო სიტყვა, 1911).

1.2. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სხვა სიტყვის ჩართვა

ერთი წინადადების ფარგლებში, შეცვლილია სიტყვათა რიგი და მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ჩართულია სხვა სიტყვა:

ამისა წამალი → საღებური წყლოულებისაჲ ამის:

(50) „*ეჰა, საყუარელნო, რადმემცა იყო უადვილსი ამისა წამალი, ანუ უჰამოვნსი საღებური წყლოულებისაჲ ამის, ანუ ესოდენი სიმარჯუჴ გზისაჲ მის, უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგჴტევნეს ჩუენცა ღმრთმან შეცოდებანი ჩუენნი?*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ახალ ქართულ მჭევრმეტყველებას რაც შეეხება, აქაც გვაქვს იგივე შემთხვევები:

სცემეს მის ცოლს → მოკლეს ერთგული მისი მსახური:

(51) „*გაბოროტებულმა ავაზაკებმა ტყვიით განგმირეს მოხუცი მწერლის შუბლი და მკერდი, თოფის კონდახით დაალურჯეს იგი, გრძნობის*

დაკარგვამდე სცემეს მის ცოლს და იქვე მოკლეს ერთგული მისი მსახური.“
(ა. ჩიქვანაია, საბრალდებო სიტყვა ი. ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე).

1.3. მსაზღვრელ-საზღვრულისა და საზღვრულ-მსაზღვრელის წყობა ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში

ქართულ ენაში განსაკუთრებით გამოკვეთილია ინვერსიის სამი სახეობა: მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა და მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სხვა სიტყვის ჩართვა, შემასმენლის მოძრაობა და ჩვენი მხრივ, გამოვყოფთ მეოთხე შემთხვევას, რომელიც სტილისტურადაა მოტივირებული და გვხვდება ქართულ მჭევრმეტყველებაში, კერძოდ, მსაზღვრელ-საზღვრულისა და საზღვრულ-მსაზღვრელის წყობა (პოსტპოზიცია და პრეპოზიცია) ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში. მაგალითად, ერთმანეთის მომდევნო ანაფორული წყობის წინადადებებში განზრახ შეცვლილია სიტყვათა რიგი და ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში პოსტპოზიციურ წყობას ენაცვლება პრეპოზიციული წყობა, მაგალითად:

კაცი იგი → იგი კაცი:

(52) *„ეკა საყუარელნო, ნეტარ იყოს კაცი იგი, რომელი მოკუდეს ესევეითარითა სიკუდილითა. ნეტარ იყოს იგი კაცი, რომელსა ჰყვანდენ ესევეითარნი მოგზაურნი და ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ესევეითარნი სიკუდილისაგან ცხორებად მიიცვალეზიან.“*(იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

კაცთმოყუარებასა მისსა → მისსა სიტკბოებასა → მისსა სიმდაბლესა:

(53) *„ხოლო აწ, საყუარელნო, ჰხედავთა მრავალმოწყალებასა ღმრთისასა და კაცთმოყუარებასა მისსა და დიდსა მისსა სიტკბოებასა და აურაცხელსა მისსა სიმდაბლესა, ვითარ-იგი თავი თჳსი დადვა ცხოვართა თჳსთა ზედა და მოიძია წარწყმედული იგი?“*(იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

შემთხვევები, როდესაც შეცვლილია სიტყვათა რიგი და ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში პოსტპოზიციურ წყობას ენაცვლება პრეპოზიციული წყობა, გვაქვს ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაშიც:

მუშაკს „მადლისა და ჭეშმარიტებისას“ → „მშვიდობისა და სიყვარულის“ მოძღვარს:

(54) *„შეძრწუნებული გულით ვუმზერთ საფლავად ჩამავალს მუშაკს „მადლისა და ჭეშმარიტებისას“, გულის ტკივილით ვეთხოვებით „მშვიდობისა და სიყვარულის“ მოძღვარს, სიობლის მწუხარებით ვაბარებთ სამარეს საყვარელსა და სანატრელს მამას...“ (ნიკო დადიანი, სიტყვა თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე).*

ახალი ქართული მჭევრმეტყველების ამ მაგალითში გვაქვს ერთმანეთის მომდევნო წყობაში პოსტპოზიცია (*სამხედრო გმირობა*), პრეპოზიცია (*გმირობა სამოქალაქო*) და შემდეგ ისევ პოსტპოზიცია (*სამოქალაქო გმირობა*):

სამხედრო გმირობა → გმირობა სამოქალაქო → სამოქალაქო გმირობა:

(55) *„ღვთის მადლით, ახლა ჩვენში სამხედრო გმირობა ისე საჭირო აღარ არის, როგორც ძველად. ახლა არის საჭირო გმირობა სამოქალაქო; არის საჭირო და სამხელოც, რადგან სამოქალაქო გმირობა არის განუწყვეტელი, დაუმინებელი ომი უმეცრებასთან, სიავესთან, სიცრუვესთან.“ (ნიკო დადიანი, სიტყვა, თქმული დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვაზე).*

მაგალითად, ახალი ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთ ნიმუშში ერთმანეთის მომდევნო წყობაში გვაქვს პრეპოზიციისა (*სიყვარული ჩვენი*) და პოსტპოზიციის (*ჩვენი სამშობლოსი*) შემდეგი შემთხვევა:

(56) *„ეს სიყვარული ჩვენი ჩვენი სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა.“ (ილია ჭავჭავაძე, სიტყვა, თქმული ნადიმზე ევგენი მარკოვის მიმართ).*

ჩვენ შევისწავლეთ ქართული მჭევრმეტყველება ინვერსიის თვალსაზრისით და განვიხილეთ ინვერსიის სამი სახეობა: მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა და მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სხვა სიტყვის ჩართვა და ჩვენის მხრივ, გამოვყავით მესამე შემთხვევა, რომელიც სტილისტურადაა მოტივირებული და

გვხვდება ქართულ მჭევრმეტყველებაში, კერძოდ, მსაზღვრელ-საზღვრულისა და საზღვრულ-მსაზღვრელის წყობაა, ანუ პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში.

მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის შესწავლამ X-XXI საუკუნეების ქართულ მჭევრმეტყველებაში, გვიჩვენა არაერთგვაროვანი ვითარება: ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში (XIX ს.) ვხვდებით როგორც პოსტპოზიციურ, ისე პრეპოზიციურ წყობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის პოსტპოზიციური წყობა უფრო დომინირებს, პრეპოზიციული წყობის აქტუალიზაცია ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში სტილისტურად უნდა იყოს შეპირობებული და უნდა ემსახურებოდეს სტილური ეფექტის მიღწევას.

ახალი ქართული ორიგინალური მჭევრმეტყველებითი ნიმუშების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ერთად თანაარსებობს როგორც პოსტპოზიციური, ისე პრეპოზიციული წყობა, რაც უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით: საქმე გვაქვს სტილურად მოტივირებულ ტექსტებთან და პოსტპოზიციური წყობაც სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული. ამასთან, პოსტპოზიციური წყობა ქარბობს პრეპოზიციულს.

ინვერსია გამოყოფს და აძლიერებს სინტაგმაში რომელიმე სიტყვის მნიშვნელობას, რაც გარკვეულ სტილისტურ ეფექტს ქმნის ქართულ მჭევრმეტყველებაში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ინვერსიის თითოეული შემთხვევის მიზანია სიტყვის მხატვრული და ზემოქმედებითი ეფექტის მიღწევა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ მჭევრმეტყველებაში.

3.3. მეტასემეები

„ჯგუფი μ“ „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით მეტასემეებში ერთიანდება სინეკდოქე, ანტონომაზია, შედარება, მეტაფორა¹⁵, არქილექსია, მეტონიმია, ოქსიმორონი და სხვ. თითოეული ეს სახე დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ ოპერაციასთან, როგორცაა შემოკლება (სინეკდოქე, ანტონომაზია,

¹⁵ „ჯგუფი μ“ განარჩევს ორი სახის მეტაფორას: მეტაფორა in praesentia და მეტაფორა in absentia.

შედარება, მეტაფორა in praesentia), დამატება (არქილექსია), შემოკლება დამატებით (მეტაფორა in absentia, მეტონიმია, ოქსიმორონი) (იხ. სქემა 8.).

მეტასემეების (ტროპების) შემთხვევაში, სიტყვებს ენიჭებათ ახალი მნიშვნელობა. აღნიშნული „სემანტიკური გარღვევა“, რა თქმა უნდა, მკითხველისთვის / მსმენელისთვის ძალზე საინტერესოა, რადგან ეს მისთვის დადებითი ემოციების წყაროა. ამრიგად, მკითხველი / მსმენელი აძლევს შეტყობინებას ესთეტიკურ შეფასებას. ეს გარემოება უკვე საკმარისია იმისათვის, რათა ვისაუბროთ შეტყობინების რიტორიკულ ფუნქციაზე (ჯგუფი µ, 1970/1986: 73).

რ. იაკობსონი თავის ცნობილ ნაშრომში „ენის ორი ასპექტი და აფაზიურ დარღვევათა ორი ტიპი“ ავითარებს თავის თეორიას მეტაფორისა და მეტონიმიის შესახებ, როგორც აფაზიურ დარღვევათა ორ ურთიერთსაპირისპირო ტიპებს (“polar types”); **რ. იაკობსონის** თეორიის მიხედვით, მეტონიმია და მეტაფორის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფიგურაა (1971ა: 67; 1971ბ: 254).

ფ. დე სოსიურის ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობით, **რ. იაკობსონი** მიიჩნევდა, რომ მეტყველებაში ხორციელდება ორი სახის ქმედება: ენობრივ ერთეულთა სელექცია (ასევე სუბსტიტუცია) და მათი კომბინაცია. მეცნიერი აქვე იმოწმებს სოსიურის მითითებას იმის შესახებ, რომ კომბინაცია „არსებობს in praesentia“, ე.ი. კომბინირებული ენობრივი ერთეულები აუცილებლად წარმოდგენილია „რეალურ ენობრივ სერიაში“. რაც შეეხება სელექციას, ის, სოსიურის თქმით, „აერთიანებს ერთეულებს in absentia, როგორც ვირტუალური მნემონიკური რიგის წევრებს“. ამდენად, სელექცია (და, შესაბამისად, სუბსტიტუცია) ეხება კოდში გაერთიანებულ პირებს, მაგრამ არა მოცემულ შეტყობინებას, მაგრამ, კომბინაციის შემთხვევაში, პირები წარმოდგენილნი არიან ან ორივეში, ან მხოლოდ შეტყობინებაში. ადრესატი აღიქვამს, რომ მოცემული გამოთქმა (შეტყობინება) წარმოადგენს შემადგენელი ნაწილების (წინადადებების, სიტყვების, ფონემების) კომბინაციას, ხოლო სელექცია ხორციელდება ყველა შესაძლო შემადგენელი ნაწილის მარაგიდან (კოდი). კონტექსტის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთის მომიჯნავედ არიან, ხოლო სუბსტიტუციისას, ნიშნები დაკავშირებულია მსგავსების სხვადასხვა ხარისხით, რომლებიც ცვალებადია და მერყეობს სინონიმებს შორის

ეკვივალენტობასა და ანტონიმებს შორის (იაკობსონი, 1971ა: 54-55; იაკობსონი, 1971ბ: 243-244)¹⁶.

რ. იაკობსონი განიხილავს კომბინაციისა და სელექციის ქმედებებს მრავალფეროვან აფაზიურ დარღვევათა ფონზე და აღნიშნავს, რომ კომბინაციის ქმედების დარღვევისას ირღვევა მომიჯნავეობის მიმართებები, ხოლო სელექციის ქმედების დარღვევისას – მსგავსების მიმართებები. შემდგომ ის განაზოგადებს: *„მეტყველება შეიძლება განვითარდეს ორი სემანტიკური მიმართულებით: ერთიდან მეორეზე გადასვლა ხდება მათი მსგავსების ან მომიჯნავეობის მიხედვით. პირველი შემთხვევისთვის ყველაზე შესაფერისი ტერმინი იქნებოდა მეტაფორული გზა, ხოლო მეორისთვის – მეტონიმიური გზა, ვინაიდან ისინი ყველაზე კონცენტრირებულად გამოიხატება მეტაფორასა და მეტონიმიაში.“* (1971ა: 67-68; 1971ბ: 254). ამდენად, რ. იაკობსონი მეტაფორის წარმოქმნის პრინციპად ასახელებს სელექციას (ასევე სუბსტიტუციას), ხოლო მეტონიმის პრინციპად – კომბინაციას¹⁷.

თუმცა არის განსხვავებული მოსაზრებაც, კერძოდ, **ჟ. ჟენეტის** აზრით, ყველა ტროპს (და არა ამა თუ იმ ტროპის სახეს მხოლოდ) საფუძვლად უდევს სუბსტიტუცია, რომელიც გულისხმობს ორი წევრის ურთიერთჩანაცვლებას ეკვივალენტურობის საფუძველზე, თუნდაც მათ შორის არ იყოს რაიმე ანალოგიის პრინციპი დაცული: *„ყოველი ტროპი, მისი განსაზღვრების შესაბამისად, წარმოადგენს წევრთა სუბსტიტუციას და, მამასადამე, გულისხმობს ამ წევრთა გარკვეულ ეკვივალენტურობას, თუნდაც მათ მიმართებაში არ იყოს არაფერი ანალოგიური: როდესაც ვამბობთ „აფრას“ იმის ნაცვლად, რომ ვთქვათ „გემი“, ჩვენ ვაქცევთ „აფრას“ „გემის“ სუბსტიტუტად, ე.ი. მის ეკვივალენტად“* (ჟენეტი, 1998: 34).

რაც შეეხება „ჯგუფი μ “-ს „ზოგადი რიტორიკის“ თეორიას, მათ მიერ წარმოდგენილ მეტაბოლათა კლასიფიკაციაში მეტონიმია იმავე კლასში განიხილება,



¹⁶ უნდა აღინიშნოს, რომ in praesentia-ს სოსიური უწოდებდა სინტაგმატიკურ ურთიერთობებს, რომლის შემთხვევაშიც, ერთმანეთს უკავშირდება ორი ან მეტი წევრი, ხოლო ამის საპირისპიროდ, in absentia-ს – ასოციაციურ ურთიერთობებს, რომლის წევრებიც ერთიანდებიან ვირტუალურ, მნემონიკურ რიგში (სოსიური, 1916/1977: 156).

¹⁷ შენიშნავენ, რომ უფრო კორექტული იქნება მეტაფორის პრინციპად მარტოოდენ სელექციის აღიარება, რადგან სუბსტიტუცია საფუძვლად უდევს არა მხოლოდ მეტაფორას, არამედ – სხვა ტროპებსაც. რაც შეეხება სელექციას, ე.ი. ალტერნატიულ ვარიანტთა შერჩევის ოპერაციას, ის დამახასიათებელია მხოლოდ მეტაფორისთვის (ელიფსური ანუ იმპლიციტური მეტაფორისთვის). მეტაფორის წარმოქმნის პრინციპად სელექციის (და არა სუბსტიტუციის) აღიარება საშუალებას იძლევა, მკაფიოდ გავმიჯნოთ ტროპის ეს სახე სხვა სახეებისგან (ლომიძე, 2014: 15; 124).

რომელშიც მეტაფორა, კერძოდ, ორივე მეტასემემადაა მიჩნეული, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ ოპერაციასთან, სახელდობრ, ორი სახის მეტაფორიდან მეტაფორა in praesentia წარმოიქმნება შემოკლებით, ხოლო მეტაფორა in absentia და მეტონიმია – შემოკლება დამატებით (იხ. სქემა 8.).

„ჯგუფი μ “ „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით, მეტაფორა დაფუძნებულია ორი კლასის სემანტიკურ კვეთაზე, მაშინ, როცა მეტონიმია მოქმედებს არაგადამკვეთი კლასების სფეროში. თუ მეტაფორის განმსაზღვრელ ლოგიკურ სქემას დავაკვირდებით (სქემა 12.), ჩვენ დავინახავთ, რომ საწყისი ცნებიდან (A) შედეგობრივ ცნებაზე (B) გადასვლა მეტაფორის შემთხვევაში ხორციელდება შუალედური ცნების საშუალებით (C_1), ხოლო მეტონიმის შემთხვევაში – ორივეს (A-სა და B-ს) მომცველი ცნების მეშვეობით (C_2), ამას გარდა, A და B შეიძლება გავაერთიანოთ D ან E ტიპის კავშირებად (ჯგუფი μ , 1970/1986: 215).

სქემა 12. მეტაფორა და მეტონიმია (ჯგუფი μ , 1970/1986: 216)

მეტაფორა	მეტონიმია	დაშლის მეთოდი
 <p>სემათა თავსებადი გაერთიანება</p>	 <p>თავსებადი გაერთიანება ერთ სემაში</p>	D კონცეპტუალური (სემანტიკა)
ან ნაწილობრივი გაერთიანება	თავსებადი გაერთიანება ერთ მატერიალურ მთლიანობაში	E მატერიალური (რეფერენცია)

წინამდებარე ნაშრომში ტროპის ამ სახეებზე მეტად აღარ შევჩერდებით, რადგან მათ ცალკე კვლევის საგნად მოვიაზრებთ. ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე მეტასემემებიდან შევეხებით შედარებასა და მეტაფორას.

3.3.1. შედარება

ტრადიციულად, **შედარება** ტროპის ერთ-ერთი სახეა. ტროპის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, იგი ყოველთვის ორწევრიანია, რადგან დასახელებულია ორივე საგანი (მოვლენა, თვისება, მოქმედება) და შესადარებელი ობიექტი დახასიათებულია შედარებულის თვისებებით.

არისტოტელე თავის „*რიტორიკაში*“ წერს, რომ შედარებები ისევე უნდა შევადგინოთ, როგორც მეტაფორები, რადგან შედარება მეტაფორაა, მათ შორის კი ძალიან მცირე განსხვავებაა. არისტოტელეს კლასიკური მაგალითი აქილევესზე, რომ „*ის როგორც ლომი, ისე ეკვეთა*“ – შედარებაა, ხოლო თუ ვიტყვით „*ლომი ეკვეთა*“, სადაც „*ლომი*“ გადატანითი მნიშვნელობით აქილევესს მიემართება – მეტაფორაა. არისტოტელე იმასაც აღნიშნავს, რომ შედარება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროზაშიც, თუმცა იშვიათად, რადგან ეს პოეტური ხერხია (არისტოტელე, 1981: 1406b); „*შედარება იგივე მეტაფორაა, ოღონდ მეტაფორისგან განსხვავებით, მას დამატება აქვს*“ (არისტოტელე, 1981: 1410b). შედარება საგნებს შორის მსგავსების, ხოლო მეტაფორა იგივეობის პრინციპს ეფუძნება. შედარებები ისევე უნდა შევადგინოთ, როგორც მეტაფორები. უფრო მეტიც, მისი აზრით „*მხატვრული გამოთქმები წარმოიშობა მეტაფორებისა და შედარებების საფუძველზე და მათი მიზანი არის თვალსაჩინოება*“ (არისტოტელე, 1981: 1411b).

რაც შეეხება რიტორიკის თანამედროვე თეორიებს, აღსანიშნავია „ზოგადი რიტორიკის“ თეორია, სადაც გამოყოფილია შედარების რამდენიმე ტიპი: 1. სინეკდოქეს ტიპის შედარება; 2. მეტალოგიური შედარება; 3. მეტაფორული შედარება. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **სინეკდოქეს ტიპის შედარება;** განვიხილოთ რამდენიმე გავრცელებული შედარება: შიშველი ჭიაყელა, ნათელი დღე, მოსაწყენი წვიმა, ყრუ ქოთანი. რასაკვირველია, ამგვარი სტერეოტიპული შედარებები, რომელსაც საუბრისას იშვიათად თუ ვიყენებთ, ბევრად განსხვავდება „*ბუნებრივი*“ შედარებებისგან. ასეთი კლიშეები ხშირად ფუნქციონირებს, როგორც ინტენსიფიკატორები, რომლებიც გამოხატავენ მაღალი ხარისხის გაზვიადებას, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი სემანტიკური ერთეულები. მაგრამ მეტალინგვისტურ დონეზე, ჩვენ შეგვიძლია დავშალოთ თითოეული ეს გამონათქვამი ორ ნაწილად (როგორც ზემოთ ჩამოთვლილი), და შემდეგ ცხადი ხდება, რომ პირველი სიტყვა არის

დაკავშირებული მეორესთან, როგორც სინეკდოქეს შედეგი და განზოგადების ძირითადი კონცეფცია ან, უფრო სწორად, მეორე სიტყვა – მთავარია ეს გამონათქვამები – ავიწროებს პირველის მნიშვნელობას მასთან ახალი სემის დამატებით. აქედან გამომდინარე, ეს იქნებოდა არასწორი, რომ განგვეხილა გამოხატულების ისეთი ტიპი, როგორცაა მეტასემემა, ან ჰიპერსემემა. მაგრამ რეალურად, აქ არ არის სემანტიკური ფიგურები, რადგან არ გვაქვს ლექსიკური კოდის გადაწვევის შემთხვევა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტრადიციულ რიტორიკაში, საგნობრივ შედარებებს განიხილავდნენ, როგორც ან აზრის ფიგურებს (არა როგორც ტროპებს, ანდა სააზროვნო ფიგურებს), ან როგორც წარმოსახვის ფიგურებს. ამასთან, საგნობრივი შედარება ყოველთვის წარმოადგენს თვითონ ობიექტის აღწერის საშუალებას (ჯგუფი μ, 1970/1986: 206-207);

2. მეტალოგიური შედარება; შედარებაზე საუბრისას, აუცილებელია თავიდანვე გამოვრიცხოთ შედარებათა ის ჯგუფი, რომელიც რიტორიკის კუთვნილება არაა: ესენია ის შედარებები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ „ბუნებრივი“, „ნამდვილი“ შედარებები. უნდა აღინიშნოს ამასთან მიმართებით ისიც, რომ რიტორიკული ფიგურები ყოველთვის „ყალბები“ არიან. მაგალითად, ამგვარი ტიპის გამოთქმები: „*ის ისეთივე ძლიერია, როგორც მამამისი*“, ანდა „*ის ისეთივე მშვენიერია, როგორც მისი და*“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სწორად აგებული წინადადებები, რომლებიც ადასტურებენ რაიმეს. მაგრამ თუ სიტყვებს „*ძლიერი*“ და „*მშვენიერი*“ ჩავანაცვლებთ სიტყვებით „*სუსტი*“ და „*მახინჯი*“, მაშინვე ვიღებთ სხვა ფიგურას: ეს იქნება ირონია, რომელსაც ნეორიტორიკის თეორიაში უწოდებენ მეტალოგიზმს. ზოგადად, საკმაოდ ბევრი რიტორიკული შედარება წარმოადგენს მეტალოგიზმს, იშვიათად ჰიპერბოლას. მეტაბოლის ერთი ტიპის მეორე ტიპში გადასვლა კარგად ჩანს კანონიკური მაგალითებიდან: „*მდიდარი, როგორც კრეზი*“, რაც ჰიპერბოლის შემთხვევაა, ხოლო „*ის უბრალოდ კრეზია*“ – ანტონომაზია (ჯგუფი μ, 1970/1986: 207-208).

3. მეტაფორული შედარება; ყველანაირი სახის საგნობრივი შედარება არ გვევლინება მეტალოგიზმად. ზოგიერთი მათგანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტასემემები. ამის საილუსტრაციოდ ავტორებს წარმოდგენილი აქვთ შემდეგი მაგალითები:

- (1) „მისი ლოყები ისეთივე ქორფაა, როგორც ვარდები“;
- (2) „მისი ლოყები, როგორც ვარდები“;
- (3) „მისი ლოყების ვარდები“;
- (4) „მის სახეზე ორი ვარდი“.

ამათგან მხოლოდ პირველი მაგალითი (1) წარმოადგენს მეტალოგიზმს: ლექსიკური თვალსაზრისით, ყველა სიტყვა და სიტყვათშეთანხმება ამ წინადადებაში სავსებით „ნორმალური“ და ერთმანეთთან თავსებადია. მხოლოდ მეორე მაგალითში (2) ვხვდებით ჩვენ ანომალიას – კავშირი „როგორც“ არ გვიჩვენებს სიტყვებს შორის მარტივ ეკვივალენტურ კავშირს. მესამე (3) და მეოთხე (4) მაგალითებში კი გვაქვს ჩვენ მეტაფორის შემთხვევები, ე.წ. მეტაფორა in praesentia და მეტაფორა in absentia. განიხილავენ რა ზემოაღნიშნულ მაგალითებს, ასკვნიან, რომ სრული მეტაფორის განმსაზღვრელი ნიშნები განსხვავდება საკუთრივ მეტაფორული შედარების განმსაზღვრელი ნიშნებისაგან. მეტაფორა – ესაა სინტაგმა, რომელიც აერთიანებს ორ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სემას. „ჩასვით ვეფხვი თქვენი მანქანის მოტორში“, სადაც სიტყვა „ვეფხვი“ მიიჩნევა მეტაფორად, მაშინ, როცა სემანტიკური თვალსაზრისით, ის სრულიად შეუსაბამოა წინადადების დანარჩენ ნაწილთან. სწორედ ეს შეუთავსებლობა წარმოქმნის შედარების საფუძველს, რომლის შედეგადაც ვიღებთ შემდეგს: „უმადლესი ხარისხის ბენზინი = ვეფხვი“ (ჯგუფი მ, 1970/1986: 208-209).

1. შედარების გამოხატვის გრამატიკული საშუალებები ქართულ ენაში

შედარება ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი და გავრცელებული ტროპის სახეა. ქართული ენის მაგალითზე შედარების გამოხატვის ენობრივი საშუალებებია კავშირებითი სიტყვები, ასევე სხვადასხვა სახის გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) საშუალებები, მათ შორის: აფიქსები, თანდებულებიანი კონსტრუქციები.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია როგორც საკუთრივ შედარება, ისე შედარების გამომხატველი ენობრივი საშუალებები, თუმცა არც თუ ისე სრულყოფილად. ჩვენი კვლევის სიახლე შედარების ფუნქციურ ანალიზში

მდგომარეობს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შედარების შესწავლის კუთხით, არსებობს ნაშრომები, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი აისახა ჩვენს კვლევაში ჩვენივე მიზანდასახულობიდან გამომდინარე. საკუთრივ შედარების გამომხატველი გრამატიკული ინვენტარის ყველაზე სრულყოფილი და ფუნდამენტური კლასიფიკაცია მოცემულია თ. კვაჭანტირაძის ნაშრომში „*მსგავსებითი შედარება ქართულში*“ (კვაჭანტირაძე, 1978). ასევე უნდა აღინიშნოს, ტ. მოსიას „*სასულიერო მწერლობის მხატვრული შედარების საკითხები*“ (მოსია, 1993), რომელიც ნაწილობრივ ეხება შედარების გამომხატველ გრამატიკულ ინვენტარს.

როგორც „*ზოგადი რიტორიკის*“ თეორეტიკოსები აღნიშნავენ, სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების ერთმანეთთან შედარების საფუძველია ანალოგიის პრინციპი, რაც სხვა არაფერია, თუ არა სუსტი ეკვივალენტობის არსებობა ცნებებს შორის, ობიექტების გაერთიანება, რომლებიც ხასიათდებიან ერთიმეორის მიმართ მცირე ხარისხის მსგავსებით. ამ ჯგუფის ენობრივ საშუალებებს შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი კავშირები: *comme* „როგორც“, *tel* „ასეთი, ამგვარი“, *semble* „ჩანს“ (ან *simule* „თავს აჩვენებს“ ანდა *semblable* „მსგავსი“), *même* „იგივე“, *ainsi que* „ისევე, როგორც“ და *pareil à* „მსგავსად“ (ჯგუფი მ, 1970/1986: 209). თუმცა ასევე იშვიათად გამოიყენება *mieux que* „უკეთ, ვიდრე“: *“Mieux qu'un portail s'excluant de sa rouille / Sans me céder je vous touchais“* (R. Char) / „და როგორც (სიტყვასიტყვით უკეთ, ვიდრე) კარიბჭეები, რომლებსაც ჟანგი შთანთქავს, / მაგრამ არ ეცემიან, მე თქვენ შეგებეთ“ (რ. შარი) (ჯგუფი მ, 1970/1986: 210).

თუმცა ქართული ენა გაცილებით მრავალფეროვან ენობრივ საშუალებებს იყენებს შედარების გამოსახატავად, გარდა კავშირებისა – სხვადასხვა სახის გრამატიკულ (მორფოლოგიურ და სინტაქსურ) საშუალებებსაც, მათ შორის: აფიქსებს, თანდებულის კონსტრუქციებს, რაც გამოვლინდა ჩვენ მიერ გაანალიზებული ენობრივი მასალის საფუძველზე.

საკუთრივ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, შედარების გამომხატველი გრამატიკული ინვენტარის ყველაზე სრულყოფილი და ფუნდამენტური კლასიფიკაცია მოცემულია თ. კვაჭანტირაძის მონოგრაფიაში „*მსგავსებითი შედარება ქართულში*“ (კვაჭანტირაძე, 1978). ავტორი გამოყოფს შედარების გამომხატვის ენობრივ საშუალებათა ორ ძირითად ჯგუფს: ატრიბუტულ და პრედიკატულ

ჯგუფებს, ხოლო მათში – ცალკე ქვეჯგუფებს. თითოეულ ჯგუფში შემდეგნაირადაა გადანაწილებული ენობრივი (მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური) საშუალებები:

1. ატრიბუტული ჯგუფი: *-ვით; -ებრ/-მებრ, -ებრი, -ებური; -თანა; -ნაირი; -ხელა; -ტოლა; -ოდენი/-დენი, -ოდენა; -გვარი, -მაგვარი; ხნის; მსგავსი; დარი;*
2. პრედიკატული ჯგუფი: *-ვით; -ებრ; -დარად; -ებურად; -ნაირად; -გვარად; -მაგვარად; -მსგავსად; ვითა/ვით; ვითარცა; როგორც;*

მასვე გაანალიზებული და დაზუსტებული აქვს ზოგი სახის შედარება: „კომპლექსური“, „მოჩვენებითი“ და „სიტუაციური“.

ქართული მჭევრმეტყველებითი ტექსტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური საშუალებები, რომლებიც სიხშირულად ყველაზე მეტად ქმნიან მხატვრულ შედარებებს. ესენია: თანდებულები: *-ვით, -ებრ [-ებ] [-მებრ], -ებრივ [-ებრი],* მარტივი კავშირები: *ვითარცა / როგორც* და რთული კავშირები: *ვითარცა..., ესრე / ვითარცა..., ესრეთვე / ვითარცა..., ეგრეთვე / ვითარცა..., ეგრე / ვითარცა..., ეგრეცა და როგორც..., ეგრეთვე / როგორც..., ისე / ისე, როგორც / ისე..., როგორც.*

1.1. -ვით თანდებული

ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში შედარებების დროს, გამოიყენება *-ვით* თანდებული, რომელიც დაერთვის, როგორც სახელობითში, ისე მიცემითში მდგარ სახელს:

-ვით თანდებული სახელობითში მდგარ სახელთან:

- (57) *„მათ უყვარდათ მოლხენა, გამხიარულება, გარნა საკუთრად სიმთვრალე ძვირად იპოვება მათ შორის, მეტადრე, ვერაოდეს ვერ დაინახავდა კაცი უგრძნობელად მთვრალსა და ქუჩაზე, ანუ გზაზე მდებარესა მკვდარივით.“*
(წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), *სიტყვა ოცდამეექვსესა კვირიაკესა ზედა*).

-ვით თანდებული დაერთვის მიცემითში მდგარ სახელს:

(58) „ამის მეფობას ხომ დავით მეფესავით ეს უსჯობს, და კიდევაც ასე ბრძანოს და ღმერთიც მიხედავს ჭეშმარიტად.“ (ამბროსი ნეკრესელი, ქადაგება ერისა მიმართ მდაბიურთა).

საკუთრივ -ვით თანდებულის შესახებ არსებობს ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის, ცალკეული სტატიები შარიქაძის (შარიქაძე, (1939): 145), მარტიროსოვის (მარტიროსოვი, 1946: 203-246), ჯაფარიძის (ჯაფარიძე, 1963: 95-98) და სხვათა ავტორობით, თუმცა ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სასარგებლო აღმოჩნდა თ. კვაჭანტირაძის მონოგრაფია „მსგავსებითი შედარება ქართულში“ (კვაჭანტირაძე, 1978).

ცნობილია, რომ 1) -ვით თანდებული ფუნქციურად სახელობითსა და მიცემითში მდგარ სახელებთან არანაირ განსხვავებას არ გვიჩვენებენ; 2) -ვით თანდებული სახელობით ბრუნვასთან მხოლოდ ფუძეთანხმოვნის სახელებთან გვხვდება, ხოლო მიცემით ბრუნვასთან იგი შეუზღუდავად გამოიყენება ყველა ბრუნვად სიტყვასთან. ამასთან არანაირ სხვაობას არ ვვამდლევს ორივე ბრუნვასთან შეწყობილი -ვით თანდებული არც ლექსიკურ და არც სტილისტურ დონეზე (კვაჭანტირაძე, 1978: 31).

1.2. -ებრ თანდებული

-ვით თანდებულის ფუნქციით გამოიყენება ასევე -ებრ თანდებული და ამ გზითაა მიღებული შედარებები (ელვეზრ, მზეზრ, ისრეზრ, ანგელოზეზრ, ვარსკულავისაეზრ, მხეცეზრთა...). ქრონოლოგიურად, -ებრ თანდებული -ვით თანდებულს წინ უსწრებს. ი. იმნაიშვილის შენიშვნით, „თანდებული ებრ მსგავსებას გამოხატავს, ის მნიშვნელობით იქნება „ვით“, „როგორც“. (იმნაიშვილი, 1957: 347). მაგალითად: ელვეზრ = ელვასავით = როგორც ელვა და სხვ. „თანდებული ებრ ორ ბრუნვას ერთვის: ერთი მათგანია წრფელობითი (სახელთა სუფთა ფუძე) და მეორე – ნათესაობითი.“ (იმნაიშვილი, 1957: 347). განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- a) -ებრ თანდებული შეიძლება დაერთოს წრფელობითში მდგარ არსებით სახელებს: ვარისველეზრ, ელვეზრ, ისრეზრ, კეთილმსახურეზრ:

(59) „*ფარისეველს არავინ დაემსგავსო, მმარხველმან მჭამელი არ განიკითხო, თორემ ფარისევლები დაისჯები.*“ (ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, მარხვისთვის).

b) *-ებრ* თანდებულიან არსებით სახელებს, რომლებიც წრფელობით ბრუნვაში დგანან, ეწარმოებათ ნართანიანი მრავლობითი (არსებითი სახელი+ებრ+თა):
ლომებრთა, მზეებრთა, მხეცებრთა, აღვისტებრთა:

(60) „*რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა – თუკი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი?!*“ (სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, 1798, 22 თებერვალი).

-ებრ თანდებული შეიძლება დაერთოს ნათესაობით ბრუნვაში მდგარ არსებით სახელებს (არსებითი სახელი+ისა+ებრ): **ვარსკულავისაებრ:**

(61) „*სულისა წმიდისა მადლითა აღსავსესა, ყოველთა ბრძენთა შორის გამოცხადებულსა, საყვირსა კმამაღალსა, სამღთოთა მქადაგებლობათა მეტყუელსა, მოციქულთა მსგავსსა და მათებრთა მღუდელიობათა დიდად საწარმართებელსა და სვეტად აღმართებულსა, ვარსკულავისაებრ მნათობს და ქუეყანასა განმანათლებელსა, ჭურსა რჩეულსა სიწმიდისა, საუნჯესა მოციქულთა მოსაყდრესა და სახიერებისა ბადითა მომნადირებელსა.*“ (გიორგი მეთერთმეტე, წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეთერთმეტის მიმართ).

-ებრ თანდებული შეიძლება დაერთოს ნათესაობით ბრუნვაში და ნართანიათ მრავლობითში მდგარ არსებით სახელებს (არსებითი სახელი+თა+ებრ). *„ებრ* შეიძლება სახელს დაერთოს მრავლობითშიც. აქ ყოველთვის გვაქვს ნათესაობითი და არასოდეს წრფელობითი. ეს ნათესაობითი ჩვეულებრივ თანია, იშვიათად ებიანიც შეიძლება იყოს (იმნაიშვილი, 1957: 349): **ანგელოზთაებრ:**

(62) „*რომლისაც ენა ღმერთს ადიდებს, ის ანგელოზთა თანა მემწყობრე არის და ანგელოზთაებრ ღმერთსა უგალობს.*“ (ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, ცუდათ მეტყველებისათვის)

როგორც მაგალითებმა აჩვენა, არსებითი სახელები ზოგჯერ წრფელობით ბრუნვაში დგანან, ზოგჯერ კი ნათესაობითში და ისე ირთავენ *-ებრ* თანდებულს. „*რა შემთხვევაში ითხოვს ებრ ერთ ფორმას, რა შემთხვევაში – მეორეს, ამას არა აქვს*

ზუსტი წესი. ფუძეთა მიხედვით ბრუნვების მოთხოვნა არაა შეპირობებული: თანხმოვანფუძიან სახელებში წრფელობითსაც ითხოვს და ნათესაობითსაც.“ (იმნაიშვილი, 1957: 347). ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში ამის დამადასტურებელი მაგალითებიც მოიპოვება: *ვარსკვლავისაებრ* და *ანგელოზებრ* და ა.შ. უფრო მეტიც, თვით ერთი და იგივე თანხმოვანფუძიანი სახელი ერთ შემთხვევაში თუ წრფელობით ბრუნვაში დგას, მეორე შემთხვევაში – ნათესაობითში, როგორც ეს აქვს შენიშნული ი. იმნაიშვილს (იმნაიშვილი, 1957: 347). ამდენად, თანხმოვანფუძიანობას ვერ ავიღებთ იმ ნიშნად, რომელიც განსაზღვრავდა ბრუნვის არჩევის საკითხს *-ებრ* თანდებულის დართვის შემთხვევაში. „*ბრუნვათა არჩევა არც იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ როგორია სახელის შინაარსი, ვთქვათ, ადამიანს აღნიშნავს იგი, თუ ნივთს, რადგან აქაც არეულია მოთხოვნის წესი*“ (იმნაიშვილი, 1957: 348).

მიუხედავად ამისა, ი. იმნაიშვილის აზრით, შეიძლება ზოგიერთი კანონზომიერება მაინც დავადგინოთ (იმნაიშვილი, 1957: 348), კერძოდ:

1. „*როცა ებრ თანდებული ადამიანთა საკუთარ სახელს ერთვის, ეს უკანასკნელი უეჭველად ნათესაობით ბრუნვაში დგას და არასოდეს წრფელობითში.*“ (იმნაიშვილი, 1957: 348). ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენი მაგალითებიც: საკუთარი სახელები ასევე წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, როცა *-ებრ* თანდებულს დაირთავენ (საკუთარი სახელი+ისა+ებრ): *ემმანოელისაებრი, მოისებრ, აბრაჰამისებრ*:

(63) „*და მყის თანა თაყვანისმცემელ, მლოცველ, მმადლობელ ვიქმნენით ყოველნივე მათის ყოვლად ძლიერის იმპერატორობის დიდებულებისა, რომელმან ემმანოელისაებრი გამოხსნისა და შეწყალების შარავანდედი მოგვფინა.*“ (სოლომონ პირველი, წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი);

(64) „*გიძლოდათ მეფე მოისებრ ისრაილთა, გესმოდათ ხმაი პატრონისა თქვენისა, მახარებელად თქვენდა იყო ბიბლია: „არა მოაკლდესო მთავარი იუდასგან“* (სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, 1798, 22 თებერვალი);

(65) „*განკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სითაღხისა და ვარსკვლავთაცა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს*

უმადლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!“ (სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, 1798, 22 თებერვალი).

2. „ნათესაობითია წარმოდგენილი მაშინაც, როცა ებრ თანდებულიან სახელს ახლავს ნაწევარი ან სხვა რაიმე განსაზღვრება.“ (იმნაიშვილი, 1957: 348):

a) სახელს ახლავს ნაწევარი. „ნაწევრიან სახელს ებრ თანდებული რომ ნათესაობითში ითხოვს, ეს გასაგებიცაა: როგორც ცნობილია, წრფელობითს ბრუნვაში არა გვაქვს ნაწევარი და ამიტომ იგი ამ შემთხვევაში გამორიცხულია.“ (იმნაიშვილი, 1957: 349).

b) სახელს ერთვის განსაზღვრება. „მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადაც ნათესაობითია მოცემული, სახელს უეჭველად უნდა ახლდეს ნაწევარი ან სხვა რაიმე განსაზღვრება. გვაქვს მარტო ნათესაობითიც.“ (იმნაიშვილი, 1957: 349).

თუმცა აღნიშნული წესი ყოველთვის არ მოქმედებს და გვაქვს ამის საწინააღმდეგო შემთხვევები, როდესაც განსაზღვრება ერთვის სახელს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დგას ნათესაობით ბრუნვაში, მაგალითად, *მხეცებრთა მათ*.

3. „როცა ებრ თანდებული ერთვის საწყისს, ეს უკანასკნელი ყოველთვის ნათესაობითშია.“ (იმნაიშვილი, 1957: 349). მაგალითად, **საწყისებში** – (საწყისი+ისა+მ+ებრ): *მიღებისამებრ, ყვანებისამებრ, სუსტძალობისამებრ*.

(66) „მეორე, მომზადებასა ძლევაშემოსილთა თქვენის იმჟ. დიდ. მხედრობათათვის სურსათისათა, მეფე, ხელმწიფე ჩემი, წმიდად არწმუნებს, რომელ იგი მიღებისამებრ ზომისა დამზადებულ იქმნება არა თუ ოდენ კმასყოფელი ათისა, ანუ თოთხმეტის ათასის მხედრობათათვის, არამედ, უკეთუ სახმარ იქნება, უმეტესიცა, მაშინ არა ექნება მათ ნაკლულევანება და მხედრობა არა მოიჭირვებს სურსათისათვის.“ (გარსევან ჭავჭავაძე, წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი).

4. ჩვენი მხრივ, შეიძლება გამოვყოთ კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გვაქვს არსებით სახელებში წრფელობითი ბრუნვა და არა ნათესაობითი. ეს იმაზეც უნდა იყოს დამოკიდებული –*ებრ* თანდებულიანი არსებითი სახელი რომელს

დაირთავს: მიცემითი თუ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს; ასეთ შემთხვევაში, არსებითი სახელის ძირი ყოველთვის წრფელობითი ბრუნვით იქნება გაფორმებული:

1) გვაქვს შემთხვევები, როდესაც **-ებრ** თანდებულიანი არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში დგანან (არსებითი სახელი+ებრ+სა): **ჯორციელებრსა, ღმერთებრსა, მოციქულებრსა, ქრისტიანებრსა:**

(67) „ამისთვისცა გუასწავებდა და გუეტყოდა: ნუ ჰზრუნავთ თავთა თქუენტათჳს, ნუცა ეძიებთ ჯორცთა თქუენტათჳს, ნუცა ეძიებთ ჯორციელებრსა რასმე სახესა;“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);

2) როდესაც **-ებრ** თანდებულიანი არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგანან (არსებითი სახელი+ებრ+ისა): **მოქალაქებრისა, წინააღმდეგომებრისა:**

(68) „დამვიწყებელი მოქალაქებრისა თავის უფლებისა და თანად წარმწყმედელი მალლისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა.“ (სოლომონ დოდაშვილი, შესხმა წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდისას);

5. „როცა ებრ წარმოთქმის აფიქსად არის გამოყენებული, იგი ჩვეულებრივ წრფელობითს ბრუნვას ერთვის და არა ნათესაობითს. ასე ხდება მაშინაც, როცა ამ ებრ-ს ივ სუფიქსიც ემატება (ებრ-ივ).“ (იმნაიშვილი, 1957: 349). მაგალითად: **მკნებრივ, მხეცებრივ, ქვეშემვრდომებრივ, მოციქულებრივ, ღმერთებრივსა, ბრმებრივსა, ყმებრივისა, ქველის-მოქმედებრი:**

1.3. -ებრივ თანდებული

შედარების გამოსახატავად გამოყენებულია **-ებრივ** თანდებულიც:

(69) „და ხედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მკნებრივ სიკუდილი, ვიდრელა სენითა განდნობითა განლეულებასა შინა...“ (გიორგი III, სამხედრო, სიტყვა მხედრობის მიმართ ანისისათვის ბრძოლის წინ, 1161).

ებრ+ივ კონსტრუქციაში შეიძლება ვ დაიკარგოს:

(70) ჰყოთ კეთილნაწლეობაი ქველის-მოქმედებრი ამას შინა, რათა ღვთის-მსახურებითი კადნიერებაი ეგე თქვენი ხმარებულ-ჰყოთ სიბრძნისა მომცემელისადმი ღვთისა და გამოსთხოოთ გარდამოვლინებად სულსა მას

სიბრძნისასა ახალ ნერგთა ამათ ზედა ყრმათა. (გაიოზ რექტორი, სიტყვა, თქმული დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე, 1781, სექტემბერი).

თუმცა **-ებრივ** თანდებული ყოველთვის არ ქმნის შედარებას. მაგალითად, იგივე წარმოების სიტყვები – **დედობრივი, ჩვეულებრივი, ბუნებრივი, მოწამებრივი, სულიერებრივი, ღვთაებრივი** – არ გვაძლევს შედარებებს, რისი ახსნის საშუალებასაც არ გვაძლევს მაგალითთა არც ფორმოზრივი და არც შინაარსოზრივი მხარე.

ასევე **-ებრ** თანდებულიანმა ფორმებმა შეიძლება გაიჩინოს **მ** ბგერა (არსებითი სახელი+ისა+მ+ებრ): **გულისამებრ, ძალისამებრ, წესისამებრ, სიმსწრაფლისამებრ, სიმოკლისამებრ:**

(71) „**უფალმან გამოგირჩიოს შენ ერად გულისამებრ თვისისა და განიხილოსმცა შინაგანნი სულისა შენისა კეთილობანი...**“ (იოანე ბატონიშვილი, სიტყვა ერეკლე მეორისადმი).

იგივე კონსტრუქციები გვაქვს **საწყისებშიც** (საწყისი+ისა+მ+ებრ): **ბრძანებისამებრ, რწმენისამებრ, მიღებისამებრ, ყვანებისამებრ, სუსტბალობისამებრ.**

-ებრ თანდებული შეიძლება შეგვხვდეს რედუცირებული ფორმით (**-ებ¹⁸**, სადაც რედუცირებულია **რ** თანხმოვანი). მაგალითად, **„სიზმრებ“** და **„აჩრდილებ“**, თუმცა აქაც შედარებების შექმნის ფუნქცია აქვს:

(72) „**მრავალმღელვარე არს საწყუთრო ესე დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებ და აჩრდილებ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან.**“ (დემეტრე თავდადებული, სიტყვა, თქმული დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე, 1289).

არის შემთხვევები, როდესაც **-ებრ** თანდებული გართულებული ფორმითაა წარმოდგენილი და დამატებით დართული აქვს **ხარისხის** მაწარმოებელი **პრეფიქს-სუფიქსები** (უ+არსებითი სახელი+ებრ+ეს+ად). მართალია, ამგვარ მაგალითებს აქვთ ექსპრესიული დატვირთვა, თუმცა შედარებებს არ წარმოადგენენ, მაგალითად, **უმონებრიესად, უყმებრივესად:**

(73) „**ამისათვის უმდაბლესად გთხოვ და უმონებრიესად მუხლდადგმით გევედრები, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ, გარდმოხედე სიმაღლისაგან**

¹⁸ თ. კვაჭანტირაძის აზრით, **-ებ** დიალექტური ფორმაა **-ებრ** თანდებულისა (იხ. კვაჭანტირაძე: 1978: 17).

ტახტისა თქვენისათა და შეიწყალე თქვენს საფარველს ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე.“ (ერეკლე მეორე, წარდგინება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი).

-**ებრ** თანდებული შედარებებს არ გვაძლევს შემდეგ მაგალითებში:
სიტყვისაებრ, ბრძანებისაებრ და ა.შ.:

(74) „**სიტყვისაებრ** დავითისა „და არა არს ლხინება ხორცთა და ძვალთა ჩვენთა, თვინიერ მოწყალებისა შენისა და ღმერთ-მამაკაცისა ძისა შენისა!“ (ამბროსი ნეკრესელი, ქადაგება ერისა მიმართ მდაბიურთა).

-**ებრ** თანდებული, ისევე როგორც **ვითარცა** და **როგორც** კავშირები არ ქმნიან შედარებებს, თუ მათი ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ სხვათა სიტყვის დამოწმებით და არ ატარებენ მხატვრული დატვირთვას.

1.4. მარტივი კავშირები

შედარებების, ასევე გამეორების სტილისტური ფიგურის შექმნის ფუნქცია აქვს მარტივ კავშირებით სიტყვას **ვითარცა**:

(75) „**უფალმან** დაიცვას მეფობაჲ შენი ჯვართა ჭეშმარიტებისათა და სკიპტრითა კეთილმოქმედებისათა, და მით უძლოდე ერსა შენსა, **ვითარცა** მოსე ისრაილთა, და **ვითარცა** ისო ნავეს-ძე, იქმენ ამაღლებულ სკიპტრითა, **ვითარცა** ალექსანდრე ბერძენთა შორის და ჯვართა, **ვითარცა** დიდი კონსტანტინე მორწმუნეთა მეფეთა შორის; მშვიდ, **ვითარცა** დავით ცხებულთა შორის, და ბრძენ, **ვითარცა** სოლომონ მეფეთა შორის; თავდადებულ, **ვითარცა** დიმიტრი ქართველთა შორის; მართალ, **ვითარცა** ღმერთი ღმერთთა შორის და საყვარელ, **ვითარცა** ქრისტე მართლმადიდებელთა შორის“ (იოანე ბატონიშვილი, სიტყვა ერეკლე მეორისადმი)

მარტივი კავშირებითი სიტყვა როგორც შედარების ფუნქციით:

(76) „ასე რომ მივითვისოთ მისი მცნებანი, მივილოთ მისი ხასიათი, ვეცადოთ, რომ მისი სწავლით, სიყვარულით, მაღლით ჩვენი სული და გული იყოს განწოლილი და შემოსილი, **როგორც** სხეული კარგითა

ტანისამოსითა.“ (წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), მოძღვრება კვირიაკესა ზედა ყველიერისასა);

ამდენად, მარტივ კავშირებით სიტყვებად ქართულში გვხვდება *ვითარცა* და *როგორც*, რომელთაგან პირველი მეორეს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს.

1.5. რთული კავშირები

რთულ კავშირებით სიტყვებს – *ვითარცა...*, *ესრე / ვითარცა...*, *ეგრე / ვითარცა...*, *ესრეთვე / ვითარცა...*, *ეგრეთვე* – ასევე აქვთ შედარებების შექმნის ფუნქცია:

(77) „კაცისანი, *ვითარცა* თივა, არიან დღენი მისნი და, *ვითარცა* ყუავილი ველისაჲ, *ეგრე* ყუავინ.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);

ი. იმნაიშვილის აზრით, „არის ხოლმე შემთხვევები, რომ წინადადებაში სახელს, რომელიც საერთო წესით წრფელობითს ბრუნვაში უნდა დაისვას, კავშირი ვითარცა უძღვის წინ, ეს სახელი მუდამ სახელობითს ბრუნვაში გვევლინება, თითქოს იგი ამ ვითარცა-სთან ერთად მთელ ახალ (დამოუკიდებელ წინადადებას წარმოადგენდეს. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. (იმნაიშვილი, 1957: 674). ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებშიც დასტურდება იგივე მოსაზრება.

რთული კავშირებია – *ისე, როგორც / ისე...*, *როგორც, ისრე...*, *როგორც* – ასევე ქმნიან შედარებებს, თუმცა არა ყოველთვის:

(78) „ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, რადგან მათ სძულსო ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ *ისე, როგორც* ქრისტეს ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის.“

(ნიკოლოზ ტფილელი, სიტყვა, თქმული რომის პაპის პიო მეორის წინაშე);

(79) „*ისრე* უნდა უყვარდეს კაცსა სიმართლე, *როგორც* მშვიერს კაცს სურს და უყვარს პური.“ (წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), მოძღვრება სოფელს ჩხარს);

ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში გვაქვს *ეგრეთვე...*, *როგორც* და *ვითარცა...*, *ეგრეთვე*:

(80) „სიხარულით სავსე მოგმართავთ და ვისწრაფვით თქვენის სიწმიდისადმი, რადგან სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება, რომელიც

მოციქულებმა ასწავეს, განუხრწნელად დავიცევით და ეგრეთვე კვალად აღვედით ჩვენს ივერიის სამეფო ტახტზე აღმოსავლეთიდან გწერთ რომს, საიდგანაც, როგორც მზე, დიდად ბრწყინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმიდა სამებასა, ეგრეთვე ჰფენთ სოფლად ნათელს, რომელსაც ღვთის მიერ ღებულობთ.“
(თეიმურაზ პირველი, მეორე წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ).

ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) საშუალება, რომელთაც აქვთ შედარებების შექმნის ფუნქცია, მათ შორის, თანდებულები: *-ვით, -ებრ [-ებ] [-მებრ], -ებრივ [-ებრი]* და მარტივი კავშირები: *ვითარცა / როგორც* და რთული კავშირები: *ვითარცა..., ესრე / ვითარცა..., ესრეთვე / ვითარცა..., ეგრეთვე / ვითარცა..., ეგრე / ვითარცა..., ეგრეცა და როგორც..., ეგრეთვე / როგორც..., ისე / ისე, როგორც / ისე..., როგორც.*

ამათგან, *-ვით* თანდებული დაერთვის სახელობითსა (*მკვდარი-ვით*) და მიცემითში მდგარ სახელებს (*მეფე-სა-ვით*). თ. კვაჭანტირაძის დაკვირვებით, ორივე ბრუნვაში *-ვით* თანდებული ერთი და იმავე ფუნქციით გამოიყენება და არც ლექსიკური და არც სტილისტური თვალსაზრისით არანაირ განსხვავებას არ გვიჩვენებენ (კვაჭანტირაძე, 1978: 30-31).

რაც შეეხება *-ებრ* თანდებულს, ის დაერთვის წრფელობით და ნათესაობით ბრუნვებში მდგარ არსებით სახელებს. „*თანდებული ებრ ორ ბრუნვას ერთვის: ერთი მათგანია წრფელობითი (სახელთა სუფთა ფუძე) და მეორე – ნათესაობითი.“* (იმნაიშვილი, 1957: 347):

- a) *-ებრ* თანდებული შეიძლება დაერთოს წრფელობითში მდგარ არსებით სახელებს: *ანგელოზებრ, ელვებრ, ისრებრ, ფარისეველებრ, კეთილმსახურებრ; -ებრ* თანდებულის არსებით სახელებს, რომლებიც წრფელობით ბრუნვაში დგანან, ეწარმოებათ ნართანიათი მრავლობითი (არსებითი სახელი+ებრ+თა): *მზებრთა, მზეცებრთა, ლომებრთა, აღვისტებრთა;*
- b) *-ებრ* თანდებული შეიძლება დაერთოს ნათესაობით ბრუნვაში მდგარ არსებით სახელებს (არსებითი სახელი+ისა+ებრ): *ვარსკულავისაებრ,*

ნებისაებრ, საზომისაებრ; -ებრ თანდებული შეიძლება დაერთოს ნათესაობით ბრუნვაში და ნართანთან მრავლობითში მდგარ არსებით სახელებს (არსებითი სახელი+თა+ებრ): *ანგელოზთაებრ*.

როგორც მაგალითებმა აჩვენა, არსებითი სახელები ზოგჯერ წრფელობით ბრუნვაში დგანან, ზოგჯერ კი ნათესაობითში და ისე ირთავენ *-ებრ* თანდებულს. „რა შემთხვევაში ითხოვს ებრ ერთ ფორმას, რა შემთხვევაში – მეორეს, ამას არა აქვს ზუსტი წესი. ფუძეთა მიხედვით ბრუნვების მოთხოვნა არაა შეპირობებული: თანხმოვანფუძიან სახელებში წრფელობითსაც ითხოვს და ნათესაობითსაც.“ (იმნაიშვილი, 1957: 347). ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში ამის დამადასტურებელი მაგალითებიც მოიპოვება: *ვარსკულავისაებრ* და *ანგელოზებრ* და ა.შ. უფრო მეტიც, თვით ერთი და იგივე თანხმოვანფუძიანი სახელი ერთ შემთხვევაში თუ წრფელობით ბრუნვაში დგას, მეორე შემთხვევაში – ნათესაობითში, როგორც ეს აქვს შენიშნული ი. იმნაიშვილს (იმნაიშვილი, 1957: 347). ამდენად, თანხმოვანფუძიანობას ვერ ავიღებთ იმ ნიშნად, რომელიც განსაზღვრავდა ბრუნვის არჩევის საკითხს *-ებრ* თანდებულის დართვის შემთხვევაში. „ბრუნვათა არჩევა არც იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ როგორია სახელის შინაარსი, ვთქვათ, ადამიანს აღნიშნავს იგი, თუ ნივთს, რადგან აქაც არეულია მოთხოვნის წესი“ (იმნაიშვილი, 1957: 348).

მიუხედავად ამისა, ი. იმნაიშვილის აზრით, შეიძლება ზოგიერთი კანონზომიერება მაინც დავადგინოთ (იმნაიშვილი, 1957: 348), კერძოდ:

- 1) „როცა ებრ თანდებული ადამიანთა საკუთარ სახელს ერთვის, ეს უკანასკნელი უეჭველად ნათესაობით ბრუნვაში დგას და არასოდეს წრფელობითში.“ (იმნაიშვილი, 1957: 348). ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენი მაგალითებიც: საკუთარი სახელები ასევე წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, როცა *-ებრ* თანდებულს დაირთავენ (საკუთარი სახელი+ისა+ებრ): *ემმანოელისაებრი, მოისებრ, აბრაჰამისებრ*;
- 2) „ნათესაობითია წარმოდგენილი მაშინაც, როცა ებრ თანდებულიან სახელს ახლავს ნაწევარი ან სხვა რაიმე განსაზღვრება.“ (იმნაიშვილი, 1957: 348):
 - a) სახელს ახლავს ნაწევარი. „ნაწევრიან სახელს ებრ თანდებული რომ ნათესაობითში ითხოვს, ეს გასაგებიცაა: როგორც ცნობილია,

წრფელობითს ბრუნვაში არა გვაქვს ნაწევარი და ამიტომ იგი ამ შემთხვევაში გამორიცხულია.“ (იმნაიშვილი, 1957: 349).

b) **სახელს ერთვის განსაზღვრება.** „მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადაც ნათესაობითია მოცემული, სახელს უეჭველად უნდა ახლდეს ნაწევარი ან სხვა რაიმე განსაზღვრება. გვაქვს მარტო ნათესაობითიც.“ (იმნაიშვილი, 1957: 349). თუმცა აღნიშნული წესი ყოველთვის არ მოქმედებს და გვაქვს ამის საწინააღმდეგო შემთხვევები, როდესაც განსაზღვრება ერთვის სახელს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დგას ნათესაობით ბრუნვაში, მაგალითად, **მხეცებრთა მათ.**

3) „როცა ებრ თანდებული ერთვის საწყისს, ეს უკანასკნელი ყოველთვის ნათესაობითია.“ (იმნაიშვილი, 1957: 349). მაგალითად, **საწყისებში** – (საწყისი+ისა+მ+ებრ): **რწმენისამებრ, მიღებისამებრ, ყვანებისამებრ, სუსტძალობისამებრ.** „თითქმის ყველა საწყისს თავისი განსაზღვრებაც ახლავს თან და ამიტომ ერთი შეხედვით, შეიძლებოდა ამ მაგალითების წინა პუნქტის მაგალითებთან გაერთიანება. მაგრამ არსებით სახელებს სხვა შემთხვევაში შეიძლება ებრ ფუძეზე დაერთოს, რაც საწყისებში აბსოლუტურად გამორიცხულია.“ (იმნაიშვილი, 1957: 349).

4) „როცა ებრ წარმოთქმის აფიქსად არის გამოყენებული, იგი ჩვეულებრივ წრფელობითს ბრუნვას ერთვის და არა ნათესაობითს. ასე ხდება მაშინაც, როცა ამ ებრ-ს ივ სუფიქსიც ემატება (ებრ-ივ).“ (იმნაიშვილი, 1957: 349). მაგალითად: **მხეცებრივ, ქვეშემვრდომებრივ, მწნებრივ, მოციქულებრივ, ღმერთებრივსა, ბრმებრივსა, ყმებრივისა, ქველის-მოქმედებრი.**

5) ჩვენი მხრივ, შეიძლება გამოვყოთ კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გვაქვს არსებით სახელებში წრფელობითი ბრუნვა და არა ნათესაობითი. ეს იმაზეც უნდა იყოს დამოკიდებული **-ებრ** თანდებულიანი არსებითი სახელი თუ დაირთავს მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს; ასეთ შემთხვევაში, არსებითი სახელის ძირი ყოველთვის წრფელობითი ბრუნვით იქნება გაფორმებული, რაც დასტურდება წინამდებარე მაგალითებით:

a) როდესაც *-ებრ* თანდებულიანი არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში დგანან (არსებითი სახელი+ებრ+სა): *ჯორციელებრსა, ღმერთებრსა, მოციქულებრსა, ერთებრსა, ქრისტიანებრსა;*

b) როდესაც *-ებრ* თანდებულიანი არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგანან (არსებითი სახელი+ებრ+ისა): *მოქალაქებრისა, წინააღმდეგომებრისა.*

-ებრივ თანდებული ქმნიან შედარებებს: *მხეცებრივ, ქვეშემვრდომებრივ, ქვეშემერდომებრივ, მკნებრივ, მოციქულებრივ, ღმერთებრივ, ბრძებრივ, ყმებრივ.*

ებრ+ივ კონსტრუქციაში შეიძლება ვ დაიკარგოს: *ქველის-მოქმედებრი.*

თუმცა *-ებრივ* თანდებული ყოველთვის არ ქმნის შედარებას. მაგალითად, იგივე წარმოების სიტყვები – *დედობრივი, ჩვეულებრივი, ბუნებრივი, მოწამებრივი, სულიერებრივი, ღვთაებრივი* – არ გვაძლევს შედარებებს, რისი ახსნის საშუალებასაც არ გვაძლევს მაგალითთა არც ფორმობრივი და არც შინაარსობრივი მხარე.

ასევე *-ებრ* თანდებულიანმა ფორმებმა შეიძლება გაიჩინოს *მ* ბგერა (არსებითი სახელი+ისა+მ+ებრ): *წესისამებრ, სიმსწრაფლისამებრ, ძალისამებრ, გულისამებრ, სიმოკლისამებრ;* იგივე კონსტრუქციები გვაქვს საწყისებშიც (საწყისი+ისა+მ+ებრ): *რწმენისამებრ, მიღებისამებრ, ყვანებისამებრ, სუსტძალობისამებრ.*

-ებრ თანდებული შეიძლება შეგვხვდეს რედუცირებული ფორმით (*-ებ*, სადაც რედუცირებულია *რ* თანხმოვანი). მაგალითად, *„სიზმრებ“* და *„აჩრდილებ“*, თუმცა აქაც შედარებების შექმნის ფუნქცია აქვს.

არის შემთხვევები, როდესაც *-ებრ* თანდებული გართულებული ფორმითაა წარმოდგენილი და დამატებით დართული აქვს ხარისხის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსები (უ+არსებითი სახელი+ებრ+ეს+ად): *უმონებრიესად, უყმებრივესად.* მართალია, ამგვარ მაგალითებს აქვთ ექსპრესიული დატვირთვა, თუმცა შედარებებს არ წარმოადგენენ.

-ებრ თანდებული, ისევე როგორც *ვითარცა* და *როგორც* კავშირები არ ქმნიან შედარებებს, თუ მათი ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ სხვათა სიტყვის დამოწმებით და არ ატარებენ მხატვრულ დატვირთვას, როგორც ეს ამ მაგალითებში გვაქვს: *ბრძანებისამებრ* და *სიტყვისაებრ.*

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ *-ვით*, *-ებრ* თანდებულები საკუთარ სახელებს ერთვის, ისინი ყოველთვის ქმნიან შედარებებს (*ემმანოელ-ისა-ებრ-ი*, *მოის-ებრ*, *აბრაჰამ-ის-ებრ*).

მაშასადამე, *-ვით*, *-ებრ*, *-ებრივ* თანდებულები შედარებებს ყოველთვის არ ქმნიან. შედარების შექმნის ფუნქცია ენიჭება ისეთ თანდებულიან კონსტრუქციებს, რომლებიც იშვიათად ფიქსირდება და ატარებს მოულოდნელობის ეფექტს, ხოლო კონსტრუქციები, რომელთა გამოყენებაც ხშირია, მეტწილად მოკლებულნი არიან მხატვრულ ფუნქციას.

გარდა ამისა, შედარებების, ასევე ეპიფორის, შექმნის ფუნქცია აქვს მარტივ კავშირებს: *ვითარცა / როგორც* და რთულ კავშირებს: *ვითარცა...*, *ესრე / ვითარცა...*, *ესრეთვე / ვითარცა...*, *ეგრეთვე / ვითარცა...*, *ეგრე / ვითარცა...*, *ეგრეცა და როგორც...*, *ეგრეთვე / როგორც...*, *ისე / ისე, როგორც / ისე...*, *როგორც*. ისინიც ასევე ქმნიან შედარებებს, თუმცა არა ყოველთვის. სიხშირულად ყველაზე მეტ შედარებას ქმნის *ვითარცა* მარტივი კავშირებითი სიტყვა.

უნდა ითქვას ისიც, რომ *-ვით* თანდებულის ფუნქციითაა გამოყენებული *-ებრ* თანდებული და ამ გზითაა მიღებული შედარებები (*ელვებრ*, *მზებრ*, *ისრებრ*, *ანგელოზებრ*, *ვარსკვლავისაებრ*, *მხეცებრთა...*). ქრონოლოგიურად, *-ებრ* თანდებული – *ვით* თანდებულს წინ უსწრებს.

ი. იმნაიშვილის შენიშვნით, „თანდებული ებრ მსგავსებას გამოხატავს, ის მნიშვნელობით იქნება „ვით“, „როგორც“ (იმნაიშვილი, 1957: 347). მაგალითად: *ელვებრ = ელვასავით = როგორც ელვა* და სხვ.

რაც შეეხება *ვითარცა* და *როგორც* მარტივ კავშირებს, ისინი სინონიმებია, თუმცა *ვითარცა* ფორმის გამოყენების სიხშირე ნელ-ნელა იკლებს და შემდგომ პერიოდში, მას აქტიურად ენაცვლება *როგორც* კავშირი.

საკითხი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენდა, ეხებოდა შედარების გამომხატველი ენობრივი საშუალების ადგილმდებარეობას წინადადებაში. საანალიზო მასალამ ცხადყო, რომ ქართულში არანაირი შეზღუდვა არ არსებობს შედარების გამომხატველი ენობრივი საშუალებების წინადადებაში გადანაწილების მხრივ. თუმცა გარკვეული კანონზომიერება აქაც შეინიშნება, კერძოდ, შედარება უფრო ხშირად თავკიდურ პოზიციაში დგას მაშინ, როდესაც ის

უმეტესწილად გამოხატულია „ვით“ თანდებულებით და „ვითარცა“ და „როგორც“ მაკავშირებლებით. ნაკლებად ხშირია მხატვრული შედარება წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაში. რაც შეეხება რთული კავშირების პოზიციებს წინადადებაში, გვაქვს შემდეგი წყობა: *ვითარცა..., ესრე / ვითარცა..., ესრეთვე / ვითარცა..., ეგრეთვე / ვითარცა..., ეგრე / ვითარცა..., ეგრეცა და როგორც..., ეგრეთვე / როგორც..., ისე / ისე, როგორც / ისე..., როგორც.*

შედარების გამომხატველი ენობრივი საშუალებებით ქართული ენა საკმაოდ მდიდარია და მისი გამოყენების ინტენსივობაც ძალზე მაღალი, რაც აიხსნება ქართული ენის სტილური შესაძლებლობებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შედარების გამომხატველი თითოეული ენობრივი საშუალება ერთნაირი მხატვრული ძალის მატარებელი არაა. არის ისეთი ენობრივი საშუალებები, რომლებიც მხატვრული შედარების შექმნის ფუნქციის მქონეა და არის ამ ფუნქციის მხოლოდ ფორმალურად გამომხატველნიც. ამ მხრივ, კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მეტი მხატვრული ფუნქციის მატარებელი ენობრივი ერთეულებია თანდებულებიდან: *-ვით* და *-ებრ*, ხოლო კავშირებიდან: *ვითარცა, როგორც* და *ისე, როგორც*. ისინი მაგალითთა უდიდეს ნაწილში შედარების შემქმნელი საშუალებებია, რასაც ვერ ვიტყვით სხვა მსგავსების გამომხატველ ენობრივ საშუალებებზე – *-ებრი, -ებური; -თანა; -ნაირი; -ხელა; -ტოლა; -ოდენი/-დენი, -ოდენა; -გვარი, -მაგვარი; ხნის; მსგავსი; დარი; -დარად; -ებურად; -ნაირად; -გვარად; -მაგვარად; -მსგავსად* – სიხშირულად ისინი ნაკლებად ქმნიან მხატვრულ შედარებებს.

3.3.2. მეტაფორა

არისტოტელე, რომელმაც ტერმინი „მეტაფორა“ დაამკვიდრა, თავის „რიტორიკაში“ წერდა, რომ „ის [მეტაფორა] უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ პროზაში, რადგან აქ ნაკლებ არის დამხმარე საშუალებები, ვიდრე პოეტურ მეტყველებაში“ (1981: 1405a). ის ასევე აღნიშნავდა, რომ „მეტაფორების ოთხი სახიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია შედარებით მიღებული მეტაფორა“ (არისტოტელე, 1981: 1411a). არისტოტელეს აზრით, მხატვრული გამოთქმები წარმოიშობა მეტაფორებისა და შედარებების საფუძველზე და მათი მიზანი არის თვალსაჩინოება,

ხოლო თვალსაჩინოა ისეთი გამოთქმა, რომელიც საგანს მოქმედებაში გვიჩვენებს, მაგალითად, გამოთქმა: „კეთილი ადამიანი ოთხკუთხოვანია“ – არის მეტაფორა, რადგან ორივე ცნება დასრულებულია, თუმცა მოქმედებას არ გამოხატავს, ასევე შემდეგ გამოთქმაშიც: „ადამიანის მოწიფულობის ასაკი მის ძალთა აყვავების დროს ემთხვევა“. მოქმედების გამოხატულებაა ასეთი გამოთქმა: „შენ როგორც თავისუფალი“, ან კიდევ „ბერძნებმა ამის შემდეგ გაქუსლეს“, სადაც სიტყვა „გაქუსლეს“ გამოხატავს მოქმედებას და, ამავე დროს, არის მეტაფორა (1981: 1411b).

არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ გვაძლევს მეტაფორათა კლასიფიკაციას და მსჯელობს მის სახეებზე: „მეტაფორა არის სახელის გადატანა ან გვარიდან სახეობაზე, ან სახეობიდან გვარზე, ან ერთი სახეობიდან მეორე სახეობაზე, ან ამის მსგავსად“ (1979: თ. 21). ამ განმარტების თანახმად, გამოიყოფა ოთხი ტიპის მეტაფორას: 1. როდესაც გადატანა ხდება გვარიდან სახეობაზე; 2. სახეობიდან – გვარზე; 3. სახეობიდან – სახეობაზე და 4. ანალოგიის გზით. ამათგან პირველი სამი მსგავსების პრონციპს ეფუძნება, ხოლო მეოთხე – ანალოგიას.

რაც შეეხება რიტორიკის თანამედროვე თეორიებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჯგუფი μ“ „ზოგად რიტორიკაში“ განარჩევს ორი სახის მეტაფორას: მეტაფორა in praesentia და მეტაფორა in absentia. კლასიკური რიტორიკის კონცეფციის თანახმად, ნამდვილი მეტაფორა ყოველთვის გულისხმობს ტექსტში საწყისი გაგების არსებობას – ეს არის მეტაფორა in absentia. ტექსტის სიცხადის უზრუნველყოფის საფუძველი, ამ შემთხვევაში, არის ნულოვან საფეხურსა და გადატანით მნიშვნელობას შორის არსებითი სემანტიკური თანაკვეთა (ჯგუფი μ, 1970/1986: 204). ტექსტში, მეტაფორა in praesentia ყოველთვის იქმნება გრამატიკული საშუალებების გამოყენებით, შედარებების შემოღებით, ეკვივალენტურობის, მსგავსების, თვითმყოფადობის ან მათგან გამომდინარე ურთიერთობების დამყარებით. ზოგადად რომ ვთქვათ, იდენტურობის ყველაზე უდავო ინდიკატორი მარტივი ჩანაცვლებაა, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს მეტაფორასთან in absentia (ჯგუფი μ, 1970/1986: 205).

„ჯგუფი μ“ ასევე გამოყოფს ე.წ. მეტაფორულ შედარებას და აღნიშნავს, რომ ყველანაირი სახის საგნობრივი შედარება არ გვევლინება მეტალოგიზმად. ზოგიერთი მათგანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტასემემები. ამის საილუსტრაციოდ ავტორებს მოჰყავთ შემდეგი მაგალითები:

1) „*მისი ლოყები ისეთივე ქორფაა, როგორც ვარდები*“ – ეს მაგალითი წარმოადგენს მეტალოგიზმს: ლექსიკური თვალსაზრისით, ყველა სიტყვა და სიტყვათშეთანხმება ამ წინადადებაში სავსებით „*ნორმალური*“ და ერთმანეთთან თავსებადია;

2) „*მისი ლოყები, როგორც ვარდები*“ – მეორე მაგალითში ვხვდებით ჩვენ ანომალიას – კავშირი „*როგორც*“ არ გვიჩვენებს სიტყვებს შორის მარტივ ეკვივალენტურ კავშირს.

3) „*მისი ლოყების ვარდები*“ და 4) „*მის სახეზე ორი ვარდი*“ მაგალითებში კი არის მეტაფორის შემთხვევები, ე.წ. მეტაფორა in praesentia (3) და მეტაფორა in absentia (4). განიხილავენ რა ზემოაღნიშნულ მაგალითებს, ასკვნიან, რომ სრული მეტაფორის განმსაზღვრელი ნიშნები განსხვავდება საკუთრივ მეტაფორული შედარების განმსაზღვრელი ნიშნებისაგან. მეტაფორა – ესაა სინტაგმა, რომელიც აერთიანებს ორ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სემას. „*ჩასვით ვეფხვი თქვენი მანქანის მოტორში*“, სადაც სიტყვა „*ვეფხვი*“ მიიჩნევა მეტაფორად, მაშინ, როცა სემანტიკური თვალსაზრისით, ის სრულიად შეუსაბამოა წინადადების დანარჩენ ნაწილთან. სწორედ ეს შეუთავსებლობა წარმოქმნის შედარების საფუძველს, რომლის შედეგადაც ვიღებთ შემდეგს: „*უმაღლესი ხარისხის ბენზინი = ვეფხვი*“ (ჯგუფი მ, 1970/1986: 208-209).

ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებში გამოვლინდა მეტაფორის არაერთი შემთხვევა; წინამდებარე მაგალითში „*ღერკულესით*“ მოიხსენიება ერეკლე II, რითაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მითიურ გმირთან, როგორც „*უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე*“:

(81) „*მოკვდა ღერკულეს, უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე, და იხილეთ და ყოელი ამაო!*“ (სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, 1798, 22 თებერვალი).

წინამდებარე მაგალითში „*ფრთოვან ლომებად*“ მოხსენიებულნი არიან მეომრები, რითაც მეტაფორასთან ერთად გვაქვს ჰიპერბოლაც; ორატორი არ დასჯერდა მათ გაიგივებას ლომებთან, არამედ მსაზღვრებად გამოიყენა „*ფრთოვანი*“. ამით მეომრები მითოსურ „*ფრთოვან ლომებად*“ არიან წარმოდგენილნი:

(82) „აწ ფრთოვანო ლომნო ჩემნო, ჩუენტუს განლახურილისათუს აღვიხუნეთ ლახუარნი და ჰოროლნი, და ვუგმირნეთ ურწმუნოთა ღმრთეებისა მისისათა.“ (გიორგი III, სიტყვა მხედრობის მიმართ ანისისათვის ბრძოლის წინ, 1161).

(83) „ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა სიტყვებით: მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო.“ (ზარბარე ჯორჯაძე, ორიოდ სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ, 1893).

აქვე უნდა დავასახელოთ ის მაგალითები, რომლებშიც მეტაფორული გადასვლის მონაწილე ორივე წევრი სახეზეა და ისინი ეკვივალენტურ ცნებებადაა წარმოდგენილი. მათ შორის იგივეობას უსვამს ხაზს დამხმარე ზმნა „არის“ (შემოკლებული ფორმა -ა) – ცხოვრება ბრძოლა:

(84) „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს ცხოვრება ბრძოლაა.“ (ილია II, ქადაგება ზზობის დღესასწაულზე, 2001, 8 აპრილი).

ცხოვრება = ბრძოლა; ცხოვრება = ჭიდაობა:

(85) „დიად, ბრძოლაა ცხოვრება, ჭიდაობაა და მეტი არაფერი!“ (მღვ. მელიტონ კელენჯერიძე, სიტყვა წმ. ნინოს დღეს, ფოთის საკათედრო ტაძარში, 1912, 14 იანვარი).

ლხინი = ბრძოლა; გლოვა = ბრძოლა:

(86) „ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ლხინიც, გლოვაც...“ (ოთარ ჭილაძე, მიმართვა ქართული ლიგის ყრილობას).

არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც მეტაფორული გადასვლა ღმერთსა და სიყვარულს შორის გაფორმებულია კავშირებითი სიტყვით „რომელიც“, გარდა ამისა, ამ ორ ცნებას შორის ტოლობის ნიშანს სვამს დამხმარე ზმნა „არის“ (შემოკლებული ფორმა -ა):

(87) „ღმერთმა, რომელიც სიყვარულია, კაცი სიყვარულისა და ნეტარებისათვის შექმნა, იმ ნეტარებისათვის, რომელიც მხოლოდ სულიერი ამაღლებით მიიღწევა.“ (ილია II, ქადაგება, ადამიანის გულისათვის, 1985, 23 მარტი).

მომდევნო მაგალითშიც მსგავსი მდგომარეობა გვაქვს, იმ განსხვავებით, რომ „ღმერთის“ ნაცვლად მოცემულია მისი სინონიმური ფორმა „უფალი“:

(88) „ამგვარი სრული სიხარულის წყარო ანუ სათავე უფალია, რომელიც სიყვარულია...“ (ილია II, ქადაგება სიხარულისათვის, 1985, 16 ივლისი).

(89) „მე არაერთგზის მითქვამს თქვენთვის, რომ ღმერთი სიყვარულია...“ (ილია II, ქადაგება, „აწ განუტევე მონად შენი“, 1991, 15 თებერვალი).

3.4. მეტალოგიზმები

„ჯგუფი μ“ „ზოგადი რიტორიკის“ მიხედვით მეტალოგიზმებში ერთიანდება ლიტოტესი¹⁹, ჰიპერბოლა, გამეორება, პლეონაზმი, ანტითეზა, ევფემიზმი, ალეგორია, ირონია, პარადოქსი, ანტიფრაზისი, ლოგიკური და ქრონოლოგიური ინვერსია და სხვ. თითოეული ეს სახე დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ ოპერაციასთან, როგორცაა შემოკლება (ლიტოტესი1), დამატება (ჰიპერბოლა, გამეორება, პლეონაზმი, ანტითეზა), შემოკლება დამატებით (ევფემიზმი, ალეგორია, ირონია, პარადოქსი, ანტიფრაზისი, ლიტოტესი 2) და გადასმა (ლოგიკური ინვერსია, ქრონოლოგიური ინვერსია) (იხ. სქემა 8.).

განვიხილოთ მაგალითები: *“Le chat est un dieu”* / „კატა – ეს ღვთაებაა“ (A); *“Ce chat, c'est un tigre”* / „ეს კატა არის ვეფხვი“ (B); *“Ceci n'est pas un chat”* / „ეს არ არის კატა“ (C). ეს სამი მაგალითი დაგვეხმარება უკეთესად გავიგოთ განსხვავება მეტასემეზსა და მეტალოგიზმებს შორის, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა მეტაბოლის ორივე ეს სახე ერთ მაგალითში გვაქვს (B). მაგალითი (A) არის მეტაფორა. ბოდლერის „ლამაზი კატა“ მხოლოდ მისთვის შეიძლება იყოს „ფერია“ ან „ღვთაება“, რითაც ნამდვილად არ იცვლება „კატის“, როგორც ცნების მნიშვნელობა. (B) მაგალითში მეტაფორა და ჰიპერბოლური გაერთიანებულია, ერთადაა წარმოდგენილი როგორც მეტასემეზი, ისე მეტალოგიზმი. (B) და (C) მაგალითებში წარმოდგენილი მეტალოგიზმები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მიუხედავად იმისა, მეტალოგიზმი მოცემული იქნება „წმინდა“ ფორმით, თუ იქნება შერწყმული მეტასემეზსთან. მეტასემეზს შეუძლია გავლენა მოახდინოს ჩვენს აღქმაზე საგნების შესახებ, მაგრამ არ გამოიწვიოს ენის ლექსიკური სისტემის ცვლილება. მეტალოგიზმები ჩამოყალიბებულია მოცემულ ენობრივ სისტემაში, თუმცა არ

¹⁹ „ჯგუფი μ“ განარჩევს ორი სახის ლიტოტესს.

შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ამ სისტემაზე. მეტალოგიზმის შემთხვევაში, ჩნდება საჭიროება, რომ სიტყვები აღვიქვათ იმ მნიშვნელობით, რომელსაც ზოგჯერ „პირდაპირს“ უწოდებენ. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს გამონათქვამი (C), კატა მაინც დარჩება კატად. *“le ciel est noir, la terre est blanche”* / „ცა შავია, ხოლო დედამიწა თეთრი“ – ეს ანტითეზა, რომელიც შედგება ორი ჰიპერბოლისაგან, ჩვენ მიერ ფერთა აღქმადობაზე არ იქონიებს გავლენას (ჯგუფი მ, 1970/1986: 227-228).

ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე მეტალოგიზმებიდან შევხებით გამეორებას, პლეონაზმსა და ანტითეზას.

3.4.1. გამეორება

გამეორების მეშვეობით მიიღწევა თანაბარხმოვანება, ანუ მსგავსხმოვანება – ერთნაირი ჟღერადობის მქონე ბგერების, მორფემებისა და სიტყვების **განმეორება** ფრაზის ან წინადადების სხვადასხვა ადგილას. გამეორება – გამოსახვის სტილისტური ხერხია; მხატვრულ მეტყველებაში გამეორება გამოყენებულია აზრის ხაზგასმისა და ემოციის გამძლიერებელ საშუალებად. ის შეიცავს როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვას ან ფრაზას.

გამეორება შესაძლოა გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის სულიერი განცდების ხაზგასასმელად. გამეორებას მხატვრულ მეტყველებაში დამატებითი ემოციური ელფერი შემოაქვს. როდესაც ავტორს სურს ყურადღების გამახვილება ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე, იგი შეარჩევს მთავარი აზრის მატარებელ სიტყვას, სიტყვათა ჯგუფს ან მთელ წინადადებას და მას იმეორებს. ის ხაზს უსვამს და ნათლად აჩვენებს გამონათქვამის მნიშვნელობას ტექსტში.

გრ. კიკნაძე საგანგებოდ ხაზს უსვამს მეტყველების ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის არსებობას – ესაა ერთი მხრივ, „*ფიქსირებული ფორმის გამეორება*“ და მეორე მხრივ, „*ფიქსირებული ფორმის დარღვევა*“:

როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, რომ გარკვეული სიტყვა ან გამოთქმა, სიტყვათა ამა თუ იმ სახის რიგი და ა. შ. იწვევს თავის თავისადმი შემდგომი ფორმების მიმსგავსებას, ე.ი. როდესაც უკვე აღებული ფორმა რალაცნაირად მეორდება ანდა განაგრძობს თავის არსებობას მომდევნო

სიტყვიერ ფორმაში – ეს, საზოგადოდ, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ფიქსირებული ფორმის გამეორებას. ამ მოვლენის საწინააღმდეგო შემთხვევაში, ე.ი. მაშინ, როდესაც ადამიანი შეგნებულად და საგანგებოდ ცდილობს თავიდან აირიდოს უკვე ფიქსირებული ფორმის გამეორება, როდესაც ადამიანი ამ გამეორებას გაურბის, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ პროცესთან, რომელსაც ფიქსირებული ფორმის დარღვევა შეიძლება ეწოდოს (კიკნაძე, 1957: 40).

გრ. კიკნაძე გამოყოფს ფიქსირებული ფორმის გამეორების შემდეგ სახეებს (კიკნაძე, 1957: 43-44): 1. ფრაზები, რომლებშიც მიჯრით წარმოდგენილია ერთი და იგივე თავსართ-ბოლოსართიანი სიტყვები; 2. სიტყვები, რომლებიც ფუძეებით მსგავსია და 3. სიტყვები, რომლებიც უცვლელი ფორმით მეორდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ „ფიქსირებული ფორმის გამეორების“ საწინააღმდეგო ტენდენციაც, „ფიქსირებული ფორმის დარღვევა“. **გრ. კიკნაძე** ამის მაგალითად მიიჩნევს მეტყველებაში ანდაზების, აფორიზმების, სხვა ავტორთა თქმის და მისთ. შემოტანას: „ამ შემთხვევაში გარკვეულად იგრძნობა ცვლილების შეტანის ტენდენცია და მეტყველების მიმდინარეობაც უკვე ადრინდელისაგან განსხვავებული სახით გვეძლევა“ (კიკნაძე, 1957: 97).

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გამეორებათა გვერდით არის ისეთი გამეორებაც, რომელიც უმიზნოა²⁰ და ტავტოლოგიას ქმნის. ხოლო თუ მთქმელი მიზანმიმართულად მიმართავს გამეორების ხერხს, ამ შემთხვევაში გამეორებას ენიჭება გარკვეული ღირებულება და ჩვენ ვიღებთ **სტილისტიკურ გამეორებას** (გვენცაძე, 1991: 51).

გამეორებების დახასიათება სხვა საზომითაც შეიძლება: 1. როდესაც მეორდება ისეთი სიტყვა ან გამოთქმა, რომლებიც გარეგნულად სავსებით ერთნაირია და ფუნქციაც ერთნაირი აქვთ; 2. როდესაც მეორდება სიტყვები, რომლებიც გარეგნულად სხვადასხვაა, თუმცა ფუნქცია ერთნაირი აქვთ (გვენცაძე, 1971: 45). ამგვარ ფორმებს **შ. ბიძიგური** „სინონიმური პარალელიზმის“ სახელწოდების ქვეშ აერთიანებს, ხოლო მის ქვესახეებად მოიაზრებს: „კავშირებიან სინონიმურ პარალელიზმს“ და „უკავშირო სინონიმურ პარალელიზმს“, სადაც კიდევ ორ ქვესახეობას გამოყოფს:

²⁰ „სიტყვიერ ტავტოლოგიას არაიშვიათად ვხვდებით მაშინ, როდესაც ზეპირი მეტყველების დროს ადამიანი იზნევა, როდესაც მის მეტყველებას, თუ შეიძლება ითქვას, აზრი აღარ განაგებს და იგი ექცევა ან „უფორმო“ სიტყვების რკალში, [...] ანდა ველარ სცილდება სიტყვიერი გამოთქმის ერთსა და იმავე ფორმებს“ (კიკნაძე, 1957: 45).

„ტავტოლოგიურ სინონიმურ პარალელიზმს“ და „კომპოზიტურ სინონიმურ პარალელიზმს“ (ძიძიგური, 1941: 692-694; ძიძიგური, 1982: 59-65) და განმარტავს: „სინონიმების წყვილად ხმარების სხვადასხვა გრამატიკული საშუალება არსებობს: ან მათ შორის ჩაისმის და კავშირი, ან კომპოზიტურად იხმარებიან, ანდა ერთმანეთის გვერდით არსებობენ ტავტოლოგიურად“ (ძიძიგური, 1982: 60-61). შ. ძიძიგური ასკვნის: „პოეტურ და ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში სიტყვათა პარალელური რიგები გაგებულია, როგორც სტილისტიკური ხერხი, ერთგვარი პოეტური ფიგურა. [...] ერთია სტილის საჭიროებით გამოწვეული ტავტოლოგია და მეორე – წმინდა ენობრივი აუცილებლობით გამართლებული სინონიმური წყვილები“ (ძიძიგური, 1982: 65).

თ. ბოლქვაძემ „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე შეისწავლა პოეტური პარალელიზმი და მის გამოვლენად მიიჩნია გრადაცია, პოეტური განმეორება, ჩამონათვალი, ბილინგვური სინონიმური წყვილი, კონტრასტული პარალელიზმი, ფრაზეოლოგიური განვრცობა და სხვ. (ბოლქვაძე, 1997). გამეორების ესა თუ ის სახე, თანაბრად გვხვდება როგორც პროზაში, ისე პოეზიაში²¹ და ის მხოლოდ რიტორიკის კუთვნილება არაა.

ც. ბარბაქაძე ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ტექსტებში გამოვლენილ ენობრივ ერთეულთა გამეორებას, რომელიც სტილისტიკური ხასიათისაა, ენაში არსებული ანალოგიის კანონის შემოქმედებით ინტერპრეტაციად მიიჩნევს. ის წერს, რომ ანალოგია ენის ბუნებიდან გამომდინარე მოვლენაა, რომელიც სხვადასხვაგვარად რეალიზდება ბავშვთა მეტყველებაში, გრამატიკაში, ლიტერატურაში, ზეპირ მეტყველებაში და მჭევრმეტყველებაში. მჭევრმეტყველებაში, როგორც ზეპირი მეტყველების უმაღლეს ფორმაში, ანალოგია განსაკუთრებულად ვლინდება (ბარბაქაძე, 2003ა: 57-59).

გამეორებებს განასხვავებენ იმის მიხედვითაც, თუ რა ადგილზე ვხვდებით მას: წინადადების / ფრაზის დასაწყისში თუ ბოლოში. გამეორების ერთ-ერთი პრინციპია მსგავს ელემენტთა შეჯგუფება. პოეზიისთვის ამ ცნების შემოღება ეკუთვნის სამუელ

²¹ შენიშვ.: გამეორების სხვადასხვა სახე ლექსთმცოდნეობაში სიტყვიერი მასალის შემკვრელად და კომპოზიციის საფუძვლად არის მიჩნეული (ჭირმუნსკი, 1975: 451); ი. ლოტმანის აზრით, პარადიგმატიკა პოეზიის მახასიათებელია, სინტაგმატიკა კი პროზის. გამეორება აზრობრივი პარადიგმატული პლანის რეალიზაციაა. პოეზიაში მისი აგების ძირითადი გამოვლინებაა პარალელიზმი (ლოტმანი, 1972: 39-40).

ლევინს (1964: 308-314): დაწყვილება (coupling) გულისხმობს იმ ელემენტთა მსგავსებას, რომლებიც იკავებენ მსგავს პოზიციას, ტექსტის მთლიანობას უზრუნველყოფენ და ვლინდებიან ენის ყველა იერარქიულ დონეზე. ამდენად, მსგავსება შეიძლება იყოს ფონეტიკური, სტრუქტურული ან სემანტიკური. მართლაც, ბგერითი ელემენტების კანონზომიერ გამეორებას, ენის სხვა დონეებზე შეესაბამება ლექსიკური, სემანტიკური და სხვ. ელემენტთა სიმეტრიულობა. ფონეტიკური მსგავსება გამოიხატება რითმებში, მეტრში, ალიტერაციაში, ასონანსებში, სტრუქტურულ-მორფოლოგიურ ან სინტაქსურ წყობათა მსგავსებაში, ხოლო სემანტიკური – უზუსური ან სიტუაციური სინონიმების, ერთი ძირის მქონე ან ერთი სემანტიკური ველის სიტყვების გამოყენებაში. იმის მიხედვით, თუ ენის რომელ იერარქიულ დონეზე ხდება ენობრივი ერთეულების გამეორება და რომელ ენობრივ ქმედებასთან გვაქვს საქმე, „ჯგუფი μ “ „ზოგად რიტორიკაში“ გამოყოფს მეტაპლაზმების, მეტატაქსისებისა და მეტალოგიზმების დონეზე, მეტაბოლათა სხვადასხვა სახეს, ხოლო ლინგვისტური ოპერაციებიდან მათ შეესატყვისებათ ე.წ. იტერაციული დამატება (ჯგუფი μ , 1970/1986: 90-91): 1. მეტაპლაზმებში: ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია და სხვ.; 2. მეტატაქსისებში: პოლიპტოტონი, სიმეტრია და სხვ.; 3. მეტალოგიზმებში: გამეორება, პლეონაზმი, ანტითეზა და სხვ.

ანაფორა

ანაფორა (ძვ. ბერძნ. anaphora გადატანა) არის ერთი და იმავე ან მსგავსი სიტყვების, ფრაზების, რითმების, სინტაქსურ-რიტმული წყობის კანონზომიერი განმეორება წინადადებების დასაწყისში.

ასეთი გამეორება შეიძლება წარმოებდეს სტრიქონის ჩაგდებით. მაგალითად, ანაფორულობა პოეტური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ანაფორული შეიძლება იყოს პროზაული მეტყველებაც, როცა სტრიქონები ერთგვარი სიტყვებითა და ფრაზებით იწყება. ანაფორა პოეტურ-სტილისტიკური ხერხია. მას იყენებენ ასახვითი მომენტისა და ემოციური შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით.

ანაფორა შეიძლება იყოს ლექსიკური და სინტაქსური:

(90) *„მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განვისუენო თქუნ; მოვედით ჩემდა ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი*

და მე განგისუენო თქუენ; მოვედით ჩემდა ყოველნი, რომელთა გიტჯრთავს ტჯრთი მძიმჲ სახედ-სახედთა მათ შეცოდებათა თქუენტად, და მე განგისუენო თქუენ.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ვრცელი სინტაქსური ანაფორაა წარმოდგენილი შემდეგ მონაკვეთში:

(91) *„ჩუენდა ჯერ-არს განღძებად ძილისაგან; ჩუენდა ჯერ-არს ზეაღდგომად გულსმოდგინედ; ჩუენდა ჯერ-არს წარმართებად მჯურვალედ; ჩუენდა ჯერ-არს მიგებად მისი სიხარულით; ჩუენდა ჯერ-არს თაყუანის-ცემად მისა სიწმიდით; ჩუენდა ჯერ-არს მისა მუკლთ-მოდრეკად სინანულით; ჩუენდა ჯერ-არს მისა შევრდომად ცრემლითა სინანულისადათა; ჩუენდა ჯერ არს აღსაარებად მისა სარწმუნოვებით ვითხოვდეთ მისგან...“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ანაფორებით მეტად გავრცელებული გამეორების ფიგურაა ქართულ მჭევრმეტყველებაში.

ეპანაფორა

ეპანაფორა (ძვ. ბერძნ. epanaphora მიტანა, დართვა, მიმატება) არის ტროპის სახე – ერთი და იმავე სიტყვის გამეორება ერთმანეთის მომდევნო ფრაზათა / კოლონათა დასაწყისში ერთი წინადადების ფარგლებში. ხშირად ეპანაფორასთან ერთად პერიოდთა სიმეტრიის რიტმულ ჟღერადობას ჰომოიტელევტონებითაც ამდიდრებენ. მისი მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელობის გავრცობა და გაფართოება (ბეზარაშვილი, 2004). იგი გვხვდება სადღესასწაულო, სამქადაგებლო, პოლიტიკურ და ა.შ. მჭევრმეტყველებაში. მაგალითად:

(92) *„მიცნობიეს მე მისი სულგრძელება, მიცნობიეს მისი მრავალმოწყალება.“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

(93) *„რითი დაიმსახურა ასეთი საყოველთაო, ასეთი ძლიერი, ასეთი გულწრფელი თანაგრძნობა ეკატერინე რევაზის ასულმა?“* (იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო სიტყვა, 1911).

(94) „ეს ჩვენი სამშობლო იწვის... ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში!“ (ოთარ ჭილაძე, მიმართვა ქართული ლიგის ყრილობას).

ეპანაფორის არსებითი ნიშანი ისაა, რომ გამოხატოს მსგავსება შედარებით კარგად ცნობილსა და ისეთს შორის, რომელსაც შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი ან ბუნდოვანია. აქედან გამომდინარეობს, რომ ეპანაფორა გულისხმობს რაღაც შუამავალს, რომლის გაგება იოლად შეიძლება, თუკი ისინი გამოიხატებიან შესაბამისი სიტყვებითა და სიტყვათშეთანხმებით.

ეპანაფორა ითვალისწინებს შედარებას, თუმცა აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ აღნიშნული მსგავსება აუცილებლად უნდა იყოს თვალსაჩინო, არც ის, რომ შეპირისპირება აუცილებლად თვალსაჩინოდ უნდა გამოიხატოს. საუკეთესო ეპიფორები გამოირჩევიან სიახლით, ისინი ძალდაუტანებლად აქცევენ ყურადღებას მსგავსებებს, რომელთა შემჩნევა არც ისე ადვილია.

ანტიტროფი

ანტიტროფი რთული რიტორიკული ფიგურაა, რომელიც სხვადასხვა კოლონის დასასრულს ერთი და იმავე სიტყვის/ფრაზის გამეორებას წარმოადგენს. როდესაც რიტორიკული ფიგურა გართულებულია, ანტიტროფს ემატება ანაფორა ან ეპანაფორა.

ანტიტროფთან ერთად ქვეწყობილ წინადადებათა შორის დასაკავშირებელი სიტყვების (სადა – მუნ) განმეორების შემთხვევები გვაქვს შემდეგ მაგალითებში:

(95) „იყო შიმშილი ძლიერი მას სოფელსა, რამეთუ სადა მეცნიერებით იფქლი არა იშრომებიან – მუნ შიმშილი ძლიერი არნ; სადა სიწმიდისა ტევანი არა დაიწინიხებინ – მუნ შიმშილი ძლიერი არნ; სადა ურჩულოებად ფრიად არს – მუნ სიკეთჳ არად სარგებელ არნ; სადა იეფობა ბოროტისაჲ – მუნ მოკლებად კეთილისაჲ.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

შემდეგ მაგალითში გამეორებულია ფრაზები: „მოვედით ჩემდა ყოველნი“ – „და მე განგისუენო თქუნ“:

(96) „*მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუნ; მოვედით ჩემდა ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი და მე განგისუენო თქუნ; მოვედით ჩემდა ყოველნი, რომელთა გიტვრთავს ტვრთი მძიმს სახედ-სახედთა მათ შეცოდებათა თქუნთაჲ, და მე განგისუენო თქუნ.*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

3.4.2. პლეონაზმი

პლეონაზმი (ძვ. ბერძნ. Πλεονασμός – ზედმეტი) მრავალსიტყვაობის ერთ-ერთი სახეა. რიტორიკულ მეტყველებაში და განსაკუთრებით, სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ტექსტებში ხშირია პლეონაზმის გამოყენების შემთხვევები.

როგორც აღნიშნავენ, „პლეონაზმი არის ზედმეტობა, მრავალსიტყვაობა; წინადადებაში ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვების ხმარება“ (ბასილაია, 1991: 86). პლეონაზმს სინონიმთან აკავშირებს ალ. დლონტი: „სინონიმურ გამოთქმებს მოგვაგონებს სიტყვათა პლეონასტური გამოვლენა, რასაც, როგორც მხატვრულ-სტილისტურ ხერხს, ჩვეულებრივ მიმართავენ მწერლები და ორატორები“ (დლონტი, 1988: 59). ის გულისხმობს წინადადების გავრცობას სინონიმური სიტყვებით ან ფრაზებით. პლეონაზს, როგორც ენობრივ მოვლენას, საფუძვლად უდევს ენაში სინონიმის არსებობა. პლეონაზმი გვხვდება ქართულ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებაში:

მაგალითად, გვაქვს შემდეგი სინონიმური წყვილები: **მშვიდითა = ყუდროდითა, დაამშვიდა = დააწყნარა გონებაჲ:**

(97) „*გამოვიდა მამაჲ [იგი] მისი, ევედრებოდა მას და ჰლოცვიდა, მშვიდითა და ყუდროდითა პირითა ზრახვიდა მას, რადთამცა დაამშვიდა იგი და დააწყნარა გონებაჲ მისი.*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

მაგალითად, გვაქვს შემდეგი სინონიმური წყვილები: **ღალადებს = იტყვს = გვთხრობს = გუასწავებს:**

(98) „*მოდლუარი კეთილი მოსრულ არს, ღალადებს და იტყვს, გვთხრობს, გუასწავებს...*“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

მაგალითად, გვაქვს შემდეგი სინონიმური წყვილი: **უადვილწსი ამისა წამალი**
= **უჰამოვნწსი სალბუნი წყლულეობისა ამის**:

(99) „ეჰა, საყუარელნო, რადმეცა იყო უადვილწსი ამისა წამალი, ანუ უჰამოვნწსი სალბუნი წყლულეობისა ამის, ანუ ესოდენი სიმარჯუწ გზისა ამის, უკუეთუ მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგვტევენს ჩუენცა ღმრთმან შეცოდებანი ჩუენნი?“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

მაგალითად, გვაქვს შემდეგი სინონიმური წყვილი: **ქმნილი = ყოფადი**:

(100) „მაშა თანა-ამს, რათა ცხად-ჰყოს აწინდელი არსა საქმე იგი, ანუ **ქმნილი** და ანუ **ყოფადი**.“ (გაიოზ რექტორი, აკადემიური, სიტყვა, სწავლის შესახებ, 1783, 28 მაისი).

რაც შეეხება პლეონაზმის მხატვრულ ფუნქციას, მხატვრულ მეტყველებაში, როგორც სტილისტურ ხერხს, მას მიმართავენ რეტარდაციის მიზნით, შთაბეჭდილების, აზრის გაძლიერებისათვის, ხოლო ენობრივი ფუნქციით გამეორებული სიტყვები სინონიმურ წყვილებს მოგვაგონებს (ღლონტი, 1988: 59). „ამ ხერხის [პლეონაზმის] მიზანია ახსნა. იგი გამოუცდელ და მიუჩვეველ მსმენელს არჩევანს სთავაზობს გამოთქმათა შორის. თუ ძველ რიტორებთან ამ ხერხის მიზანი იყო გამოველინა ორატორის მდიდარი ლექსიკა, ქრისტიანმა ორატორებმა იგი გამოიყენეს მორწმუნეთა შესაჩვევად თეოლოგიური ტერმინოლოგიისადმი“ (ბეზარაშვილი, 2004: 598).

3.4.3. ანტიტეზა

ანტიტეზა (ბერძნ. ἀντιθέσις, ἀντί „საწინააღმდეგო“ + θέσις „პოზიცია“) – კონტრასტის გამომხატველი ფიგურაა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს მნიშვნელობებს, ცნებებს, დებულებებს, სახეებს, მდგომარეობას. არისტოტელეს აზრით, „ასეთი გამონათქვამები სასიამოვნოა, რადგან მოვლენათა დაპირისპირება, ისევე როგორც პარალელის გავლება, აზრს ძალიან გასაგებსა ხდის“ (არისტოტელე, 1981: 1410a).

ანტიტეზის შექმნას საფუძვლად უდევს ანტონიმები. ანტონიმების შეპირისპირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველ დასახელებულ

საგანს, ცნებას, დებულებას, სახეებს, მდგომარეობას, რაც აძლიერებს აზრის გამომსახველობით უნარს. მართლაც, ანტონიმი და ანტონიმურად დაკავშირებული სხვადასხვა მეტყველების ნაწილები ანტითეზის შექმნის მნიშვნელოვანი საშუალებაა (აფრიდონიძე, 1998: 205).

ანტითეზა შეიძლება იყოს მარტივი (ერთწევრიანი) და რთული (მრავალწევრიანი): მარტივი ანტითეზის ნიმუშები გვხვდება მხოლოდ იოანე ბოლნელთან:

- (101) *„ნანდვლვე ჭეშმარიტად, სადაცა იყოს სოფელი, ანუ ქალაქი ეშმაკთაჲ, მუნცა იყოს სიყმილი ძლიერი, რამეთუ მორწმუნეთაჲ არს ყოველი სოფელი და სავსებაჲ მისი, ხოლო ურწმუნეთაჲ მათ და ეშმაკთა და მსახურთა მისთა არა უც ნაწილი არცა ამას სოფელსა და არცა მერმესა მას.“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);
- (102) *„მადლობაჲ იგი კეთილ არს ხოლო შემდგომი იგი სავსე არს უკეთურებითა, ვერ შესაძლებელ არს ერთისა თუალისა წყაროდსაგან გამოდინებაჲდ ტკბილი და მწარე.“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);
- (103) *„ნუ აგრძნობნ მარცხენს შენი, რასა იქმოდის მარჯუენს შენი, უკუეთუ ამას იქმ ღმრთისათჳს, ღმერთმან თჳთ უწყის ყოველი, რამეთუ იგი არს გულთა მაცნიერი და მან უწყნის დაფარულნი კაცთანი.“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);
- (104) *„ხოლო შენ, რაჟამს იქმოდი ქველის საქმესა შენსა, ნუ აგრძნობნ მარცხენს შენი, რასა იქმოდის მარჯუენს შენი, რადთა იყოს ქველისსაქმს შენი დაფარულად და მამაჲ იგი შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მან მოგაგოს შენ ცხადად.“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი);
- (105) *„ჭეშმარიტად, რამეთუ სასუფეველი ღმრთისაჲ და ჯოჯობეთი განშორებულ არიან ერთიერთას, რამეთუ მდინარს ცეცხლისაჲ დის საშოვალ მათსა.“* (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი); შეპირისპირებულია სახელური ფრაზა („სასუფეველი ღმრთისაჲ“) და არსებითი სახელი („ჯოჯობეთი“) ერთმანეთს;

(106) „გამოცდად იგი არასამართალ არს, ხოლო კითხვად იგი შუენიერ და სამართალ და პატიოსან.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი); გვაქვს ანტონიმური წყვილი: „**არასამართალ**“ – „**სამართალ**“.

რთულ ანტითეზაში შეიძლება ჩართული იყოს რამდენიმე ანტონიმური წყვილი, რომლებიც ხშირად სინტაგმის სახითაა წარმოდგენილი, მაგალითად:

შეპირისპირებულია შემდეგი სინტაგმები: „**ამაღლება**“ – „**დამდაბლება**“:

(107) „რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და ყოველმან, რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

შეპირისპირებულია შემდეგი სინტაგმები: „**ცათა შინა**“ – „**ქუეყანასა ზედა**“:

(108) „ჭემმარიტად, უკუეთუ იყოს ნებად მისი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, ყოვლადვემცა ჩუნ არა შევსცოდეთ მას.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ერთმანეთს უპირისპირდება ორი ანტონიმური წყვილი: „**განგუეშორა**“ – „**შემოგუეახლა**“; „**ღამჭ**“ – „**ნათელი**“:

(109) „რამეთუ აწ არს ჟამი განღვძებად ჩუნდა ძილისაგან, ოდესღა ესე გურწმენა, ღამჭ იგი განგუეშორა და ნათელი შემოგუეახლა.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ერთმანეთს უპირისპირდება ორი ანტონიმური წყვილი: „**შევიმოსოთ**“ – „**განვიშოროთ**“; „**სათნოებად ღმრთისაჲ**“ – „**განზრახვად კაცობრივი**“:

(110) „ხოლო უკუეთუ შევიმოსოთ სათნოებად ღმრთისაჲ და ყოველივე განზრახვად კაცობრივი განვიშოროთ, მაშინ გესმეს, რამეთუ: რაოდენი-იგი ჰყავთ ერთსა მცირეთაგანსა ზედა, იგი მე მიყავთ.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

ერთმანეთს უპირისპირდება რამდენიმე ანტონიმური წყვილი: „**განვიშორნეთ**“ – „**შევიმოსოთ**“; „**საქმენი ბნელისანი**“ – „**საჭურველი სიმართლისაჲ**“:

(111) „განვიშორნეთ აწ უკუე საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი სიმართლისაჲ და განათლებული დღესა შინა შუენიერად ვიდოდით ნუ სიმღერითა და მთრვალობითა, ნუცა საწოლითა ბილწებისაჲთა, არამედ მღვძარებითა და ლოცვითა, ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა

სულიერითა, და ყოველივე ბრუნვად ამის სოფლისად დაუტეოთ.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

დაპირისპირებულია ზმნები („მოვიძულნეთ“ / „მოვიძაგნეთ“ – „შევიყუარნეთ“) და არსებითი სახელები („ფარისევლისანი“ / „მეზუერისანი“):

(112) „აწ მოვედით, ძმანო ჩემნო და საყუარელნო, მოვიძულნეთ და მოვიძაგნეთ საქმენი იგი და სიტყუანი ფარისევლისანი და შევიყუარნეთ საქმენი იგი და სიტყუანი მეზუერისანი“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

შეპირისპირებულია შემდეგი წყვილები: „განიშორე“ – „შეიმოსე“, „მწუხარებად“ – „სიხარული“:

(113) „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და განიბანე პირი შენი, განიშორე მწუხარებად, განიფრთხვე და შეიმოსე სიხარული, და უჩუენე სიწმიდჳ გულისა შენისა მამასა შენსა, რომელ არს ცათა შინა და ჰხედავს დაფარულთა გულისათა და მან მოგაგოს შენ ყოველივე ცხადად ქუეყანასა ზედა.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

შეპირისპირებულია შემდეგი წყვილები: „შეიყუაროს“ – „მოიძულოს“, „ისმინოს“ – „შეურაცხ-ყოს“, „ღმრთისა“ – „მამონაძსა“:

(114) „ნანდვლვე და ჭეშმარიტად ვერვინ ჰმონოს ორთა უფალთა, ნუუკუე ერთი იგი შეიყუაროს და ერთი მოიძულოს, ანუ ერთისად მის ისმინოს და ერთისად მის შეურაცხ-ყოს. ვერვის კელეწიფების მონებად ღმრთისა და მამონაძსა.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

შეპირისპირებულია შემდეგი ანტონიმური წყვილები: „გუემატოს“ – „გუაკლდეს“, „სული“ – „ჯორცნი“:

(115) „უკუეთუ ვჰამოთ, არად გუემატოს, და უკუეთუ არად ვჰამოთ, და-რად-გუაკლდეს, რამეთუ სული უფროდს არს საზრდელთასა სახედ-სახედ შეზავებულთა და ჯორცნი უფროდს არიან სამოსლისა და მოწეულისა ფერად-ფერადსა.“ (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი).

დაპირისპირებულია როგორც ნაცვალსახელები („მათი“ – „თქუენი“), არსებითი სახელები („სიმრავლე“ – „სიმცირე“), ისე მთელი სინტაგნები („სიმრავლისა მათისათჳს“ – „სიმცირისა თქუენისა“):

(116) „*ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს.*“
[თამარ მეფე, სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ, 1195, 1 ივნისი].

დაპირისპირებულია არსებითი სახელები („*სიკეთე*“ – „*ბოროტება*“, „*ბედნიერება*“ – „*მწუხარება*“):

(117) „*მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი საშიშროების წინაშე იდგა, მაინც მუდამ ჭეშმარიტებას ჯადაგებდა და მოძღვრავდა, თუ როგორ უნდა გაარჩიო, სად არის სიკეთე და სად - ბოროტება, რაშია ბედნიერება და მწუხარება.*“ (ილია II, ქადაგება ილიაობის დღესასწაულზე, 2004, 2 აგვისტო).

ერთმანეთს უპირისპირდება ორი ანტონიმური წყვილი („*ცოდნა*“ – „*რწმენა*“, „*მონა*“ – „*მეგობარი*“):

(118) „*კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში განიხილებოდა საკითხი, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია ცოდნა და რწმენა. ამ თემას ეხებოდა ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი. იგი ამბობს, რომ ცოდნაში უკვე აუცილებლად არის რწმენა და, პირიქით, რწმენაში არის ცოდნა და რომ პირველადი მაინც რწმენაა: ამასთან, მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, მორწმუნე და მცოდნე კი - მეგობარი ღვთისა.*“ (ილია II, სიტყვა საერთაშორისო კონფერენციაზე, 2005, 23 მაისი).

(119) „*ამ შრომაში იგი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან ცოდნა და რწმენა. კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ პირველადი არის რწმენა და ზედ დაშენებულია ცოდნა; და აკეთებს საოცარ დასკვნას, - რომ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი - არის მეგობარი უფლისა.*“ (ილია II, სიტყვა ქართული საეკლესიო უნივერსიტეტის გახსნაზე, 2008, 12 ოქტომბერი).

ანტონიმურ წყვილს ქმნის და და ანუ კავშირით დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები *სიტყვა და საქმე* და *სიტყვა ანუ საქმე*:

(120) „მომიტევით და შემინდევით მე, ძმანო ჩემნო, ყოველი, რაიცა ვისმე ვსცოდე სიტყვით ანუ საქმით. შეგინდობ და მოგიტევებ ყოველთა, ვინც რაიცა მცოდა და ვინც რაიცა მაწყინა სიტყვით ანუ საქმით. გლოცავ თქვენცა მიუტეოთ და შეუნდოთ ურთიერთსა ყოველნი შეცოდებანი სიტყვითნი და საქმითნი“ (წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), სიტყვა კვირიაკესა ყველიერისასა).

წარმოდგენილია რამდენიმე ანტონიმური წყვილი: **ჭირი და ლხინი**:

(121) „საქართველო დაცემის დროს არ არსებობდა, როგორც ერთი მთელი, **ჭირში და ლხინში განუყრელი**“ (ნოე ჟორდანიას, სიტყვა წარმოთქმული 1920 წლის იანვრის 14, დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო).

წარმოდგენილია რამდენიმე ანტონიმური წყვილი: **წყევდა და ლოცვა**:

(122) „ერთი დღეც ნუ გვაცოცხლოს უსამშობლოდ! ეს არც წყევლაა და არც ლოცვა. გნებავთ, ლოცვაც ესაა და წყევლაც, ერთსა და იმავე დროს...“ (ოთარ ჭილაძე, მიმართვა ქართული ლიგის ყრილობას).

წარმოდგენილია რამდენიმე ანტონიმური წყვილი: **სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა**:

(123) „საქართველოს გაცნობა, რა თქმა უნდა, შეიძლება იქ მოგზაურობით, მაგრამ მაინც ჯობს, ქართულმა ლიტერატურამ მოგახსენოთ თავისი ძველი და უცვლელი სათქმელი, იმის თაობაზე, რომ სიყვარული, მეგობრობა, სირთულეები, **სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა**, იუმორი და ტრაგედია ისევე არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი, როგორც თქვენი და ამაზე ლაპარაკი და თხრობა ისე შეგვიძლია, როგორც ბევრს არავის დედამიწის ზურგზე.“ (აკა მორჩილაძე, [სიტყვა წარმოთქმული ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2018 წლის 9 ოქტომბერს]).

დაპირისპირებულია რამდენიმე ანტონიმური წყვილი („დიდი“ – „პატარა“, „თავადი“ – „გლეხი“, „მდიდარი“ – „გლახაკი“, „მეცნიერი“ – „უმეცარი“), გარდა ამისა, გვაქვს ელიფსისის შემთხვევაც (გამოტოვებულია ზმნა „სტირის“):

(124) „სტირის დიდი და პატარა, სტირის თავადი და გლეხი, მდიდარი და გლახაკი, მეცნიერი და უმეცარი, სტირის სულ ყველა და მიზეზიც აქვსთ

ტირილისა.“ (ალექსანდრე გორდელაძე, სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზედ, ქუთაისის სობორში, 1896).

კონტრასტისა და სიტყვათა უჩვეულო გააზრებაა წარმოდგენილი შემდეგ მაგალითში:

(125) „შენს ბახველებს დღესაც არ სჯერათ ეს საშინელი თავზარდამცემი ამბავი, ჩვენში ვერავინ ახსენებს ერთად ამ ორს ყოვლად მოუწყობელს, ყოვლად შეუფერებელ სიტყვებს: „გაბრიელი და სიკვდილი“! ეს ორი სიტყვა არასოდეს არ მოთავსდება ერთად ჩვენს წარმოდგენილობაში.“ (ალექსანდრე გორდელაძე, სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზედ, ქუთაისის სობორში, 1896).

ანტონიმები ქმნიან კიდევ ერთ სტილისტურ ხერხს, ესაა **ოქსიმორონი**. **ოქსიმორონი** (ძვ. ბერძნ. ὀξύμωρος (oxúmōros), – გონებამახვილური სისულელე, ὀξύς (oxús, „მჭრელი, ბასრი, მახვილი“ + μωρός (mōrós, „უგუნურება“) ეწოდება ანტონიმებით, ანუ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებით შექმნილ სინტაგმას. ეს არის აბსოლუტური წინააღმდეგობა, ვინაიდან ოქსიმორონი იქმნება ისეთი აბსტრაქტული ლექსიკის საფუძველზე, რომლის შემადგენელი ერთეულები ერთმანეთის მიმართ ანტონიმურ დამოკიდებულებაში არიან, მაგალითად: „*მახინჯი სილამაზე*“, „*შავი მზე*“ და ა.შ. (ჯგუფი მ, 1970/1986: 219).

3.5. შუალედური დასკვნა

ჩვენ შევისწავლეთ მეტაბოლათა სახეები ქართულ მჭევრმეტყველებაში. ვიხელმძღვანელებთ „ჯგუფი μ“-ს „ზოგადი რიტორიკის“ თეორიაში წარმოდგენილი კლასიფიკაციითა და ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე გამოყვავით მეტაპლაზმის (ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია), მეტატაქსისის (ელიფსისი, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, ინვერსია), მეტასემემის (შედარება, მეტაფორა) და მეტალოგიზმის (გამეორება, ანტითეზა, პლეონაზმი) სახეები. ჩვენ წარმოვადგინეთ თითოეული ენობრივი საშუალების სათანადო ახსნა-განმარტება, ფუნქციონირების არეალი და სხვ. ამისათვის, განვიხილეთ თანმიმდევრულად თითოეული მათგანი და დავახასიათეთ ისინი ენობრივი ანალიზის შესაბამის დონეზე.

კვლევისას გამოვლინდა მეტაბოლათა ის სახეები, რომლებიც ენობრივი ანალიზის სხვადასხვა საფეხურზე დგას (გრამატიკულ, სინტაქსურ, სემანტიკურ და ლოგიკურ საფეხურებზე) და დაკავშირებულია ისეთ ლინგვისტურ ოპერაციებთან, როგორცაა შემოკლება, დამატება, შემოკლება დამატებით და გადასმა, მაგალითად, ჩვენ მიერ შესწავლილი მეტაბოლათა სახეებიდან ელიფსისი და შედარება განეკუთვნება შემოკლებას, ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, გამეორება, პლეონაზმი და ანტითეზა – დამატებას, ხოლო ინვერსია – გადასმას.

აღსანიშნავია, რომ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები გამოირჩევა მეტაბოლათა გამოყენების მაღალი სიხშირით. უფრო მეტიც, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ცალკეული მაგალითის ფარგლებში გვხვდება არა ერთი, არამედ რამდენიმე მეტაბოლის სახე; გამოვლინდა შემდეგი

ტენდენციაც: სადაც არის ელიფსისი, ხშირ შემთხვევაში, იქაა გამეორება; სადაც არის გამეორება, იქაა ევფონიის სხვადასხვა სახე (ალიტერაცია, ასონანსი) და ა.შ. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში არ შემოვფარგლულვართ მეტაბოლის მხოლოდ ცალკეული სახის განხილვით, არამედ, ისინი შევისწავლეთ კომპლექსურად და ერთმანეთთან კავშირში. ამით უფრო ნათელი და ცხადი ხდება ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების სპეციფიკურობა.

ტროპების დახასიათებისას, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მათი განხილვა ენის ფუნქციათა ფონზე; ჩვენი აზრით, ქართულ მჭევრმეტყველებაში წინ წამოწეულია ენის რიტორიკული ფუნქცია, რომელსაც ზემოქმედების უნარი გააჩნია და ეხება ისეთ თემებს, როგორცაა რელიგია, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, ეთიკა, სამართალი, იდეოლოგია და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ენის რიტორიკული ფუნქცია, რიტორიკის თეორიასა და პრაქტიკაში გაცნობიერებული რეალიზების ნიშანს ატარებს და ამდენად, წინასწარ ცოდნასაც კი ეფუძნება. მეორეს მხრივ, რიტორიკული ფუნქციის მატარებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ენობრივი საშუალება, ამ შემთხვევაში კი მეტაბოლათა სახეები, რომლებიც მიზანმიმართული შერჩევის შედეგია.

თავი IV. ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი ლინგვისტური კვლევებისთვის

4. ზოგადი მიმოხილვა

მჭევრმეტყველების კვლევა, ტრადიციული ლინგვისტური მეთოდების გარდა, კორპუსლინგვისტური მეთოდებითაც არის შესაძლებელი²². კორპუსის შექმნა არსებითი ნაბიჯია ნებისმიერი ტიპის კორპუსლინგვისტური კვლევისთვის; კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის უმთავრესი ამოცანაა ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნა კორპუსზე დაფუძნებული სამომავლო ლინგვისტური კვლევების განსახორციელებლად. კორპუსის შექმნის მიზნით, გამოვიყენეთ მზა პლატფორმა სახელწოდებით „*სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა*“, რომელიც იძლევა კორპუსის / ქვეკორპუსის შექმნის, მასში სხვადასხვა სახის ძიებისა და შესაბამისი ლინგვისტური კვლევების განხორციელების შესაძლებლობას.

ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში წარმოდგენილია 200-მდე ორატორის 1000 მჭევრმეტყველების ნიმუში დაწყებული უძველესი პერიოდის ნიმუშებიდან, დამთავრებული უახლესი პერიოდის ნიმუშებამდე, რომლებიც განეკუთვნებიან ზემოაღნიშნულ დარგებსა და ჟანრებს. კორპუსის სამუშაო ვერსიის საძიებო სისტემაში ასახულია მჭევრმეტყველების დარგობრივი და ჟანრობრივი მახასიათებლები, რომელიც ეფუძნება ქართულ მჭევრმეტყველების მკვლევრის, **ნ. კანდელაკის** მიერ წარმოდგენილ კლასიფიკაციას (კანდელაკი, 1958).

კორპუსის მენეჯერი ითვალისწინებს ყველა მჭევრმეტყველების დარგისა (სამქადაგებლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო და პოლიტიკური) და უმთავრესი ჟანრების (სიტყვა, ქადაგება, მოძღვრება, მიმართვა, მოხსენება, წარდგინება, ქება, შესხმა და სხვ.) ნიმუშების

²² შენიშვ.: ამასთან დაკავშირებით იხ. Rhetoric in Detail: Discourse analyses of rhetorical talk and text (ჯონსტონი, ეიზენჰარტი (რედ.), 2008).

მოდების შესაძლებლობას. კორპუსში შესაძლებელია ავტორის (სახელი, გვარი), სათაურის, დარგის / ქვედარგის, ჟანრის (ძირითადი, დამხმარე) და თარიღის (საუკუნე, წელი, თვე, რიცხვი) მიხედვით ძიება. ნიმუშები აღწერილია ქრონოლოგიური, ენობრივი, დარგობრივი, ჟანრობრივი და სხვა მახასიათებლებით. გარდა მეტამონაცემების მიხედვით ძიებისა, ასევე შესაძლებელია მარტივი და რთული ძიება უშუალოდ ტექსტებში, კერძოდ, სიტყვისა და ფრაზის სიხშირის დადგენა და შედეგის ასახვა სიხშირული და/ან ანბანური სიით. კორპუსში შესაძლებელია სიტყვანის, კონკორდანსისა და ენ-გრამის მაგალითების მოძიება (კენჭიაშვილი, 2020ბ: 69).

4.1. სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა

კომპიუტერების სიმძლავრისა და მონაცემთა გაზრდის პარალელურად, მკვეთრად გაიზარდა კორპორას მოცულობა, ტიპი და სხვა მონაცემები. ამავდროულად, იქმნება იმ პროგრამების მზარდი რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ კორპუსის შექმნისა და მასში სხვადასხვა სახის ძიების მიზნით. კორპორა ძალიან სწრაფად გადაიქცა ენის კვლევის უნივერსალურ რესურსად (გარსაიდი, ლიჩი, მაკენერი (რედ.), 2013: 1).

პროგრამები, რომელიც კორპუსისა და/ან ვებკორპუსის შექმნის შესაძლებლობას იძლევა, ყველა ენისთვის არაა ხელმისაწვდომი; ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოვიძიეთ და გამოვცადეთ ერთ-ერთი მზა პლატფორმა, რომელიც გვამწევს ქართულენოვანი კორპუსის (ასევე ვებკორპუსის)²³ შექმნის შესაძლებლობას, თუმცა ძიების ფუნქციები კორპუსში შეზღუდულია. პროგრამა, რომლითაც ვისარგებლეთ საკვლევი კორპუსის სამუშაო ვერსიის შექმნის მიზნით, არის „სკეჩენჯინი“ (Language Corpus Management and Query System: *Sketch Engine*, 2020). „Sketch Engine“-ს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ, როგორც

²³ „სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაში“ (*Sketch Engine*) ქართული ვებკორპუსის შექმნა დაკავშირებულია დევიდ თაგუელის სახელთან (თაგუელი, 2011ა: 72-74; თაგუელი, 2011ბ: 74-76). დღეისათვის, ქართულ ვებკორპუსში დაახლოებით 50 მილიონი სიტყვაა, რომელიც ძირითადად ეფუძნება წერილობით ტექსტებს. კორპუსი ნაწილობრივ ანოტირებულია. სამწუხაროდ, დ. თაგუელის გარდაცვალების გამო, კორპუსი დაუსრულებელია (იხ. კენჭიაშვილი, 2020ა: 47).

„სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამას“ (დარასელია 2015; თაგუელი, 2011ა; თაგუელი, 2011ბ)²⁴.

სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ მომავალში იგი ღია რესურსად იქცეს (Corpus hosting: *Sketch Engine*, 2020). კორპუსის საცდელი ვერსია არსებობს „ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის“ სახელწოდებით (ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი, 2020).

ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსია არის **ერთენოვანი და სპეციალიზებული**²⁵, თუმცა, ამავე დროს, შეიძლება გახდეს მულტიმედიურიც, იმ შემთხვევაში, თუ დაემატება თანამედროვე საჯარო გამოსვლების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. ამ ეტაპზე, ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში ატვირთულია 1,000 დოკუმენტი, რომელიც შეიცავს 49,551 წინადადებას, 818,210 სიტყვასა და 1,004,621 ტოკენს (უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხ. სურათი 1.).

სურათი 1. ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ზოგადი მონაცემები



GENERAL INFO	
Language	Georgian

COUNTS	
Tokens	1,004,621
words	818,210
Sentences	49,551
Documents	1,000

LEXICON SIZES	
word	113,604
lc	113,571

TEXT TYPES	
doc (2)	1,000
File ID, doc.id	1,000
File name, doc.filename	1,000


4.1.1. ძიება სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაში

სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაში ქართულენოვან კორპუსში შეგვიძლია დავადგინოთ: 1. სიტყვანი (Wordlist); 2. კონკორდანსები (Concordance)²⁶; 3. ენ-გრამები (N-grams) (იხ. სურათი 2.).

²⁴ „სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამას“ იძლევა როგორც კორპუსების, ისე ვებკორპუსების შექმნის შესაძლებლობას. დღეისათვის სიტყვათშეხამებითი მოდელების საძიებო სისტემა მოიცავს 500-ზე მეტ კორპუსსა და ვებკორპუსს 90-ზე მეტ ენაზე, მათ შორის, ქართული ენის ვებკორპუსს – Georgian Web 2013 (KaWaC).

²⁵ შენიშვ.: სპეციალურ ანუ თემატურ კორპუსებად მიჩნეულია ისეთი კორპუსები, რომელიც ენობრივ რესურსებს აერთიანებს გარკვეული სპეციალური თემატიკის მიხედვით, ჩვენ შემთხვევაში, მჭევრმეტყველების თემატიკით. ქართული თემატური კორპუსის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ ქართული დიალექტური კორპუსი, ქართული პოლიტიკური კორპუსი და ა.შ.

²⁶ შენიშვ.: გამოყოფენ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თაობის კონკორდანსს: პირველი თაობის კონკორდანსი უკავშირდება **რობერტო ბუსას** სახელს, რომელმაც 1952 წელს პირველი ავტომატური გენერატორი დააპროგრამა. აღნიშნულ გენერატორს შეეძლო სწორხაზოვანი კონკორდანსის გამოტანა ლოკალური ბაზის საფუძველზე; მეორე თაობის კონკორდანსი, რომელიც უკავშირდება 80-იან წლებში პერსონალური კომპიუტერის გავრცელებას, პირველად უმკლავდება მონაცემთა რაოდენობრივად



ზოგადად, კორპუსი საშუალებას იძლევა მოვიძიოთ გარკვეული ენობრივი ერთეულები, ან ენობრივ ერთეულთა ნაკრები. ენობრივი ერთეული შეიძლება იყოს სიტყვა, ფრაზა ან სხვა უფრო მარტივი ან რთული ერთეული. შესაძლებელია სწრაფად მოიძებნოს სიტყვებისა და ფრაზებისთვის ყველა შესაძლო კონტექსტი, რის საშუალებასაც თვითონ კორპუსი იძლევა. ყოველი შედეგი, რომელსაც სხვადასხვა სახის ძიებისას მოვიპოვებთ, შესაძლებელია ფაილის სახითაც ჩამოიტვირთოს.

4.1.1.1. სიტყვანი

პირველი მონაცემი, რომელიც შეიძლება მოვიძიოთ კორპუსში, არის სიტყვანის (Wordlist) დადგენა როგორც ანბანური რიგით, ასევე სიხშირული

გაზრდილ ბაზებს; მესამე თაობის კონკორდანსი გამოირჩევა პროგრამული ინსტრუმენტების მრავალფეროვნებით (მაგალითად, WordSmith, MonoConc, AntConc, Xaira) და პროცესორის სისწრაფით; მეოთხე თაობის კონკორდანსი მიემართება ინტერნეტის ქსელს, მონაცემთა დიდ რაოდენობას და გამოირჩევა განსაკუთრებული სისწრაფით. ახალი პროგრამული ინსტრუმენტები კორპუსის ლოკალური გამართვისა და აღჭურვის საშუალებას იძლევა (მაგალითად, corpus.byu.edu, Wmatrix, SketchEngine, BNCweb, CQPweb) (თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014: 214-215). სწორედ მეოთხე თაობის კონკორდანსს გულისხმობს ე.წ. „სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა“ (SketchEngine).

განაწილების მიხედვით. სურათი 3. გვიჩვენებს 20 სიტყვა-ფორმას, რომელიც შეიძლება დალაგებული იყოს როგორც ანბანური, ისე სიხშირული რიგით.

სურათი 3. სიტყვანი. პირველი 20 სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების კორპუსში

Word	↓ Frequency ?	Word	↓ Frequency ?
1 და	50,524 ...	11 მას	3,503 ...
2 რომ	10,524 ...	12 ჩვენ	3,456 ...
3 არ	8,814 ...	13 იყო	3,093 ...
4 თუ	5,769 ...	14 რა	2,965 ...
5 არის	5,664 ...	15 ის	2,769 ...
6 იგი	5,649 ...	16 მაგრამ	2,721 ...
7 არა	5,246 ...	17 ჩვენი	2,646 ...
8 უნდა	5,098 ...	18 მისი	2,620 ...
9 ეს	4,983 ...	19 შენ	2,558 ...
10 ამ	4,793 ...	20 შინა	2,460 ...

Rows per page: 20 1–20 of 18,467 1 / 924

როგორც სურათი 3. გვიჩვენებს, ყველაზე ხშირად ხმარებადი სიტყვები ამავე დროს ყველაზე ფუნქციური სიტყვებაცაა კორპუსში. წინამდებარე სურათი 4. გვიჩვენებს პირველი 20 სრულმნიშვნელოვან სიტყვაფორმას (არასრულმნიშვნელოვანი სიტყვაფორმები ამოღებულია) ქართული მჭევრმეტყველების კორპუსში.

Word	↓ Frequency ?	Word	↓ Frequency ?
1 დღეს	1,952 ...	11 ღვთისა	1,039 ...
2 დიდი	1,874 ...	12 იესო	1,000 ...
3 ქრისტეს	1,682 ...	13 სრულიად	925 ...
4 კაცი	1,682 ...	14 ქრისტე	891 ...
5 საქართველოს	1,457 ...	15 დროს	890 ...
6 წმიდა	1,367 ...	16 სიყვარული	794 ...
7 ღმერთი	1,162 ...	17 საქმე	784 ...
8 ღვთის	1,111 ...	18 ძმანო	759 ...
9 სიტყვა	1,069 ...	19 სული	738 ...
10 უფალი	1,047 ...	20 გული	702 ...

Rows per page: 20 1-20 of 1,724 1 / 87

ტრადიციული ენათმეცნიერებისგან განსხვავებით, თანამედროვე ენათმეცნიერება კვლევასას მონაცემთა დიდი მოცულობის ბაზებს ეყრდნობა. ამით სრულიად შეიცვალა ენობრივი სისტემის მოზაიკაში ცალკეული ემპირიული შემთხვევების ადგილი და მნიშვნელობა. ენობრივი შემთხვევა, რომელიც თუნდაც ერთხელ დასტურდება მილიონობით სიტყვაფორმის შემცველ კორპუსში, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ნებისმიერი სხვა ენობრივი შემთხვევა, რომელიც მაღალი სიხშირული მაჩვენებლით ხასიათდება (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 23). ამდენად, კორპუსში ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ ისეთი ენობრივი ერთეულები, რომლებიც მაღალი სიხშირული გამოყენებით ხასიათდებიან, ისე ერთეულები, რომლებიც იშვიათად გვხვდება.

ამ მხრივ, საინტერესო ენობრივი შემთხვევაა *hapax legomena*, ე.ი. ისეთი სიტყვა, ან ფრაზა, რომელიც მხოლოდ ერთხელ დასტურდება ხელნაწერში, დოკუმენტში ან კორპუსში²⁷ (ბეიკერი, ჰარდი, მაკენერი, 2006: 81). შესაბამისად,

²⁷ შდრ.: ზიფის კანონი (Zipf's law) – მათემატიკური ფორმულა, რომელიც აღწერს კორპორაში სიტყვათა სიხშირულ მაჩვენებლებს. ყველა კორპუსში (და ენაში ზოგადად) არსებობს სიტყვათა მცირე რაოდენობა, რომლებიც მაღალი სიხშირული მაჩვენებლით ხასიათდებიან, მაგალითად, და, რომ, არ, თუ და ა.შ. მაგრამ ასევე არსებობს სიტყვათა დიდი რაოდენობა, რომლებიც დაბალი სიხშირული მაჩვენებლით ხასიათდებიან. თუ კორპუსის მიხედვით დადგენილ სიტყვათა სიხშირულ სიას

ამგვარი ენობრივი ერთეულები კორპუსის სიხშირული სიის ბოლოს გვხვდება, მაგალითად: იშვიათი სიტყვები, სახელები, უცხო სიტყვები, ასევე შეცდომით დაწერილი სიტყვები ანდა ნაწილაკები, რომლებიც პროგრამამ სიტყვებად აღიქვა. სურათი 5. გვიჩვენებს სწორედ ამგვარი იშვიათი სიტყვების 20 მაგალითს ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში.

სურათი 5. სიტყვანი. პირველი 20 მაგალითი *hapax legomena* ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში

Word	↓ Frequency ?	Word	↓ Frequency ?
19,921 დაკანონებული	1 ...	19,931 ცხინვალში	1 ...
19,922 გვინვედა	1 ...	19,932 ქალაქებშიაც	1 ...
19,923 იუნყება	1 ...	19,933 გამოსვლებმა	1 ...
19,924 ბანდები	1 ...	19,934 ბალშევიკურმა	1 ...
19,925 დასამყარებლათ	1 ...	19,935 ბოლშევიკურ	1 ...
19,926 გაფანტვისა	1 ...	19,936 ვისტუმრებდით	1 ...
19,927 ბრბოების	1 ...	19,937 ეშელონებს	1 ...
19,928 ვიკისრეთ	1 ...	19,938 ვიშორებდით	1 ...
19,929 ფრონტზედაც	1 ...	19,939 აწვებოდა	1 ...
19,930 აჯანყებულ	1 ...	19,940 ეშელონზე	1 ...

First 20,000 rows are displayed. You can download whole wordlist [↓](#)

Rows per page: 20 19,921–19,940 of 20,000 < > 997 / 1,000 > >|

4.1.1.2. კონკორდანსები

კონკორდანსები (Concordance) საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ ჩვენთვის სასურველი სიტყვა / ფრაზა თავისი კონტექსტებით. როდესაც ძიებათა შედეგები ნაჩვენებია კონკორდანსის სახით, ენათმეცნიერს შეუძლია მონაცემების მოსახერხებელი ფორმატით დათვალიერება და მისი სხვადასხვა გზით გაანალიზება. სხვა ტიპის ანალიზისა და კვლევისთვის, ძიება და კონკორდანსის დადგენა შეიძლება იყოს მხოლოდ ლინგვისტური კვლევების დასაწყისი. კონკორდანსების მოძიება წარმოადგენს კორპუსში მაგალითების გადამოწმების, იდენტიფიცირების და

გამოვსახავთ გრაფიკულად, მივიღებთ მრუდს, რომლის ფორმაც აღწერილია ზიპის კანონით (ბეიკერი, ჰარდი, მაკენერი, 2006: 173).

კლასიფიკაციის საშუალებას, რათა მოხდეს ჰიპოთეზის ანდა კვლევის მეთოდოლოგიის განვითარება. ძიება და კონკორდანსის დადგენა მნიშვნელოვანი ელემენტებია იმ ძირითად პროგრამულ ინსტრუმენტებში, რომელსაც ენათმეცნიერი იყენებს. ისინი არსებითია ავტომატური პროცედურების შედეგად მიღებული შედეგების გადასამოწმებლად და ტექსტში მოცემული მაგალითების უფრო დეტალური შესწავლისთვის (ვინი, 2008: 707).

მოძიებული სიტყვისთვის / ფრაზისთვის გამოიყენება სპეციალური აღნიშვნა აბრევიატურის სახით – KWIC (Key Word in Context). საძიებო ელემენტი კონტექსტთან შედარებით გამოყოფილია ცენტრალური პოზიციითა და განსხვავებული გრაფიკული ნიშნით (ზომით, ფერით და ა.შ.) (სურათი 6).

სურათი 6. კონკორდანსი სიტყვისთვის 'სიტყვა' ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსიაში

The screenshot shows the CONCORDANCE search interface. At the top, there is a search bar with the text 'ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი'. Below the search bar, there are navigation icons and a 'KWIC' dropdown menu. The main area displays a list of search results, each with a document ID (e.g., doc#2, doc#5) and a snippet of text. The word 'სიტყვა' is highlighted in red in each snippet. The interface also includes a sidebar with various icons and a footer showing 'Rows per page: 10' and '1-10 of 1,069'.

გარდა ცალკეული სიტყვის ძიებისა, ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ ფრაზა კონტექსტში. ძიების შედეგი ჩვენ შეგვიძლია ასევე ძიების შედეგი ვიხილოთ სხვაგვარადაც, კერძოდ, მარჯვენა ზედა კუთხეში KWIC-ის ნაცვალად უნდა ავირჩიოთ „sentence“, რის შემდეგადაც, გამოჩნდება წინადადებები (იხ. სურათი 7).

სურათი 7. კონკორდანსი სიტყვისთვის 'სიტყვა' წინადადებების ჩვენებით


The screenshot shows the CONCORDANCE search results for the word "სიტყვა". The search bar at the top indicates "ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი" and shows a frequency of 1,069 (1,064.08 per million). The results are displayed in a table with 10 rows, each containing a document ID and a snippet of text with the word "სიტყვა" highlighted in red. The snippets are as follows:

- doc#2: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის, ილია II სიტყვა განათლების სამინისტროში 20 სექტემბერი, 2004 წელი ქალბატონებო და ბატონებო, მოხარული ვარ, რომ დღეს ვიმყოფებით აქ და უნდა დავლოცო ის ადამიანები, რომელთაც ეკისრებათ დიდი მისია - ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება არაქართულ მოსახლეობაში. </s>
- doc#5: უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სიტყვა კონფერენციაზე „ბაგრატიონების დინასტიის როლი საქართველოს წარსულსა და აწმყოში“ საქართველოს საპატრიარქო, 28 სექტემბერი, 2001 წ. </s>
- doc#5: მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთონ დღეს ბაგრატიონებმა. </s>
- doc#8: გაიზ რექტორი | სიტყვა , თქმული დოსითოზ ჩერქეზიშვილის მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე| ყოვლად სამღვდელოო მეუფეო! </s>
- doc#9: გაიზ რექტორი | სიტყვა , თქმული სტუმართა და სემინარიელთა მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე| პატიოსანო სტუმარნო! </s>
- doc#10: გაიზ რექტორი | სიტყვა , თქმული თელავის სემინარიელთა საჯარო პაექრობის გახსნის გამო| იქადის ჰრომი აგვისტოს კეისრითა, იქადის გალგია ლუდოვიკ მეთოთხმეტითა, იქადის როსსია პეტრე დიდითა, რომელთაც დააფუძნეს სამფლობელოსა თვისსა სწავლანი სასიბრძნონი; კვალად იქადის მაკედონია და ყოველი ელლადა ალექსანდრე დიდითა, რომელმანცა უძლეველითა მით სიმხნითა თვისითა მოიფრინა პირი ყოვლისა ქვეყნისა და ვითარცა არწმიგმან შემოუკრიბა სკიპტრასა თვისსა ყოველი ერი მორჩილებად; და უფროსილა ვჰსთქვა: კვალად იქადის ყოველი ქრისტე-შემოსილი ერი კონსტანტინე დიდითა, მოციქულთ შესწორებულთა მეფითა, რომლისაცა კეთილ-მსახურებითა ყვავილოვნებს ყოველი ქრისტეს მოსახელე ერი. </s>
- doc#10: და რათა სიტყვა ესე უნდოდა იქმნას თქვენ მიერ მოწყალეობით მიღებულ, ვინცე ცხად ყოფად მოკლედ პაზრსა ღრამმატიკისასა, ვითარცა შესაბამსა რასამე აწინდელისა შეკრებულებისა ჩვენისასა. </s>
- doc#11: გაიზ რექტორი | სიტყვა , თქმული სტუმართა და სემინარიელთა მიმართ საჯარო პაექრობაზე| ხოლო თქვენ პატიოსანო და ჩენთვის ძვირფასნო სტუმარნო! </s>
- doc#13: გაიზ რექტორი თელავის რექტორის გაიზის სიტყვა სწავლის შესახებ ყ-დ სამღვდელო მეუფეო: არა არს იჭვი ამას შინა, ვითარმედ კეთილი ზრდილება და კეთილი ჩვეულება კაცობრივისა ნათესავისა დამოკიდულ არს ჭეშმარიტებისა მეცნიერებასა ზედა. </s>
- doc#14: მზეჭაბულ ორბელიანი სიტყვა , თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე ნუ ჰყოვნი, მეუფეო! </s>

At the bottom of the interface, it shows "Rows per page: 10" and "1-10 of 1,069" results.

4.1.1.3. ენ-გრამები

ენ-გრამები (N-grams) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კორპუსში ორ-, სამ-, ოთხ-, ხუთ- და ექვსსიტყვიანი სიტყვათშეთანხმებები და დავალაგოთ ისინი როგორც სიხშირული მაჩვენებლების მიხედვით, ისე ანბანურად. სურათი 8. გვიჩვენებს სიხშირულად სამსიტყვიანი სიტყვათშეთანხმების ნიმუშებს.



როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ენობრივ ერთეულებზე, რომელიც აღემატება ერთ სიტყვას, მათ შეგვიძლია ვუწოდოთ ენ-გრამები, ე.წ. სიტყვის კლასტერები (გამოყენების არეალი), ლექსიკური ფრაზები ან ლექსიკური ნაკრები, თუმცა ეს გამონათქვამები განსხვავებულ კონოტაციებს ატარებს, იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომლებშიც გვხვდება აღნიშნული ტერმინები. მთავარი რამ, რაც მათ აერთიანებს, არის ის, რომ თითოეულ ამ ტერმინში მოიაზრება სიტყვების თანმიმდევრობა, რომლებიც ტენდენციურად გვხვდება ერთმანეთთან უწყვეტი თანამიმდევრობით, ყოველგვარი სხვა სიტყვის ჩართვის გარეშე (ვეიზერი, 2016: 196).

ენ-გრამები სიტყვებზე მაღლა დგას ენის ბუნებრივ იერარქიაში: ენის ნებისმიერი ნაკადი შეიძლება დაიყოს მის შემადგენელ კომპონენტად ენ-გრამების სახით, ისევე, როგორც ერთი სიტყვის შიგნით შეიძლება გამოიყოს მორფემები ან ფონემები. ენ-გრამებს აქვთ მსგავსი სტატისტიკური მახასიათებლები სხვა ერთეულებთან მიმართებით: ნებისმიერ ენ-გრამს გააჩნია დროის ნებისმიერ მომენტში გამოვლენის ალბათობა, რომელიც შეიძლება ემპირიულად შეფასდეს. ენ-გრამების არსებობა დამოკიდებულია კონტექსტზე. ნებისმიერი ენ-გრამის გამოვლენის ალბათობა, როგორც წესი, ფასდება კორპუსში მისი გამოჩენის

სიხშირით, და რაც უფრო დიდია კორპუსი, მით უფრო ზუსტია ეს ასახვა (შაული, ვესტბური, ბააიენი, 2013: 497-498).

4.2. კვლევის სამომავლო პერსპექტივები

სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაში არსებული „ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი“ არის მხოლოდ სამუშაო ვერსია. რაც შეეხება მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებს, სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია განხორციელდეს კორპუსის სტრუქტურის სრულყოფისა და დასრულების მიზნით შემდეგი სახის სამუშაოები: პირველადი მონაცემებით კორპუსის შევსება; გაციფრებული ტექსტების ანოტაცია (მეტამონაცემების დართვა, ტექსტების მარკირება, ლინგვისტური ანოტაცია), კორპუსის მენეჯერის შექმნა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **პირველადი მონაცემებით (Plain Data) კორპუსის შევსება**²⁸ – ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების რაოდენობის გაზრდა (ციფრული ფორმატის ტექსტების დამატება და მეტამონაცემების დადგენა) და კორპუსის შევსება, რითაც დავაბალანსებთ ტექსტური კოლექციის მოცულობას. კორპუსის რეპრეზენტაციულობის მისაღწევად მთავარია მჭევრმეტყველების ტექსტების მაქსიმალური მრავალფეროვნების (დარგები, ჟანრები; სხვადასხვა სოციალური წრისა და სტატუსის მქონე პირები, ვრცელი ეპოქა და სხვ.) წარმოდგენა. ასევე მნიშვნელოვანია ტექსტოლოგიური და სარედაქციო საკითხების გადაწყვეტა, კორპუსში ასატვირთი ფაილების უნიფიცირება (გრაფემული, სტრუქტურული, ორთოგრაფიული, შინაარსობლივი), TXT ფაილების შექმნა;

2. **გაციფრებული ტექსტების ანოტაცია**; ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ტექსტების ანოტირებაში მოიაზრება სამი სახის სამუშაოს განხორციელება: მეტამონაცემის დართვა, ტექსტის მარკირება და ლინგვისტური ანოტირება. კორპუსის ანოტაციას უზრუნველყოფს ტექსტური კოდირების სისტემა TEI (The Text

²⁸ შენიშვ.: ჩვენს ხელთ არსებული ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების რაოდენობა, რომელიც ციფრულ ფორმატში გვაქვს გადაყვანილი, 1000-ს აღემატება (იხ. სურათი 1).

Encoding Initiative)²⁹. ეს არის ყველაზე მოქნილი სისტემა კორპუსის ლინგვისტიკაში. TEI სისტემის უპირატესობა ისაა, რომ იგი უზრუნველყოფს როგორც თეგების სტანდარტიზებული ნაკრების დოკუმენტში ჩართვას, ასევე კორპუსის შემდგენლის მიერ შემუშავებული თეგების ჩამატებასაც. კორპუსის შექმნისას ტექსტების მარკირებისთვის აქცენტს სწორედ TEI-ის სისტემის გამოყენებაზე აკეთებენ (მეიერი, 2004: 84).

ა) მეტამონაცემების დართვა;

კორპუსის შექმნის მეორე ეტაპზე დგინდება კორპუსის მეტამონაცემები, რომელიც არის მონაცემი ენობრივი მონაცემის შესახებ. ის შეიცავს მეორეულ, გამავრცობელ ინფორმაციას პირველადი ენობრივი მონაცემის – ენობრივი ფაქტების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მაგალითებია: მონაცემი პირველადი მონაცემის (მაგ., ხელნაწერის) გადამწერის შესახებ, ავტორის ვინაობა, შექმნის ადგილი, შექმნის თარიღი და ა.შ. (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 28-29; 210).

დღესდღეობით მეტამონაცემის ასახვა ხდება სპეციალურ ფორმატში. ამ მხრივ, შემუშავებულია მეტაინფორმაციის საგანგებო სტრუქტურა ე.წ. ჰედერის სახით, რომელიც ჰედერის აგების საერთაშორისო კონსორციუმის (The Text Encoding Initiative (TEI) მიერ შემუშავებულ სტანდარტს ეყრდნობა. ყველა TEI დოკუმენტს (რომელიც წარმოდგენილია <TEI> ელემენტის საშუალებით) აქვს მინიმუმ ორი ნაწილი: სათაური (რომელიც წარმოდგენილია <teiHeader> ელემენტის საშუალებით), რომელშიც მოცემულია დოკუმენტის მეტამონაცემები და თვით ტექსტი (ჩვეულებრივ წარმოდგენილია <text> ელემენტით) (ბერნარდი, 2014: 17). კორპუსის შექმნისასაც გამოიყენება სწორედ ეს სტანდარტი, რომელიც ემსახურება ციფრული ტექსტების საერთაშორისო მიმოქცევაში ჩართვასა და აადვილებს რესურსების

²⁹ შენიშვ.: მეტამონაცემების ეს ფორმატი 1994 წლიდან გამოიყენება და ამჟამად ფართოდაა გავრცელებული ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში. TEI 500-ზე მეტ თეგს შეიცავს. მისი სქემა მოიცავს ძირითად ბიბლიოგრაფიულ თეგებს (მაგ., ინფორმაცია გამოცემის შესახებ), ნაწარმოების საბაზო სტრუქტურების თეგებს (თავები, სათაურები, შენიშვნები, სქოლიოები და ა. შ.) და ლიტერატურული კონტენტის ძირითადი ელემენტების თეგებს (TEI (The Text Encoding Initiative), 2020). TEI (The Text Encoding Initiative) არის სახელმძღვანელო მითითებები ჰუმანიტარული მეცნიერებების მკვლევართათვის, რათა ციფრულ ფორმაში აღწერონ ყველა სახის მონაცემი, მაგალითად, ტექსტების წყაროები, ხელნაწერები, საარქივო დოკუმენტები, უძველესი წარწერები და მრავალი სხვ. მართალია, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტექსტებზე, ვიდრე ხმოვან ან ვიდეო ჩანაწერებზე, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება ციფრული მონაცემების ნებისმიერი ფორმისთვის (ბერნარდი, 2014: 7).

მოხმარებას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 29; 210).

კორპუსისთვის მეტამონაცემების მომზადება გულისხმობს ყველა იმ ინფორმაციის მოძიებას, რომელიც ტექსტურ დოკუმენტს სრულად აღწერს; ჰედერში მეტამონაცემების დართვისას აუცილებელია ისეთი ინფორმაციის მოძიება, როგორცაა: ავტორი, სათაური / ქვესათაური, თარიღი, ხელნაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); პირველი ბეჭდური გამოცემა, შემდგომი ბეჭდური გამოცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შენიშვნის დართვა, რომელიც გულისხმობს დამატებით ინფორმაციას ტექსტთან დაკავშირებით და ა.შ. (მაკენერი, ვილსონი, 2001: 35). მაგალითისთვის რომ მოვიყვანოთ ქართული მჭევრმეტყველების ნიმუში – *„შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოძღვრისა მიერ სოლომან დოდაევისა მადაროელისა დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა შინა, წელსა 1828 ივლისის ვ-სა დღესა“* (კანდელაკი (შემდგ.), 1958: 254-255) – უშუალოდ სათაური საშუალებას გვაძლევს მეტამონაცემებში შევავსოთ შემდეგი სახის ინფორმაცია: ავტორი (სოლომან დოდაევი მადაროელი)³⁰, დრო (1828 წლის ვ ივლისი³¹), პოზიცია (ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოძღვარი), ჟანრი (შესხმის ჟანრი), პირველი ნაბეჭდი გამოცემა, შემდეგი ნაბეჭდი გამოცემები, თვითონ სათაური და ა.შ.

ბ) ტექსტების მარკირება;

კორპუსის შექმნის მესამე ეტაპზე იგეგმება ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ტექსტების ანოტირება, რომელიც მოიცავს ტექსტის მარკირებას (textual markup). არსებობს მარკირების მრავალი სტანდარტული ენა: ტიპოგრაფიაში გამოიყენება SGML, TeX, PostScript, RTF ფორმატები, სამომხმარებლო ინტერფეისში – Microsoft Word, OpenOffice, troff, მსოფლიო აბლაბუდას ქსელში კი – HTML, XHTML, XML, WML, VML, PGML, SVG, XBRL.

ნებისმიერი მარკერი ტექსტის ინტერპრეტირების აქტს წარმოადგენს. ეს არის ტექსტში უშუალო ჩარევის ფორმა, რაც შემდგომში საშუალებას იძლევა

³⁰ სოლომონ დოდაშვილი, იგივე დოდაევი (1805-1836), დაბადების ადგილის მიხედვით, მადაროელად წოდებული, როგორც ის მოიხსენიებს საკუთარ თავს, ქართველი ფილოსოფოსი, „რიტორიკის“ პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შემქმნელი.

³¹ „წელსა 1828 ივლისის ვ-სა დღესა“ აღნიშნავს 1828 წლის 6 ივლისს, ანბანის ასოების რიცხვითი მნიშვნელობების გათვალისწინებით.

გავანალიზოთ იგი, განვახორციელოთ ძიება და ტექსტი შევადაროთ რეპოზიტორიუმში დაცულ სხვა ტექსტებს. აქედან გამომდინარე, მარკირება მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან იგი წარმოადგენს ტექსტის სტრუქტურირების ძირითად გზას, იმის მიუხედავად, ტრანსკრიბირებულია იგი, გაციფრებული თუ ციფრულად დაბადებული (Born Digital). მარკირება შრომატევადი და ხანგრძლივი, თუმცა, ამავე დროს, აუცილებელი და საჭირო საქმეა (ხალვაში, 2018: 102).

მარკირება გამოიყენება კორპუსში ტექსტის ფორმატის კოდირებისათვის. *„ტექსტური მარკერის კოდი იძლევა ორიგინალური მონაცემის მახასიათებლების ადეკვატური კოდირების საშუალებას. მაგალითად, ტოპონიმის, ანთროპონიმის, ასევე ტექსტის სტრუქტურის (თავები, პარაგრაფები) დეტალურ მონიშვნას.“* (თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014: 218). გაციფრებული ტექსტები წარმოდგენილი იქნება სტრუქტურირებული სახით: ზუსტად იქნება მითითებული საყრდენი წყაროს შიდა სტრუქტურა (სათაური, თავებისა და სტრიქონების ნუმერაცია და ა.შ.). გარდა ამისა, ტექსტში დამატებით იქნება მარკირებული არსებითი სახელის სპეციფიკური ჯგუფები – ანთროპონიმები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ა.შ. ამისთვის გაციფრებულ ტექსტებში გამოყენებული იქნება კორპუსებში ყველაზე გავრცელებული ტექსტუალური მარკირების ენა XML (Extensible Markup Language – მონიშვნების გავრცობადი ენა) (ბერნარდი, 2014: 13).

ასევე მნიშვნელოვანია ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებში შემოკლებების მარკირება. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს შემოკლებათა სია (სახელების, მაგ.: ი. < ილია, ან გვარების, მაგ.: ჭავჭავ. < ჭავჭავაძე, ან დღეების: ორშ. < ორშაბათი, წლების: წ. < წელი და ა.შ.). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დროისა და ადგილის აღმნიშვნელი სიმბოლოებისა და სიტყვების მარკირება³² და, რაც მთავარია, უნიფიცირება, რადგან ორატორული ნიმუშები შეიცავს არაერთგვაროვან ვარიანტებს, ძველ და ახალ ფორმებს და ა.შ. მაგალითად, *„წელსა 7104, ქრისტეს აქეთ 1546, 9 ინდიქტიონსა“*, *„მოდღვრება წ-ს სეკტემბერს ჩყიდ-ს წელსა“*³³, *„ტფილისი, 7 ნოემბერი, 1887 წ.“*, *„ქვაშვეთი, 28 დეკემბერი, 1910 წ.“*³⁴ და ა.შ.

³² იგულისხმება ორატორული ნიმუშის წარმოთქმის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მარკირება.

³³ შენიშვ.: თარიღების ჩაწერის ძველი სტილი გულისხმობდა წლის, თვის, დღის აღსანიშნავად რიცხვის ნაცვლად ანბანის ასოების გამოყენებას, შესაბამისად, იქნება წ // 8, ჩყიდ // 1864.

გ) ლინგვისტური ანოტაცია;

ლინგვისტური ანოტაცია მნიშვნელოვანი ნაწილია კორპუსის შექმნის პროცესში. ლინგვისტური ანოტაცია არის ანოტაციის სახე – ენობრივი მონაცემების ლინგვისტური ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც ანოტაციის ერთ ან რამდენიმე დონეზე ხორციელდება. ლინგვისტური ანოტაციის შემთხვევაში, განარჩევენ დესკრიფციულ და ანალიტიკურ ანოტაციას. დესკრიფციული ანოტაცია ძირითადად ფორმალური ნიშნების მიხედვით ახდენს ენობრივი მონაცემების (ანუ სიტყვაფორმების) დახასიათებას – ბრუნვა, პირი, მწკრივი და ა.შ., ანალიტიკური ანოტაციის დროს კი ყურადღება ექცევა არაფორმალურ მახასიათებლებსაც, როგორცაა მაგალითად, მოდალობა, რეფერენციულობა და სხვ. ლინგვისტური ანოტაცია ელექტრონული მონაცემის ლინგვისტური მეტაინფორმაციით გამდიდრების ერთ-ერთი ფორმაა და წარმოადგენს პირველად ენობრივ მონაცემებში ბუნებრივად კოდირებული ლინგვისტური ინფორმაციის ინტერლინიალური ვიზუალიზაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 39; 192).

კორპუსლინგვისტიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიჩნეულია ლინგვისტური ანოტაციის პროცესის პროგრამული ავტომატიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად კორპუსის პროგრამულ ინფრასტრუქტურაში ჩაშენებულია სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც სხვადასხვა სახის პირველადი მონაცემების ავტომატური ანოტირების საშუალებას იძლევა (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 192). თეგების ნაკრები, ერთი მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ტექსტის თემას და შიგთავსს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩასატარებელ კვლევით სამუშაოს. მაგალითად, ტექსტების კორპუსში შემავალი მასალის ავტომატური დამუშავების დროს თეგირება მოიცავს სამ დონეს: 1. მორფოლოგიურ; 2. სინტაქსურ და 3. სემანტიკურ ანალიზს.

დაგეგმილია ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ავტომატური ლინგვისტური ანოტირება, თუმცა, რადგან ქართული მჭევრმეტყველება თავისი თემატიკიდან გამომდინარე, გარკვეული სპეციფიკიტაც ხასიათდება, ვგეგმავთ მეტაბოლათა სახეების მონიშნვასაც, რისთვისაც მოვიაზრებთ სპეციალური თეგების

³⁴ შენიშვ.: ადგილის აღმნიშვნელი ძველი და ახალი ფორმები: ტფილისი // თბილისი, ქვაშვეთი // ქაშვეთი და ა.შ.

შემუშავებას. ჩვენი აზრით, საწყის ეტაპზე, განხორციელდება მანუალური ანოტაცია; ქართული მჭევრმეტყველების ტექსტებში მონიშნება ჩვენ მიერ გამოვლენილი მეტაბოლათა სახეები და დაემატება სხვა სახეებიც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „*ლინგვისტური ანოტაციის დონეების სისტემის შექმნისას ანოტაციის დონეებში სასურველია დამატებითი დონის შემოტანა უცხო სიტყვების აღსანიშნავად, რათა ისინი ძიების დროს ავტომატურად გამოეყოს ავთენტურ ენობრივ მასალას. ეს საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს კორპუსებში ანოტაციის სისტემის შემუშავების დროს, განსაკუთრებით ისეთი კორპუსებისათვის, რომლებიც ბილინგვურ ტექსტებს შეიცავენ.*“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 47-48). ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ამგვარი ანოტაციის საჭიროებაც დგას, რადგან ორატორული ნიმუშების მცირე ნაწილი შეიცავს უცხოენოვან ჩანართებსაც. მაგალითად, ნოე ჟორნალის რამდენიმე სიტყვაში გვხვდება რუსულენოვანი ტექსტები (ჯონსი (რედ.), 2018ა: 79-97).

3. **კორპუსის მენეჯერი** – მართვის სპეციალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ძიების პროცესს. კორპუსმენეჯერი საშუალებას იძლევა ძიება განვახორციელოთ ერთი ან რამდენიმე პარამეტრის მიხედვით, მაგალითად, მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით, თავსართში (ჰედერში) მოცემული მეტამონაცემების მიხედვით, ან ერთდროულად ორივე პარამეტრის მიხედვით. „*კორპუსის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს კორპუსის მართვის მენეჯერი – კორპუსმენეჯერი უზრუნველყოფს ძიების პროცესს, რომელიც საშუალებას იძლევა ძიება განვახორციელოთ ლინგვისტური პარამეტრების მიხედვით.*“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 30). კორპუსები აღჭურვილია მრავალფუნქციური საძიებო სისტემით, რომელიც მარტივი ან რთული ძიების საშუალებას იძლევა და ასევე გამოსადეგია სხვადასხვა სახის დიაქრონიული და სინქრონიული კვლევების განსახორციელებლად (ხალვაში, 2018: 112).

4.3. შუალედური დასკვნა

წინამდებარე თავში მიმოხილულია ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების კვლევის სამომავლო პერსპექტივები. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით შემდგომი კვლევები უნდა დაემყაროს ქართული მჭევრმეტყველების კორპუსს. განხილული

გვაქვს ე.წ. „სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა“, რომელზედაც დავარეგისტრირეთ ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის სამუშაო ვერსია. ეს პროგრამა იძლევა როგორც კორპუსის / ქვეკორპუსების შექმნის, ისე სიტყვანის, კონკორდანსისა და ენ-გრამის მოძიების შესაძლებლობას.

ასევე ჩვენ ვვებებით კორპუსის დასრულებისა და სამომავლო სრულყოფისთვის დაგეგმილ სამუშაოებსაც, მათ შორის: 1. პირველადი მონაცემებით კორპუსის შევსება და ტექსტური კოლექციის მოცულობის გაზრდა (ციფრული ფორმატის ტექსტების შეგროვება და მეტამონაცემების დადგენა); 2. ტექსტოლოგიური და სარედაქციო საკითხების გადაწყვეტა; კორპუსში ასატვირთი ფაილების უნიფიცირება (გრაფემული, სტრუქტურული, ორთოგრაფიული, შინაარსობლივი), TXT ფაილების შექმნა; 3. გაციფრებული ტექსტების ანოტაცია (მეტამონაცემების დართვა, ტექსტების მარკირება, ლინგვისტური ანოტაცია, კერძოდ კი, მეტაბოლათა სახეების მონიშვნა (იხ. თავი III), რისთვისაც მოვიაზრებთ სპეციალური თეგების შემუშავებას); 4. კორპუსის მენეჯერის შექმნა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნა მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტების კორპუსზე დაფუძნებული ლინგვისტური კვლევების განსახორციელებლად. კორპუსი საშუალებას მოგვცემს თეორიული და პრაქტიკული ასპექტით სრულფასოვნად შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები.

ძირითადი დასკვნები და დებულებები

ჩვენ მიერ შესწავლილი საკითხები ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს და განზოგადდეს: ქართული მჭევრმეტყველების განვითარებაზე მეტყველებს მის ისტორიაში არაერთი დარგობრივი და ჟანრობრივი სახესხვაობის არსებობა. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ განხილული მჭევრმეტყველების ტექსტების რაოდენობაც. გარდა ამისა, ქართული მჭევრმეტყველება სცნობს ყველა იმ სფეროს, რომელთა არსებობა დასტურდება მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში, მათ შორის

უმთავრესს, რიტორიკის ანტიკურ თეორიას. მჭევრმეტყველების განვითარებას ხელს ასევე უწყობდა რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლება. ამასვე ადასტურებს ჩვენ მიერ მიმოხილული რიტორიკის პირველი ქართულენოვანი (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი) სახელმძღვანელოების არსებობაც, რომლებიც სასწავლო მიზნებით გამოიყენებოდა და თითოეული ემყარებოდა რიტორიკის ანტიკურ თეორიებს.

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ისტორიაში გამოიკვეთა ექვსი დარგი: სადარბაზო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამოსამართლო, სამქადაგებლო და სამხედრო. ხსენებულ დარგებს მკვეთრი ფარგლები არ გააჩნიათ. გარდა ამისა, ერთი და იგივე ორატორული ნიმუში შეიძლება ტექსტუალურ-იდეური მოტივების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდეს. ამიტომ ხშირად ვერ ხერხდება მისი ერთმნიშვნელოვანი დარგობრივი კლასიფიკაცია, რის გამოც იგი ერთდროულად რამდენიმე შინაარსობრივ დარგს / ქვედარგს მიეკუთვნება.

ჩვენი დაკვირვებით, რომელიმე კონკრეტული დარგის მჭევრმეტყველების ნიმუშები ერთმანეთისგან გაცილებით უფრო მეტ განსხვავებას ავლენენ, ვიდრე მსგავსებას, დაწყებული მათი მოცულობითა და დამთავრებული ენობრივ საშუალებათა გამოყენების სიხშირითა და ინტენსივობით. გარდა ამისა, სხვადასხვა დარგის მჭევრმეტყველების ნიმუშთა შორის განსხვავების მიზეზად ასევე შეგვიძლია დავასახელოთ ძეგლის დაწერის ეპოქა, აუდიტორია, მოტივი და კონტექსტი (ეროვნული, რელიგიური, პოლიტიკური, სამოსამართლო) და სხვ.


დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მჭევრმეტყველებამ განიცადა ცვლილებები დარგობრივი და ჟანრობრივი თვალსაზრისით: ზოგი დარგი გაქრა, მაგალითად, სამხედრო მჭევრმეტყველება, ზოგი სხვა დარგმა ჩაანაცვლა, როგორც ეს მოხდა სადარბაზო და პოლიტიკური მჭევრმეტყველების შემთხვევაში; რაც შეეხება ჟანრებს, მათი უმეტესობა უცვლელი სახით დღემდე არსებობს. ასევე კვლევამ აჩვენა, რომ ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების დიდი ნაწილი დამოუკიდებელი სახით არ გვხვდება, არამედ მოცემულია ფრაგმენტულად, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, ისტორიული, თუ მხატვრული ნაწარმოების შემადგენელი ნაწილი. თუმცა მიუხედავად ამისა, ქართული მჭევრმეტყველების

თითოეულ ნიმუშს გააჩნია დასაწყისი და დასასრული, შინაარსობრივი და სტრუქტურული მთლიანობა, საერთო და კონკრეტული მიზნები და ა.შ.

საკვლევი ტექსტების თავმოყრამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ისინი სტატისტიკურადაც, მაგალითად, ქართული მჭევრმეტყველების დარგების მოცულობა სიტყვების რაოდენობის გათვალისწინებით, სხვადასხვაგვარია; თანმიმდევრობა ასეთია: **სამქადაგებლო, პოლიტიკური, სამგლოვიარო, სადღესასწაულო, სამოსამართლო, სადარბაზო და სამხედრო**. აღნიშნული მაჩვენებელი მეტყველებს იმაზე, რომ დიაქრონიულად ქართული მჭევრმეტყველების განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში უძველესი დროიდან დღემდე, ყველაზე აქტიური და პროდუქტიული დარგი სწორედ სამქადაგებლო მჭევრმეტყველება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ ორატორთა შორის საერო პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია სასულიერო პირთა რაოდენობაზე (იხ. დიაგრამა 4). ამდენად, შედეგი მით უფრო ამყარებს იმ აზრს, რომ ქართულ მჭევრმეტყველებაში წამყვანი ადგილი სწორედ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას ეკავა და დღესაც უკავია. მიუხედავად იმისა, რომ, თავდაპირველად, სწორედ თარგმანების სახით იყო წარმოდგენილი აღნიშნული დარგი, თუმცა ეს მაინც არ ცვლის საერთო ვითარებას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მჭევრმეტყველების უმაღლესი მიზანი, ანტიკურობის შემდეგ, ქრისტიანობის დაწინაურების ფონზე, პირველ რიგში, სულიერების, ზნეობრიობის, რწმენისა და რელიგიის სამსახური იყო.


კვლევის კიდევ ერთი მხარეა მჭევრმეტყველების დარგებისა და ჟანრების მოცულობის შესწავლა არა სიტყვების რაოდენობის, არამედ უშუალოდ თითოეულ მათგანში წარმოდგენილი ნიმუშების რაოდენობის მიხედვით. თუ დავაკვირდებით თითოეული დარგის მოცულობასა და მათ ურთიერთმიმართებას, აღმოჩნდება, რომ პირველ ადგილზე კვლავ დგას სამქადაგებლო მჭევრმეტყველება, ხოლო ბოლოზე – სამხედრო (იხ. დიაგრამა 1), რაც ასევე გულისხმობს იმასაც, რომ ერთში გაცილებით მეტი მჭევრმეტყველების ნიმუში გვაქვს, ხოლო მეორე მათგანში გაცილებით ნაკლები. მართლაც, სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშების რაოდენობა აჭარბებს დანარჩენი დარგების ნიმუშთა საერთო რაოდენობას ერთად აღებული.

დიაგრამა 1. დარგების მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშების გადანაწილება




ასევე საინტერესო სურათს გვიჩვენებს თითოეული ჟანრის ნიმუშების საერთო მოცულობა (იხ. დიაგრამა 2); პირველ ადგილზე დგას სიტყვის ჟანრი, რომლის ნიმუშები ისტორიულად ყველაზე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ქართულ მჭევრმეტყველებაში და გვხვდება თითქმის ყველა ჩვენთვის ცნობილ დარგში და გვევლინება მათ ძირითად ჟანრად (იხ. სქემა 10).


დიაგრამა 2. ჟანრების მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშების გადანაწილება



აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგისა და/ან ჟანრის დიდი მოცულობა ნიშნავს იმასაც, რომ მას მეტი ნიმუში მოეპოვება, ხოლო ის დარგი / ჟანრი, რომელიც მცირე მოცულობისაა, თავისთავად მჭევრმეტყველების ნაკლები ნიმუშით ხასიათდება, თუმცა დარგებისა და ჟანრების მოცულობა სიტყვების რაოდენობისა და ასევე მჭევრმეტყველების ნიმუშთა რაოდენობის თვალსაზრისით სხვადასხვაა და




შედეგსაც სხვადასხვას გვიჩვენებს ქართულ მჭევრმეტყველებაში უძველესი



პერიოდიდან ვიდრე თანამედროვე ეპოქამდე, გამოვლინდა უამრავი ორატორი, რომელთაგან ზოგი ყველასათვის ცნობილი, ზოგიც თითქმის უცნობია. რაოდენობრივი მიმართება მჭევრმეტყველების მდედრობით და მამრობით წარმომადგენელთა შორის არათანაბარია. სულ გამოვავლინეთ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში მეტ-ნაკლებად ცნობილი 195 ავტორი, მათ შორის გვყავს მამრობითი სქესის 181 (93%), ხოლო მდედრობითი სქესის – 14 (7%) ორატორი (იხ. დიაგრამა 3), რაც მეტყველებს იმაზე, რომ სიტყვიერი ხელოვნების ასპარეზზე ძირითადად სწორედ მამაკაცები გამოდიოდნენ და მათი როლი ქართულ საზოგადოებაში გაცილებით უფრო დიდი იყო. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენი საერო და სასულიერო პირია ცნობილი ქართულ მჭევრმეტყველებაში და როგორია მათი თანაფარდობა (იხ. დიაგრამა 4). აღმოჩნდა, რომ 195 ორატორიდან 144 (74%) არის საერო პირი, ხოლო 51 (26%) სასულიერო, თუმცა, როგორც დავინახეთ, ამ უკანასკნელთა მჭევრმეტყველების ნიმუშების საერთო რაოდენობა აჭარბებს პირველი კატეგორიის წარმომადგენელთა შემოქმედებას.


ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშები ეკუთვნით ქართველ სასულიერო პირებს (კათოლიკოს-პატრიარქებს, მიტროპოლიტებს, ეგზარქოსებს, მღვდლებს, დეკანოზებს), საერო ხელისუფალთა წარმომადგენლებს (მეფეებს, დედოფლებს, წარჩინებულებს), გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებსა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. პროფესიების მიხედვით ორატორთა გადანაწილება



აღსანიშნავია, რომ X-დან XIX ს.-მდე პერიოდში, თითოეულ ეპოქაში მოღვაწე ორატორთა საერთო რაოდენობა 10-ს არ აჭარბებს, ხოლო მთლიანად, ჩვენთვის ცნობილი 200-მდე ორატორიდან თითქმის ნახევარი XIX-XX სს.-ზე მოდის (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. ორატორთა ქრონოლოგიური კლასიფიკაცია



1. ჩვენი საკვლევი კითხვა მდგომარეობდა იმის გარკვევაში, თუ რამდენად არის გაცნობიერებული ანდა გაუცნობიერებელი მოქმედების შედეგი მჭევრმეტყველების ტექსტები. ეს საკითხი სამი მიმართულებით განვიხილეთ: გაცნობიერების ხარისხი ენის ფუნქციათა მჭევრმეტყველებაში რეალიზებისას, გაცნობიერების ხარისხი ენის იერარქიის დონეების (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) მიხედვით და გაცნობიერებულობის ხარისხი მჭევრმეტყველების წერითი და ზეპირი ფორმების შემთხვევაში. კვლევამ შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა:

1.1. ჩვენ დავახასიათეთ ქართულ მჭევრმეტყველებაში მეტაბოლათა სახეები (მეტაპლაზმები, მეტატაქსისები, მეტასემემები და მეტალოგიზმები) ენის ფუნქციათა ფონზე და მივედით შემდეგ შედეგამდე: მეტაბოლათა სახით მეტ-ნაკლებად რეალიზდება ენის სხვადასხვა ფუნქცია (ექსპრესიული, კონატიური, რეფერენციული, პოეტური, ფატიკური და მეტალინგვისტური); თუმცა წინ წამოწეულია ენის პოეტური / რიტორიკული ფუნქცია, რომელსაც ზემოქმედების უნარი გააჩნია და ეხება ისეთ თემებს, როგორცაა რელიგია, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, ეთიკა, სამართალი, იდეოლოგია და სხვ. რაც მთავარია, მეტაბოლათა

სახეები, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ფუნქციას ასრულებენ ისინი, ერთად და განუყოფნად თანაარსებობენ მჭევრმეტყველებაში. რიტორიკული ფუნქცია გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით, რომელიც მიზანმიმართული შერჩევის შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ ენის რიტორიკული ფუნქცია, ორატორულ პრაქტიკაში გაცნობიერებული გამოყენების ნიშანს ატარებს და ხშირად, წინასწარ, თეორიულ ცოდნასაც კი ეფუძნება.

1.2. საკითხის კვლევისას გაირკვა, რომ მჭევრმეტყველება გამოირჩევა მიზანმიმართული სამეტყველო ქმედებით, შესაბამისად, ენობრივი საშუალებების გამოყენება ენობრივი დონეების მიხედვით გაცნობიერებისა და მიზანმიმართული შერჩევის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდებიან. ენობრივი დონეებიდან, მაგალითად, ლექსიკურ დონეზე შედარებით გაცნობიერებულია, ხოლო ნაკლებად გაცნობიერებულია გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) და დონეზე – მათ მეტყველი მექანიკურად იყენებს საჯარო გამოსვლის მომენტში. ამდენად, საჯარო მჭევრმეტყველების ტექსტები ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ საშუალებათა მეტ-ნაკლებად მიზანმიმართული შერჩევის შედეგია. გაცნობიერების ხარისხი მით უფრო კლებულობს, რაც უფრო დაბალ საფეხურს ვეხებით (ფონოლოგიური, მორფოლოგიური), ხოლო მატულობს, რაც უფრო მეტად ავდივართ ენობრივი იერარქიის ზედა საფეხურებზე (სინტაქსური, ლექსიკური). ამდენად, ენაში რაც უფრო მაღალ ენობრივ ერთეულს ეხება საქმე, მით უფრო მაღალია მისი შერჩევისა და გამოყენების ხარისხი, ხოლო რაც უფრო დაბალი ენობრივი ერთეულია, მით უფრო ნაკლებია გაცნობიერებულის ხარისხი.

1.3. საჯარო მჭევრმეტყველების ტექსტები ტოვებენ ზეპირი მეტყველების შთაბეჭდილებას. პრეზენტაცია მოითხოვს ზეპირი გზით წარდგინებას, რის დროსაც ორატორი ავლენს იმპროვიზაციულ შესაძლებლობებს – ეს არის ის პირობაც, რომელიც ზემოქმედებას ახდენს და მსმენელთა ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. მაგრამ ამგვარი მჭევრმეტყველებითი ტექსტები ასევე გულისხმობენ მათი ავტორების მხრიდან წინასწარ ჩარევას და სათქმელის წერილობით მომზადებას გარკვეულ დონეზე. შეგვიძლია ითქვას, რომ მჭევრმეტყველება უახლოვდება როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებას, მაგრამ, ამავე დროს, მათგან დამოუკიდებელი საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლებიც

აქვს, რაც ვლინდება მის იმპროვიზაციულ შესაძლებლობებში. საქმე ისაა, რომ საჯარო მჭევრმეტყველებითი ტექსტები გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებიან, რადგან თავისი არსით ისინი მეტყველებას გულისხმობენ, თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე ხდება მათი როგორც წინასწარი მომზადება წერილობითად, ისე სამეტყველო აქტის პროცესის ჩაწერა, როგორც სტენოგრაფიულად, ისე აუდიო-ვიდეო ჩანაწერების სახით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საჯარო მჭევრმეტყველების ტექსტები წარმოგვიდგება როგორც გარკვეულ გარდამავალ და საშუალო რგოლად, რომელიც აერთიანებს წერითი და ზეპირი მეტყველების ტრადიციებს. ამდენად, მჭევრმეტყველება გულისხმობს როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებას. სწორედ მათი თანაკვეთა გვაძლევს ისეთ საჯარო გამოსვლებს, რომელიც თავის მიზანს აღწევს და სიტყვიერი ხელოვნების მაღალ დონეს გვიჩვენებს.

კვლევისას მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მართალია ენის სისტემა, მისი გრამატიკა ადამიანის მიზანმიმართული მოქმედების / შემოქმედების შედეგი არაა, რადგან ის ჩვენ გვეძლევა მზა პროდუქტის სახით, თუმცა მისი გამოყენებისას წერითი და ზეპირი მეტყველების დროს, საქმე სხვაგვარადაა. უფრო მეტიც, საჯარო მჭევრმეტყველება, თავის თავში აერთიანებს წერითი და ზეპირი მეტყველების ტრადიციებს. ამდენად, საკითხის დასმა, თუ რამდენად არის გაცნობიერებული ანდა გაუცნობიერებელი წერითი და ზეპირი მეტყველების პროცესი, სწორი უნდა იყოს. მაგალითად, საჯარო მჭევრმეტყველებაში, ჩვენ საქმე გვაქვს მკვეთრად გამოხატულ მიზანმიმართულ სამეტყველო ქმედებასთან, რის გამოც ცნობიერ და შესაბამისად, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს წერითი მეტყველება (ორთოგრაფია), ხოლო წერით მეტყველებასთან მიმართებით, ზეპირი მეტყველება (ორთოეპია) შედარებით გაუცნობიერებელი პროცესია. მჭევრმეტყველების ესა თუ ის დარგი საჭიროებს სათქმელის წინასწარ, წერილობით მომზადებას (უკიდურეს შემთხვევაში, ტექსტმა შეიძლება ფიქსირებული სახეც კი მიიღოს, მაგალითად, სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშების შემთხვევაში), რომელიც შემდგომ რეალიზდება ზეპირ მეტყველებაში და თან იმპროვიზაციისა და ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით. ამდენად, მოყვანილმა მაგალითმა და ემპირიული მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართული მჭევრმეტყველების

თითოეული ნიმუში წინასწარ მომზადებული და დაგეგმილია, რაც არ უნდა სპონტანურად გამოიყურებოდეს ის. ამასთან, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული სიტყვა მთელი კონტექსტისათვის და თუ როგორ იყენებენ ორატორები სწორად შერჩეულ და წინასწარ დამუშავებულ ტექსტს სასურველი შედეგის მისაღწევად და ჩაფიქრებული ეფექტის მოსახდენად.

2. ქართული მჭევრმეტყველების დარგების შესწავლისას გამოვლინდა მათი ძირითადი მიზნები. მჭევრმეტყველების ნიმუშებს, როგორც მეტად მიზანმიმართულ ტექსტებს, აუცილებლად გააჩნიათ ესა თუ ის მიზანი. ამ მხრივ გამოიყოფა მიზანი თითოეული წინადადების დონეზე და მიზანი მთელი ტექსტის, ანდა დარგის დონეზე. ეს უკანასკნელი უნივერსალურობის ნიშანს ატარებს. შეინიშნება დარგების მიხედვით საჯარო გამოსვლების მიზანთა თემატიკის გადანაწილება შემდეგი სახით: **სამქადაგებლო დარგის** ნიმუშები ხშირად მთავრდება **დამოდვრით / დარიგებით, სადღესასწაულო – იმედით, დალოცვით, სამგლოვიარო – გარდაცვლილისადმი გამომშვიდობებით, მისი პიროვნების დადებითად (გამონაკლის შემთხვევაში უარყოფითად) წარმოჩენით, სადარბაზო – გადაწყვეტილების მიღებით / გამოცხადებით, სამხედრო – მოწოდებით, სამოსამართლო – მუქარით / დამნაშავის დასჯის სურვილით, პოლიტიკური – მადლობის გადახდით და ა.შ.** უფრო რომ განვაზოგადოთ, დარგების მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშებს აუცილებლად გააჩნიათ შემდეგი მიზნები:

2.1. სამქადაგებლო მჭევრმეტყველება დამრიგებლობითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის უმთავრესი მიზანია მსმენელთა (ამ შემთხვევაში მრევლის) რწმენაში განმტკიცება, დარიგება, დამოდვრა, სწავლება, ბიბლიის განმარტება, მათთვის რელიგიური იდენტობის განცდის შექმნა, რისთვისაც ორატორი მიზანმიმართურად მიმართავს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფს რაიმეს ახსნასა და გაგებადობას.

2.2. სადღესასწაულო მჭევრმეტყველება საზეიმო ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის უმთავრესი მიზანია მსმენელთა შემოქმედებითი შთაგონება, მსმენელისადმი კეთილი სურვილების გამოთქმა: მილოცვა, დალოცვა, დაიმედება, ხოტბის შესხმა ცნობილი სასულიერო თუ საერო მოღვაწეებისთვის და ა.შ.

2.3. სამგლოვიარო მჭევრმეტყველება სახოტბო ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია გარდაცვლილი პირისადმი პატივისცემა და მსმენელთა ზნეობრივი ამაღლება, გარდაცვლილისადმი გამომშვიდობება, მისი პიროვნების დადებითად (გამონაკლის შემთხვევაში უარყოფითად) წარმოჩენა და ა.შ.

2.4. სამხედრო მჭევრმეტყველება გამამხნეველი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია ბრძოლის დაწყების წინ მეომრების შეგულიანება, გამხნეება, მოწოდება, საბრძოლო ჟინის გაღვივება, პატრიოტიზმის ამაღლება და ა.შ.

2.5. სამოსამართლო მჭევრმეტყველება პაექრობითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია დაპირისპირებულ მხარეთა შორის აღძრული დავის გადაწყვეტა, რისთვისაც აუცილებელია მოკამათე მხარის დარწმუნება კონკრეტულ მოსაზრებაში სანდო ფაქტობრივი მასალის მოხმობით, მუქარის გამოთქმა / დამნაშავის დასჯის სურვილის გამოხატვა / დამნაშავის მხილება და ა.შ.

2.6. სადარბაზო მჭევრმეტყველება რჩევა-თათბირობითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარება-გადაწყვეტა.

2.7. პოლიტიკური მჭევრმეტყველება არის საჯარო ხასიათის ზეპირი მეტყველება, რომლის მიზანია პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარება-გადაწყვეტა, მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადება და ა.შ.

ტროპის ამა თუ იმ საშუალებების ფუნქცია ყველგან მიემართება ერთ მიზანს: გავლენა მოახდინოს მსმენელზე / მკითხველზე და იმოქმედოს როგორც მის მსოფლმხედველობაზე, ასევე ასახვა ჰპოვოს შემდგომ ქმედებებზეც. ამდენად, რიტორიკა თავის თავდაპირველ დანიშნულებას სხვადასხვა ეპოქისა და მჭევრმეტყველების ნიმუშების ფორმოებრივი და შინაარსობრივი თავისებურებებისა და განსხვავებულობის მიუხედავად, მაინც ამართლებს.

3. წინამდებარე კვლევაში, აქცენტი გავაკეთეთ მჭევრმეტყველებისთვის ყველაზე ნიშანდობრივი და არსებითი ტროპების ლინგვისტურ ანალიზზე. ჩვენ შევისწავლეთ ქართული მჭევრმეტყველების ტროპული მეტყველება. ვიხელმძღვანელებთ „*ჩგუფი* *μ*“-ს „*ზოგად რიტორიკაში*“ წარმოდგენილი კლასიფიკაციით და ქართული მჭევრმეტყველების მაგალითზე გამოვყავით მეტაპლაზმის (ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია), მეტატაქსისის (ელიფსისი,

პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, ინვერსია), მეტასემემის (შედარება, მეტაფორა) და მეტალოგიზმის (გამეორება, პლეონაზმი, ანტითეზა) ტიპის მეტაბოლის სახეები. ჩვენ წარმოვადგინეთ თითოეული აღნიშნული ენობრივი საშუალების კლასიფიკაცია „ჯგუფი μ“-ს „ზოგად რიტორიკის“ თეორიის საფუძველზე. ამისათვის, თანმიმდევრულად განვიხილეთ თითოეული მათგანი და დავახასიათეთ ისინი ენობრივი დონეების ყოველ საფეხურზე, მათ შორის, საკუთრივ გრამატიკულ, სინტაქსურ, სემანტიკურ და ლოგიკურ საფეხურებზე.

აღსანიშნავია, რომ ქართული მჭევრმეტყველების ტექსტები გამოირჩევა მეტაბოლათა გამოყენების მაღალი სიხშირით. უფრო მეტიც, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ ცალკეული მაგალითის ფარგლებში გვხვდება რამდენიმე მეტაბოლის სახე; გამოვლინდა შემდეგი ტენდენციაც: სადაც არის ელიფსისი, ხშირ შემთხვევაში, იქაა გამეორება; სადაც არის გამეორება, იქაა ევფონიის სხვადასხვა სახე (ალიტერაცია, ასონანსი) და ა.შ. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში არ შემოვფარგლულვართ მეტაბოლის მხოლოდ ცალკეული სახის განხილვით, არამედ, ისინი შევისწავლეთ კომპლექსურად და ერთმანეთთან კავშირში. ამით უფრო ნათელი და ცხადი ხდება ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების სპეციფიკურობა; კვლევის არეალმა მოიცვა მეტაბოლათა ის სახეები, რომლებიც ენობრივი ანალიზის სხვადასხვა საფეხურზე დგას და დაკავშირებულია სხვადასხვა ლინგვისტურ ოპერაციასთან, როგორცაა შემოკლება, დამატება, შემოკლება დამატებით და გადასმა. მაგალითად, ჩვენ მიერ შესწავლილი მეტაბოლათა სახეებიდან ელიფსისი და შედარება განეკუთვნება შემოკლებას, ალიტერაცია, ასონანსი, პარონომაზია, პოლიპტოტონი, პოლისინდეტონი, გამეორება, პლეონაზმი და ანტითეზა – დამატებას, ხოლო ინვერსია – გადასმას.

ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზის შედეგად ვლინდება ენის შესაძლებლობები, გავლენა მოახდინოს ადამიანის ემოციებზე, აზროვნებასა და მის შემდგომ ქცევაზე. ჩვენ მიერ შესწავლილი ყოველი ტექსტი ემსახურება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, ეროვნული, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა მიზნების მიღწევას და შესაბამისი შედეგის მიღებას მსმენელისგან, იქნება ის მრეველი, ლაშქარი, დარბაზი თუ სხვა სახის მცირე თუ მრავალრიცხოვანი აუდიტორია.

4. დასასრულ, ორიოდე სიტყვით შევხებით სამომავლო კვლევის პერსპექტივას, რომელიც დაკავშირებულია ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის შექმნასთან. ამ მიმართულებით, უპირველესი ამოცანა საკვლევი ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა იყო. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორიაში დაგროვილი გამოცდილებით. გავითვალისწინეთ **ტექსტების ტიპი, წყარო, დარგი, ჟანრი და პერიოდი** (იხ. სქემა 9). შედეგად, საკვლევი ტექსტების სახით შევარჩიეთ X-XXI სს.-ის პერიოდის 200-მდე ავტორის 1000 ნიმუში. თითოეული მათგანი ელექტრონულ ფორმატში გადავიყვანეთ და დავურთეთ მეტამონაცემები. ტექსტების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოიკვეთა კორპუსის შექმნასთან დაკავშირებული შეზღუდვებიც. უმთავრესი შეზღუდვა დაკავშირებულია პერიოდის განსაზღვრასთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საავტორო უფლებების საკითხსაც. ქართული მჭევრმეტყველების თემატურ კორპუსში განთავსების მიზნით შეირჩა ისეთი ტექსტები, რომლებზედაც არ ვრცელდება საავტორო უფლებები. კორპუსში ასევე არ შევა ის ნიმუშები, რომლებიც ქართულ ენაზე არ შემონახულა და მხოლოდ უცხოენოვან წყაროებშია დაცული. აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, კორპუსში აისახება ქართული მჭევრმეტყველების განვითარების უწყვეტი პროცესი.

კორპუსის სამუშაო ვერსიის შესაქმნელად გამოვიყენეთ მზა პლატფორმა ე.წ. „*სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა*“, ხოლო კორპუსის დასრულების მიზნით დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: 1. პირველადი მონაცემებით კორპუსის შევსება და ტექსტური კოლექციის მოცულობის გაზრდა და ბალანსირება (ციფრული ფორმატის ტექსტების შეგროვება და მეტამონაცემების დადგენა); 2. ტექსტოლოგიური და სარედაქციო საკითხების გადაწყვეტა; კორპუსში ასატვირთი ფაილების უნიფიცირება (გრაფემული, სტრუქტურული, ორთოგრაფიული, შინაარსობლივი), TXT ფაილების შექმნა; 3. გაციფრებული ტექსტების ანოტაცია (მეტამონაცემების დართვა, ტექსტების მარკირება, ლინგვისტური ანოტაცია, კერძოდ კი, ქართულ მჭევრმეტყველებაში გამოვლენილი მეტაბოლათა სახეების მონიშნვა სპეციალური თეგებით; 4. კორპუსის მენეჯერის შექმნა.

კორპუსის შექმნით წარმოდგენა გვექმნება ქართული მჭევრმეტყველების განვითარების ისტორიაზე, მის მასშტაბზე, რომელსაც აქვს კულტურული და ლინგვისტური ღირებულება. აქ წარმოდგენილია ქართველი სასულიერო პირების (კათოლიკოს-პატრიარქების, ეპისკოპოსების, მიტროპოლიტების, მღვდლების), საერო ხელისუფალთა წარმომადგენლების (მეფეების, დედოფლების, წარჩინებულების), გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების მჭევრმეტყველების ნიმუშები. კორპუსი გააერთიანებს 200-მდე ორატორის 1000-ზე მეტ ისტორიულად ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშს; აქ წარმოდგენილია ქართული მჭევრმეტყველების 7 დარგისა და 12 ჟანრის ტექსტები. კორპუსი საშუალებას მოგვცემს მკვლევრებს თეორიული და პრაქტიკული ასპექტით სრულფასოვნად შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ ქართული მჭევრმეტყველება. ამდენად, ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის არსებობა მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტების კორპუსზე დაფუძნებული ლინგვისტური კვლევების განსახორციელებლად.

ბიბლიოგრაფია

1. ავალიშვილი, 1929: ავალიშვილი, ზ., ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი: გამომცემლობა „საქართველო“-ს სტამბა;
2. ალიბეგაშვილი, (შემდგ.), 2012: ალიბეგაშვილი, კ. (შემდგ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძის ბიბლიოგრაფია, თბ. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/61848/1/PatriarqKalistrateCincadzisBibliografia.pdf>
3. ალიბეგაშვილი, (შემდგ.), 2012: ალიბეგაშვილი, კ. (შემდგ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის წმიდა ამბროსი აღმსარებლის ბიბლიოგრაფია, თბ. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/61850/1/CmidaAmbrosiAgmsareblisBibliografia.pdf>
4. ალიბეგაშვილი, (შემდგ.), 2014a: ალიბეგაშვილი, კ. (შემდგ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის წმიდა კირიონ მეორის ბიბლიოგრაფია, თბ.: წიგნის სავანე. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/61847/1/CmidaKirionMeorisBibliografia.pdf>
5. ალიბეგაშვილი, (შემდგ.), 2014b: ალიბეგაშვილი, კ. (შემდგ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ლეონიდის (ოქროპირიძე) ბიბლიოგრაფია, თბ.: წიგნის სავანე. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/61846/1/PatriarqLeonidisBibliografia.pdf>
6. ალიბეგაშვილი, (შემდგ.), 2016: ალიბეგაშვილი, კ. (შემდგ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ბიბლიოგრაფია, თბ.: წიგნის სავანე. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/190453/1/SruliadSaqartvelosKatolikosPatriarqtaBibliografia.pdf>

7. ანდრონიკაშვილი, 2007: ანდრონიკაშვილი, ზ. მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან (ენის რეფორმა როგორც სეკულარიზაციული პროექტი), საიუბილეო კრებულში: ილია ჭავჭავაძე 170, გვ. 74-81, თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/ilia-170>
8. არისტოტელე, 1979: არისტოტელე, *პოეტიკა*, თბ.: განათლება;
9. არისტოტელე, 1981: არისტოტელე, *რიტორიკა*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
10. არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, (შემდგ.), 1898: არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე, გრ. (შემდგ.), სიტყვიერების თეორია: სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა;
11. აფრიდონიძე, 1986: აფრიდონიძე, შ. *სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში*, თბ.: მეცნიერება;
12. ბარამიძე, 1987: ბარამიძე, გრ. მხითარ სებასტაძის „რიტორიკის“ ქართული რედაქციების საკითხისათვის, *ლიტერატურული ძიებანი*, ტ. II (XVII), 371-375;
13. ბარამიძე, 1962: ბარამიძე, რ. *იოანე ბოლნელი*, თბ.: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;
14. ბარამიძე, 1979: ბარამიძე, რ. *ქართული საისტორიო და ორატორული პროზა*, თბ.: საბჭოთა საქართველო;
15. ბარბაქაძე, 2003ა: ბარბაქაძე, ც. *ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა*, თბ.: ქართული ენა;
16. ბარბაქაძე, 2003ბ: ბარბაქაძე, ც. ტრადიციული რიტორიკა და ნეორიტორიკის ლინგვისტური მიმართულება. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*. ტ. 8, 27-31;
17. ბარბაქაძე, 2003გ: ბარბაქაძე, ც. ენობრივ ერთეულთა რიტმული გამეორება, როგორც მეტყველების მათემატიკური ფაქტორი: ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ტექსტების მიხედვით, *ქართველური მეცნიერება*. ტ. 7, 40-44;
18. ბარტი, 1977: Barthes, R. The Grain of the Voice, In: Image Music Text, trans. S.

- Heath. London: An imprint of HarperCollinsPublishers, Published by Fontana Press, pp. 179-189;
19. ზასილაია, 1991: ზასილაია, ნ. *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა*, თბ.: განათლება;
 20. ბატონიშვილი, 1936: ბატონიშვილი, ი. *კალმასობა*, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფ.: სახელგამი. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/7016>
 21. ბეგიაშვილი, 1937: ბეგიაშვილი, თ. ქართული ენა ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1859-67 წლებში, კრებულში: დ. გვაზავა (რედ.), სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში: მასალების კრებული. კრ. 1, თბ.: პედაგოგიკის ს/კ ინ-ტის გამ-ბა (სტ. „კომუნისტი“). ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/250917/1/Swavla-Agzrdis_Istoria_Sakartveloshi.pdf
 22. ბეზარაშვილი, 2004: ბეზარაშვილი, ქ. *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით*, თბ.: „მეცნიერება“;
 23. ბეზარაშვილი, 2007: ბეზარაშვილი, ქ. ანტიკური რიტორიკის თეორიის ცნებათა რეინტერპრეტაციისათვის ბიზანტიურ და ქართულ ლიტერატურაში, *სემიოტიკა*, №2, 123-131;
 24. ბეზარაშვილი, 2009: ბეზარაშვილი, ქ. რიტორიკისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების ლიტერატურულ-თეორიული ასპექტი ქართულ ელინოფილთა ნააზრევში (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი), *წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული*, 1, 152-164;
 25. ბეიკერი, ჰარდი, მაკენერი, 2006: Baker, P., Hardie, A., & McEnery, T. *A Glossary of Corpus Linguistics*, Edinburgh: Edinburgh University Press;
 26. ბენვენისტი, 1971: Benveniste, E. *Problems in general linguistics*, Fla.: University of Miami Press. (პირველად გამოქვეყნდა 1966 წელს);
 27. ბენვენისტი, 1974: Бенвенист, Э., *Общая лингвистика*, М.: «Прогресс». (პირველად გამოქვეყნდა 1966 წელს);
 28. ბერიძე-მელიქიშვილი, 2013: ბერიძე-მელიქიშვილი, ე. *რიტორიკა: ლექციების კურსი*, თბ.: უნივერსალი;

29. ბერნარდი, 2014: Burnard, Lou. *What is the Text Encoding Initiative? How to add intelligent markup to digital resources*, Marseille: OpenEdition Press;
30. ბოლქვაძე, 1997: ბოლქვაძე, თ. *პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“*; თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
31. ბოლქვაძე, 2005: ბოლქვაძე, თ. *იდეოლოგიზებული ღირებულებები*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
32. ბოლქვაძე, 2012: ბოლქვაძე, თ. ენის პოეტური ფუნქციის შესახებ, კრებულში: ი. რატიანი (რედ.), *ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი* (გვ. 161-171), GCLAPress;
33. ბუკია, 2007: ბუკია, მ. ანტონ ჭყონდიდელი: დიდი მარხვის ქადაგებები, თბ.: ინოვაცია. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6031>
34. გაბიძაშვილი, 2010: გაბიძაშვილი, ე. *შრომები II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები*, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
35. გაიპარაშვილი (შემდგ. და რედ.), 2017: გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.). *პირველი ლექცია*, თბ.: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
36. გაბელაია (რედ.-შემდგ.), 2017ა: გაბელაია, ნ. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი VII: ედუარდ შევარდნაძე: საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1992 წლის 10 მარტი - 1992 წლის 11 ოქტომბერი), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე (1992 წლის 11 ოქტომბერი - 1992 წლის 6 ნოემბერი), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური (1992 წლის 11 ოქტომბერი - 1992 წლის 6 ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები, თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/227002/1/Eduard-Shevardnadze Tomi VII.pdf>
37. გაბელაია (რედ.-შემდგ.), 2017ბ: გაბელაია, ნ. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი VIII: ედუარდ შევარდნაძე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური (1992 წლის 11 ოქტომბერი - 1992 წლის 6 ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები, 2017, თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/227010/1/Eduard-Shevardnadze_Tomi_VIII.pdf

38. გაბელაია (რედ.-შემდგ.), 2017გ: გაბელაია, ნ. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი IX: ედუარდ შევარდნაძე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური (1992 წლის ნოემბერი - 1995 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები, თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/227032/1/Eduard-Shevardnadze_Tomi_IX.pdf
39. გაბელაია (რედ.-შემდგ.), 2017დ: გაბელაია, ნ. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი X: ედუარდ შევარდნაძე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური (1992 წლის ნოემბერი - 1995 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები, თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/227035/1/Eduard-Shevardnadze_Tomi_X.pdf
40. გაბელაია (რედ.-შემდგ.), 2017ე: გაბელაია, ნ. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი XI: ედუარდ შევარდნაძე: საქართველოს პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი - 2003 წლის ნოემბერი): მიმართვები, ინტერვიუები, თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/227709/1/Eduard-Shevardnadze_Tomi_XI.pdf
41. გაბელაია (რედ.-შემდგ.), 2017ვ: გაბელაია, ნ. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი XII: ედუარდ შევარდნაძე: საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1992 წლის მარტი - 1992 წლის ნოემბერი), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე (1992 წლის ოქტომბერი - 1992 წლის ნოემბერი), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური (1992 წლის ნოემბერი - 1995 წლის ნოემბერი), საქართველოს პრეზიდენტი (1995 წლის ნოემბერი -

2003 წლის ნოემბერი), თბ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/227877/1/Eduard-Shevardnadze_Tomi_XII.pdf

42. გალპერინი, 1981: Galperin, I. Stylistics. Moscow: Higher School;
43. გამახარია (შემდგ.), 2006: გამახარია, ჯ. (შემდგ.), წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, თბ. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11528/1/Ambrosi_Xxelaia.pdf
44. გამყრელიძე და სხვ. 2008: გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ხელმისაწვდომია: <http://ebiblioteka.sjuni.edu.ge/images/books/%20teoriuli%20enatmecnierebis%20kursi%20,%20tamaz%20gamyreliZe.pdf>
45. გარსაიდი, ლიჩი, მაკენერი (რედ.), 2013: Garside R., Leech, G., & McEnery, A. (eds). *Corpus Annotation: Linguistic Information from Computer Text Corpora*, New York: Routledge;
46. გაფრინდაშვილი, თვალთვაძე, 2005: გაფრინდაშვილი, ნ., თვალთვაძე, დ. *რიტორიკის შესავალი*, თბ.: ნეკერი;
47. გელოვანი, 1985: გელოვანი, აკ. *ორატორული ხელოვნება*, თბ.: საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნა“;
48. გეორგიკა, 1965: გეორგიკა: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბილისი: მეცნიერება;
49. გეორგიკა, 1936: გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
50. გვენცაძე, 1971: გვენცაძე, ალ. *სტილისტიკის საკითხები: პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
51. გვენცაძე, 1974: გვენცაძე, ალ. *ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის*, თბ.: ხელოვნება;

52. გვენცაძე, 1991: გვენცაძე, ალ. *ზოგადი სტილისტიკა: დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის*, თბ.: ხელოვნება;
53. დავითაია (შემდ.), 1963: დავითაია, ნ. (შემდ.). *ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები*, თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება;
54. დარასელია, 2015: დარასელია, ს. ქართულ-ევროპული ტიპის ახალი სასაწავლო ლექსიკონების შედგენის საკითხები კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
55. დარჩია, 1992: დარჩია, მ. სწავლა-აღზრდის ზოგიერთი საკითხი სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკის“ მიხედვით, *ისტორია და გეოგრაფია სკოლაში*, №1-2, 20-24;
56. დედაბრიშვილი, 2013: დედაბრიშვილი, გ. ფილოსოფიური ურთიერთობები, კრებულში: მ. მახარაძე (რედ.), ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. II, გვ. 319-357, თბ.: უნივერსალი. ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/0B2VAaKxYsWISVUdfajB4THFXUTQ/view>
57. დოდაშვილი, 1989: დოდაშვილი, ს. *თხზულებანი*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
58. ვეიზერი, 2016: Weisser, M. (2016). *Practical Corpus Linguistics: An Introduction to Corpus-Based Language Analysis*, Chichester, England, Wiley Blackwell;
59. ვერშურენი, 1999: Vershueren, J. *Understanding Pragmatics*, London: Arnold (A Member of the Hodder Headline Group), 1999;
60. ვინდტი 1986: Windt, T.O. Presidential Rhetoric: Definition of a Field of Study. *Presidential Studies Quarterly*, Vol. 16, No. 1, 102-116;
61. ვინი, 2008: Wynne, M. Searching and Concordancing, in: *Handbook of Corpus Linguistics*, edited by Merja Kytö & Anke Lüdeling, Mouton de Gruyter, Berlin, New York, 706-737;
62. თაგუელი, 2011ა: თაგუელი, დ. ქართული სიტყვათმეხამებითი მოდელები პროგრამაში „Sketch Engine“. *საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2011“ მასალები*, გვ. 72-74;

63. თაგუელი, დ., 2011ბ: Tugwell, D. Georgian Word Sketches in the Sketch Engine. *International Conference proceeding: "The Georgian Language and Modern Technologies-2011"*, 74-76;
64. თამარაშვილი, 1902: თამარაშვილი, მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის: ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი: ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ.;
65. თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე, ზ. *კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში*, ფრანკფურტის ლინგვისტური წრე;
66. თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, 1902: თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, *მოამბე: თვიური ჟურნალი, წელიწადი მეცხრე*, №5, მაისი 5, 1-16. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/155894/1/Moambe_1902_N5.pdf
67. თოფურია, 1954: თოფურია, ვ. გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესები ქართველურ ენებში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება / ენათმეცნიერების ინსტიტუტი*, ტ. 6, გვ. 445-455;
68. იაკობსონი, 1960: Jakobson, R. Closing statement: linguistics and poetics. In: T. A. Sebeok, ed. *Style in language*. Cambridge, Mass.: M.I.T Press, 350-377;
69. იაკობსონი, 1971ა: Jakobson, R. *Studies on Child Language and Aphasia*. The Hague: Mouton;
70. იაკობსონი, 1971ბ: Jakobson, R. *Selected writings*, II, Word and Language, The Hague: Mouton;
71. ილია II, 1997ა: ილია II, *ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი*, წ. 1, თბ.: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა;
72. ილია II, 1997ბ: ილია II, *ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი*, წ. 2: [1977-1997], თბ.: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა;
73. ილია II, 2008: ილია II, *ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი*, წ. 3: [1998-2007], თბ.: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა;
74. იმნაიშვილი, 1957: იმნაიშვილი, ი. *სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში*, თბ.: სტალინის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

75. ინოკერტი, 1858: ინოკერტი, სიტყვა დასაფლავებასა ზედა ღენერალ ქელდმარშალისა, უგანათლებულესისა თავადისა მიხაილ სვიმონის ძის ვორონცოვისა, თქმული ოდესისა საკათედროსა ტაძარსა შინა სინოდის წევრისა მიერ, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესისა ინოკენტი არხიეპისკოპოსისა ხერსონისა და ტავრიდისა, 10 ნოემბერსა 1856 წელსა, რუსულითგან თარგმნილი ნ. ბერძენოვისაგან, ტფილისი: (ხელმწიფე იმპერატორის ნამესტნიკის კანცელარიის სტ.);
76. იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი (მე-X საუკუნის ხელნაწერებიდან), საეკლ. მუზეუმის გამოცემა, №14, ტფ.: ელექტ. მბეჭდ. ს. მ. ლოსაბერიძისა. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5017/1/kadagebani.pdf>
77. კალაძე, 1961: კალაძე, ც. განსაზღვრება ქართულში. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები: კრებული*. ტ. 2, გვ. 73-121;
78. კანდელაკი (შემდგ.), 1958: კანდელაკი, ნ. (შემდგ.). *ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები*, თბ.: ხელოვნება;
79. კანდელაკი, 1961: კანდელაკი, ნ. *ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან*, თბ.: ხელოვნება;
80. კანდელაკი, 1962: კანდელაკი, ნ. *სოლომონ ლიონიძე: ქართული მჭევრმეტყველების კლასიკოსი*, თბ.: საბჭოთა მწერალი;
81. კანდელაკი, 1966: კანდელაკი, ნ. *ქართული საელჩო მჭევრმეტყველება*, თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება;
82. კანდელაკი, 1968: კანდელაკი, ნ. *ქართული მჭევრმეტყველება*, თბ.: საბჭოთა საქართველო;
83. კანდელაკი, 1975: კანდელაკი, ნ. *ქართული მჭევრმეტყველება, ტ. 1, ქართველი ორატორები*, თბ.: ხელოვნება;
84. კანდელაკი, 1988: კანდელაკი, ნ. *წერილები*, თბ.: საბჭოთა საქართველო;
85. კანდელაკი, 1989: კანდელაკი, ნ. *როგორ მოვამზადოთ და წავიკითხოთ ლექცია*, თბ.: საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნა“;

86. კაჩუხაშვილი, ფურცელაძე (შემდგ.), 2013: კაჩუხაშვილი, ნ., ფურცელაძე, ნ. (შემდგ.), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ის ბიო-ბიბლიოგრაფია პერიოდულ გამოცემებში (1977-2007), თბ.: საქართველოს საპატრიარქო ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/32467/1/Patriarqis_Biobibliografia.pdf
87. კახაძე, 1956: კახაძე, ვ. მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა ოთხთავში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. 1, გვ. 329-338;
88. კაჭახიძე, 1980: კაჭახიძე, ვ. სასამართლო მჭევრმეტყველება, თბ.: საბჭოთა საქართველო;
89. კაჭახიძე, 1985: კაჭახიძე, ვ. პოლიტიკური მჭევრმეტყველება, თბ.: საბჭოთა საქართველო;
90. კაჭახიძე, 1997: კაჭახიძე, ვ. მჭევრმეტყველება: პოლიტიკური, სასამართლო, სამხედრო, აკადემიური, სამეცნიერო, საზოგადოებრივი, საზოგადოებრივი, სამეცნიერო, თბ.: საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“;
91. კაჭახიძე, 2000: კაჭახიძე, ვ. ორატორები: კრებული, თბ.: სტ. „პოლიგრაფისტი“;
92. კეკელიძე, 1951: კეკელიძე, კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
93. კენჭიაშვილი, 2019: კენჭიაშვილი, ნ. ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლის ისტორია, ახალგაზრდა მეცნიერთა V ინტერდისციპლინური კონფერენცია (სოფ. სნო, 11-13 მაისი, 2018): მასალების კრებული, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, თბილისი, გვ. 37-41;
94. კენჭიაშვილი, 2020ა: კენჭიაშვილი, ნ. საქართველოში კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც ახალი ინტერდისციპლინური მიმართულების ისტორია (კორპორა და ვებკორპორა), ენა და კულტურა, №23, 38-50;
95. კენჭიაშვილი, 2020ბ: კენჭიაშვილი, ნ. ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ლინგვისტიკური კვლევებისთვის, დოქტორანტთა I ინტერდისციპლინური

- კონფერენციის მასალების კრებულში: თ. ირემამე, გ. ხუროშვილი (რედ.), *ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში: ფილოსოფია, ისტორია, ფილოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება*, ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, ფოთი, საქართველო, გვ. 69-76;
96. კენჭიაშვილი, 2020გ: კენჭიაშვილი, ნ. თარგმანები ქართულ მჭევრმეტყველებაში (საკონფერენციო მოხსენება), ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში [გადაცემულია დასაბეჭდად];
97. კვარაცხელია, 1987: კვარაცხელია, გ. სამეცნიერო ფუნქციური სტილის სპეციფიკის ზოგადი დახასიათება. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. 26, 3-18;
98. კვაჭანტირაძე, 1978: კვაჭანტირაძე, თ. *მსგავსებითი შედარება ქართულში*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
99. კვაჭაძე, 1981: კვაჭაძე, ლ. *ქართული ენა, ნაწილი I: ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა და მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ*, თბ.: განათლება;
100. კვინტილიანე, 1966: Quintilian, *The Institutio Oratoria of Quintilian with an english translation*, Butler H. E. (trans.), Capps, E., Page, T. E., Rouse, W. H. D. (eds.), in four volumes, III, London: William Heinemann;
101. კიზირია, 1982: კიზირია, ა. *მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში*, თბ.: მეცნიერება;
102. კიკნაძე, 1957: კიკნაძე, გრ. *მეტყველების სტილის საკითხები*, თბ.: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
103. კობერიძე, 2016: კობერიძე, მ. რიტორიკული სტილი. *სამეცნიერო შრომების კრებული / COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS*, №10, 18-21;
104. კოლხიბერული, (რედ.), 2008: კოლხიბერული, ბ. (რედ.). *მამა პავლეს (რაზიკაშვილი) ვაჟა-ფშაველას მშობელი მამის ქადაგებანი: წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30 წლისთავს. დაიბეჭდა არქიმანდრიტ იოანეს (ორკოდაშვილი) ლოცვა კურთხევით*, თბ.: თეკა და კომპანია;
105. კოტეტიშვილი, 1961: კოტეტიშვილი, ვ. *ხალხური პოეზია*, თბ.: საბჭოთა

მწერალი;

106. კოვტუნოვა, 1969: Ковтунова, И., *Порядок слов в русском литературном языке XVIII – первой трети XIX в. Пути становления современной нормы*. М.: Наука;
107. კოზორიძე, 2005: კოზორიძე, ე. *მწერლის ენისა და სტილის საკითხები*, თბ.: მერიდიანი;
108. კუკავა, 1968: კუკავა, თ. ისევ სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკის“ გამო, *ლიტერატურული საქართველო*, №27, 12 ივლისი;
109. კუხალაშვილი და სხვ., 2008: კუხალაშვილი, მ., ლომთაძე, თ., მიქაძე, მ., რუსაძე, ი., ქაცარავა, მ., ფხაკაძე, ნ. *თანამედროვე ქართული ენა (ნაკვეთი II): პრაქტიკული სტილისტიკა, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის*, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
110. ლევინი, 1964: Levin, S. R. Poetry and grammaticalness, in Lunt, H. G. (ed.), *Proceedings of the IXth International Congress of Linguists* (The Hague: Mouton), 308-314;
111. ლიჩი, 1966: Leech, G. N. Linguistics and the Figures of Rhetoric, in: R. G. Fowler (ed.), *Essays in Style and Language*. London: Routledge and Kegan Paul, pp. 135- 156;
112. ლოტმანი, 1972: Лотман, Ю. *Анализ поэтического текста: структура стиха*, Просвещение;
113. მაკენერი, ტ., ვილსონი, ე., 2001: McEnery, T., & Wilson, A., *Corpus Linguistics: An Introduction*, Edinburgh University Press.
114. მალერი, 1962: Mallery, R. D. *Grammar, Rhetoric, and Composition for Home Study*. Garden City, New York: Dolphin Books, Doubleday & Company, Inc.;
115. მეიერი, 2004: Meyer, Ch. F. *English Corpus Linguistics: An introduction*, Cambridge: Cambridge University Press;
116. მიხალსკაია, 1996: Михальская, А. *Основы риторики: Мысль и слово*, М: «ПРОСВЕЩЕНИЕ»;
117. ლომიძე, 2014: ლომიძე, თ. *ქართული რომანტიზმის პოეტიკა*, თბ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
118. ლორთქიფანიძე, 1959: ლორთქიფანიძე, ე. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ისტორიიდან ქართულში. *თბილისის სახელმწიფო*

- პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. 13, 389-395;
119. მაკგიგანი, 2011: McGuigan, B. *Rhetorical Devices: A Handbook and Activities for Student Writers*. Prestwick House Inc;
 120. მარტიროსოვი, 1946: მარტიროსოვი, ა. თანდებული ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. 1, 203-246;
 121. მაცაბერიძე (რედ.), 2007: მაცაბერიძე, მ. (რედ.). *საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.): კრებული*, თბ.: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი;
 122. მაცაბერიძე (რედ.), 2009: მაცაბერიძე, მ. (რედ.). *ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს...: დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალი*, თბ.: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი;
 123. მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/315624/1/Mokle_Ritorika_1879.pdf
 124. მოსია, 1993: მოსია, ტ. *სასულიერო მწერლობის მხატვრული შედარების საკითხები*, ზუგდიდი;
 125. ნათაძე, ნათაძე, 1988: ნათაძე, მ., ნათაძე, გ. რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა. კრებულში ნ. ორლოვსკაია, ნ. კაკაბაძე (რედ.), დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე) (გვ. 194-258), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
 126. ნათაძე, ნათაძე, 1991: ნათაძე მ., ნათაძე, გ. ზოგიერთი ესთეტიური ფენომენის არსისა და ევოლუციის შესახებ. *კრიტიკა*. №1, 151-158;
 127. ნაჭყებია, 2005: ნაჭყებია, მ. *მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში*, თბ.: innovation;
 128. ნუცუბიძე, 1956: ნუცუბიძე, შ. *ქართული ფილოსოფიის ისტორია*, ტ. 1., თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა და სტამბა;
 129. პაპასკირი (შემდგ.), 2000: პაპასკირი ვ. (შემდგ.). *ქართული ორატორული ხელოვნება: ლექსიკონი*, თბ.: ტექნიკური უნივერსიტეტი;
 130. პერელმანი, ოლბრეხტ-ტიტეკა, 1969: Perelman Ch. & Olbrechts-Tyteca, L. (1969). *The New Rhetoric: A Treatise on Argumentation*. Notre Dame: University of Notre

- Dame Press; (პირველად გამოქვეყნდა 1958 წელს);
131. პლეტი, 2010: Plett, H. F. *Literary Rhetoric: Concepts – Structures – Analyses*. Leiden / Boston: Brill;
 132. პოპიაშვილი, 2019: პოპიაშვილი, ნ. *პოეტური ენის საკითხები: პოეტური ლექსიკა, ტროპი*, თბ.: უნივერსალი;
 133. ჟენეტი, 1998: Женетт, Ж. *Работы по поэтике*, т. 2. М.: Издательство имени Сабашниковых;
 134. ჟვანია, 1961: ჟვანია, ვ. *ქართველი იურისტები: ნარკვევები ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან*, თბ.: ხელოვნება;
 135. ჟვანია, 1965: ჟვანია, ვ. *ლიტერატურული გასამართლებანი საქართველოში*, თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება;
 136. ჟირმუნსკი, 1975: Жирмунский, В. *Теория стиха, Советский писатель*, Л.: Советский писатель;
 137. ჟორდანიას, 1889: ჟორდანიას, თ. *ქართული გრამმატიკა: (ეტიმოლოგია და სინტაქსი)*, თბზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, ტფ.: ე. ხელაძის სტ.;
 138. რუსეიშვილი, 2003: რუსეიშვილი, გ. *რიტორიკის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო)*, თბ.: ენა და კულტურა;
 139. რუსეიშვილი, 2019: რუსეიშვილი, გ. *რიტორიკა*, თბ.;
 140. საბინინი, 1882: საბინინი, მ. *საქართველოს სამოთხე: სრული აღწერაი ლუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ*. ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/295149>
 141. სარჯველაძე, 1984: სარჯველაძე, ზ. *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, თბ.: მეცნიერება;
 142. სიამაშვილი, 2009: სიამაშვილი, გ. *რიტორიკის შესავალი*, თბ.: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი;
 143. სიღამონიძე (შემდ.), 1974: სიღამონიძე, ვ. (შემდ.). *ქართული სასამართლო მჭევრმეტყველება*, თბ.: საბჭოთა საქართველო;
 144. სირაძე, 1987: სირაძე, რ. *ქართული აგიოგრაფია*, თბ.: ნაკადული;
 145. სიტყვა თქმული..., 1896: იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო

- გაბრიელის დასაფლავების დღეს მის მაღალ-ყოვლად უსამედელოესობის უწმიდესის სინოდის წევრის, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის ვლადიმერის მიერ;
146. სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887: *სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულნი საქართველოს საექსარხოსოში მაღალყოვლადსამღვდელოის საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ*, ქუთაისი: გამოცემა «მწყემსი»-ს რედაქციისა, სტამბა ღამბაშიძისა;
147. სოსიური, 1977: Сосиур, Ф. Де, *КУРС ОБЩЕЙ ЛИНГВИСТИКИ*, М.: «Проспект». (პირველად გამოქვეყნდა 1916 წელს);
148. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში, 2010: *სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში: წერილები*, თბ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/press/cignebi/sruliad-saqartvelos-katolikos-patriarqebi-1917-1927-ww-shi-werilebi.page>
149. სულხან-საბა ორბელიანი, 1963: სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი*, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ.: „საბჭოთა საქართველო“;
150. ტოდოროვი, 1967: Todorov, Ts. *Littérature et signification*. Paris: Larousse;
151. ტოი, 2013: Toye, R. *Rhetoric: A very short introduction*. Oxford;
152. უელეკი, უორენი, 2010: უელეკი, რ., უორენი, ო., ლიტერატურის თეორია, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ხელმისაწვდომია: <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/LiteraturisTeoria.pdf>
153. ფორჩხიძე, 2018: ფორჩხიძე, ბ. ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ-ფილოსოფიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები: დამხმარე სახელმძღვანელო, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
154. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 1913ა: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა: თქმულნი 1860-1870 წლებში, ტ. I, ქუთაისი: სტამბა „ძმობა“, კაზაკოვის ქ. №17. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6494>

155. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 1913ბ: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა: თქმულნი 1870-1884 წლებში, ტ. II, ქუთაისი: სტამბა „მმოზა“, კაზაკოვის ქ. №17. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/7694>
156. ქავთარაძე (შემდგ.), 2012: ქავთარაძე, ნ. (შემდგ.), სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი ბიბლიოთეკების დასახმარებლად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილება, თბ. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4987/1/Sityvat_Shemoklebani.pdf
157. ქართლის ცხოვრება, (1906). ქართლის ცხოვრება: მარიამ დედოფლის ვარიანტი, ტფილისი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა №79. ხელმისაწვდომია: <file:///Users/macbookair/Downloads/qartlis%20cxovreba%20mariam%20dedoflis%20varianti.pdf>
158. ქართლის ცხოვრება, 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: სახელგამი;
159. ქართლის ცხოვრება, 1959: *ქართლის ცხოვრება*, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
160. ქვინი, 2010: Quinn, A. *Figures of Speech: 60 ways to turn a phrase by Arthur Quinn*. New York / London: Routledge;
161. ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: ქუმსიშვილი, დ., კუკავა თ., სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“, *მნათობი*, №1, 148-157. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/15057/1/Mnatobi_1955_N01.pdf
162. ღლონტი, 1988: ღლონტი, ალ. *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*, თბ.: განათლება;
163. ყაუხჩიშვილი: 1949: ყაუხჩიშვილი, ს. *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*, II, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
164. შანიძე, 1934: შანიძე, აკ. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა: ენისა და

- ლიტერატურის მიმოხილვა ქრესტომათია, ლექსიკონი, ძველი ქართული წერის ნიმუშები, ტფ.: სახელგამის სასწ. პედ. სექტორის გა-მა;
165. შანიძე, 1973: შანიძე, აკ. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, მორფოლოგია*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
166. შანიძე, 1976: შანიძე, აკ. *ძველი ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, მორფოლოგია*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
167. შანიძე, 1980: შანიძე, აკ. *თხზულებანი თორმეტ ტომად: ტომი III: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
168. შარიქაძე: 1939: შარიქაძე, თ. -ვით თანდებული ქართულში, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. X, 145;
169. შაული, ვესტბური, ბააიენი, 2013: Shaoul, C., Westbury, F.C., & Baayen, H.R., The subjective frequency of word n-grams. *PSYCHOLOGIA*, Vol. 46 (4), 497–537;
170. შელია, 2007: შელია, მ. *ტროპები და ფიგურალური მეტყველება ინგლისურენოვან მხატვრულ ტექსტებში*, თბ.: გამომცემლობა „მარსი - 2004“;
171. შოური, 2018: Shore, D. *Cyberformalism: Histories of Linguistic Forms in the Digital Archive*. Johns Hopkins University Press, Baltimore;
172. ჩიქობავა, 1966: ჩიქობავა, არნ. ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება / ენათმეცნიერების ინსტიტუტი*, ტ. 15, გვ. 5-34;
173. ჩიქობავა, 2008: ჩიქობავა, არნ. *ენათმეცნიერების შესავალი*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ხელმისაწვდომია: <https://caucasiology.tsu.ge/docs/geo/el-biblioteka/el.wignebi/ciqobava.enatmecnierebis%20shesavali.pdf>
174. ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2011: ცეცხლაძე, ნ., ხახუტაიშვილი, მ. უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება“ – სტილისტიკის საკითხები, *ენა და კულტურა: სამეცნიერო ჟურნალი*, 2011, №6, 114-119;
175. ცინცაძე, 2014: ცინცაძე, კ. *ქადაგებები და სიტყვები*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბ.: უნივერსალი;
176. ძიძიგური, 1941: ძიძიგური, შ. ცნება სინონიმური პარალელიზმისა.

- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*. ტ. 2, №7, 689-696;
177. ძიძიგური, 1982: ძიძიგური, შ. *საენათმეცნიერო საუბრები*, თბ.: ნაკადული;
178. წერეთელი, 1954: წერეთელი, კ. პარონომაზია ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება / ენათმეცნიერების ინსტიტუტი*. ტ. 6, გვ. 461-502;
179. ჭილაია, 1971: ჭილაია, ა. *ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები*, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
180. ჭიჭინაძე, 1900: ჭიჭინაძე, ზ. ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა: 1626-1900, ტფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ექ. ივ. ხელაძის სტ. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6400>
181. ჭიჭინაძე (შემდგ.), 1903: ჭიჭინაძე, ზ. (შემდგ.), სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, № 4, თბ.: სტამბა „ნადეჟდა“ სემენოვის ქუჩა. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6852>
182. ჭიჭინაძე, 1916: ჭიჭინაძე, ზ. ნიკოლოზ ბესარიონის ძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ., თბილისი: სორაპანი-ს სტ. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6455>
183. ჭყონია, 1890: ჭყონია, ა., ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომატია საქართველოს ისტორიისათვის: უძველეს დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი;
184. ჭყონია (რედ.), 1898: ჭყონია, ი. (რედ.), *ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი*, ყოვლად-სამღვდელის იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის გამოცემა, თბ.: სტამბა „მეურნის“ რედაქცია. ხელმისაწვდომია: <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/4957>
185. ხალვაში, 2018: ხალვაში, რ. დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი, ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30pWtSl>
186. ხოსიტაშვილი (შემდგ.), 2013ა: ხოსიტაშვილი, მ. (შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი I: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები: ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, თბ.: ირიდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38332/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_I.pdf

187. ხოსიტაშვილი (შემდგ.), 2013ბ: ხოსიტაშვილი, მ. (შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი II: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები: ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991): საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, თბ.: ირიდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38333/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_II.pdf

188. ხოსიტაშვილი (შემდგ.), 2013გ: ხოსიტაშვილი, მ. (შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი III: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები: ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობის პერიოდი (1992-1993), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, თბ.: ირიდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38334/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_III.pdf

189. ხოსიტაშვილი, ჯგერენაია (რედ.-შემდგ.), 2015ა: ხოსიტაშვილი, მ., ჯგერენაია, ე. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი IV: ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990 წლის ნოემბერი - 1991 წლის აპრილი): ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ინტერვიუები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, თბ.: ირიდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159231/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_IV.pdf

190. ხოსიტაშვილი, ჯგერენაია (რედ.-შემდგ.), 2015ბ: ხოსიტაშვილი, მ., ჯგერენაია, ე. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი V:

- ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი 1991 წელი, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ინტერვიუები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, თბ.: ირიდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159475/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_V.pdf
191. ხოსიტაშვილი, ჯგერენაია (რედ.-შემდგ.), 2015გ: ხოსიტაშვილი, მ., ჯგერენაია, ე. (რედ.-შემდგ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი VI: აკაკი ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1991 წლის აპრილი - 1991 წლის დეკემბერი): ოფიციალური დოკუმენტები, ინტერვიუები, მიმართვები, თბ.: ირიდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/160128/1/Akaki_Asatiani_Tomi_VI.pdf
192. ჯაგოდნიშვილი, 1999: ჯაგოდნიშვილი, თ. *ქართული ორატორული ხელოვნება*, ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრა, თბ.: ტსუ;
193. ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000: ჯაგოდნიშვილი, თ., ჯაგოდნიშვილი, ი., პაპასკირი, ვ. *ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომათია-პრაქტიკუმი)*, თბ.: სტუ;
194. ჯაგოდნიშვილი, 2009: ჯაგოდნიშვილი, ი. რიტორიკა – ძირძველი ენობრივი კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა, *ჟურნალისტური ძიებანი*, ტ. XII, 168-177;
195. ჯაგოდნიშვილი, 2018: ჯაგოდნიშვილი, თ. მანიპულაციური ლინგვისტური ხერხები და მოდელები, *განათლება*, 1(20), 17-22;
196. ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, ჯაგოდნიშვილი (შემდგ.), 2018: ჯაგოდნიშვილი, თ., გაბისონია, ი., ჯაგოდნიშვილი, ივ. (შემდგ.). *რიტორიკა: ქრესტომათია*, თბ.: იურისტების სამყარო;
197. ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, ჯაგოდნიშვილი, 2018: ჯაგოდნიშვილი, თ., გაბისონია, ი., ჯაგოდნიშვილი, ივ. *ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები*, თბ.: იურისტების სამყარო;
198. ჯავახიშვილი, 2001: ჯავახიშვილი, გ. *წერილების ოთხკარედი*, ბათუმი: აჭარა;

199. ჯავახიშვილი, 1982: ჯავახიშვილი, ივ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. III, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
200. ჯასინსკი, 2001: Jasinski, J. *Sourcebook on Rhetoric: Key Concepts in Contemporary Rhetorical Studies*. Sage Publications;
201. ჯაფარიძე, 1963: ჯაფარიძე, ზ. -ვით თანდებულის ხმარებისათვის ზმნასთან ქართულში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები: კრებული*, ტ. III, 95-98;
202. ჯგუფი მ, 1986: Группа м: Дюбуа, Ж., Эделин, Ф., Клинкаенберг, Ж.-М., Мэнге, Ф., Пир, Ф., Тринон, А. *ОБЩАЯ РИТОРИКА*, М.: «ПРОГРЕСС». (პირველად გამოქვეყნდა 1970 წელს);
203. ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ა: ჯონსი, შ., ჯგერენაია, ე. (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი XIII, ნოე ჟორდანია: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 24 ივნისი - 1921 წლის 18 მარტი): ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები. წიგნი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271957/1/Noe_Jordania_Tomi_XIII.pdf
204. ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ბ: ჯონსი, შ., ჯგერენაია, ე. (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი XIV: ნოე ჟორდანია: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 24 ივნისი - 1921 წლის 18 მარტი), წიგნი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271966/4/Noe_Jordania_Tomi_XIV.pdf
205. ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018გ: ჯონსი, შ., ჯგერენაია, ე. (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ტომი XV: ნოე ჟორდანია: პოლიტიკური ემიგრაცია: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, წიგნი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271976/1/Noe_Jordania_Tomi_XV.pdf

206. ჯონსტონი, ეიზენჰარტი (რედ.), 2008: Johnstone, R. & Eisenhart, C. (Eds.). *Rhetoric in Detail: Discourse analyses of rhetorical talk and text*. Amsterdam / Philadelphia: John Benjamins Publishing Company;

ინტერნეტრესურსები

1. მართლმადიდებლური ვებგვერდი (2020), ხელმისაწვდომია: www.orthodoxy.ge/index.htm
2. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი. (2020). საქართველოს პრეზიდენტები. ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ge/geo/President-of-Georgia.aspx>
3. ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი (2020). ხელმისაწვდომია: <https://ske.li/georgianrhetoriccorpus>
4. Language Corpus Management and Query System: *Sketch Engine*. (2020). ხელმისაწვდომია: www.sketchengine.eu/.
5. Corpus hosting: *Sketch Engine*. (2020). ხელმისაწვდომია: <https://www.sketchengine.eu/user-guide/user-manual/corpora/corpus-hosting/>
6. TEI (The Text Encoding Initiative), (2020). ხელმისაწვდომია: <http://www.tei-c.org/>

დანართი 1. ნიკოლოზ კანდელაკის „ქართული მჭევრმეტყველება: მეგლები და მასალები“ (კანდელაკი (შემდგ.), 1958)

№	ავტორი	სათაური	№
1.	კორნელი ტაციტუსი	ფარსმან პირველის სიტყვის ფრაგმენტი	1.
2.	ლიბანიოსი	მიმართვა ბაკურისადმი	2.
		მიმართვა არისტენეტესადმი	3.
3.	თემისტოისი	მიმართვა ახალგაზრდისადმი	4.
4.	გუბაზ მეფე	სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ მოხირისთან ბრძოლის წინ	5.
5.	აიეტი	სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო	6.
6.	ფარტაზი	სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო	7.
7.	კოლხი წარმომადგენელი	სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე	8.
8.	იოანე საბანისძე	„აბო თბილელის წამების“ მეოთხე თავი, ქებად წმიდისა მოწამისა ჰაბოდისი	9.
9.	იოანე ზოსიმე	ქებად და დიდებად ქართულისა ენისად	10.
10.	იოანე ბოლნელი	„ქადაგებანი“	11.
11.	გიორგი მცირე	სიტყვა, თქმული გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო	12.
12.	დავით აღმაშენებელი	სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ დიდგორის ომის წინ	13.
13.	არსენ ბერი	მეფესა დავითს – მონაზონი არსენი	14.
14.	გიორგი მესამე	სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ ანისისათვის ბრძოლის წინ	15.
15.	თამარ მეფე	სიტყვა, თქმული დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ	16.
		სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ შამქორის ომის წინ	17.
16.	დემეტრე თავდადებული	სიტყვა, თქმული დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე	18.
17.	ბექა ჯაყელი	სიტყვა თქმული ერისმთავართა და მხედრობის მიმართ	19.
18.	კათოლიკოსი თეოდორე	სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ ლორის ციხისთვის ბრძოლის წინ	20.
19.	სულხან-საბა ორბელიანი	სიტყვა, თქმული საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეთოთხმეტის წინაშე	21.
		სწავლა სტუმართ-მოყუარებისათვის ელიაობასა თქმული	22.
20.	ზაქარია გაბაშვილი	სიტყვა, თქმული სოლომონ პირველის მიმართ	23.
21.	გაიოზ რექტორი	განრჩევისათვის მეცნიერებისა და უმეცრებისა	24.
		სიტყვა, თქმული დოსითეოზ ჩერქეზიშვილის	25.

		<i>მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე</i>	
		<i>სიტყვა, თქმული სტუმართა და სემინარიელთა მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე</i>	26.
		<i>სიტყვა, თქმული თელავის სემინარიელთა საჯარო პაექრობის გახსნის გამო</i>	27.
		<i>სიტყვა, თქმული სტუმართა და სემინარიელთა მიმართ საჯარო პაექრობაზე</i>	28.
22.	მზეჭაბუკ ორბელიანი	<i>სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე</i>	29.
23.	ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი	<i>ცუდათ მეტყველებისათვის</i>	30.
24.	ამბროსი ნეკრესელი	<i>ქადაგება ერისა მიმართ მდაბიურთა</i>	31.
25.	სოლომონ ლიონიძე	<i>მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა</i>	32.
26.	იოანე ბატონიშვილი	<i>სიტყვა ერეკლე მეორისადმი</i>	33.
27.	სოლომონ დოდაშვილი	<i>შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდისას</i>	34.
28.	გაბრიელ ქიქოძე	<i>მოძღვრება, თქმული ახალი წლისათვის</i>	35.
29.	ნიკო დადიანი	<i>სიტყვა, თქმული დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვაზე</i>	36.
		<i>სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე</i>	37.
30.	ილია ჭავჭავაძე	<i>სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე</i>	38.
		<i>სიტყვა, თქმული წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის დაარსების გამო</i>	39.
		<i>სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე</i>	40.
		<i>სიტყვა, თქმული ნადიმზე ევგენი მარკოვის მიმართ</i>	41.
31.	აკაკი წერეთელი	<i>სიტყვა, თქმული ნადიმზე ქართველ მუსულმანთა შემოერთების გამო</i>	42.
		<i>სიტყვა, თქმული თელავში სუფრასთან</i>	43.
		<i>სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე</i>	44.
		<i>სიტყვა, თქმული თელავში სადილზე</i>	45.

დანართი 2. ნიკოლოზ კანდელაკის „ქართულ საელჩო მჭევრმეტყველებას“
(კანდელაკი, 1966)

№	ავტორი	სათაური	№
---	--------	---------	---

1.	მირიან მეორე	სიტყვა, თქმული ქართლის ერისთავების წინაშე	1.
2.	ვახტანგ გორგასალი	სიტყვა, თქმული ქართლის წარჩინებულთა წინაშე	2.
3.	თამარ მეფე	წერილი რუმის სულთნის ნუქარდინის მიმართ	3.
4.	რუსუდან მეფე	წერილი რომის პაპის ჰონორიუს მესამის მიმართ	4.
5.	გიორგი მერვე	წერილი ბურგუნდიის მთავრის მიმართ	5.
6.	ყვარყვარე ათაბაგი	წერილი ბურგუნდიის მრავრის მიმართ	6.
7.	ნიკოლოზ ტფილელი	სიტყვა, თქმული რომის პაპის პიო მეორის წინაშე	7.
8.	ალექსანდრე პირველი	წერილი მოსკოვის მთავრის იოანე ვასილის ძის მიმართ	8.
9.	სიმონ პირველი	წერილი პაპის პავლე მესამის მიმართ	9.
10.	თეიმურაზ პირველი	წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ	10.
		მეორე წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ	11.
11.	ალექსანდრე მესამე	სიტყვა, თქმული რომელი პატრის ქრისტეფორე კასტელის წინაშე	12.
12.	ვახტანგ მეხუთე	წერილი რომის პაპის კლიმენტი მეათის მიმართ	13.
13.	არჩილ მეორე	წერილი რუსეთის მეფეების იოანე და პეტრე ალექსის ძეთა მიმართ	14.
14.	გიორგი მეთერთმეტე	წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეთერთმეტის მიმართ	15.
15.	ექვთიმე რატიშვილი	წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეთერთმეტის მიმართ	16.
16.	სულხან-საბა ორბელიანი	წერილი რომის პაპის კლიმენტი მეთერთმეტის მიმართ	17.
		წერილი რომელი კარდინალის მიმართ	18.
		წერილი საფრანგეთის მინისტრის პონშარტრანის მიმართ	19.
		სიტყვა თქმული საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეოთხმეტის წინაშე	20.
17.	ვახტანგ მეექვსე	წერილი ავსტრიის იმპერატორის კარლ მეექვსის მიმართ	21.
18.	სოლომონ პირველი	სავედრებელი წერილი რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის მიმართ	22.
		წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი	23.
19.	ანტონ კათალიკოსი	წერილი რუსეთის მინისტრის პანიჩის მიმართ	24.
		მეორე წერილი რუსეთის მინისტრის პანიჩის მიმართ	25.
20.	ერეკლე მეორე	წერილი რუსეთის მინისტრის პანიჩის მიმართ	26.
		წარდგინება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი	27.

21.	ბესარიონ გაბაშვილი	წერილი რუსეთის მხედართმთავრის გრ. პოტიომკინის მიმართ	28.
		მოხსენებითი ბარათი რუსეთის მხედართმთავრის გრ. პოტიომკინის მიმართ	29.
		მეორე წერილი რუსეთის მხედართმთავრის გრ. პოტიომკინის მიმართ	30.
22.	გარსევან ჭავჭავაძე	წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიმართ	31.
		წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი	32.
		მოხსენება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის მიმართ	33.

დანართი 3. ნიკოლოზ კანდელაკის „წერილები“ (კანდელაკი, 1988)

სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალდებო სიტყვები	
№	სათაური
1.	სიტყვა თქმული 1937 წლის 13 ივნისს აჭარის მასწავლებელთა სახლში ი. ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოზე
2.	სიტყვა თქმული 1937 წლის 11 თებერვალს აჭარის მასწავლებელთა სახლში ა. ს. პუშკინის საიუბილეო საღამოზე
3.	სიტყვა თქმული 1938 წლის 1 იანვარს აჭარის მასწავლებელთა სახლში შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამოზე
4.	სიტყვა თქმული 1938 წლის 7 ივნისს აჭარის სახელმწიფო თეატრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოზე
5.	სიტყვა თქმული 1940 წლის 28 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში იაკობ გოგებაშვილის საზეიმო-საიუბილეო საღამოზე
6.	სიტყვა თქმული 1946 წლის 1 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ანასტასია ერისთავ-ხომტარიას საიუბილეო საღამოზე
7.	აკაკი შანიძეს – დაბადებიდან 70 წლისთავის გამო
8.	არნოლდ ჩიქობავას – დაბადებიდან 60 წლისთავის გამო
9.	თბილისს – დაარსებიდან 1500 წლისთავის გამო

დანართი 4. ვახტანგ ჟვანიას „ქართველი იურისტები“ (ჟვანია, 1961)

სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალდებო სიტყვები	
1.	სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე
2.	აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა „სვანების“ პროცესზე
3.	შალვა მესხიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა სტოლერმანის საქმეზე
4.	ალექსანდრე ჩიქვანიას მიერ წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ბერბიჭაშვილის საქმეზე
სიტყვები წარმოთქმული ლიტერატურული გასამართლებების დროს	
5.	აკაკი წერეთლის სიტყვა სუმბათაშვილის პიესის „ლალატის“ გმირის ზეინაბის

	დასაცავად
6.	შალვა მესხიშვილის საბრალდებო სიტყვა „სამშობლოს“ გმირების ლიონიძის და ხიმშიაშვილის მიმართ
7.	იოსებ მაჭავარიანის სიტყვა ლიონიძის და ხიმშიაშვილის დასაცავად
8.	აკაკი წერეთლის სიტყვა გიორგი სააკაძის დასაცავად

დანართი 5. „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები“ (დავითაია (შემდგ.), 1963)

№	ავტორი	სათაური
1.	შალვა მესხიშვილი	სიტყვა ს. ა. სტოლერმანის საქმეზე
2.	ზიდინა ბარათაშვილი	სიტყვა ს. ვ. მოდეზაძის საქმეზე
3.	ჯამბაკურ ბაქრაძე	სიტყვა ჯ. ა. ტარსაიძის საქმეზე
4.	ანდრო გელოვანი	სიტყვა ბ. ი. კილაძის საქმეზე
5.	შალვა გვათუა	სიტყვა დ. ნ. თურმანიძის საქმეზე
6.	ალექსანდრე დოლიძე	სიტყვა გ. გ. ცინცაძის საქმეზე
7.	პეტრე ინასარიძე	სიტყვა ვ. გ. თამარაშვილის საქმეზე
8.	კლეოპატრა კალანდაძე	სიტყვა ილზა სუნას საქმეზე
9.	ილია კაშია	სიტყვა ა. ბ. ლომთათიძის საქმეზე
10.	ვახტანგ კაჭახიძე	სიტყვა გ. გ. ბერიძის საქმეზე
11.	ნიკოლოზ კველიშვილი	სიტყვა ლ. დ. წინწავას საქმეზე
12.	ვასილ კეკელია	სიტყვა ი. პ. გრიგოლაშვილის საქმეზე
13.	გიორგი ლეჟავა	სიტყვა ა. გ. ერადის საქმეზე
14.	ალექსანდრე ლომინაძე	სიტყვა ო. ს. არაბიძის საქმეზე
15.	ალექსანდრე საგინაშვილი	სიტყვა პ. ლ. მურღულიას საქმეზე
16.	ვახტანგ სიდამონიძე	სიტყვა ა. ა. ვერძეულის საქმეზე
17.	გურამ უგრეხელიძე	სიტყვა ვ. ნ. შადურის საქმეზე
18.	ვარდენ ურატაძე	სიტყვა ქ. გ. კუპრაძის საქმეზე
19.	ბენო ხომერიკი	სიტყვა გ. ნ. ბაქრაძის საქმეზე
20.	ალექსი ჭიჭინაძე	სიტყვა გ. დ. ბაჩიაშვილის საქმეზე
21.	ვახტანგ კერესელიძე	სიტყვა ა. გ. ბურცევის საქმეზე

დანართი 6. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ., პაპასკირი ვ., „ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომატია-პრაქტიკუმი)“ (ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, პაპასკირი, 2000)

№	ავტორი	სათაური	№
1.	აიეტი	სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო	1.
2.	ფარტაზი	სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე	2.

		<i>კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო</i>	
3.	უცნობი ორატორი (კოლხთა წარმომადგენელი)	<i>სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე</i>	3.
4.	იოანე ბოლნელი	<i>ღვინის-მსუმელთა და მომთვრალეთათვის</i>	4.
5.	დავით აღმაშენებელი	<i>სიტყვა მხედრობისადმი დიდგორის ომის წინ</i>	5.
6.	დემეტრე თავდადებული	<i>სიტყვა, თქმული დარბაზში სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე</i>	6.
7.	სულხან-საბა ორბელიანი	<i>სიტყვა თქმული საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეოთხეების წინაშე</i>	7.
8.	გაიოზ რექტორი	<i>სიტყვა, თქმული თელავის სემინარიელთა საჯარო პაექრობის გახსნის გამო</i>	8.
9.	მზეჭაბუკ ორბელიანი	<i>სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე</i>	9.
10.	სოლომონ ლიონიძე	<i>მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ლერკულეს ნეტარების ღირსისა</i>	10.
11.	სოლომონ დოდაშვილი	<i>შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდისას</i>	11.
12.	ნიკო დადიანი	<i>სიტყვა, თქმული დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვაზე</i>	12.
13.	ილია ჭავჭავაძე	<i>სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე</i>	13.
		<i>სიტყვა, წარმოთქმული წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დაარსების გამო</i>	14.
		<i>სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე</i>	15.
14.	აკაკი წერეთელი	<i>სიტყვა, თქმული ნადიმზე ქართველ მუსულმანთა შემოერთების გამო</i>	16.
		<i>სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე</i>	17.
		<i>სიტყვა, წარმოთქმული „სვანების პროცესზე“</i>	18.
15.	შალვა მესხიშვილი	<i>სიტყვა, წარმოთქმული ს. ა. სტოლერმანის საქმეზე</i>	19.
16.	ალექსანდრე ჩიქვანაია	<i>საბრალდებო სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის მკვლელის, გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე</i>	20.
17.	ბიძინა ბარათაშვილი	<i>სიტყვა ს. ვ. მოდებაძის საქმეზე</i>	21.
18.	ჯამბაკურ ბაქრაძე	<i>სიტყვა ჯ. ა. ტარსაიძის საქმეზე</i>	22.
19.	ანდრო გელოვანი	<i>სიტყვა ბ. ი. კილაძის საქმეზე</i>	23.
20.	შალვა გვათუა	<i>სიტყვა დ. ნ. თურმანიძის საქმეზე</i>	24.
21.	ალექსანდრე დოლიძე	<i>სიტყვა გ. გ. ცინცაძის საქმეზე</i>	25.

22.	პეტრე ინასარიძე	სიტყვა ვ. გ. თამარაშვილის საქმეზე	26.
23.	ილია კაშია	სიტყვა ა. ბ. ლომთათიძის საქმეზე	27.
24.	ვახტანგ კაჭახიძე	სიტყვა გ. გ. ბერიძის საქმეზე	28.
25.	ნიკოლოზ კველიშვილი	სიტყვა ლ. დ. წინწავას საქმეზე	29.

დანართი 7. ჯაგოდნიშვილი თ., გაბისონია ი., ჯაგოდნიშვილი ივ., „რიტორიკა: ქრესტომათია“ (ჯაგოდნიშვილი, გაბისონია, ჯაგოდნიშვილი (შემდგ.), 2018)

№	ავტორი	სათაური
1.	აკაკი წერეთელი	სიტყვა, წარმოთქმული „სვანების“ პროცესზე
2.	შალვა მესხიშვილი	სიტყვა, წარმოთქმული ს. ა. სტოლერმანის საქმეზე
3.	ალექსანდრე ჩიქვანაია	საბრალდებო სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის მკვლელის, გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე
4.	ბიძინა ბარათაშვილი	სიტყვა, წარმოთქმული სულიკო მოდებაძის საქმეზე
5.	ჯამბაკურ ბაქრაძე	სიტყვა, წარმოთქმული ჯანსუღ ტარსაიძის საქმეზე
6.	ანდრო გელოვანი	სიტყვა, წარმოთქმული ბიკენტი კილაძის საქმეზე
7.	შალვა გვათუა	სიტყვა, წარმოთქმული დურმიშხან თურმანიძის საქმეზე
8.	ალექსანდრე დოლიძე	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ცინცაძის საქმეზე
9.	პეტრე ინასარიძე	სიტყვა, წარმოთქმული ვაჟა თამარაშვილის საქმეზე
10.	ილია კაშია	სიტყვა, წარმოთქმული ა. ლომთათიძის საქმეზე
11.	ვახტანგ კაჭახიძე	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ბერიძის საქმეზე
12.	ნიკოლოზ კველიშვილი	სიტყვა, წარმოთქმული ლუკა წინწავას საქმეზე

დანართი 8. „ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი“ (ჭყონია (რედ.), 1898)

№	სათაური
1.	აღსარებისათვის
2.	მეცნიერებისა წვრთისათვის
3.	სიძვისათვის
4.	მარხვისათვის
5.	სოფლის ამოღებისათვის
6.	ცოდვისაგან მოქცევისათვის
7.	მკვდართა აღდგომისათვის
8.	არა-წმიდის გზასა ზედა უსვლელობისათვის
9.	ისმინე ცაო და ყურად იღებ ქვეყანაო: ძენი ვშვენ და აღვამაღლენ, ხოლო მათ შეურაცხმყვეს მე
10.	მზაკვარებისათვის
11.	გულის წყრომისათვის
12.	შურისათვის
13.	ამპარტავნებისათვის
14.	განსაცდელთა მოთმინებისათვის
15.	სიყვარულისათვის

16.	მოწყალებისათვის
17.	განმკითხველობისათვის
18.	მლუდელობისათვის
19.	მონაზონებისათვის
20.	ნაყოფანებისათვის
21.	ვეცხლისმოყვარებისათვის
22.	უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს
23.	ცუდათ მეტყველებისათვის
24.	შეცოდებათა მიტევებისათვის
25.	სინანულისათვის
26.	სასოწარკვეთილებისათვის
27.	ლოცვისათვის
28.	მათთვის, რომელნი ჰგონებენ გრძელსა ცხოვრებასა და ყოვნიან მოქცევადა და სინანულად
29.	მათთვის, რომელნი ნაცვლად კეთილისა მიაგებენ ბოროტსა
30.	ქრისტეანობისათვის
31.	უღირსებით ზიარებისათვის
32.	ანგარებისათვის
33.	მცონარებისათვის
34.	მორჩილებისათვის
35.	პირველსა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება სინანულისათვის
36.	მეორესა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა ქადაგება მარხვისათვის
37.	მესამესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება მოწყალებისათვის
38.	მეოთხესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება აღსარებისათვის
39.	მეხუთესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება აღსარებისა მლუდელოთათვის
40.	მეექვსესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება შურისათვის
41.	დიდსა პარასკევსა ქადაგება მაცხოვარებითა ვნებასა ზედა
42.	ორი ქადაგება ანტონის მიტროპოლიტის დადიანოვის მიერ თქმული
43.	აღსარებისათვის
44.	მეცნიერებისა წვრთისათვის

დანართი 9. „ანტონ ჭყონდიდელი: დიდი მარხვის ქადაგებები“ (ზუკია, 2007)

№	სათაური
1.	პირველსა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება სინანულისათვის
2.	მეორესა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა ქადაგება მარხვისათვის
3.	მესამესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება მოწყალებისათვის
4.	ანტონის თქმული ყოვლად ნეტარისა კაცისა, ყოვლად სამლუდელო ანტონ ჭყონდიდის მიტროპოლიტისა დადიანისა ძისა მეოთხესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება აღსარებისათვის
5.	ანტონის თქმული მისივე ნეტარისა მამისა ანტონ ჭყონდიდის მიტროპოლიტის დადიანისა ძისა მეხუთესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება აღსარებისათვის მლუდელოთათვის

6.	მეექვსესა კვირიაკესა მარხვათასა ქადაგება შურისათვის
7.	დიდსა პარასკევსა ქადაგება მაცხოვარებითა ვნებასა ზედა

დანართი 10. სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963)	
№	სათაური
1.	სწავლა ეკლესიისათვის, თუ რაჲ არს შეკრება მუნ.
2.	ეკლესიასა შინა დუმილისათვის.
3.	ეკლესიასა შინა დუმილისათვის, მეორე.
4.	სწავლა აღსარებისათვის.
5.	სწავლა წმიდისა ზიარებისათვის.
6.	შობის წინა კვირიაკესა, მამათმთავართა და მოთმინებისათვის.
7.	შობისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიმდაბლისათვის.
8.	საუკუნისა ზედა შიშისა.
9.	ჯოჯობეთისა სატანჯველისათვის.
10.	მეორედ მოსვლისათვის.
11.	ადდგომისათვის მკვდართასა.
12.	სიკვდილის დღისათვის.
13.	უდროდ და უსარგებლო სინანულისათვის.
14.	სიყვარულისათვის.
15.	გლახაკთ შეწყალებისათვის.
16.	უცხოთ მოყვარებისათვის და ვნებისათვის უფლისა.
17.	სტუმართ-მოყვარეობისათვის ელიობასა.
18.	ვეცხლისმოყვარებისათვის.
19.	უთმინოებისათვის.
20.	ურჩებისათვის მარხვისა.
21.	მაგინებელთათვის.
22.	სნეულთა მიხედვისათვის.
23.	სიმშვიდისათვის.
24.	ქრისტეს ვნებისათვის და გლოვისათვის სულისა.
25.	ვნებისათვის და ადამის თანანადების გადახდისათვის.
26.	ბზობასა ამა სოფლის დიდებისა სიცუდისათვის.
27.	ვნებისათვის უფლისა.
28.	ოსების გამოსყიდვისათვის.
29.	ფეხთა საბანლად მიპყრობისათვის და ამპარტავნებისათვის.
30.	დიდის ხუთშაბათისათვის.
31.	ცოდვათა ზედა დაუდგრომლობისათვის.
32.	ძვირის არახსენებისათვის.
33.	სასუფევლის დიდებისათვის.
34.	ყოვლადწმიდისა ჩვენისა მფარველობისათვის.
35.	ღვთის ნიჭისა და ჩვენის უმადლობისათვის.
36.	გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის.
37.	ნათლისმცემლის შობისათვის.

38.	წმ. მოციქულთა დღესასწაულისათვის.
39.	ფერისცვალებისათვის.
40.	მიძინებისათვის ღთისმშობლისა.
41.	სიმთრავლისათვის და ნათლისმცემლის თავის კვეთისათვის
42.	ნათლისმცემლის თავის პოვნისათვის.
43.	უდაბნოს მყოფთა მისვლისათვის და მათთა ნუგეშინის მცემელთათვის ქადაგებად.
44.	მწყემსისათვის დასამწყოსა დამწყისისათვის.
45.	სიმთვრალისათვის.
46.	ზვაობისაგან დაბნელებისა და სასწაულისა დაცემისა.

დანართი 11. „მამა პავლეს (რაზიკაშვილი) ვაჟა-ფშაველას მშობელი მამის ქადაგებანი“ (კოლხიბერული (რედ.), 2008)

№	სათაური
1.	სიტყვა, თქმული 1876-სა წელსა დღესა ამაღლებაზედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა
2.	სიტყვა, თქმული 1876-სა წელსა მაისის 28-სა, სოფელ ყერყეტაში, მიცვალებულის ტაბლობაში, მათი, რომელთაცა მთხოვეს ტაბლა ჩვენმა ხუცესმა დალოცოსო
3.	ქადაგება დღესა ნათლისღებისასა, 1877-სა წელსა, წყლისკურთხევის დროსა, ღულში
4.	სიტყვა, თქმული 1877 წელსა, იანვრის 18-სა ქმოსტში, მამუკა წიკლაურის დამარხვაში, რომელ ყველა კაცი უნდა სიკვდილს მოველოდეთ და მისთვის გავფრთხილდეთ, რო ცოდვაში არ ჩავცვივდეთ
5.	სიტყვა, თქმული 1877-ს მარტს 6, ღულში ხალხის ყრილობისა, რომელ მათ უნდა იარონ ლოცვაზედ, აღსარება თქვან და ეზიარნენ
6.	სიტყვა, თქმული გუდანში ხალხის ყრილობისა, რომელ იგინი უნდა მოვიდნენ ლოცვაზედ, მოემზადნენ საზიარებლად 1877, მარტის 11-ს
7.	სიტყვა, თქმული 1877-ს, მარტის 12, გუდანის სალოცავის ხუცებისა და დეკანოზებისა. როდესაც ვნახენ, დიდმარხვაში საკლავებსა ხოცდნენ და კიდენაც აპირებდნენ დიდს ხუთშაბათსა და პარასკევს დახოცასა
8.	ქადაგება ხახმატის წმინდის გიორგის ეკლესიაში დიდს ხუთშაბათსა, 1877-სა, მარტის 22-სა
9.	სიტყვა, თქმული 1877-სა წელსა, აპრილის 15-სა ხახმატში სულთანა გოგოჭურის ცოლის ქელებში, მამრთი და მდედრთი, მაზედ რომელ მიცვალებულისთვინ რასაცა ხარჯვენ ჩვეულებისამებრ მამა-პაპისა იმითიც ილუპებიან, არა თუ კიდენამც მაუმატონ. უმჯობესია, უფრო შეამცირონ, არა თუ მაუმატონ
10.	სიტყვა, თქმული თოთია მამუკაშვილის ქალის მონათვლაში, დედ-მამისა და მოწვეულებისა ნათლობაში 1877-ს წელსა, აპრილის 22
11.	სიტყვა, თქმული აბიკა ქისტაურის ასულის მარიამის ნათლობაში, დედ-მამისა, ნათლიისა და შემოსწრებულებისა, 1877-სა მაისის 10
12.	სიტყვა, თქმული ქმოსტში, ნადირა ბურდულის ძის ალექსანდრას ნათლობაში

	<i>მშობლების და შამოსწრებულებისა, 1877-სა მაისის 12</i>
13.	<i>სიტყვა, თქმული 1877-სა მაისის 14, ღულის ვაკეში, შიო ბურდულის შვილის ქელებში ხალხისა, რომლებიც იყვნენ მოწვეულები, მაზედ, რომლებიც იყვნენ მოწვეულები, მაზედ, რომელ დოღვში და რიგში დახარჯულ დამრჩოსაც აღარიბებს და არც არას მიცვალებულს არგიან. ამისთვის უმჯობესია, გაფრთხილდენ და ბევრი არ დახარჯონ</i>
14.	<i>სიტყვა, თქმული 1877-ს, ივლისის 2-სა, ხახმატის წმინდა გიორგის ეკლესიაში</i>
15.	<i>სიტყვა, თქმული 1877 წელსა ნათქომი ბაცალიგოში, ხალხის ყრილობაში, რომელთაც უნდა იცოდენ, რო შვილები ადრე მანათლვინონ და მაიკვეთონ თავიანთ ხუცებით მკვდრის მონათვლა</i>
16.	<i>სიტყვა თქმული 1877-ს წელსა აგვისტოს 23-სა, ქმოსტში, გარსია გიგაურის ასულის აგუნდას დამარხვაში, ხალხისა, დედ-მამისა</i>
17.	<i>სიტყვა, თქმული 1877-ს წელსს სექტემბრის 20-სა, ახლად მონათლულისა ქეთევან გამახელას ასულისა</i>
18.	<i>სიტყვა, თქმული 1877-ს წელსა, ღვინობისთვის 15-სა, გაგა შანგია ძის ანდერძის აგებაში, მრავალთ მამრთა და მდედრთა</i>
19.	<i>სიტყვა, თქმული 1877-ს, ნოენბრის 8-სა, სოფელს ჭიეში, ხალხის ყრილობაში, რომელ მათ უნდა ისწავლონ მღვდლით სახლების ვანათლვა და საკლავის ხოცასა და სისხლს თავი დაანებონ</i>
20.	<i>სიტყვა, თქმული 1877-წელსა, ნოენბრის 11-სა, ბაცალიგოში, როდისაც მიმიწვიეს თავიანთ სალოცავში ხუცესებმა</i>
21.	<i>სიტყვა, თქმული 1877-სა დეკემბერის 16-სა უკანხადურში, თორელ თორელისშვილისა, რომელმაც უარი მითხრა ძმის ზიარებაზედ სიკვდილის დღეს</i>
22.	<i>ქადაგება ქრისტეშობის დღესა, 1877 წელსა, ხახმატის წმინდის გიორგის ეკლესიაში</i>

დანართი 12. სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულნი საქართველოს საეპისკოპოსოში მაღალყოვლადსამღვდელოის საქართველოს ეპისკოპოსის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ (სიტყვანი და მოძღვრებანი..., 1887)	
№	სათაური
1.	<i>სიტყვა, თქმული მაღალ ყოვლად სამღვდელოის მთავარ-ეპისკოპოსის პავლეს მიერ მის პირველად შესვლის დროს ვლადიკავკაზის საკრებულო ტაძარში დეკანოზის სამადოვის სიტყვის პასუხად</i>
2.	<i>სიტყვა, თქმული მაღალ ყოვლად სამღვდელო, საქართველოს ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ პირველად მოსვლის დროს 28 სექტემბერს 1882 წელსა ვლადიკავკაზის საკრებულო ტაძარში პარაკლისის შემდეგ</i>
3.	<i>სიტყვა, თქმული პირველად შემოსვლის დროს მცხეთის სობოროში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ პირველ ოკდომბერს ჩყპბ წელსა</i>
4.	<i>სიტყვა, თქმული არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ თფილისის სიონის სობოროში ახალი სამწყსოსადმი 2 ოკდომბერს 1882 წელსა</i>

5.	შესხმა, თქმული საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს მიერ გენერალ ადიუტანტის მ. დ. ორბელიანის წესის აგების დროს 23-ს მარტს 1883 წელსა
6.	სიტყვა, თქმული საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ თფილისის კათედრის სობოროს განახლების დროს 16 ოკტომბერს 1883 წელსა
7.	სიტყვა, თქმული კიშინიევის კათედრის სობოროში 1878 წ. არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ, აწ საქართველოს ექსარხოსისა / მეხუთე დიდ-მარხვის კვირიაკესა
8.	შესხმა, თქმული მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლესაგან სენატორის გენერალ-ლეიტენანტის დიმიტრი სიმონის ძის სტაროსელსკის წესის აგებაზე 15 მარტს 1884 წელსა
9.	სიტყვა, თქმული მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლესი / ფარისევლოური მიმართულება ეხლანდელი დროის ხალხისა
10.	სწავლა პირველი საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის ვარლაამის მიერ თქმული წმიდასა პასეკის მწუხრსა ზედა
11.	შესხმა, თქმული 11-ს ნოემბერს 1884-ს წელსა, შემთხვევისაგამო მიტროპოლიტის ისიდორეს 50 წლის ეპისკოპოსობის იუბილესა. არხიმანდრიტის გრიგორისაგან – (დადიანი)
12.	მოკლე მოძღვრება, თქმული 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისაგან
13.	მოკლე მოძღვრება, თქმულ არს ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიაში მღვ. დ. ღამბაშიძისაგან პირველი დიდ-მარხვის კვირიაკის სამშაბათს / რაში მდგომარეობს ზიარებისათვის მომზადება?
14.	შესხმა, თქმული სიგელზე თბილისის საქალო გიმნაზიაში საქართველის ექსარხოსის, არხიეპისკოპოზის პავლესაგან 17-ს ოკტომბერს 1882 წელსა
15.	მოძღვრება, თქმულ არს თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში საქართველოს ექსარხოსის პავლესაგან ღვთის მსახურების გარეშე საუბრების დროს / ბავშების ნათლის-ღებაზე ბაბტიტების წინააღმდეგ

დანართი 13. კალისტრატე ცინცაძის „ქადაგებები და სიტყვები“ (ცინცაძე, 2014)	
ყვავილკრებული	
არაკალენდარული ქადაგებები ქაშვეთის სამრევლოში	
№	სათაური
1.	სამრევლოში შესვლა
2.	სამწირველოს კურთხევა
3.	ტაძრის კურთხევა
4.	ეპისკოპოსად დადგინება
I. უძრავი დღესასწაულები	
5.	ახალი წელი (3)
6.	წმ. ნინო
7.	დავით აღმაშენებელი
8.	მირქმა

9.	<i>წმ. გიორგი (6)³⁵</i>
10.	<i>შობა (2)³⁶</i>
მარხვან-აღვსებისანი	
11.	<i>დიდმარხვის მეორე კვირა</i>
12.	<i>დიდი პარასკევი</i>
13.	<i>სააღდგომო ეპისტოლე</i>
14.	<i>სამარიტელის კვირიაკე</i>
II. პარაკლისებისა და პანაშვიდებისანი	
სკოლა და კულტურა	
15.	<i>სწავლის დაწყების გამო (3)</i>
16.	<i>გიმნაზიის საფუძვლის კურთხევა</i>
17.	<i>სამუსიკო სკოლის კურთხევა</i>
18.	<i>თეატრის შენობის განახლება</i>
19.	<i>უფასო სადილის გამართვა</i>
20.	<i>უნივერსიტეტის გახსნა</i>
21.	<i>სამოდერო კურსების გახსნა</i>
საზოგადოება და პოლიტიკა	
22.	<i>ბაქოში სომეხ-თათართა შეტაკების გამო</i>
23.	<i>ბატონყმობის მოსპობის გამო</i>
24.	<i>კავკასიის ჯარის გამატჯვების გამო</i>
25.	<i>მოხალისეთა რაზმის საომრად გამგზავრების გამო</i>
ეპიტაფიები	
26.	<i>ნიკოლოზ ბარათაშვილი</i>
27.	<i>გიორგი ქართველიშვილი</i>
28.	<i>ილია ჭავჭავაძე</i>
29.	<i>ეპ. ალექსანდრე</i>
30.	<i>გრიგოლ ორბელიანი</i>
31.	<i>ეგნატე ნინოშვილი</i>
32.	<i>დავით სარაჯიშვილი</i>
33.	<i>ნიკოლოზ ლოლობერიძე</i>
34.	<i>ნიკოლოზ ცხვედაძე</i>
35.	<i>იაკობ გოგებაშვილი</i>
36.	<i>ალექსანდრე ხახანაშვილი</i>
37.	<i>არისტო ქუთათელაძე</i>
38.	<i>კოტე მესხი</i>
39.	<i>აკაკი წერეთელი (2)</i>
40.	<i>ვარლამ გელოვანი</i>
41.	<i>ნიკო ლომოური</i>
42.	<i>ალექსანდრე ჭიჭინაძე</i>
43.	<i>იროდიონ ევდოშვილი</i>
44.	<i>თედო ჟორდანია</i>

³⁵ შენიშვ.: შედის 6 ტექსტი აღნიშნულ თემაზე.

³⁶ შენიშვ.: შედის 2 ტექსტი აღნიშნულ თემაზე.

45.	კიტა აბაშიძე
46.	მაკარაშვილი და ჩიკვაიძე
47.	ვლადიმირ გობეჩია
48.	მიტრ. ანტონი
49.	კ-პ ლეონიდი

დანართი 14. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში: წერილები (სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-1927 წწ.ში, 2010)

№	სათაური
1.	საქართველოს პატრიარქ კირიონ II სიტყვა თქმული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო 1918 წ.
2.	კირიონ II-ის სიტყვა ქართული უნივერსიტეტის გახსნისას 1918 წლის 26 იანვარს
3.	სიტყვა, თქმული სვეტიცხოვლის ტაძარში ავტოკეფალიის წლის თავზე მიტროპოლიტ ლეონიდეს მიერ 1918 წლის 15 მარტს
4.	მიტროპოლიტ ამბროსი ხელაიას სიტყვა გიორგი შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე 1918 წლის 2 სექტემბერს
5.	ამბროსი ხელაიას სიტყვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართული საზოგადოების წინაშე 1918 წლის 1 სექტემბერს
6.	ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით 1920 წლის 28 თებერვალს
7.	უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვა სასამართლო პროცესზე

დანართი 15. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ნოე ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 24 ივნისი - 1921 წლის 18 მარტი): ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები (ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ა); ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018ბ); ჯონსი, ჯგერენაია (რედ.), 2018გ)

№ ³⁷	სათაური
1.	საქართველოს ეროვნულ საბჭოს ისტორიული სხდომა, ნოე ჟორდანიას მისალმებითი სიტყვა, მაისის 26, 5 საათი
2.	საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოცხადებული თბილისში, სასახლის ³⁸ თეთრ დარბაზში 1918 წელს, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს 5 საათს და 10 წუთს

³⁷ ნიმუშებს ნიმიჭებული აქვთ თავისი შესაბამისი ნომერი.
³⁸ იგულისხმება „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“.
 xxxvii

3.	საზავო მოლაპარაკება, ნოე ჟორდანიას მოხსენება
4.	საქართველოს ეროვნული საბჭო, ნოე ჟორდანიას სიტყვა, 16 ივნისი; საღამოს სხდომა
5.	ნ ჟორდანიას სიტყვა წარმოთქმული წითელი გვარდიის შესახებ, 21 ივნისი
6.	საქართველოს ეროვნული საბჭო, ნ ჟორდანიას გამოსვლა, 24 ივნისის სხდომა
7.	სიტყვა, წარმოთქმული პარლამენტის სხდომაზე ნოემბრის 9-ში
8.	მეორე სიტყვა, წარმოთქმული პარლამენტის სხდომაზე ნოემბრის 9-ში
9.	მესამე სიტყვა, წარმოთქმული პარლამენტის სხდომაზე ნოემბრის 9-ში
10.	თფ მუშ და ჯ-კ დეპუტ საბჭოს კრება, ნ ჟორდანიას მოხსენება „რევოლიუცია გერმანიაში“, 20 ნოემბერი, სახალხო სახლი
11.	საქართველოს პარლამენტის სადღესასწაულო სხდომა, ნოე ჟორდანიას სიტყვა
12.	საორგანიზაციო საკითხები, ნოე ჟორდანიას მოხსენება
13.	საორგანიზაციო საკითხები, ნოე ჟორდანიას საპასუხო სიტყვა
14.	საქართველოს პარლამენტი, 17 დეკემბრის სხდომა
15.	სამუსულმანო საქართველოს
16.	მუშათა დეპუტატ საბჭოში მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას სიტყვა
17.	საქართველოს პარლამენტის თებერვლის 18-ს სასწრაფო სხდომა, მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნოე ჟორდანიას სიტყვა
18.	დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქცია და ძალა-უფლება, ნოე ჟორდანიას მოხსენება სოც დემ ორგანიზაციათა შეერთებულ კრებაზე
19.	ისტორიული დღე, ნოე ჟორდანიას სიტყვა, 1918 წლის 26 მაისი
20.	თანამედროვე მომენტი და სახ გვარდ მიზნები, ნოე ჟორდანიას მოხსენება
21.	მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ნოე ჟორდანიას მოხსენება
22.	სიტყვა წარმოთქმული 1920 წლის იანვრის 14, დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო

დანართი 16. დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალს (მაცაბერიძე (რედ.), 2009)

№	ავტორი	სათაური
1.	კარლო ჩხეიძე	[სიტყვა თქმული სხდომის გახსნისას]
2.	გრიგოლ ლორთქიფანიძე	[სიტყვა თქმული სხდომის გახსნისას]
3.	შალვა ალიქსი-მესხიშვილი, ნიკიფორე იმნაიშვილი, ივანე გობეჩია, სპირიდონ კედია, ივანე გომართელი	ფრაქციათა წარმომადგენლების გამოსვლები
4.	_____	მიმართვა ქართველი ხალხისადმი
5.	_____	მიმართვა დასავლეთის ქვეყნების პარლამენტისადმი

დანართი 17. საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.) (მაცაბერიძე (რედ.), 2007)

№	სათაური
1.	ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისი
2.	ედუარდ შევარდნაძის მიერ 1995 წლის 26 ნოემბერს წარმოთქმული საინაუგურაციო სიტყვა
3.	ედუარდ შევარდნაძის მიერ 2000 წლის 30 აპრილს სვეტიცხოველში წარმოთქმული სიტყვა
4.	ედუარდ შევარდნაძის მიერ 2000 წლის 30 აპრილს წარმოთქმული საინაუგურაციო სიტყვა
5.	მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 24 იანვარს გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან წარმოთქმული სიტყვა
6.	მიხეილ სააკაშვილის სიტყვა წარმოთქმული ფიცის დადების საზეიმო ცერემონიაზე, 2004 წლის 25 იანვარი

დანართი 18. პირველი ლექციები უნივერსიტეტში (გაიპარაშვილი (შემდგ. და რედ.), 2017)

№	სათაური
1.	აკაკი ჩხენკელის სიტყვა
2.	პეტრე მელიქიშვილის სიტყვა
3.	იოსებ ყიფშიძის სიტყვა
4.	სიტყვა თქმული მისი უწმიდესობის კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II მიერ
5.	სიტყვა თქმული გიმნაზიის ეკლესიაში კათალიკოზის შეხვედრაზე
6.	ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის სიტყვა